ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

მიხეილ ქართველიშვილი

საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
მოწვეული პროფ. **ქეთევან პავლიაშვილი**

თბილისი
2019

ანოტაცია

საბჭოთა კავშირის და მისი იდეოლოგიური პოლიტიკის მეცნიერული კვლევა დღემდე თავის აქტუალობას არ კარგავს, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფოს დაშლიდან უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა.

საბჭოთა იმპერიის იდეოლოგიური პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს მისი რელიგიური პოლიტიკა თავისი ცალკეული მახასიათებლებით. აღნიშნული პრობლემის სამეცნიერო შესწავლის ინტერესს ზრდის ის გარემოებაც, რომ საბჭოთა კავშირის ისტორიაში თითქმის არ არსებობს საკითხი, რომლის კომპლექსურად გააზრებისთვისაც აუცილებელი არ იყოს რელიგიური პოლიტიკის გაანალიზება და განხილვა.

საკვლევი თემის მიზანია სხვადასხვა სახის წერილობით წყაროებზე (საარქივო დოკუმენტები, პერიოდული პრესის მასალა, მემუარები და შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით შესწავლილ იქნეს საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა: 1) როგორი იყო მისი ძირითადი მახასიათებლები? 2) რა გამოვლინებას ჰპოვებდა იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიც არის მეცნიერება, განათლება? 3) გაანალიზდეს, რა დამოკიდებულება ჰქონდა აღნიშნულისადმი ქართველ საზოგადოებას, კერძოდ, სასულიერო პირებს? 4) რა ხედვა ჰქონდა ამ ყველაფერზე დასავლეთის საზოგადოებას და ა.შ.

დისერტაციაში ნათლად არის ნაჩვენები, როგორ იცვლებოდა საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა, როგორი იყო მისი ასახვის თავისებურებები საქართველოში ნაშრომში მოცემულია საკითხის ირგვლივ ჩატარებული კვლევითი სიახლეები და მიღებული სამეცნიერო დებულებები: 1) რა მიზეზებით და მახასიათებლებით გამოირჩეოდა ნიკიტა ხრუშჩოვისეული დესტალინიზაციის პოლიტიკის რელიგიური ასპექტები? 2) მისი აგიტაცია-პროპაგანდის მეთოდოლოგია. 3) გამოიკვეთა 1953-64 წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ წარმოებული ე.წ. „მეცნიერული ათეიზმის“ ძირითადი გამოვლინებები საგანმანათლებლო სივრცეში და სხვა.

Annotation

The research of the Soviet Union and its ideology does not lose its actuality despite the fact that a quarter of century has been passed from the collapse of the Soviet Union.

The one of the most important parts of Soviet politics was religious policy within its specific features. The importance of this very issue is enhanced by the fact that there is not an issue in the history of the Soviet Union that could be completely understood without the analysis and the review of the religious policy.

The purpose of the research is to investigate the Soviet religious policy (based on the archive materials, press, memoirs and scholarly literature): 1) What were the basic features of the Soviet religious policy? 2) How did it reveal itself in the important aspects of the life of the Soviet society like science, scholarship, education? 3) It should be analyzed what kind of attitude had the Georgian clergy towards this policy. 4) What kind of perception had the western world towards this issue?

The thesis plainly shows how the Soviet religious policy changed over the years, what were its specific features in Georgia. The novelties of the research are: 1) what reasons and specific features had the religious aspect of the policy of de-Stalinization of Nikita Khrushchev? 2) The methodology of its agitation and propaganda. 3) The various aspects of the 'scientific atheism' propagated by the Soviet stated into the education system were revealed, etc.

შინაარსი

შესავალი 1

თავი 1. ათეისტური პოლიტიკის თეორიულ-იდეოლოგიური წანამძღვრები 12

§1. ათეისტური იდეოლოგიის საფუძვლები და განვითარების ეტაპები დასავლეთ ევროპაში (ძირითადი ასპექტები) 12

§2. ათეიზმი მონარქისტულ რუსეთში 22

§3. საბჭოთა ათეიზმი (ლენინი, სტალინი) 29

თავი 2. საბჭოთა ათეისტური პროპაგანდის მეთოდოლოგია საქართველოში 37

§1. საბჭოთა ათეისტური პროპაგანდის მეთოდოლოგია საქართველოში (ბეჭდური მედია) 37

§2. ათეისტური პროპაგანდა და საზოგადოება „ცოდნა“ 47

§3. ათეისტური პროპაგანდა და განათლება საქართველოში 57

თავი 3. საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და იდეოლოგია XX საუკუნის 20-60-იანი წლების საქართველოში 70

§1. რელიგიური პოლიტიკა XX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში 70

§2. საბჭოთა ათეისტური პოლიტიკა „დიდი სამამულო ომის“ წლებში (1941-1945 წწ.) 100

§3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რწმუნებულის ფორმირება-განვითარების ისტორია (XX საუკუნის 40-50-იანი წლები) 114

§4. ნიკიტა ხრუშჩოვის რელიგიური პოლიტიკის მახასიათებლები (1953-1964 წწ.) 127

თავი 4. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია (XX საუკუნის 50-60 წლებში) 146

§1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება საბჭოთა რელიგიური პოლიტიკისადმი 146

§2. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობები XX საუკუნის 50-60 წლებში 154

დასკვნა 173

ბიბლიოგრაფია 179

შესავალი

უკანასკნელ ათწლეულებში მიმდინარე მეცნიერული კვლევების მიუხედავად, ქართულ ისტორიოგრაფიაში საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი პოლიტიკის კომპლექსური კვლევის დეფიციტი მაინც სახეზეა, რასაც, თავის მხრივ, გააჩნია ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, სადაც განსაკუთრებით მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ეპოქის შესაბამისი საისტორიო წყაროების ან არარსებობა, ან მათზე წვდომის შეუძლებლობა. ათწლეულების მანძილზე ბევრი საარქივო ფონდი მეცნიერთა დიდი ნაწილისათვის პრაქტიკულად დახურული იყო. ამ მხრივ, ბოლო ათწლეულებში დაიწყო კომპლექსური კვლევების მიმართულებით ინტერესის გაღრმავება. ზემოაღნიშნულმა, თავის მხრივ გამოიწვია ახალი საისტორიო მასალის აღმოჩენა და მეცნიერულ ბრუნვაში შემოტანა, რაც კიდევ უფრო ხელს უწყობს სოვეტოლოგიური მიმართულების კვლევების განვითარებას, სადაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლების შესწავლამ. ეს საკითხი თავის მნიშვნელობას დღემდე არ კარგავს, მეტიც, სრულიად აშკარაა, რომ საბჭოთა კავშირის ისტორიაში თითქმის არ არსებობს საკითხი, რომლის კომპლექსურად გააზრებისთვისაც აუცილებელი არ იყოს რელიგიური პოლიტიკის გაანალიზება და განხილვა.

აღნიშნული კუთხით მეცნიერული კვლევების ჩატარება განსაკუთრებით აქტუალურია ქართული სინამდვილისათვის, რადგან ჩვენს საზოგადოებას და მის სააზროვნო სივრცეს დღემდე მნიშვნელოვან ტრავმად მოჰყვება საბჭოთა მენტალური მემკვიდრეობა, რაც თავს იჩენს ბევრი თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობების ცალკეულ საკითხებში ვლინდება, აღნიშნულის მიზეზი კი ერის ისტორიულ მეხსიერებაშია საძიებელი, რადგან ქართულ სააზროვნო სინამდვილეს, თუ არ გამოვრიცხავთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკას ეკლესია-სახელმწიფოს გამიჯვნაზე, პრაქტიკულად არ ახსოვს სახელმწიფოსა და ეკლესიის რადიკალური გამიჯვნის იმგვარი მოდელი, რომელიც საბჭოთა წყობილებისათვის იყო დამახასიათებელი.

XX საუკუნის 20-30-იან წლებსა და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა, მისი ცალკეული მახასიათებლები, ქართულ ისტორიოგრა-

ფიაში მეტ-ნაკლებად შესწავლილია; გამოკვეთილი და გაანალიზებულია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა საბჭოთა პერიოდში, არსებითი სინამდვილე შეჯერებულია ქართველი საზოგადოების, მათ შორის სასულიერო პირების დამოკიდებულებასთან, კომუნისტური ხელისუფლების რელიგიურ პოლიტიკასთან.

მიუხედავად აღნიშნულისა, საისტორიო მეცნიერებაში საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებების 1953-1964 წლებში კომპლექსური თვალსაზრისით განხილვა და გაშუქება პრაქტიკულად თითქმის არ განხორციელებულა. აღნიშნულმა მოითხოვა აუცილებლობა, რომ, ერთის მხრივ, გამოკვეთილიყო რელიგიური პოლიტიკის ზოგადი სურათი, ხოლო, მეორეს მხრივ, შესწავლილიყო ქართულ რეალობაში მისი ცალკეული მახასიათებლების განხორციელება.

ნაშრომი ქრონოლოგიურად მოიცავს 1953-1964 წლებს და წარმოადგენს ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდს. აღნიშნული პრობლემის მეცნიერული კვლევის აქტუალობას, გარდა ზემოდასახელებული მიზეზებისა, ისიც განაპირობებს, რომ ეს არის პერიოდი, როდესაც საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში საფუძვლები ეყრება მთელ რიგ ისეთ მოვლენას, რომელთაც თავისი მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს. აღნიშნული თვალსაზრისით ყურადღება უნდა მივაქციოთ განათლების სფეროს განსაკუთრებულ იდეოლოგიზირება, რომელსაც ადგილი საბჭოთა სინამდვილეში ჰქონდა. ასევე მნიშვნელოვანია ეკუმენური მოძრაობის მმართველ ორგანოში – ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანების საკითხი.

საკვლევი პრობლემატიკის გაანალიზების მიზნით, ნაშრომში ასევე განხილულია საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის თავისებურებები XX საუკუნის 20-იანი წლებიდან სტალინის გარდაცვალებამდე. წინა პერიოდის გაანალიზება საჭიროა იმდენად, რამდენადაც, იმ დროს განვითარებულმა მოვლენებმა შეამზადა და ასახვა ჰპოვა შემდგომ ეპოქაში განვითარებულ პროცესებში როგორც დადებითი, ისე უარყოფითი სახით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკვლევი თემის მიზანია, სხვადასხვა სახის წერილობით წყაროებსა და შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით შესწავლილ იქნეს საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა: 1) როგორი იყო მისი ძირითადი მახასიათებლები? 2) რა გამოვლინებას ჰპოვებდა იგი საზოგადოებრივი ცხოვრების

ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიც არის მეცნიერება, განათლება? 3) გაანალიზდეს რა დამოკიდებულება ჰქონდა აღნიშნულისადმი ქართველ საზოგადოებას, კერძოდ, სასულიერო პირებს? 4) რა ხედვა ჰქონდა ამ ყველაფერზე დასავლეთის საზოგადოებას და ა.შ.

ნაშრომში მოცემულია საკითხის ირგვლივ ჩატარებული კვლევითი სიახლეები და მიღებული სამეცნიერო დებულებები: 1) რა მიზეზებით და მახასიათებლებით გამოირჩეოდა ნიკიტა ხრუშჩოვისეული დესტალინიზაციის პოლიტიკის რელიგიური ასპექტები? 2) მისი აგიტაცია-პროპაგანდის მეთოდოლოგია. 3) გამოიკვეთა 1953-64 წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ წარმოებული ე.წ. „მეცნიერული ათეიზმის“ ძირითადი გამოვლინებები საგანმანათლებლო სივრცეში და სხვა.

საბჭოთა პერიოდის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მდგომარეობის შესწავლა სრულ სურათს ვერ იძლევა მისი საგარეო ურთიერთობების გაშუქება-გააზრების გარეშე, ამიტომ ნაშრომში მიზნად დავისახეთ ჩვენი ქვეყნის ეკლესიის ცალკეული დიპლომატიური კავშირების ანალიზი, რასაც საკვლევი პერიოდის შესწავლაში განსაკუთრებული დატვირთვა მიეცა.

ზემოაღნიშნულის განხორციელებისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ შემდეგი ამოცანების გადაჭრა: განსაზღვრულიყო საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის თეორიული საფუძვლები: როგორ წარმოიშვა, რა პოლიტიკური და იდეოლოგიური წანამძღვრები უძღვოდა წინ მის ჩამოყალიბებას; გამოკვეთილიყო საბჭოთა ათეისტური პროპაგანდის მეთოდოლოგია, რისთვისაც საჭირო გახდა აღნიშნულ საკითხში პერიოდული ბეჭდური მედიის და საზოგადოება „ცოდნას“ ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა; რა თავისებურებებით ხასიათდებოდა აღნიშნული აგიტაცია ქართულ სინამდვილეში; გაანალიზებულიყო საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის ე.წ. „მეცნიერული ათეიზმის“ ასახვა საგანმანათლებლო პროცესზე; გაშუქებულიყო, თუ როგორ ცდილობდა კომუნისტური ხელისუფლება აღნიშნულ პროცესში ჩაერთო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები. ამ გზით წარმატებით ხორციელდებოდა, ერთის მხრივ, ათეისტური იდეების აგიტაცია-პროპაგანდა, მეორეს მხრივ კი, ახალი კადრების აღზრდა ანტირელიგიურ პოლიტიკაში სამომავლო ჩართულობისათვის; შეგვესწავლა, თუ როგორ ვითარდებოდა რელიგიური პოლიტიკა, რა მახასიათებლები გამოარჩევდა მას ქართულ სინამდვილეში და აღნიშნულისადმი როგორც საზოგადოების, კერძოდ სასულიერო პირების, ისე დასავლური სამყაროს დამოკიდებულება; ნაშრომში შესწავლილ

იქნა, თუ როგორი იყო საკვლევ პერიოდში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობები. აღნიშნული კუთხით, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ეკუმენური მოძრაობის მმართველ ორგანოში – ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანების საკითხსა და მისდამი ქართველი სასულიერო პირების დამოკიდებულებაზე.

ჩვენი კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს პირველ ქართულენოვან მონოგრაფიულ გამოკვლევას საისტორიო მეცნიერებაში, რომელშიც, ქართულ, რუსულ, ინგლისურ თუ ფრანგულ ენებზე არსებულ საისტორიო წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და მათი ურთიერთშეჯერებით, მოცემულია საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და მისი ასახვა ქართულ სინამდვილეში 1953-64 წლებში. სადისერტაციო ნაშრომში პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, შესწავლილია რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატის დაარსების საკითხის ისტორია; აღნიშნული სახელისუფლებლო ორგანოს დაფუძნების იდეოლოგიურ-პოლიტიკური მნიშვნელობა, მიზეზები და მიზნები; მისდამი ქართველი სასულიერო პირების დამოკიდებულების საკითხი. საკვლევი პრობლემის ირგვლივ გამოვლენილია ახალი საისტორიო წყაროები.

ნაშრომში შესწავლილია საბჭოთა ათეისტური იდეოლოგიის პროპაგანდის მიმართულებები: 1) ბეჭდური მედიის აქტიური ჩართულობა საბჭოთა სახელმწიფო იდეოლოგიაში, რომლის განსაკუთრებული მნიშვნელობა აგიტაცია-პროპაგანდის პროცესში ჯერ კიდევ ლენინის მიერ განისაზღვრა; 2) საზოგადოება „ცოდნას“ მიერ გაწეული სააგიტაციო მუშაობა, რომელიც თავის მხრივ ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: ა) საჯარო ლექციების ორგანიზება-ჩატარება; ბ) წიგნებისა და ბროშურების გამოცემა; 3) ათეისტური იდეოლოგიის აგიტაცია-პროპაგანდის დანერგვა განათლების სისტემაში, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, ერთის მხრივ, ის ხელს უწყობდა მოსახლეობის ათეისტური იდეოლოგიით აღზრდას, ხოლო, მეორეს მხრივ, ამკვიდრებდა ათეისტურ სწავლებას საგანმანათლებლო სისტემის ყველა საფეხურზე.

ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს ისიც, რომ მასში შესწავლილია საბჭოთა რელიგიური პოლიტიკისადმი ქართველი საზოგადოების, კერძოდ, სასულიერო დასის დამოკიდებულება.

სადისერტაციო ნაშრომით სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოგვაქვს აშშ

კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ე.წ. „ანტიამერიკული საქმიანობის შემსწავლელი კომიტეტის“ მიერ გამოცემული წიგნი-დოკუმენტი “The Crimes of Khrushchev”, რომელზე დაყრდნობით შესაძლებლობა გვეძლევა, გავაანალიზოთ, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა დასავლურ სამყაროს საბჭოთა რელიგიურ პოლიტიკის მიმართ.

ნაშრომში, საკვლევი პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოს თანახმად, შესწავლილია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობები. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საკითხი ფართოდ და სიღრმისეულად ცალკე გასაანალიზებელი თემაა და შესაბამის მონოგრაფიულ შესწავლას ითხოვს, დისერტაციისათვის დადგენილი შეზღუდული მოცულობის გამო, ნაშრომში ყურადღება ძირითადად გამახვილებული გვაქვს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ეკუმენურ მოძრაობაში გაწევრიანების საკითხზე.

ნაშრომის მეთოდოლოგიური ბაზა. კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩოდან გამომდინარე, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით სადისერტაციო ნაშრომი დაფუძნებულია ისტორიული შემეცნების მეთოდზე. აღნიშნული მიდგომა შესაძლებლობას გვაძლევს, საკითხი შევისწავლოთ დინამიკაში. საკვლევი პრობლემის შესწავლისას ასევე გამოყენებულ იქნა კომპლექსურ-ისტორიული მეთოდი, რომლის მეშვეობითაც მოხერხდა, ერთის მხრივ, სახელმწიფოს ოფიციალური რელიგიური პოლიტიკის ანალიზი, მეორეს მხრივ კი, შეფასება, თუ ასახვის რა თავისებურებებით გამოირჩეოდა იგი ქართულ სინამდვილეში.

წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ბაზა. ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა მეტად მდიდარია და იგი რამდენიმე ნაწილად შეიძლება დაჯგუფდეს:

ა) გამოუქვეყნებელი საარქივო დოკუმენტები: საქართველოს ეროვნული არქივის საქართველოს უახლესი ისტორიის არქივში დაცული საზოგადოება „ცოდნის“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათეიზმის, ეთიკისა და ესთეტიკის კათედრის და რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატის არქივები. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების ამბროსი ხელაიასა და კალისტრატე ცინცაძის პირადი არქივებში დაცული საბუთები.

ბ) გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტები: ხელისუფლების მიერ გამოცემულ ოფიციალური დოკუმენტების კრებულები – სკკპ ყრილობების, კონფერენციების და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილე-

ბებში, საკავშირო „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ საქალაქო უჯრედების ორგანიზაციის და მუშაობის ინსტრუქცია, სკკპ რელიგიის შესახებ, Вопросы идеологической работы: сборник важнейших решений КПСС (1954-1961 годы); აშშ კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ე.წ. „ანტიამერიკული საქმიანობის შემსწავლელი კომიტეტის“ მიერ გამოცემული “The Crimes of Khrushchev” (ხრუშჩოვის ბოროტმოქმედებანი), რომელიც 1959-1960 წლებში მომზადდა, შვიდი ნაწილისაგან შედგება და წარმოადგენს სხვადასხვა პიროვნებების ინტერვიუების კრებულს (მასში საინტერესოდ არის ასახული აშშ პოლიტიკური ხელმძღვანელობის ხედვა ნ. ხრუშჩოვის პოლიტიკაზე. აღნიშნული დოკუმენტების მნიშვნელობას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ისინი ზედმიწევნით ზუსტად ასახავენ სამთავრობო პოლიტიკას როგორც იდეოლოგიური, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით); დოკუმენტების კრებული „ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა“, სადაც დაბეჭდილია საინტერესო მასალა ეკუმენური მოძრაობის ისტორიაზე.

გ) პერიოდული გამოცემები: საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური გამოცემები – გაზეთები „კომუნისტი“ და „სახალხო განათლება“ და ჟურნალები „მებრძოლი ათეისტი“ და „კომუნისტური აღზრდისათვის“; ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ოფიციალური გამოცემა “The Ecumenical Review” და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური გამოცემა «Журнал Московской патриархии».

დ) ფრანგი განმანათლებლების (ჟან-ჟაკ რუსო, დენი დიდრო), გერმანელი ფილოსოფოსების (კ. მარქსი, ფ. ენგელსი), რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების (ა. გერცენი, ბ. ბელინსკი, ნ. დობროლიუბოვი, ნ. ჩერნიშევსკი), საბჭოთა ათეისტური იდეოლოგიის შემომქმედების (ვ. ლენინი, ი. სტალინი) თხზულებები და ნაწერები რელიგიისა და ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ.

ე) ეპოქის თანამედროვეთა ჩანაწერები, მემუარები და დღიურები: ნაშრომში განხილული გვაქვს აკადემიკოსების ნიკო ბერძენიშვილისა და შალვა ხიდაშელის მემუარები, ასევე ქართველი სასულიერო პირის დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძის „მოქალაქე-მღვდლის დღიური“ და ამერიკელი მწერლის ჯონ სტაინბეკის „რუსული დღიური“.

ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით ნაშრომი მოიცავს სამეცნიერო ლიტერატურას როგორც ქართულ, ასევე ევროპულ ენებზე. აქვე უნდა ითქვას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ნიკიტა ხრუშჩოვის რელიგიური პოლიტიკა საგანგებო მეცნიერული კვლევის ობიექტი ჯერ არ ყოფილა და ჩვენი ნაშრომი ამ კუთხით კვლევის პირ-

ველ მცდელობას წარმოადგენს.

პირველი ავტორი, ვინც პოსტსაბჭოთა სივრცეში ნიკიტა ხრუშჩოვის რელიგიურ პოლიტიკას შეეხო, არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი როგავა, რომელმაც საბჭოთა ათეისტური პოლიტიკა განიხილა თავის ნაშრომში „რელიგია და ეკლესია საქართველოში (XIX-XX ს.ს.)“. ბუნებრივია, მისი ინტერესის სფეროში აღმოჩნდა ჩვენთვის საინტერესო საკითხიც. იქიდან გამომდინარე, რომ ნაშრომი თავისი დანიშნულებით სახელმძღვანელოს წარმოადგენს, ავტორი ამ საკითხს მხოლოდ ფრაგმენტულად განიხილავს და ზოგადი ფრაზების მოხმობის კმაყოფილდება. ავტორი გადმოგვცემს: „პარტია თავის დადგენილებებსა და პროგრამაში მოითხოვდა, რომ ათეისტური პროპაგანდა კვლავ ყოფილიყო კომუნისტთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საბრძოლო ამოცანა, რის შედეგადაც კვლავ გრძელდებოდა მორწმუნე მოსახლეობის კანონიერ მოთხოვნილებათა უგულებელყოფა“.[1] ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა, თუ ამ საკითხს ავტორი უფრო სიღრმისეულად განიხილავდა.

ნიკიტა ხრუშჩოვის დამოკიდებულებას რელიგიისადმი ასევე ზოგადად შეეხო პროფესორი თეიმურაზ ფანჯიკიძე,[2] რომელიც წერს: „იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ცნობილია, სახელმწიფოს სათავეში ცოტა ხანს გიორგი მალენკოვი იყო პირველ პლანზე, შემდეგ კი ნიკიტა ხრუშჩოვმა იგდო ხელთ ლიდერობა. სწორედ მის დროს განახლდა თავდასხმები რელიგიურ კონფესიებზე. მიღებული იქნა რამდენიმე დადგენილება მოსახლეობის ათეისტური აღზრდის გაძლიერების შესახებ. თითქმის დავიწყებული იქნა ის შემწყნარებლური ტენდენცია ეკლესიასთან მიმართებაში, რომელიც სტალინის მმართველობის ბოლო პერიოდში გამოიკვეთა და მის გარდაცვალებამდე არ შეცვლილა“.[3]

ნიკიტა ხრუშჩოვის რელიგიურ პოლიტიკას შეეხო თავის გამოკვლევაში „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 50-იან წლებში და კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ III“ ისტორიის დოქტორი მაია ნებიერიძე-ვაჩნაძე.[4] ის შეისწავლის პატრიარქის ცხოვრება-მოღვაწეობის ცალკეულ ასპექტებს და აანალიზებს ამ

---

[1] **გივი როგავა.** რელიგია და ეკლესია საქართველოში (XIX-XX ს.ს.). თბილისი: „პაპირუსი“, 2002, გვ. 439.
[2] **თეიმურაზ ფანჯიკიძე.** რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე. თბილისი: „ლეგა“, 2003.
[3] **თეიმურაზ ფანჯიკიძე.** რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 41.
[4] **მაია ნებიერიძე-ვაჩნაძე**. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 50-იან წლებში და კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ III. – კრ. „XX საუკუნის კათოლიკოს-პატრიარქები“. თბილისი: „უნივერსალი“, 2008, გვ. 50-62.

პერიოდში შექმნილ მდგომარეობას თუ მთავრობის რელიგიურ პოლიტიკას: „1958 წლიდან სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა კვლავინდებურად დაიძაბა; ანტისაეკლესიო ახალი კამპანიის იდეოლოგი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ხრუშჩოვი იყო. მის მიერ გაცემული საამისო დირექტივები აქტიურად სრულდებოდა საქართველოშიც, სადაც მასიური ხასიათი მიიღო ახლახან ამოქმედებული ეკლესია-მონასტრების დახურვამ.

ხრუშჩოვის მმართველობის ანტისაეკლესიო რეპრესიებსა და XX საუკუნის 20-იანი წლების ლენინ-ტროცკის ეპოქის ანტირელიგიურ კურსს შორის არსებობს როგორც სხვაობა, ისე საერთო ნიშნებიც. ორივე კამპანიამ ზოგადად ეკლესიას და კონკრეტულად ქართულ სამოციქულო ეკლესიას უდიდესი ზარალი და მავნებლობა მოუტანა. განმასხვავებელ ნიშნებში მოვიაზრებთ იმ ფაქტს, რომ ხრუშჩოვის დროს რეპრესიებს სისხლისღვრა და დაპატიმრებები მოჰყვა, საერთო კი ის იყო, რომ ხრუშჩოვმა, 20-იანი წლების მსგავსად, გააქტიურა ეკლესიის ფინანსური ტერორი; სამღვდელოთა დაპატიმრებები ძირითადად მიმდინარეობდა ფინანსური დანაშაულის ბრალდების საფუძველზე, საეკლესიო გადასახადების გადაუხდელობის მიზეზით.

საბჭოთა იმპერიის ხელისუფლებამ უხეშად დაიწყო ჩარევა ეკლესიის შიდა საქმეებში. მთავრობა აიძულებდა საეკლესიო იერარქიას იდეოლოგის ფუნქცია შეესრულებინა საერო ხელისუფლების რევოლუციურ ღონისძიებებში“.[1]

აღნიშნული მოსაზრებები დაზუსტებას ითხოვს, სულ მცირე, რამდენიმე ასპექტით. კერძოდ, ლენინ-ტროცკის საეკლესიო პოლიტიკისთვის არანაკლებ დამახასიათებელი იყო დაპატიმრებები და რეპრესიები. ეს სახელისუფლებო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. მეტიც, ლევ ტროცკი ცნობილია, როგორც სამხედრო კომუნიზმის ერთ-ერთი აქტიური იდეოლოგი, რომელიც მიიჩნევდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოსთვის მტრულად განწყობილი პოლიტიკური ძალებისადმი უნდა გატარებულიყო სამხედრო წესის რეპრესიები და, ცხადია, ამ თვალსაზრისით, გამონაკლისს არც ეკლესია წარმოადგენდა. ლ. ტროცკის აზრით, რელიგიური დაჯგუფებები სწორედ ასეთ ძალად მოიაზრებოდა.[2]

---

[1] **მაია ნებიერიძე-ვაჩნაძე.** საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 50-იან წლებში, გვ. 56-57.

[2] Письмо Л. Д. Троцкого в Политбюро ЦК РКП(б) с предложениями о дополнительных мерах по изъятию церковных ценностей. 26 марта 1922 г. Архивы Кремля. В 2-х кн. / Кн. 1. Политбюро и церковь. 1922-1925 гг. Москва – Новосибирск: «Российская политическая энциклопедия» (РОССПЭН), «Сибирский хронограф», 1997, გვ. 159-161. იხ. http://istmat.info/node/27262 (უკანასკნელად ნანახია 16.10.2019).

ნიკიტა ხრუშჩოვის რელიგიურ პოლიტიკას ეხება ასევე პროფესორ ქეთევან პავლიაშვილის ნაშრომი: „საბჭოთა იმპერიის საეკლესიო პოლიტიკა მახლობელ აღმოსავლეთში XX საუკუნის 20-60-იან წლებში („სტალინის პროექტი“ და ე.წ. „ფორთოხლის გარიგება“).[1] საკვლევი პრობლემატიკა ნამდვილად აქტუალურია თანამედროვე ევროპულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში. შესაბამისად, მისასალმებელია, რომ ავტორი ცდილობს, თავისი წვლილი შეიტანოს აღნიშნული პრობლემის გაანალიზებაში და ქართული სამეცნიერო სივრცეც ჩართოს საკითხის შემსწავლელთა რიცხვში. თუმცაა, ჩვენი აზრით, ნაშრომი მხოლოდ მოიგებდა, თუ მასში ნიკიტა ხრუშჩოვის საეკლესიო პოლიტიკის მახასიათებლებზე უფრო დაწვრილებით იქნებოდა საუბარი, რადგან ვფიქრობთ, რომ მისი დამოკიდებულება პალესტინის საკითხის მიმართ საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის ერთ-ერთი ასპექტ-მახასიათებელი იყო.

დისერტაციაზე საკვლევი საკითხების შესწავლის დროს განსაკუთრებული დახმარება გაგვიწია შემდეგმა მონოგრაფიებმა თუ სტატიებმა: ქეთევან პავლიაშვილის ნაშრომებმა – „საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945)“, „საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია კავკასიაში“ და „ქრისტიანობის ისტორია“; სერგო ვარდოსანიძის გამოკვლევებმა – „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-52 წლებში“, „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე (1932-1952 წწ.)“, „თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია“, „პატრიარქი კალისტრატე“, „პატრიარქი მელქისედეკ III“, „საქართველოს ეკლესია XX საუკუნის 50-70-იან წლებში“ და „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე (1917-2017 წწ.)“; მედეა ბენდელიანის ნაშრომებმა – „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში“, „რუსეთის ეკლესიის სინოდის 1927 წლის 25 თებერვლის აქტი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის შესახებ და მისი ისტორიული მნიშვნელობა“, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიისთვის ტერიტორიული ავტოკეფალიის მინიჭების საკითხი საბჭოთა სისტემაში (1943 წელი)“ და „ეკლესიებისა და სამლოცველოების ამოქმედების საკითხი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საქართველოში“; გივი როგავას წიგნებმა – „როგორ ებრძოდნენ რელიგიას და ეკლესიას საქართვე-

[1] **ქეთევან პავლიაშვილი**. საბჭოთა იმპერიის საეკლესიო პოლიტიკა მახლობელ აღმოსავლეთი XX საუკუნის 20-60-იან წლებში („სტალინის პროექტი“ და ე.წ. „ფორთოხლის გარიგება“). // *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები,* №2 (6). თბილისი, 2009, გვ. 359-368.

ლოში (XX საუკუნის 20-30-იანი წლები)“ და „რელიგია და ეკლესია საქართველოში (XIX-XX ს.ს.)“; ნიკოლოზ ჭახრაკიას სადისერტაციო ნაშრომმა „პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების ისტორია საქართველოში (1947-1967 წწ.)“; ეკა სილაგაძის სადისერტაციო ნაშრომმა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია საქართველოში 1928-1947 წწ.“; ირინა არაბიძის სტატიებმა – „განახლების მოძრაობა" რუსეთის ეკლესიაში XX საუკუნის 20-იან წლებში (ბროშურის «Что такое обновленчество» მიხედვით)“ და „რუსეთის ეკლესიის ანტიეკუმენური მოღვაწეობის ისტორიიდან (მოსკოვის 1948 წლის თათბირი)“. მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია საბჭოთა პერიოდში გამოცემულმა ნაშრომებმაც. მიუხედავად იმისა, რომ მათ დიდი იდეოლოგიური ზეგავლენა თვალნათლივ ეტყობა, მათი გამოყენებით გარკვეული ინფორმაციის მიღება მაინც შესაძლებელია. ასეთ ნაშრომებს შორის გამოვყოფდით: სტეფანე სახაროვის „მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიისა და ათეიზმის ფორმების შესახებ“; ალექსანდრე ბახტაძის „კ. მარქსის და ფ. ენგელსის ურთიერთობა რუს პოლიტიკურ მოღვაწეებთან“; სახელმძღვანელოებს – „მეცნიერული ათეიზმის ძირითადი საკითხები“ და „ათეიზმის ისტორია და თეორია“.

განსხვავებული რეალობა გვაქვს ევროპულ ისტორიოგრაფიაში, სადაც ნიკიტა ხრუშჩოვის რელიგიური პოლიტიკის შესწავლის გარკვეული ტრადიცია არსებობს, სადაც ჩვენი კვლევის ობიექტის მეტად საინტერესო და ორიგინალური გააზრება მიმდინარეობს. მათი რიცხვი ასევე საკმაოდ დიდია. მათ შორის გამოვყოფთ იმ გამოკვლევებს, რომლებმაც განსაკუთრებული ღირებული გამოდგა ნაშრომზე მუშაობისას: დანიელ შუბინის “A History of Russian Christianity” (რუსული ქრისტიანობის ისტორია) მეოთხე ტომი; ქრისტიან ლეინის “Christian Religion in the Soviet Union: A Sociological Study” (ქრისტიანული რელიგია საბჭოთა კავშირში: სოციოლოგიური კვლევა); დენიელ პერისის “Storming the Heavens. The Soviet League of the Militant Godless”; იორგ ბაბეროვსკის სტატია “Nikita Khrushchev and De-Stalinization in the Soviet Union 1953–1964” (ნიკიტა ხრუშჩოვი და დესტალინიზაცია საბჭოთა კავშირში 1953-1964); ბოჰდან ბოსიურკივის სტატია “De-Stalinization and Religion in the U.S.S.R” (დესტალინიზაცია და რელიგია საბჭოთა კავშირში); ჯონან დილეინი გროსმანის სტატია “Khrushchev's Anti-Religious Policy and the Campaign of 1954” (ხრუშჩოვის ანტირელიგიური პოლიტიკა და 1954 წლის კამპანია); ვიქტორია სმოლკინის მონოგრაფია “A Sacred Space Is Never Empty. A History of Soviet Atheism” (საკრალური სივრცე არასო-

დეს არის ცარიელი. საბჭოთა ათეიზმის ისტორია); ჯონ ანდერსონის “Religion, State and Politics in the Soviet Union and Successor States, 1953-1993” (რელიგია, სახელმწიფო და პოლიტიკა საბჭოთა კავშირსა და მემკვიდრე სახელმწიფოებში 1953-1993); დიმიტრი პოსპიელოვსკის “A History of Marxist-Leninist Atheism and Soviet Antireligious Policies” (მარქსისტულ-ლენინისტური ათეიზმისა და საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკის ისტორია), პოლი ჯონსის სტატია “Introduction: the dilemmas of de-Stalinization” (დესტალინიზაციის დილემის შესავალი); სტივენ კინგის გამოკვლევა “Communism and Religion” (კომუნიზმი და რელიგია); ჯოშუა როზენბერგის სტატია “The Legal Aspect of Religious Education in the Soviet Union” (საბჭოთა კავშირში რელიგიური განათლების სამართლებრივი ასპექტები); ამერიკელი ქართველოლოგის სტივენ ჯონსის სტატიები: “Soviet Religious Policy and the Georgian Orthodox Apostolic Church: From Khrushchev to Gorbachev” (საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ხრუშჩოვიდან გორბაჩოვამდე) და “The Georgian Orthodox Church” (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია); ჯონ ფრენსისის სტატია “The Evolving Regulatory Structure of European Church-State Relationships” (ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების ევროპული მარეგულირებელი სტრუქტურის ჩამოყალიბება), სადაც ავტორს ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის თეორიაში შემოაქვს *ანტი-ეკლესიის* მოდელი, რომელიც დამახასიათებელი იყო საბჭოთა სახელმწიფოსათვის და სხვ.

რუსულენოვანი წიგნებიდან განსაკუთრებული დახმარება გაგვიწია ცნობილი რუსი საეკლესიო მოღვაწის, ისტორიკოსისა და საეკლესიო სამართლის სპეციალისტის ვლადისლავ ციპინის ნაშრომმა «История русской церкви (1917-1997)».

თავი 1. ათეისტური პოლიტიკის თეორიულ-იდეოლოგიური წანამძღვრები

§1. ათეისტური იდეოლოგიის საფუძვლები და განვითარების ეტაპები დასავლეთ ევროპაში (ძირითადი ასპექტები)

საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის იდეოლოგიური წანამძღვრების, იდეური წინაპირობების განხილვას, რომელიც წინ უძღოდა მის წარმოშობა-განვითარებას.

ისტორიოგრაფიული ტრადიციის თანახმად, ათეიზმის დაბადების ადგილად ევროპული კულტურა მოიაზრება. ევროპულ მსოფლმხედველობაში ათეისტური აზროვნების განვითარებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. საკვლევ პრობლემაში ჩაღრმავებისა და ევროპული ათეიზმის საბჭოთა ათეიზმთან მიმართებაში გარკვევისათვის, უპრიანია ევროპული ათეიზმის თავისებურებების ზოგადი სააზროვნო მონახაზის წარმოჩენა. ამასთან, იმთავითვე შევნიშნავთ, რომ ათეისტური აზროვნება დასაწყისშივე ფილოსოფიურ მოძღვრებებში ჰპოვებს გამოხატულებას და, ბუნებრივია, მათი შესწავლაც აქედან მომდინარეობს. რასაკვირველია, თითოეული ფილოსოფიური მოძღვრება ცალკე მონოგრაფიულ შესწავლას საჭიროებს, რაც ჩვენს საკვლევ თემატიკას სცილდება. გამომდინარე აქედან, ამ შემთხვევაში მათზე ყურადღება გამახვილდება, როგორც კონკრეტული ეპოქის მსოფლმხედველობის ამსახავ საგანზე და მის შესაბამისობაზე საკვლევი პრობლემისადმი.

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ დასავლეთ ევროპაში შუა საუკუნეების (V-XV სს.) მანძილზე პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ, კულტურულ, სააზროვნო თუ შემეცნებით გარემოს არსებითად განსაზღვრავდა და განაპირობებდა საეკლესიო დოგმატები და მისდამი დამოკიდებულება (სქოლასტიკა),* რადგან იმ დროის ქრისტიანული მსოფლმხედველობა თითქმის სრულად მოიცავდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს.

---

* სქოლასტიკა – შუა საუკუნეების ფილოსოფია, რომლის წარმომადგენლები – სქოლასტები – ცდილობდნენ ქრისტიანული რწმენისათვის რაციონალური დასაბუთება მიეცათ და მოეხდინათ მისი სისტემატიზაცია (იხ.: ფილოსოფიური ლექსიკონი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1987, გვ. 561; **Simon Blackburn**. The Oxford Dictionary of Philosophy. New York: Oxford University Press, 2008, გვ. 330).

XIV-XVI საუკუნეების მანძილზე მსოფლიო ისტორია სრულიად ახალი ტიპის მოვლენამ – „რენესანსმა“ მოიცვა, რომელმაც შუა საუკუნეების საზოგადოება შემოაბრუნა ანტიკური მემკვიდრეობისაკენ. ეს უკანასკნელი მთელი შუა საუკუნეების მანძილზე დასავლეთ ევროპული სააზროვნო სისტემის მიერ პრაქტიკულად სრულად იყო უგულებელყოფილი.

ევროპაში ანტირელიგიური აზროვნების დასაწყისი უკავშირდება რენესანსის ეპოქას. მართალია, აღორძინების მოღვაწეთა ნააზრევში ღიად არ შეინიშნება ანტირელიგიური მსჯელობანი, თუმცა, აშკარად იკვეთება ანტისაეკლესიო ორიენტირები, რაციონალისტური აზროვნებისაკენ მიდრეკილებები, რომლებიც აქტიურად უპირისპირდებოდნენ შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელ პროვიდენციალისტურ ხედვებს და ახდენდნენ სააზროვნო სისტემის სრულ დესაკრალიზაციას. ამრიგად, შუა საუკუნეების სქოლასტიკური აზროვნების ნგრევის საწყისად დასაშვებია მოვიაზროთ აღორძინების ეპოქის მსოფლმხედველობა, რამაც მოგვიანებით ნიადაგი მოუმზადა ათეისტური აზროვნების ფორმირებას განმანათლებლების ეპოქის დასავლეთ ევროპაში.

ნიშანდობლივია, რომ რენესანსული მსოფლმხედველობა შუა საუკუნეების ქრისტიანული აზროვნებისაგან განსხვავებით მკვეთრად გამოხატული თავისებურებით ხასიათდება. ჰუმანისტები არ აღიარებენ ქრისტიანულ სწავლებას ადამიანის დაცემული ბუნების შესახებ. მათში ძლიერია ადამიანის თანდაყოლილი სიკეთის, ღირსებისა და მისი ყოვლისმომცველი ინტელექტუალური შესაძლებლობების რწმენა. ანტიკური ეპოქის მოაზროვნეების მსგავსად, ჰუმანისტებს სწამთ, რომ ცოდვის ერთადერთი მიზეზი გაუნათლებლობაა და, რომ ცრურწმენებისგან გათავისუფლებული გონების წინამძღოლობით ადამიანს ყველა მიზნის მიღწევა შეუძლია. ისინი ადამიანის ღირსებას მის სიწმინდეში, ეთიკურ იდეალთან მიახლოებაში კი არ ხედავენ, არამედ მის განსაკუთრებულობასა და განუმეორებლობაში. ეს აღორძინების ეპოქის ინდივიდუალიზმის ერთ-ერთი საფუძველი გახდა.[1]

აღორძინებისათვის დამახასიათებელია კლასიკური ლიტერატურისა და ხელოვნების განსაკუთრებული თაყვანისცემა და ყოვლისმომცველი მსოფლმხედვე-

[1] **თეიმურაზ ბუაძე**. რენესანსი და ქრისტიანობა. // *„გული გონიერი“*, №9, 2014, გვ. 9. ამ საკითხზე ვრცლად იხილეთ: **David S. Peterson**. Out of the Margins: Religion and the Church in Renaissance Italy. // *Renaissance Quarterly*, Vol. 53, No. 3 (Autumn, 2000), გვ. 835-879.

ლობრივი სეკულარიზაციის პროცესი. ამ დროს, შუა საუკუნეების შემდეგ პირველად ინტელექტუალურ ცხოვრებას სასულიერო პირთა მაგივრად წარმართავენ საერონი.[1]

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შინაგანი ფაქტორი, რომელმაც რენესანსის წარმოშობასა და მის შემდგომ განვითარებას შეუწყო ხელი XIV-XVI საუკუნეებში ზოგადად ეკლესიის ავტორიტეტის მკვეთრი დაცემაა დასავლეთში, განსაკუთრებით კი იტალიაში. სწორედ ამ მოვლენამ მისცა დასაბამი სეკულარულ ტენდენციას, რომელიც რენესანსული ჰუმანიზმის არსებით ასპექტს წარმოადგენს. იმ ეპოქაში ეკლესიის ავტორიტეტის დაქვეითება არაერთმა ფაქტორმა განაპირობა. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო კათოლიკური ეკლესიისა და მისი უმაღლესი იერარქების წრეგადასული ფუფუნება და უზნეო ცხოვრების წესი.

საკვლევი პრობლემის ხასიათიდან გამომდინარე და იმდენად, რამდენადაც აღნიშნულ ეპოქაში მოიძიება ათეისტური მსოფლგაგების წანამძღვრები, მიზანშეწონილად მივიჩნევთ განვიხილოთ, თუ რა შეფასებას აძლევდა საბჭოთა სააზროვნო გარემო აღნიშნულ ეპოქას; ზოგადად, აღიარებული ფაქტია საბჭოთა სისტემის ტოტალიტარულობა, ყოვლისმომცველობა, რაც უმეტესად იდეოლოგიურ გარემოზე აისახებოდა, რომლის მიხედვითაც არსებობდა ერთადერთი საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტება მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის სახით, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი უნდა ყოფილიყო მასზე დაქვემდებარებული. აღნიშნული ეხებოდა ნებისმიერ სააზროვნო გარემოს.

რენესანსისა და რელიგიის ურთიერთმიმართების საკითხს საბჭოთა სააზროვნო სისტემა მოიაზრებდა ერთგვარი დუალისტური მიდგომებით. ფილოსოფიის ისტორიის მკვლევარი, პროფესორი კონსტანტინე ბაქრაძე წერდა: „აღორძინების ხანის ფილოსოფია მიმართულია ფეოდალური მსოფლმხედველობის, გაბატონებული ეკლესიის დოგმების წინააღმდეგ, რომელიც იყო გაბატონებული შუა საუკუნეების ფილოსოფიისა და რელიგიის მიერ“.[2] მეორეს მხრივ კი, იგივე ავტორი მიუთითებდა, რომ აღნიშნული ნააზრევი არათანმიმდევრულობით გამოირჩევა.[3] ანალოგიური აზრია გატარებული ათეიზმის ისტორიის და თეორიის სახელმძღვანელოშიც: „არათანმიმდევრულობის მიუხედავად, აღორძინების ხანის ათეიზმი ახალი ფორმა იყო ათეიზმის

[1] **თეიმურაზ ბუაძე.** რენესანსი და ქრისტიანობა, გვ. 10.
[2] **კონსტანტინე ბაქრაძე**. ახალი ფილოსოფიის ისტორია. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1969, გვ. 13.
[3] **კონსტანტინე ბაქრაძე**. ახალი ფილოსოფიის ისტორია, გვ. 14-15.

განვითარებაში, რომელიც მოასწავებდა რელიგიაზე გადამწყვეტი შეტევის დაწყებას“.[1]

ამრიგად, საბჭოთა სააზროვნო სისტემამ ჯეროვნად დააფასა აღორძინების ეპოქის მოღვაწეთა ათეისტური შეხედულებები და იგი მისი მსოფლმხედველობის ერთგვარ წინამორბედადაც გამოაცხადა.

ათეისტური იდეოლოგიის განვითარებაზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთ ევროპაში აღმოცენებულ ე.წ. განმანათლებლობის სახელით ცნობილ მოვლენას, რომელიც უკავშირდება შესაბამისი ეპოქის ფრანგი მატერიალისტების, ენციკლოპედისტების მოღვაწეობას. მით უფრო, რომ ეს მოვლენა თავისი მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით უშუალოდ რენესანსული სააზროვნო გარემოს გაგრძელებას წარმოადგენს, რაც განსაკუთრებით იკვეთება მისი რელიგიისადმი დამოკიდებულებაში.

XVIII საუკუნის ფრანგულ რაციონალიზმსა და განმანათლებლებზე საუბრისას ყურადსაღებია რამდენიმე გარემოება, კერძოდ, გასათვალისწინებელია ის ნიადაგი, რომელზეც აღნიშნული სააზროვნო სისტემა აღმოცენდა: ერთის მხრივ, ფრანგული განმანათლებლობის წინამორბედი მოვლენა ინგლისელი მოაზროვნეების სახით, (ჰობსი, ლოკი და სხვა.), ხოლო, მეორეს მხრივ, საფრანგეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, რამაც დიდი როლი შეასრულა მსგავსი სააზროვნო სისტემის ჩამოყალიბებაში. მას ცალსახად ათეისტურ აზროვნებასთან შეხება არ აქვს, ანუ ყალიბდება ახალი მსოფლმხედველობითი გარემო – დეისტური* აზროვნება. ის თავის თავში გულისხმობს ღმერთის პირველწყაროდ აღიარების ფაქტს, რომელიც ჰქმნის სამყაროს, ხოლო მის შემდგომ განვითარებაში აღარ მონაწილეობს.

ძირითადი სიახლე, რომელიც XVIII საუკუნის ფრანგული განმანათლებლობის მახასიათებელია, განსხვავებით რენესანსული აზროვნებისაგან, არის მკვეთრად ანტისაეკლესიო და ანტიქრისტიანული პათოსი; თანამედროვე მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება; აზროვნების გათავისუფლება ცრურწმენებისა და „სულიერი სიბნელისაგან“. ამ მიზნის მისაღწევად ისინი აქტიურად უპირისპირდებიან ქრისტიანულ რელიგიას.

---

[1] ათეიზმის ისტორია და თეორია (დამხმარე სახელმძღვანელო), თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1980, გვ. 255.

* დეიზმი – მოძღვრება, რომელიც აღიარებს, რომ ღმერთი არსებობს მხოლოდ როგორც უპიროვნო პირველმიზეზი სამყაროსი, რომელიც შემდგომში ვითარდება საკუთარი კანონებით (იხ.: ფილოსოფიური ლექსიკონი, გვ. 561; **Simon Blackburn**. The Oxford Dictionary of Philosophy, გვ. 92).

ფრანგი განმანათლებლების ნააზრევის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ვოლტერისა და ჟან-ჟაკ რუსოს შეხედულებებს.

ვოლტერის რელიგიაზე ნააზრევის თანახმად, სახელმწიფოში ერთადერთი რელიგიის კლერიკალიზმის, რელიგიური ცენზურის არსებობა საშიშროებას შეიცავს ხელისუფლების მხრიდან ეკლესიის კერძო პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის. ვოლტერი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ორი რელიგიური აღმსარებლობის არსებობა, რელიგიური და სამოქალაქო ომების რისკს წარმოშობს; ბევრი რელიგიური დენომინაციის თანაარსებობის შემთხვევაში კი უმრავლესობას, ტოლერანტული რელიგიური პოლიტიკა აწყობს, რაც ქვეყნის მშვიდი ეკონომიკური და სოციალური განვითარების წინაპირობას წარმოადგენს.

ჟან-ჟაკ რუსოს (1712-1778) რელიგიის ირგვლივ მოსაზრებები განსაკუთრებით საინტერესოდ არის გადმოცემული მის ცნობილ ნაშრომში – „საზოგადოებრივი ხელშეკრულება". რუსოს რელიგიაზე შეხედულებები იმდენად მიგვაჩნია საინტერესოდ, რამდენადაც მათში ერთმანეთისგან გამიჯნულია ქრისტიანული კანონიკა სახელმწიფო კანონმდებლობისაგან – „მტკიცე სახელმწიფოებრივი წყობისათვის ქრისტიანული კანონი არსებითად უფრო საზიანოა და არა სასარგებლო".[1] იმავე თხზულებაში ვხდებით ქრისტიანების მარგინალიზაციის პირველ მცდელობებს –„ვინც გაბედავს, თქვას – ეკლესიის იქით ხსნა არ არსებობს – სახელმწიფოდან გაძევებული უნდა იქნეს".[2] ზემოთ მოტანილი ამონარიდები ნათლად ადასტურებს ავტორის დამოკიდებულებას რელიგიის ფუნქციისადმი, კერძოდ, ერთმანეთისგან მკვეთრად მიჯნავს საერო და სასულიერო სფეროებს. ამგვარ სეკულარისტულ* მიდგომებს, სწორედ ამ პერიოდში ეძებნება საწყისი.

---

[1] **ჟან-ჟაკ რუსო**. საზოგადოებრივი ხელშეკრულება. ფრანგულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ***დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ***. თბილისი: CIPDD, 1997, გვ. 129.

[2] **ჟან-ჟაკ რუსო**. საზოგადოებრივი ხელშეკრულება, გვ. 135.

* ტერმინი „სეკულარიზმი" ტრადიცულად ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან გაყოფა-გამიჯვნის გარდა საერო სივრცის ყოველგვარი რელიგიურობისაგან გათავისუფლებასაც ნიშნავს და ჩვენ ამ შემთხვევაში მას სწორედ ამ მნიშვნელობითაც ვიყენებთ. ვრცლად სეკულარიზმის გაგების მრავალფეროვნების შესახებ იხილეთ: **მამუკა ბერიაშვილი.** სეკულარიზაციის არსის გაგებისათვის. – *სეკულარიზაცია: კონცეფტი და კონტექსტები.* რედ. **ს. რატიანი. გ. ზედანია.** თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ. 17-63; **მერაბ ღაღანიძე**. სეკულარიზაციის ფარული საფრთხენი. – *სეკულარიზაცია: კონცეფტი და კონტექსტები*, გვ. 203-237; Varieties of Secularism in a Secular Age. Edited by ***Michael Warner, Jonathan Van Antwerpen, Craig J. Calhoun.*** Cambridge, Massachusetts, and London: Harvard University Press, 2010; **JackDavid Eller**. Varieties of Secular Experience. – *The Oxford Handbook of Secularism*. Edited by **Phil Zuckerman and John R. Shook**. New York: Oxford University Press, 2017, გვ. 499-514.

რელიგიის წინააღმდეგ აქტიურად გაილაშქრა კიდევ ერთმა ფრანგმა განმანათლებელმა, ენციკლოპედისტმა დენი დიდრომ (1713-1784). მისი ანტირელიგიური მოღვაწეობა პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს: პირველ რიგში, ეს არის მის მიერ (ჟან-ბატისტ დ'ალამბერთან ერთად) შედგენილი ენციკლოპედია, სადაც დიდი ადგილი უჭირავს ანტირელიგიური შინაარსის სტატიებს. საეკლესიო თემატიკა გადმოცემულია ირონიით, რაც იმ დროს რელიგიის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლის ერთ-ერთ სახასიათო ფორმას წარმოადგენდა. დიდროსთვის არადამაკმაყოფილებელია დეისტური შეხედულებები. ის უფრო ათეისტური შეხედულებების გამავრცელებელ-პროპაგანდისტად გვევლინება. მაგალითად, თავის ნაშრომში – „ეთიკა, ფილოსოფია, სოციოლოგია" – დიდრო წერდა: „ღმერთი მარტო ცრუმორწმუნის წარმოდგენაშია, ნამდვილი ათეისტია ის, ვინც პირდაპირ ამბობს, რომ ღმერთი არ არსებობს. არიან ისეთი ათეისტებიც, რომლებიც მიკიბულ-მოკიბულად, ორჭოფულად მსჯელობენ ამ თემაზე. ესენი ათეიზმის ფანფარონები და მატყუარები არიან".[1] მისი რადიკალური ანტირელიგიური შეხედულებები სრულ ჰარმონიაშია განმანათლებლობის იდეოლოგიასთან და რელიგიის თემატიკასთან სრული შეურიგებლობით ხასიათდება.

ფრანგული განმანათლებლობის შეფასებისას, საბჭოური სააზროვნო სისტემისათვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა ვლადიმერ ლენინის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, „XVIII საუკუნის ძველი ათეისტების მარჯვე, ცოცხალი, ნიჭიერად დაწერილი და გაბატონებულ ხუცობაზე გონებამახვილად და აშკარად თავდამსხმელი პუბლიცისტიკა ძალიან ხშირად ათასჯერ უფრო მეტად გამოსადეგია იმისთვის, რომ ადამიანები რელიგიური ბანგისგან გამოვაღვიძოთ, ვიდრე მოსაწყენი, მშრალი ფაქტები, რაც ჩვენს ლიტერატურაში სჭარბობს და რითაც ხშირად ამახინჯებენ მარქსიზმს".[2] თუმცა, ლენინი ასევე არ ივიწყებდა იმასაც, რომ, „რა თქმა უნდა, XVIII საუკუნის ათეისტურ ნაწარმოებებში ბევრი რამ მოიპოვება არამეცნიერულიც და გულუბრყვილოც, მაგრამ ამ თხზულებების გამომცემლებს არავინ უშლის ხელს შეამოკლონ ისინი, დაურთონ ბოლოსიტყვაობანი და მიუთითონ, თუ რა პროგრესს მიაღწია კაცობრიობამ რელიგიური მეცნიერული კრიტიკის დარგში XVIII საუკუნის დამლევიდან".[3] მოცე-

---

[1] **დენი დიდრო**. ესთეტიკა. ფილოსოფია. სოციოლოგია. ***ი. თავაძის*** რედაქციით და წინასიტყვაობით. თბილისი: „ფედერაცია", 1939, გვ. 187.

[2] **ვლადიმერ ლენინი.** მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ. – *თხზულებანი*, მეოთხე გამოცემა, ტომი 33. თბილისი: „სახელგამი", 1953, გვ. 266.

[3] **ვლადიმერ ლენინი.** მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ, გვ. 265-266.

მული თეზისი საბჭოთა სააზროვნო სისტემაში მყარად დამკვიდრდა.

საბჭოთა სააზროვნო სისტემის თანახმად, XVIII საუკუნის ფრანგმა განმანათლებლებმა და მატერიალისტებმა რელიგიასთან დაკავშირებით ბევრი რამ სწორად გაიაზრეს, თავიანთი დროისთვის მნიშვნელოვან დასკვნებამდეც მივიდნენ, რითიც კაცობრიობის აზროვნებას დიდი სამსახური გაუწიეს, მაგრამ რელიგიის სოციალურ აღიარებამდე მაინც ვერ მივიდნენ. სწორედ განმანათლებელთა ნააზრევს დაეფუძნა შემდგომში ე.წ. მარქსისტული ხედვა, რომელიც გერმანელმა და ინგლისელმა ფილოსოფოსებმა კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა ჩამოაყალიბეს. მანამდე კი, ფრანგული განმანათლებლობის სკოლის ლოგიკური გამგრძელებელია XIX საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსი ლუდვიგ ფოიერბახი (1804-1872), რომელმაც ათეისტური აზროვნება კიდევ უფრო განავითარა. მთავარი სიახლე, რომელიც მის მოძღვრებაში იკვეთება, არის ის, რომ ფოიერბახმა გამოიკვლია გრძნობების, ემოციების როლი რელიგიური წარმოდგენებისა და კულტის წარმოშობაში. რელიგიის ისტორიის ანალიზისას, იგი მას ყოფდა ბუნებრივ და სასულიერო ისტორიებად: პირველი მათგანი დამახასიათებელია კაცობრიობის თავდაპირველი პერიოდისათვის და წარმოადგენს ბუნებრივ მოვლენათა კულტს; სასულიერო კი აღმერთებს ადამიანის სულიერ თვისებებს. ყველა რელიგიისათვის საერთოს ფოიერბახისათვის წარმოადგენს დამოკიდებულების გრძნობა: ბუნებრივ რელიგიებში აისახება ადამიანის დამოკიდებულება ბუნებაზე, სასულიეროში – სოციალურ ძალებზე.[1] გარდა ამისა, ფოიერბახის მოძღვრებისთვის დამახასიათებელია აზროვნების მკვეთრი ანთროპოლოგიზაცია, კერძოდ, ადამიანის ბუნებასთან ერთად მისი გამოცხადება ფილოსოფიის საფუძვლად.[2]

საბჭოთა წყობილების რელიგიისადმი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, მისი იდეოლოგიისა და მეცნიერებისათვის მისაღები იყო ლუდვიგ ფოიერბახის რელიგიური შეხედულებები; მით უფრო, რომ მისმა ნააზრევმა დიდი გავლენა მოახდინა სოციალისტური სისტემის ფუძემდებელ მამებზე – მარქსის, ენგელსისა და ლენინის შემოქმედებაზე, თუმცა, ისინი სოციალური საკითხის ნაკლებ წინ წამოწევას ყოველთვის აღნიშნავდნენ. გარდა ამისა, კომუნისტური იდეოლოგიისათვის მიუღებელი

---

[1] ათეიზმის ისტორია და თეორია (დამხმარე სახელმძღვანელო), გვ. 272; **Van A. Harvey**. Feuerbach and the Interpretation of Religion, New York: Cambridge University Press, 2001, გვ. 101-103; **В. В. Антропов**. Этика и религия в философии Людвига Фейербаха. //*Вестник Московского университета*. Серия 7. Философия, № 1, 2004, გვ. 98-117.

[2] **დალი დანელია**. ლუდვიგ ფოიერბახის ათეიზმი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1967, გვ. 127; **Van A. Harvey**. Feuerbach and the Interpretation of Religion, გვ. 133-134.

აღმოჩნდა ფოიერბახის კრიტიკა თავისი წინამორბედების შეხედულებებზე. „მე არ მინდა დავიცვა, – წერს იგი, – შეზღუდული, ზერელე ათეიზმი წარსული დროისა, კერძოდ, ფრანგული ათეიზმი. ისევე როგორც ჭეშმარიტი რესპუბლიკა შორსაა ფრანგების რესპუბლიკისგან, ასევე შორსაა ჭეშმარიტი ათეიზმიც ფრანგების ათეიზმისგან“.[1] საბჭოთა მეცნიერებამ უარყო ზემოაღნიშნული მოსაზრება. გასაგებია, რომ ფოიერბახი უარყოფდა XVIII საუკუნის ფრანგული ათეიზმის რაიმე, თუნდაც მცირეოდენ გავლენას მის ათეისტურ შეხედულებებზე, მაგრამ იგი აქაც ცდებოდა; ფაქტია, რომ ფრანგი მატერიალისტების ათეიზმმა უდიდესი გავლენა მოახდინა იმდროინდელი და შემდგომი ეპოქების ანტირელიგიურ აზროვნებაზე.[2]

ამრიგად, ზემოხსენებული ანალიზი ცხადყოფს, რომ საბჭოთა სააზროვნო სისტემა, სხვა მოძღვრებებთან შედარებით, უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ფრანგულ განმანათლებლებთან და მატერიალისტებთან.

როგორც აღინიშნა, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპის სააზროვნო-სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან გერმანელი ფილოსოფოსები: კარლ მარქსი (1818-1883) და ფრიდრიხ ენგელსი (1820-1895). მათ გადამწყვეტი როლი შეასრულეს ათეისტური აზროვნების განზოგადება-განვითარებასა და ახლებურად ფორმირებაში, რაც დღემდე აქტიური მეცნიერული კვლევის ობიექტად რჩება. განსაკუთრებით პოპულარულია მემარცხენე პოლიტიკურ იდეოლოგიაში ე.წ. ნეომარქსისტული თეორიები, რომლებიც ცდილობენ საზოგადოებას დაანახონ, რომ ჭეშმარიტი, ავთენტური მარქსიზმი სინამდვილეში შორს დგას მის საბჭოთა ინტერპრეტაციასთან. აღნიშნული მოსაზრება შესაძლოა გარკვეული დოზით შეიცავდეს სიმართლის მარცვლებს, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ საკითხი ჩვენი საკვლევი პრობლემის ჩარჩოს სცილდება, მასზე მსჯელობისაგან თავს შევიკავებთ.

გასული საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს სამეცნიერო წრეებში მუდმივად აქტუალურია მარქსისა და ენგელსის რელიგიისადმი დამოკიდებულების შესწავლა,[3] რაც, ბუნებრივია, სოვეტოლოგიაში საბჭოთა ათეის-

---

[1] **Людвиг Фейербах.** Сущности христианства. *Сочинения в 2-х томах*. Том II. Москва: Наука, 1995, გვ. 234.

[2] **დალი დანელია**. ლუდვიგ ფოიერბახის ათეიზმი, გვ. 126; **Александр Ардабьев**. Атеизм Людвига Фейербаха. Москва: Издательство Академии наук СССР, 1963, გვ. 14-15.

[3] **Delos B. Mckown**. The Classical Marxist Critiques of Religion. Marx, Engels, Lenin, Kautsky. The Hague: Martinus Nijhoff, 1975; Karl Marx et Friedrich Engels, sur la religion. Textes choisis, traduits et annotés par ***G. Badia***, ***P. Bange*** et ***Émile Bottigelli***. Paris: Les Éditions sociales, 1968; **Michele Bertrand**. Le statut de la religion chez Marx et Engels, Paris: Editions Sociales, 1979; Marx on Religion. Edited by ***John Raines***. Philadelphia:

ტური პოლიტიკის შესწავლისადმი დიდი ინტერესით შეიძლება აიხსნას. აღნიშნული თემატიკა დღემდე ინარჩუნებს პოპულარობას, რის გამოვლინებასაც ის ნაშრომები წარმოადგენს, რომლებიც დღემდე იწერება და ნათლად ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ საბჭოთა კავშირის და კონკრეტულად მისი რელიგიური პოლიტიკის კომპლექსური შესწავლა საბჭოთა სახელმწიფოს კოლაფსის შემდეგაც დიდხანს შეინარჩუნებს აქტუალობას.

მსოფლმხედველობრივი სიახლე მარქსისა და ენგელსის მსჯელობაში იყო პირველი მცდელობა რელიგიური მოძღვრებაში სოციალური ფესვების წინ წამოწევა. ცნობილია, რომ ნებისმიერი მოქმედი რელიგია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების დონეს და მას იღებს საკუთარი სულიერი და ინტელექტუალური შესაძლებლობების შესაბამისად. „ახალი მოძღვრება“ (ათეიზმი) კი შეეცადა, ეჩვენებინა რელიგიური გრძნობების მხოლოდ სოციალური საფუძველი. ამ უკანასკნელის წინ წამოწევა რელიგიას საკრალურ მომენტს უკარგავს და მას მხოლოდ ადამიანის გონებრივი განვითარების ნაყოფად აცხადებს. მარქსისეული ცნობილი თეზა – „ადამიანი ქმნის რელიგიას, რელიგია არ ჰქმნის ადამიანს, ის ოპიუმია ხალხისა“,[1] საბჭოთა ხელისუფლებისათვის ეს ფრაზა განმსაზღვრელი და ამოსავალი წერტილი იყო.[2]

ზემოაღნიშნულის პარალელურად, მარქსმა წამოაყენა იდეა რელიგიური გრძნო-

---

Temple University Press, 2002; **Michael Löwy**. Marx et Friedrich Engels comme sociologues de la religion. //*Archives de sciences sociales des religions*, Année 1995, Volume 89, Numéro 1, გვ. 41-52; **Marcel van der Linden**. Western Marxism and the Soviet Union. A Survey of Critical Theories and Debates since 1917. Leiden, Boston, Brill, 2007; **Shashi Joshi**. Religion and Marxism: Some Theoretical Problems. // *Economic and Political Weekly*, Vol. 26, No. 45 (Nov. 9, 1991), გვ. 2563-2568; **Roland Boer**. Criticism of Heaven: On Marxism and Theology. Leiden and Boston: BRILL, 2007; **Roland Boer**. Criticism of Heaven: On Marxism and Theology, II. Leiden and Boston: BRILL, 2009; **Roland Boer**. Criticism of Heaven: On Marxism and Theology, III. Leiden and Boston: BRILL, 2011; **Roland Boer**. Criticism of Earth: On Marx, Engels and Theology, Leiden and Boston: BRILL, 2012. აღნიშნული ჩამონათვალი, ბუნებრივია, არასრულია, ჩვენ ჩამოვთვალეთ რამდენიმე ყველაზე ავტორიტეტული გამოცემა.

[1] **კარლ მარქსი.** ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის: შესავალი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1971, გვ. 3-4.

[2] ვფიქრობთ, აღნიშნულს ისიც ადასტურებს, რომ ისეთი ავტორიტეტული გამოცემა, როგორც არის The Cambridge History of Communism (*კემბრიჯის კომუნიზმის ისტორია*), შესაბამის თავს, რომლის სათაურიც არის *კომუნიზმი და რელიგია* სწორედ მარქსის აღნიშნული ფრაზის ციტირებით იწყებს. იხ. **Stephen A. Smith.** Communism and Religion. – *The Cambridge History of Communism*. Volume 3: Endgames? Late Communism in Global Perspective, 1968 to the Present. Edited by ***Juliane Fürst, Silvio Pons, Mark Selden***. Cambridge University Press, 2017, გვ. 307. აქვე უნდა ითქვას, ისიც, რომ ამ ფრაზის მნიშვნელობაზე საუბრობენ, ერთის მხრივ, სიმონ ტიები (Simon Tiébey), სტრასბურგის II უნივერსიტეტის მკვლევარი (იხ. **Simon Tiébey**. La religion, l'athéisme et l'Etat dans l'idéologie soviétique. *Revue des Sciences Religieuses*, tome 62, fascicule 2-3, 1988, გვ. 159-160), მეორეს მხრივ კი, როლანდ ბური (Roland Boer), რომელიც აღნიშნავს, რომ მის ალუზიას ხშირად მიმართავდა ვლადიმერ ლენინი (იხ. **Roland Boer**. Lenin, Religion, and Theology. Palgrave Macmillan US, 2011, გვ. 14).

ბების დაძლევის შესახებაც, რაც განმანათლებლებს მხოლოდ განათლების გზით მიაჩნდათ შესაძლებლად; მისი აზრით, ეს შესაძლო იყო მომხდარიყო გარეგანი იძულების გზით, საზოგადოების ან სახელმწიფოს ჩარევით.

მარქსიზმის იდეოლოგიაში რელიგიისადმი დამოკიდებულების კუთხით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება შეინიშნება, კერძოდ, ცნობილია მარქსიზმის კლასიკოსთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ისტორიის მამოძრავებელი ძალა არის კლასობრივი ბრძოლა; შესაბამისად, კომუნისტური სახელმწიფოს იდეის განხორციელება, როდესაც სახელმწიფო, როგორც ინსტიტუცია აღარ იარსებებს და უნდა დამყარდეს უკლასო თვითკმარი საზოგადოება, რომელშიც რელიგიის ადგილი აღარ იქნება. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მარქსთან პირველად გვხვდება ათეისტური პრიმატის ადამიანის ყოფიერებამდე განვითარება, რაც ყველაზე მკაფიოდაა გამოხატული ფრაზაში – „ათეიზმი არის ღმერთის უარყოფა და ამ უარყოფით ადამიანის ნამდვილი ყოფიერების დადგენა“ ასახული.[1] ამ მხრივ, მცირედი კორექტივი შეიტანა ენგელსმა, რომელმაც რელიგია ცალსახად სოციალურ მოვლენად წარმოადგინა, რომელსაც არანაირი საკრალური დატვირთვა არ გააჩნდა, თუმცა, შეეცადა რელიგიის დაკავშირებას ადრეულ რწმენა-წარმოდგენებთან, რომლებსაც პრიმიტიული სახე ჰქონდა, მაგრამ ადამიანთა ჯგუფის სულიერ მოთხოვნილებებს სრულად აკმაყოფილებდა ეს, მას შემდეგ, რაც გაიზარდა საზოგადოების ინფორმაციული ველი და საზოგადოებრივი ურთიერთობები და რელიგიამ ახალი ფორმები შეიძინა.[2]

მარქსისა და ენგელსის დამოკიდებულება რელიგიის ფენომენისადმი არსებითად იდენტურია. ორივესათვის ამოსავალი წერტილი რელიგიის სოციალურობაა და საკუთარ მოძღვრებასთან დაკავშირებას შეუძლებლად მიიჩნევენ როგორც საზოგადოებრივ, ასევე სახელმწიფოებრივ დონეზე და აუცილებლად თვლიან მიზანმიმართულ მუშაობას მისი დაძლევისათვის. ვფიქრობთ, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად სწორედ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ამ იდეებს დაეფუძნა საბჭოთა სახელწიფო და მისი იდეოლოგია.

ამრიგად, დასავლეთ ევროპაში ჰუმანისტურ-რენესანსული იდეოლოგით გაჯერებულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ დაიწყო ჯერ ქრისტიანული მოძღვრების გადახედვა და საფუძველი ჩაუყარა ათეისტურ მსოფლმხედველობას, ხოლო ამ უკან-

[1] **კარლ მარქსი.** ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის: შესავალი, გვ. 5.
[2] **ფრიდრიხ ენგელსი.** ბუნების დიალექტიკა. თბილისი: „სახელგამი“, 1950, გვ. 207.

ასკნელმა სრულყოფილი სახე XVIII-XIX საუკუნეებში მიიღო, როდესაც ჯერ განმანათლებლების, ხოლო შემდეგ კი – მარქსისა და ენგელსის ნააზრევის სახით ჩამოყალიბებულ მებრძოლ ათეისტურ მოძღვრებად იქცა. სწორედ ეს აღნიშნული იდეოლოგია დაედო საფუძვლად საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობას, სადაც აღნიშნული იდეების პრაქტიკულმა განხორციელებამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია.

§2. ათეიზმი მონარქისტულ რუსეთში

საისტორიო მეცნიერებაში დიდი ხნის დადგენილია, რომ ათეისტური იდეების გავრცელება რუსულ რეალობაში დასავლეთ ევროპის სააზროვნო გარემოს დამსახურებაა, თუმცა, ის ფაქტი, რომ ამ ყველაფერს რუსეთის სახელმწიფოს სინამდვილეში ნოყიერი ნიადაგი დახვდა, სრულიად აშკარაა და აღნიშნულის მიზეზი რუსეთის სახელმწიფოებრივ თუ სარწმუნოებრივ განვითარებაშია საძიებელი, რადგან მსგავსი გარემოებების გარეშე ათეისტური იდეოლოგიის დანერგვა ამ ქვეყანაში ან ძალიან გაძნელდებოდა, ან შეუძლებელი იქნებოდა.

რთულია დაზუსტებით ითქვას, თუ როდის მოხდა პირველად ათეისტური იდეების გავრცელება რუსეთის იმპერიაში. აღნიშნული საკითხი კვლევის ცალკე, დამოუკიდებელ ობიექტს წარმოადგენს და სცილდება ნაშრომში დასახული მიზნის ჩარჩოს, რადგან საკვლევი თემის ამ ნაწილში კვლევის მიზანია გამოიკვეთოს ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებსაც შემდგომში რუსეთში მარქსიზმის გავრცელება მოჰყვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში სავსებით სამართლიანად არის შენიშნული, რომ ათეისტური იდეოლოგიის ყველაზე მწყობრი სახით გავრცელება მონარქისტული რუსეთის ეპოქას უკავშირდება და ის რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების იდეების გავრცელებასთან მოიაზრება.

რუსეთის ისტორიაში, რევოლუციონერ-დემოკრატების სახელით ცნობილია საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფი, რომელიც ასპარეზზე XIX საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულს გამოვიდა. საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ რუსი მოაზროვნეების იდეებს იმ დროის რუსეთის საზოგადოება განსაკუთრებული ენთუზიაზმით შეხვდა, რაც ძირითადად იმ მიზეზით აიხსნება, რომ საზოგადოების უმძიმესი სოციალურ-პოლიტიკური გარემოების გამო, მათი იდეები მოსახლეობისათვის სრულიად მი-

საღები აღმოჩნდა. გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთში არსებული სოციალური ფონი უაღრესად მძიმე იყო, რასაც ერთის მხრივ, ბატონყმობის მახინჯი და დრომოჭმული სისტემა განაპირობებდა, მეორეს მხრივ კი, ხელისუფლების მიერ გატარებული, ეპოქის გამოწვევებთან სრულიად შეუსაბამო პოლიტიკა.

რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისადმი საინტერესო დამოკიდებულება ჰქონდა ე.წ. საბჭოთა ათეიზმის ფუძემდებელს რუსეთში – ლენინს, ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მცირე ამონარიდს მისი წერილიდან „გერცენის ხსოვნას“, სადაც იგი წერდა: „პროლეტარიატი მისი (გერცენი – მ. ქ.) მაგალითის მიხედვით სწავლობს რევოლუციური თეორიის დიად მნიშვნელობას; – სწავლობს იმის გაგებას, რომ რევოლუციისადმი უსაზღვრო ერთგულება და რევოლუციური ქადაგებით ხალხისადმი მიმართვა მაშინაც კი არ ჩაივლის ამაოდ, როცა მთელი ათეული წლები აშორებს თესვას მკისაგან; – სწავლობს რუსეთისა და საერთაშორისო რევოლუციაში სხვადასხვა კლასის განსაზღვრით“.[1] აქედან გამომდინარე ზემოაღნიშნული შეხედულება საბჭოთა სააზროვნო გარემოში მტკიცედ დამკვიდრდა და შესაბამისად, „რუსი რევოლუციონერი დემოკრატების მატერიალიზმი და ათეიზმი წარმოადგენს მარქსამდელი ეპოქის მატერიალიზმისა და ათეიზმის უმაღლეს ფორმად ჩამოყალიბდა“.[2]

მარქსიზმის გავრცელებამდე და ლენინიზმის წარმოშობამდე, რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში, ჩერნიშევსკის მატერიალისტური და რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენდა. „ფილოსოფიის ძირითად საკითხს ის მატერიალისტურად წყვეტს, ბუნება არსებობს და ვითარდება თავისი საკუთარი კანონების მიხედვით და არ საჭიროებს არავითარ ზებუნებრივ ძალას. ჩერნიშევსკიმ გვიჩვენა, რომ ფოიერბახის ფილოსოფიური მატერიალიზმი, მისი შემეცნების თეორია აღემატებოდა დასავლეთ ევროპის მთელ ოფიციალურ ბურჟუაზიულ ფილოსოფიას“,[3] – აღნიშნავს მკვლევარი გიორგი ხახაშვილი. საინტერესოდ მიგვაჩნია, ის ფაქტიც, რომ 1938 წელს ბელინსკის პიროვნებას შეეხო ცნობილი საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე, „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ თავმჯდომარე ემელიან იაროსლავსკი, რომელმაც ხაზი გაუსვა მისი თხზულებების

---

[1] **ვლადიმერ ლენინი.** გერცენის ხსოვნას. – *თხზულებანი.* მეოთხე გამოცემა. ტომი 18, თბილისი: „სახელგამი“, 1951, გვ. 18-19.

[2] მეცნიერული ათეიზმის ძირითადი საკითხები. თბილისი, 1964, გვ. 297.

[3] **გიორგი ხახაშვილი**. ნ. გ. ჩერნიშევსკის მატერიალიზმი და შემეცნების თეორია. // *„საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია“*, №2, 1976, გვ. 58-66.

გამოცემის და გავრცელების აუცილებლობას.[1]

საბჭოთა იდეოლოგების მიერ რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ათეისტური შეხედულებებისადმი დადებითი დამოკიდებულება, ორი მიზეზით აიხსნება: 1). ისინი რელიგიის საკითხს სოციალურ გარემოს უკავშირებდნენ; 2). მათი იდეები მარქსის და ენგელსის იდეოლოგიით იყო გაჯერებული, რაც ნათლად აისახა ბელინსკის მიერ გერცენისადმი გაგზავნილ წერილში, სადაც ის უზიარებს მარქსისტულ-ენგელსისეული იდეოლოგიაზე თავის შთაბეჭდილებებს, მას შემდეგ, რაც „გერმანულ-ფრანგულ წელიწდეულს“ გაეცნო: „პარიზის „იარბიუხერის“ შემწეობით, ჭეშმარიტება მივიღე და სიტყვებში ღმერთი და რელიგია მე ვხედავ ბნელეთს, წყვდიადს, ბორკილებსა და მათრახს“.[2] მკვლევრები სავსებით სამართლიანად ვარაუდობენ, რომ ბელინსკიზე აღნიშნული შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა, მარქსის ნაშრომს „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის“,[3] რომელიც როგორც წინარე პარაგრაფში უკვე აღინიშნა მარქსის რელიგიისადმი დამოკიდებულების გამოვლინების თვალსაზრისით, კლასიკად არის მიჩნეული.

რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების შეხედულებათა ფორმირებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა იმ პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა გარემომ, რომელშიც მათ უწევდათ ცხოვრება-მოღვაწეობა. რუსეთში შექმნილი რეალობა, რაც გამოიხატებოდა ერთის მხრივ, ქვეყნის პოლიტიკურ სტაგნაციაში, ხოლო მეორეს მხრივ, სახელმწიფოს ეკონომიკურ კრიზისსა და მისი მოსახლეობის უკიდურეს მატერიალურ სიდუხჭირეში, განსაკუთრებულად რთულ მდგომარეობაში აყენებდა ქვეყნის ზოგადად განვითარების საქმეს, გამომდინარე იქიდან, რომ მეფის რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად სახელმწიფო მართვაში მოიაზრებოდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიაც, რომელსაც პეტრე პირველის საეკლესიო რეფორმის შემდეგ დამოუკიდებლობა პრაქტიკულად დაკარგული ჰქონდა და რიგით სახელმწიფო სტრუქტურად იყო ჩამოყალიბებული, რევოლუციონერთა აგრესია ერთიანად ვრცელდებოდა, როგორც ცენტრალურ ხელისუფლებაზე, ისე ეკლესიასა და

---

[1] **ემელიან იაროსლავსკი**. ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკი. // გაზ. *„კომუნისტი“*, №167. 24 ივლისი, 1938 წ. გვ. 3-4.

[2] **ბ. გ. ბელინსკი.** წერილი ა. ი. გერცენს 26 იანვარი 1845 წ. – *რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი.* თარგმანი ***ვ. კ. მგალობლიშვილისა***, ***ა. ქუთელიას*** წინასიტყვაობით. თბილისი: „სახელგამი პოლიტლიტერატურის სექტორი“, 1948, გვ. 545.

[3] **ალექსანდრე ბახტაძე.** კ. მარქსის და ფ. ენგელსის ურთიერთობა რუს პოლიტიკურ მოღვაწეებთან. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1975, გვ. 129.

მის სასულიერო დასზეც, განსაკუთრებით კი მაღალ საეკლესიო იერარქიაზე. არსებული რეალობიდან გამომდინარე, შეიქმნა ვითარება, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიისადმი უაღრესად კრიტიკული დამოკიდებულება ათეისტურ შეხედულებებში გადაიზარდა, რომლის თავისებურებაც იმაში მდგომარეობდა, რომ მათ, მანამდე არსებულ მოძღვრებათა შორის პირველებმა დააყენეს დღის წესრიგში რელიგიის სოციალური ასპექტების წინ წამოწევის საკითხი, ამას კი საზოგადოების მაქსიმალურად დიდი ნაწილის დამორჩილება უნდა მოეტანა შედეგად, მანამდე, კი უნდა მომხდარიყო სახელმწიფო იდეოლოგიის დისკრედიტაცია და სოციალური იდეების ქვეყანაში დამკვიდრება. აღნიშნულის ნათელი დასტურია გერცენის მოსაზრებები, რომლის შემოქმედებაშიც პირველად დადგა საკითხი რელიგიის გააზრებაზე ღარიბი მოსახლეობის ხედვიდან – „რელიგია ეს მხოლოდ ლაგამია მასებისათვის, ყველაზე შემზარავი საფრთხობელა მდაბიოთათვის, ეს არის ყველაზე მაღალი შირმა, რომელიც ხელს უშლის ხალხს იმის დასანახად, რაც დედამიწაზე ხდება და აიძულებს „მას ზეცისაკენ აღმართოს მზერა“,[1] ზემოაღნიშნული მოსაზრება საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიჩნეული იყო, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მეტად განვითარებული მომენტი, რომელმაც მაქსიმალურად გამოხატა ეპოქალური სულისკვეთება.[2]

ნიშანდობლივია, რომ რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა დღის წესრიგში დააყენეს კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც მანამდე რუსულ სააზროვნო სივრცეში ანალოგი არ მოეძებნება; ამ შემთხვევაში, მხედველობაში გვაქვს საერო და სასულიერო სფეროების მკაცრად გამიჯვნის საკითხი, რომელიც ამ უკანასკნელის მაქსიმალურად შევიწროვების ხარჯზე უნდა მომხდარიყო – „რელიგიურ დადგენილებებს დიდხანს მჭიდრო, განუყრელი კავშირი ჰქონდა სამოქალაქო დადგენილებებთან. ეს დებულებანი, რომლებიც არ შეიძლება აღიარებულ იქნან ფაქტებად, ამიტომ მრავალი ხალხის რელიგიური კანონმდებლობის კრიტიკა ამავე დროს საზოგადოებრივი წყობილების კრიტიკაც არის; მასში მოცემულია საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი გადაუჭრელი, ანორმალური, მოვლენის საწინდარი მიზეზი“.[3] სრულიად ნათელია, რომ მისი ეს შეხედულებები ფრანგი განმანათლებლის – ჟან-ჟაკ რუსოს ნააზრევიდან მომდინარე-

---

[1] **Александр Герцен.** Былое и думы. 1852-1868. Части VI-VIII. – *Собрание сочинений в 30 томах.* Том 11. Москва: Издательство Академии наук СССР, 1957, გვ. 237.

[2] **И. Вороницын**. А. И. Герцен и религия. Москва: «Атеист», 1928.

[3] **ბ. გ. ბელინსკი.** ებრაელთა სექტა რუსეთში. – *რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი.* თარგმანი ***ვ. კ. მგალობლიშვილისა, ა. ქუთელიას*** წინასიტყვაობით. თბილისი: „სახელგამი პოლიტლიტერატურის სექტორი“, 1948, გვ. 778.

ობს და მიზნად ისახავს რელიგიის არათუ საერო სივრციდან, არამედ მთლიანად საზროვნო სისტემიდან სრულიად განდევნას. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის შენიშნული ის ფაქტიც, რომ ბელინსკის შეხედულებების ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენდა ლუდვიგ ფოიერბახის მოსაზრებებიც,[1] თუმცა, აქვე შევნიშნავთ ერთ მნიშვნელოვან მომენტს, კერძოდ, უპრიანია ბელინსკის მოსაზრებების განხილვისას ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ თუ მისთვის მისაღებია რელიგიის ფოიერბახისეული გაგება, სამაგიეროდ, ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობაში, მას, ერთის მხრივ, ფრანგი განმანათლებლების, მეორეს მხრივ კი, მარქსის გავლენა ეტყობა, რაც, ვფიქრობთ, ამ უკანასკნელთა მოსაზრებების რადიკალიზმით უნდა აიხსნას.

როგორც უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, რუსი მოაზროვნეების ათეისტურ შეხედულებებს არსებული პოლიტიკური და სოციალური სინამდვილე განაპირობებდა, სადაც თვალსაჩინოდ გამოჩნდა ქვეყანაში არსებული იმდროინდელი მდგომარეობა; ანტიმონარქისტული განწყობები მჭიდროდ გადაეჭდო ანტირელიგიურ შეხედულებებს – „რელიგია მტრისათვის შენდობას გვასწავლის – ვდუმდეთ, როდესაც ჩვენ მეფე გვავიწროებს და გვტანჯავს“.[2] სწორედ აღნიშნულმა გარემომ გამოიწვია ის ფაქტი, რომ დობროლიუბოვი თავის შეხედულებებში მტკიცე მატერიალისტად გვევლინება;[3] ზოგიერთი მოსაზრებით კი, მისი აზრები – „მატერიალიზმის წინამორბედი ფორმების წარმომადგენლებთან შედარებით შორს წავიდა რელიგიის კრიტიკაში და საკმაო მეცნიერულობით მიუთითა რელიგიის წარმოშობის საკითხები“.[4]

მსგავსი შეხედულებები აქვს ჩერნიშევსკისაც, რომელიც მატერიალიზმის და ათეიზმის შეხედულებების პოზიციებიდან აკრიტიკებდა რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, მისთვის მიუღებელი იყო ის რეალობა, რომელიც იმდროინდელ მოსახლეობაში არსებობდა და გამოსავალს განათლების გავრცელებაში ხედავდა, რაც მისი აზრით, თავიდან ბოლომდე მატერიალისტური უნდა ყოფილიყო.[5] მის ამგვარ პოზიციას დადებით შეფასებას აძლევდა ლენინიც – „ჩერნიშევსკი მატერიალ-

---

[1] **ვანო შადური.** ბესარიონ ბელინსკი, 1811-1848. თბილისი: „სახელგამი“, 1948, გვ. 49.

[2] **Н. А. Добролюбов**. Газетная Россия. – *О религии и церкви: Избранные произведения*. Москва: Издательство Академии наук СССР, 1960, გვ. 413.

[3] **შალვა ბიწაძე.** დობროლიუბოვის ეთიკური შეხედულებანი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1964, გვ. 5.

[4] **შალვა კაკულია.** რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ფილოსოფიის თავისებურებათა შესახებ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1960, გვ. 88.

[5] **ნ. გ. ჩერნიშევსკი.** თანდათანობითი განვითარება ძველი ფილოსოფიური მოძღვრებისა, წარმართულ რწმენათა განვითარებასთან დაკავშირებით. – *რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი.* თარგმანი ***შ. პაპუაშვილისა***; ***ალ. ქუთელიას*** რედაქციით და წინასიტყვაობით. თბილისი: „სახელგამი“, 1945, გვ. 203-204.

ისტი იყო და თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დასცინოდა დათმობებს იდეალიზმისა და მისტიკის მიმართ".[1]

რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების რელიგიისადმი დამოკიდებულება და შესაბამისი შეხედულებები ისტორიოგრაფიაში კარგა ხნის ასახულია. წინამდებარე საკვლევი პრობლემა ითხოვს ნაშრომში საბჭოთა სამეცნიერო აზროვნებაში რუსი რევოლუციონერი დემოკრატების რელიგიისადმი დამოკიდებულებების ანალიზს. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოსაზრებები დასაშვებია ორ ნაწილად დაიყოს: პირველი მოსაზრება ერთგვარი სიფრთხილით გამოირჩევა და მათი შეხედულებების შეფასებისას საბჭოთა სამეცნიერო წრის ერთი ნაწილი ცდილობს ოქროს შუალედის დაცვას; აღნიშნულის საილუსტრაციოდ გამოდგება საბჭოთა ათეიზმის ცნობილი აგიტატორი და მკვლევარი სტეფანე სახაროვი, რომელიც თავის ნაშრომში „მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიისა და ათეიზმის ფორმების შესახებ" წერდა: „რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები მარქსამდელი ათეისტებთან შედარებით უფრო ღრმად ჩასწვდნენ რელიგიის არსს, მისი წარმოშობის მიზეზებს, მაგრამ ვერ მიაღწიეს რელიგიის ბოლომდე მეცნიერულ გაგებას, რელიგიის მატერიალური, სოციალური ფესვების სავსებით გამოაშკარავებას, ვინაიდან ვერ ამაღლდნენ ისტორიის მატერიალისტურ გაგებამდე".[2] აღნიშნული მოსაზრება სერიოზულ დაზუსტებებს საჭიროებს, რადგან ჯერ ერთი, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები და განსაკუთრებით ჩერნიშევსკი სწორედ, რომ სოციალურ გარემოებებზე დაყრდნობით აკრიტიკებს რელიგიას და მის წარმოშობას; იგივე შეიძლება ითქვას გერცენის და ბელინსკის შემოქმედებაზეც, რომელიც მკვეთრად ანტირელიგიური განწყობებით გამოირჩეოდა.[3] რაც შეეხება ისტორიის მატერიალისტურ გააზრებას, სტეფანე სახაროვის შეხედულებები ამ შემთხვევაშიც არასწორია, რადგან აღნიშნული რუსი მოღვაწეები კაცობრიობის ისტორიის მატერიალისტურად გააზრების მომხრეები იყვნენ და დაუნდობლად აკრიტიკებდნენ იდეალისტ ისტორიკოსებს, რომლებიც ივიწყებენ ხალხის გადამწყვეტ როლს ისტორიის მსვლელობაში და ყველაფერს მიაწერენ ცალკეულ გამოჩენილ ადამიანებს: მეფეებს, მხედართმთავრებს და ა.შ. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ნაწყვეტს დობროლი-

---

[1] **ვლადიმერ ლენინი.** ნაროდნიკები ნ. კ. მიხაილოვსკის შესახებ. – *თხზულებანი*, მეოთხე გამოცემა. ტომი 20. თბილისი: „სახელგამი", 1951, გვ. 131.

[2] **სტეფანე სახაროვი**. მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიისა და ათეიზმის ფორმების შესახებ. თბილისში წაკითხული საჯარო ლექციის სტენოგრამა. თბილისი, 1956, გვ. 37.

[3] **James Thrower**. Marxist-Leninist "scientific Atheism" and the Study of Religion and Atheism in the USSR. New York: Mouton, 1983. გვ. 96.

უბოვის თხზულებიდან: „ჩვენს ისტორიკოსებს არასოდეს არ სურთ მიაქციონ ოდნავი ყურადღებაც კი ხალხის ისტორიულ განვითარებას, მოვლენათა ცოცხალ ბუნებრივ, კავშირს მათი ისტორია, ჩვეულებრივ ისტორია კი არ არის, არამედ რაღაც გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება. ჩვენს ისტორიებში ყველაფერი ექვემდებარება პიროვნებებს: სახელმწიფო შეიქმნა იმის შედეგად, რომ აღმოჩნდა დიდი ადამიანი, რომელმაც იგი დაარსა, დაეცა იმის გამო, რომ ხუთი თუ ექვსი სახელმწიფო ცუდად მართავდა, ახალი რელიგია გაჩნდა იმის გამო, რომ გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც იგი გამოიგონა და ა.შ“.[1] აქ, ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ გერცენის ადრეული შეხედულებები, როდესაც იგი ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიის გავლენას განიცდიდა. ვფიქრობთ, სტეფანე სახაროვის შეხედულებები იმით უნდა აიხსნას, რომ იგი ცდილობს რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების როლის მაქსიმალურად დაკნინების ხარჯზე მოახდინოს საბჭოთა ათეისტური აზროვნების განსაკუთრებული წინ წამოწევა, რომელიც წარმოადგენს – „ჭეშმარიტ, მეცნიერულ თეორიას რელიგიის არსის, წარმოშობის და ბრძოლის შესახებ“.[2]

რაც შეეხება მეორე მოსაზრებას, ამ შემთხვევაში, უკვე საქმე გვაქვს ისტორიული რეალობის უფრო მეტად რეალისტურ ხედვებთან, რომლის მიხედვითაც „რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა ხალხთა მასების ყველა უბედურების წყარო დაინახეს არსებულ სოციალურ წყობაში, მათ ნაბიჯი წინ გადადგეს რელიგიის დაძლევის ბრძოლაში, რამდენადმე უარყვეს ვიწრო განმანათლებლური მიდგომა, რომელიც დამახასიათებელი იყო ფრანგი მატერიალისტების და ფოიერბახისათვის“.[3]

ამრიგად, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების რელიგიური შეხედულებები იყო ის ძირითადი იდეოლოგიური ბაზა (მარქსთან და ენგელსთან ერთად), რომელზეც დაფუძნდა საბჭოთა ათეისტური აზროვნება, რადგან მისთვის დამახასიათებელი იყო არსებული პრობლემის რევოლუციური გადაწყვეტის ხედვა და სოციალური საკითხის წინ წამოწევა, რასაც დიდწილად სწორედ იმ პერიოდში რუსეთში არსებული პოლიტიკური და რელიგიური რეალობა განაპირობებდა. გარდა აღნიშნულისა, რუსი მოღვაწეების შეხედულებებში ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდა მეფის ცენტრა-

---

[1] **Н. А. Добролюбов.** Олег под Константинополем. – *Собрание сочинений в 9 томах.* Том 4. Статьи и рецензии. Январь – июнь 1859. Москва: Государственное издательство художественной литературы, 1962, გვ. 156.
[2] **სტეფანე სახაროვი**. მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიისა და ათეიზმის ფორმების შესახებ, გვ. 37.
[3] მეცნიერული ათეიზმის ძირითადი საკითხები. თბილისი: „ცოდნა“, 1964, გვ. 296; ათეიზმის ისტორია და თეორია (დამხმარე სახელმძღვანელო), გვ. 290.

ლური ხელისუფლებისა და ეკლესიის კრიტიკა, რაც შემდგომში საბჭოთა სააზროვნო სისტემის ქვაკუთხედად იქცა.

§3. საბჭოთა ათეიზმი (ლენინი, სტალინი)

საბჭოთა ათეიზმი, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია და მოძღვრება რადიკალურად განსხვავდებოდა მანამდე არსებული სეკულარული იდეოლოგია-თეორიებისაგან, სადაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიაზროთ ის გარემოება, რომ ათეისტური აზროვნება და პოლიტიკა არნახულ მასშტაბებამდე მივიდა და მან რელიგიას, მის მსახურებსა თუ მიმდევრებს მანამდე გაუგონარი დევნა გამოუცხადა. მართალია, ეკლესიას და სასულიერო პირებს ბრძოლა საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწეებმაც გამოუცხადეს, მაგრამ თუ ეს უკანასკნელი მხოლოდ რევოლუციის გამოძახილს წარმოადგენდა, საბჭოთა სინამდვილეში ამ ყველაფერს ბევრად უფრო მასშტაბური, კამპანიური, რაც მთავარია, იდეოლოგიური ხასიათი მიენიჭა და არარევოლუციურ გარემოში მიმდინარეობდა.

წარმოდგენილ ნაშრომში საბჭოთა ათეისტური იდეოლოგია განხილულია ორი პოლიტიკური მოღვაწის – ვლადიმერ ლენინისა და იოსებ სტალინის მოძღვრებების ფონზე. ბუნებრივია, კვლევის აღნიშნულ ეტაპზე, საკითხის ამომწურავი შესწავლა არ გვაქვს მიზნად დასახული გამომდინარე იქიდან, რომ ეს პრობლემა მიგვაჩნია დამოუკიდებელი კვლევის ობიექტად და ვეხებით მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს იდეოლოგიურ საფუძვლებს.

საკითხის მეცნიერულად შესწავლის აუცილებლობა განსაკუთრებული მნიშვნელობით დღის წესრიგში აბერდინის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯეიმს თროუერმა[1] და დასავლეთ ონტარიოს უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორმა დიმიტრი პოსპიელოვსკიმ დააყენეს,[2] თუმცა ეს უკანასკნელი მხოლოდ მარქსისა და ლენინის შეხედულებების კვლევით შემოიფარგლა[3] და სტალინის მოსაზრებები საგანგებო კვლევის

[1] **James Thrower**. Marxist-Leninist "Scientific Atheism" and the Study of Religion and Atheism in the USSR. New York: Mouton, 1983, გვ. 124-133.
[2] **Dimitry V. Pospielovsky**. A History of Marxist-Leninist Atheist and Soviet Antireligious Policies. Volume 1. A History of Soviet Atheism in Theory and Practice, and the Believer. Palgrave Macmillan, 1987, გვ. 6.
[3] **Dimitry V. Pospielovsky**. A History of Marxist-Leninist Atheist and Soviet Antireligious Policies, vol. 1, გვ. 6-26.

ობიექტად არ უქცევია. წარმოდგენილ ნაშრომში კი გაანალიზებულია საბჭოთა იდეოლოგიის ფუძემდებელთა რელიგიის საკითხებისადმი დამოკიდებულება და ამ დამოკიდებულებათა შედარებითი ანალიზი, რომელიც საკვლევ საკითხთან მიმართებაში მეცნიერულ სიახლედ მივიჩნევთ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კვლევის მიღმა დგას ცნობილი საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწის – ლევ ტროცკის მოსაზრებები რელიგიის შესახებ, რისი მიზეზიც არის ის, რომ მის თეორიულ შემოქმედებაში რელიგიურ საკითხს უაღრესად ფრაგმენტული ხასიათი უჭირავს და იგი არაფრით არ განსხვავდება ლენინის რელიგიისადმი დამოკიდებულებებისგან, ამიტომ მისი დამოუკიდებლად განხილვა მიზანშეუწონლად მივიჩნიეთ. თუმცა, აქვე აღნიშნავთ, რომ რელიგიური პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელების დროს ტროცკის დამოკიდებულებები მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა.

ვლადიმერ ლენინს თავის უაღრესად მდიდარ შემოქმედებაში რელიგიის შესახებ მოსაზრებები მრავლად აქვს გადმოცემული, ამ შემთხვევაში, განვიხილავთ მხოლოდ ორ ნაშრომს – „სოციალიზმი და რელიგია“ და „მუშათა პარტიის დამოკიდებულებაზე რელიგიისადმი“, რადგან მივიჩნევთ, რომ მათში ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება ჰპოვა იმ ფუძემდებლურმა პრინციპებმა, რომლებიც ყველაზე ნათლად აისახა შემდგომში საბჭოთა პოლიტიკის პრაქტიკულად რეალიზაციაში.

ლენინმა ნაშრომში – „სოციალიზმი და რელიგია“ მკაფიოდ განსაზღვრა სოციალისტური იდეის დამოკიდებულება რელიგიისადმი: „რელიგია კერძო საქმედ უნდა გამოცხადდეს – ჩვეულებრივ ამ სიტყვებით გამოხატავენ ხოლმე სოციალისტების დამოკიდებულებას რელიგიისადმი. მაგრამ ამ სიტყვების მნიშვნელობა ზუსტად უნდა განვსაზღვროთ, რათა მან არავითარი გაუგებრობა არ გამოიწვიოს. ჩვენ მოვითხოვთ რელიგია კერძო საქმედ იყოს მიჩნეული, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია რელიგია კერძო საქმედ მივიჩნიოთ ჩვენი საკუთარი პარტიის მიმართ. სახელმწიფოს არავითარი საქმე არ უნდა ჰქონდეს რელიგიასთან, რელიგიური საზოგადოებანი არ უნდა იყვნენ დაკავშირებული სახელმწიფო ხელისუფლებასთან. ყველა სრულიად თავისუფალი უნდა იყოს იწამოს რომელი რელიგიაც უნდა ან არავითარი რელიგია არ იწამოს, ე.ი. იყოს ათეისტი, როგორიც ჩვეულებრივ არის ხოლმე ყოველი სოციალისტი“.[1] წარმოდგენილი მონაკვეთიდან ნათლად ჩანს, რომ ლენინს აღარ აკმაყოფი-

[1] **ვლადიმერ ლენინი.** სოციალიზმი და რელიგია. – *თხზულებანი*, მე-4 გამოცემა. ტომი 10. თბილისი: „სახელგამი“, 1950, გვ. 83-84.

ლებდა რელიგიის თავისუფლების დოქტრინა და პირველად შემოაქვს ტერმინ „ათეისტად ყოფნის“ განსაზღვრება. მოგვიანებით, საბჭოთა კონსტიტუციაში, რომელიც ლენინისეულ იდეებს დაეფუძნა, ამგვარი ჩანაწერი გაჩნდა, რაც, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, უპრეცენდენტო შემთხვევაა. გარდა ამისა, აუცილებლად მივიჩნევთ იმ გარემოების აღნიშვნასაც, რომ ამავე მონაკვეთში ლენინმა ათეისტად ყოფნა სოციალისტობას გაუთანაბრა, რითაც „უღმერთო აზროვნების“ პოლიტიზაცია მოახდინა.

რადიკალური მიდგომებით ხასიათდება ლენინის ხედვა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობებზეც: „სრულიად დაუშვებელია მოქალაქეთა რაიმე უფლებრივი განსაზღვრება მათი სხვადასხვა რელიგიური რწმენის გამო. ოფიციალურ დოკუმენტებში ყოველგვარი ხსენებაც კი მოქალაქეთა ამა თუ იმ სარწმუნოების აღიარების შესახებ აუცილებლად უნდა მოისპოს. არავითარი სახელმწიფო თანხა არ უნდა ეძლეოდეს ეკლესიას, არავითარი სახელმწიფო თანხა არ უნდა ეძლეოდეს საეკლესიო და რელიგიურ საზოგადოებებს, რომელნიც უნდა გახდნენ თავისუფალ, ხელისუფლებისაგან სავსებით დამოუკიდებელ მოქალაქე-თანამოაზრეთა კავშირებად. მხოლოდ ამ მოთხოვნათა ბოლომდე განხორციელებით შეიძლება ბოლო მოეღოს იმ სამარცხვინო და წყეულ წარსულს, როდესაც ეკლესია სახელმწიფოს ყმა იყო, ხოლო რუსეთის მოქალაქენი სახელმწიფო ეკლესიის ყმები იყვნენ. სახელმწიფოსგან ეკლესიის სავსებით გამოყოფა – აი ის მოთხოვნა, რომელსაც სოციალისტური პროლეტარიატი თანამედროვე სახელმწიფოს და თანამედროვე ეკლესიას უყენებს“.[1]

ამავე ნაშრომში ლენინმა დღის წესრიგში დააყენა ათეისტური პროპაგანდის საკითხიც, რაც მანამდე ასევე უცხო იყო ეპოქის სააზროვნო სინამდვილისათვის: „ჩვენი პროპაგანდა აუცილებლად ათეიზმის პროპაგანდასაც შეიცავს; სათანადო მეცნიერული ლიტერატურის გამოცემა, რომელსაც აქამდე კრძალავდა და დევნიდა თვითმპყრობელურ-ბატონყმური სახელმწიფო ხელისუფლება, ახლა ჩვენი პარტიული მუშაობის ერთ-ერთ დარგს უნდა შეადგენდეს“.[2] ამ მიდგომით, ლენინმა თავის შემოქმედებაში მკვეთრი ზღვარი გაავლო მანამდე არსებულ შედარებით ნაკლებად მკვეთრ მოსაზრებებთან და ამით რელიგიისადმი დამოკიდებულების საკითხი რადიკალური პრინციპულობით დააყენა, რის სანაცვლოდაც მან თავის მოძღვრებაში წინ მებრძოლი ათეისტური შეხედულებები წამოსწია.

---

[1] **ვლადიმერ ლენინი.** სოციალიზმი და რელიგია, გვ. 85.
[2] **ვლადიმერ ლენინი**. სოციალიზმი და რელიგია, გვ. 86.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ლენინმა თავის შემოქმედებაში მოგვცა მანამდე არსებული ათეისტური შეხედულებების მისეული შეფასებაც: „მარქსიზმი არის მატერიალიზმი. როგორც ასეთი, იგი ისევე ულმობელი მტერია რელიგიისა, როგორც XVIII საუკუნის ენციკლოპედისტთა მატერიალიზმი. ეს უეჭველია, მაგრამ მარქსის და ენგელსის დიალექტიკური მატერიალიზმი ენციკლოპედისტებსა და ფოიერბახზე უფრო შორს მიდის, რადგან მატერიალისტურ ფილოსოფიას იმარჯვებს ისტორიის დარგში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ რელიგიას. ეს მთელი მატერიალიზმის და, მაშასადამე მარქსიზმის ანბანია. მაგრამ მარქსიზმი ანბანზე გაჩერებული მატერიალიზმი არ არის. მარქსიზმი უფრო შორს მიდის. იგი ამბობს უნდა ვიცოდეთ ბრძოლა რელიგიასთან. ხოლო ამისათვის საჭიროა მატერიალისტურად ავხსნათ მასების სარწმუნოებისა და რელიგიის წყარო“.[1] აღნიშნული მოსაზრება საინტერესოა იმითაც, რომ მისი გააზრება-გაზიარება მომავალში პრაქტიკულად სავალდებულო გახდა მთლიანად საბჭოთა სააზროვნო სისტემისათვის.

ცნობილია, რომ რელიგიისადმი ლენინისეული შეხედულებები გამორჩეულად დიდი რადიკალიზმით გამოირჩევა. მისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო რელიგიურ საკითხში თუნდაც მცირედი კომპრომისი. მის მიერ ჩამოყალიბებული მატერიალისტური ხედვა არათუ უარყოფს რელიგიის ადგილს საზოგადოებაში, არამედ საჭიროდ მიიჩნევს მის სრულად იგნორირებას. ლენინის თქმით, ეს იყო სააზროვნო სისტემა, რომელსაც თუ „სოციალური საფუძველი გამოეცლებოდა, თავის თავს ამოწურავდა“.[2] ეს კი, ლენინის მიხედვით, უნდა მომხდარიყო არა განათლების გზით, როგორც ამას ფრანგი მატერიალისტები და განმანათლებლები მიიჩნევდნენ, არამედ მასთან მიზანმიმართული ბრძოლით, რომელიც უნდა ყოფილიყო ფრთხილი და გეგმაზომიერი. ჰარვარდის უნივერსიტეტის უელსლის კოლეჯის პროფესორი, რუსეთის ისტორიის ცნობილი სპეციალისტი ნინა ტამარკინი მიიჩნევს, რომ ლენინის რელიგიისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი შესაძლოა ისიც ყოფილიყო, რომ მისი სურვილი იყო საკუთარი პიროვნების მაქსიმალურად წინ წამოწევა, რამაც შემდგომში საბჭოთა რეალობაში ფაქტობრივად ჰპოვა გამოძახილი – ლენინის კულტის ჩამოყალიბებაც მოხდა და ფართო მასებში მისი ავტორიტეტის არნახულად გავრცელე-

---

[1] **ვლადიმერ ლენინი**. მუშათა პარტიის დამოკიდებულებაზე რელიგიისადმი. – *თხზულებანი*, მე-4 გამოცემა. ტომი 15. თბილისი: „სახელგამი“, 1950, გვ. 494.

[2] **ვლადიმერ ლენინი**. მუშათა პარტიის დამოკიდებულებაზე რელიგიისადმი, გვ. 496-497.

ბაც;[1] მის მიერ წარმოთქმული სიტყვა თუ ფრაზა მასებში აბსოლუტურ ჭეშმარიტებად გამოცხადდა, რომლის არამედ კრიტიკაც კი, არათუ წინააღმდეგ წასვლა, სახელმწიფო ღალატის დონეზე კვალიფიცირდებოდა.

ლენინმა, მარქსისტული განათლების პარალელურად, რელიგიასთან ბრძოლის საქმეში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა აგიტაცია-პროპაგანდაზე, რაც თავის მხრივ მაქსიმალურად მრავალმხრივად უნდა მომხდარიყო: „მარქსისტებისთვის უდიდესი და უცუდესი შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ხალხის, მრავალმილიონიან მასებს, რომელთაც მთელმა თანამედროვე საზოგადოებამ არგუნა სიბნელე, უმეცრება და ცრურწმენა შეუძლიათ ამ სიბნელიდან თავის დაღწევა მხოლოდ წმინდა მარქსისტული განათლების ხაზით. ამ მასებს უნდა მივაწოდოთ ათეისტური პროპაგანდის უაღრესად მრავალფეროვანი მასალა, გავაცნოთ მათ ცხოვრების ფრიად სულ სხვადასხვა სფეროს ფაქტები, მივუდგეთ მათ ასეც და ისეც, რათა დავაინტერესოთ, გამოვაღვიძოთ ისინი რელიგიური ბანგისაგან, შევანჯღრიოთ სულ სხვადასხვა მხრივ, სულ სხვადასხვაგვარი საშუალებით“.[2] აღნიშნული მოსაზრება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, იმის გამოც, რომ იგი გამოთქმულია როდესაც ლენინი და ბოლშევიკები ხელისუფლების სათავეში ჯერ კიდევ არ არიან მოსულები და ამ სიტყვებს პრაქტიკული მოქმედების ერთგვარად საპროგრამო როლიც შეიძლება მიენიჭოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა სააზროვნო გარემომ, ლენინის შეხედულებები რელიგიისადმი უცილობელ ჭეშმარიტებად გამოაცხადა და კრიტიკის გარეშე გაიზიარა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სრულიად აშკარა იყო, რომ ავთენტური მარქსიზმი თავისი არსით, მათ შორის, რელიგიისადმი დამოკიდებულებითაც, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა საბჭოეთში „მარქსიზმის“ სახელით გავრცელებულ სუროგატთან, რომელიც „იდეურად უფრო ლენინიზმი იყო“,[3] სრულიად აშკარად და ბუნებრივად გვესახება ის ინტერესი, რაც საბჭოთა პერიოდში არსებობდა ლენინის თეორიული მემკვიდრეობისადმი რელიგიის საკითხში.[4]

---

[1] **Nina Tumarkin**. Political Ritual and the Cult of Lenin. // *Human Rights Quarterly*, Vol. 5, No. 2 (May, 1983), გვ. 203-206. იმავე ავტორს მსგავსი იდეა გავრცობილი აქვს თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაში (იხ.: **Nina Tumarkin**. Lenin Lives! The Lenin Cult in Soviet Russia. Harvard University Press, 1997).

[2] **ვლადიმერ ლენინი**. მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ. – *თხზულებანი*, მე-4 გამოცემა. ტომი 33. თბილისი: „სახელგამი“, 1953, გვ. 266.

[3] **Paul Le Blanc**. Marx, Lenin, and the Revolutionary Experience. Studies of Communism and Radicalism in the Age of Globalization. New York and London: Routledge, 2006, გვ. 52.

[4] **ხ. ქორიძე**. ვ. ი. ლენინი რელიგიის შესახებ. თბილისი, 1958, გვ. 3; მეცნიერული ათეიზმის ძირითადი საკითხები. თბილისი, 1964, გვ. 309-310.

ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის თეორიასა და პრაქტიკაში ცალკე ადგილი უჭირავს *ანტიეკლესიის* მოდელს, სადაც ეს ორი ინსტიტუტი ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, მაგრამ სახელმწიფო, რელიგიური ნეიტრალიტეტის შენარჩუნების ნაცვლად, რელიგიას ებრძვის.[1] ლენინის იდეურმა მემკვიდრეობამ და საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწეობამ აღნიშნული მოდელის პრაქტიკული განხორციელება მოახერხა.

განსხვავებულ რეალობასთან გვაქვს საქმე სტალინის შემოქმედებაში. „რევოლუციამდელ" პერიოდში სტალინი რელიგიის საკითხის დამოუკიდებლად განხილვისგან თითქმის ყოველთვის თავს იკავებდა. მის შემოქმედებაში რელიგია მხოლოდ და მხოლოდ ჩნდება იმგვარად, რომ იგი წარმოადგენს მონარქისტული რეჟიმის კრიტიკის შემადგენელ ნაწილს, თუმცა ეს, მიუხედავად სტალინის დაკავშირებისა მარქსისტულ წრეებთან, რადიკალურ შინაარსს არ ატარებდა და უკავშირდებოდა მხოლოდ სოციალისტურ იდეოლოგიას.

აღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენს მისი მოსაზრება, რომ „სოციალ-დემოკრატია აგიტაციას გასწევს კათოლიკობის, პროტესტანტობის და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ იმ აზრით, რომ სოციალისტურ მსოფლმხედველობას გამარჯვება მოუპოვოს. და იგი ამას ჩაიდენს იმიტომ, რომ პროტესტანტობა, კათოლიკობა, მართლმადიდებლობა და სხვა, ეჭვი არ არის ეწინააღმდეგება პროგრამის სწორე აზრს, ესე იგი პროლეტარიატის სწორედ გაგებულ ინტერესებს".[2]

„რევოლუციის" შემდეგ, მისი მოსაზრებები ჩვეულებრივად ჯდება სახელმწიფოს იდეოლოგიური პოლიტიკის ჩარჩოში: „პარტიას არ შეუძლია ნეიტრალური იყოს რელიგიასთან მიმართებაში, და ისიც ეწევა ანტირელიგიურ პროპაგანდას ყველა და ყოველგვარი რელიგიური ცრურწმენების წინააღმდეგ, რამეთუ ის მეცნიერებას უჭერს მხარს, რელიგიური ცრურწმენები კი მიდიან მეცნიერების წინააღმდეგ... პარტიას არ შეუძლია იყოს ნეიტრალური რელიგიურ ცრურწმენათა მატარებლებთან მიმართებაში, რეაქციულ სამღვდელოებასთან მიმართებაში, რომელიც სწამლავს მშრომელთა მასების ცნობიერებას. დავამხეთ კი ჩვენ რეაქციული სამღვდელოება? დიახ დავამ-

---

[1] **John G. Francis.** The Evolving Regulatory Structure of European Church-State Relationships. // *Journal of Church and State*, №34 (4), 1992, გვ. 781. ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის აღნიშნული მოდელი სამართლებრივ ჭრილში განხილული აქვს სამართლის დოქტორს დიმიტრი გეგენავას (იხ.: **დიმიტრი გეგენავა.** ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება. თბილისი: „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2018, გვ. 57-59).

[2] **იოსებ სტალინი**. მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი. – *თხზულებანი.* ტომი 2. თბილისი: „სახელგამი", 1953, გვ. 383.

ხეთ. უბედურება კი მხოლოდ იმაშია, რომ ჯერ კიდევ არ არის სრულიად ლიკვიდირებული. ანტირელიგიური პროპაგანდა წარმოადგენს იმ საშუალებას, რომელმაც ბოლომდის უნდა მიიყვანოს რეაქციული სამღვდელოების ლიკვიდაციის საქმე. არის შემთხვევები, რომ პარტიის რიგებიდან ვიღაც-ვიღაცები ზოგჯერ ხელს უშლიან ანტირელიგიური პროპაგანდის ყოველმხრივ გაშლას. თუ პარტიიდან ასეთ წევრებს გარიცხავენ, ეს ისედაც კარგია, რამეთუ ასეთ „კომუნისტებს“ ჩვენი პარტიის რიგებში ადგილი არ აქვთ“.[1]

მეტად საინტერესოდ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ეს არის პრაქტიკულად იშვიათი გამონაკლისი. სხვა დროს სტალინი თავის შემოქმედებაში მაქსიმალურად ერიდება და კატეგორიულად ეწინააღმდეგება ანტირელიგიური პოლიტიკის მაქსიმალურ რადიკალიზაციას, რაც დამახასიათებელია ლენინის თეორიული მემკვიდრეობისა და ლენინ-ტროცკის ათეისტური მოღვაწეობისათვის. რის დადასტურებასაც წარმოადგენს მოსაზრება, რომელიც წარმოდგენილია ერთ-ერთ მის წერილში „საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში რუსეთში“: „სარწმუნოებრივ ცრუმორწმუნოებასთან ბრძოლა უნდა შეიცვალოს არაპირდაპირი ფრთხილი გზით. ჩამორჩენილ ხალხთა „დაუყოვნებლივ გასაკომუნისტებლად“ მედგარი იერიშებიდან აუცილებლად უნდა გადავიდეთ ფრთხილ და მოფიქრებულ პოლიტიკაზე“.[2]

რელიგიისადმი მსგავსი დამოკიდებულებაა გამომჟღავნებული მის მორიგ მიმართვაში სოფლის უჯრედების მდივნების თათბირზე: „იმის დასახასიათებლად, თუ რამდენად უხეშად მიდიან ზოგჯერ გლეხობასთან, უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა ანტირელიგიური პროპაგანდის შესახებ. ხანდახან ზოგიერთი ამხანაგი გლეხებს უყურებს, როგორც ფილოსოფოს მატერიალისტებს და ფიქრობს, რომ საკმაოა ლექციის წაკითხვა ბუნებისმეტყველებიდან, რომ გლეხი დარწმუნდეს ღმერთი არ არსებობს. მათ არ ესმით ხშირად, რომ გლეხი ღმერთს მეურნის თვალსაზრისით უყურებს ე.ი. გლეხი ზოგჯერ მზადაა ზურგი აქციოს ღმერთს, მაგრამ ხშირად ეჭვი იპყრობს. ვინც ანგარიშს არ უწევს გლეხის ფსიქოლოგიის ამ თავისებურებას, მას ვერაფერი გაუგია პარტიულებისა და უპარტიოთა ურთიერთ შორის დამოკიდებულების საკითხში, მას ვერ გაუგია ის, რომ ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხებში საჭიროა გლეხის

---

[1] **იოსებ სტალინი**. საუბარი პირველ ამერიკელ დელეგაციასთან. – *თხზულებანი.* ტომი 10. თბილისი: „სახელგამი“, 1950, გვ. 132.

[2] **იოსებ სტალინი.** საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში რუსეთში. – *თხზულებანი.* ტომი 4. თბილისი: „სახელგამი“, 1955, გვ. 395.

ცრურწმენებთან ფრთხილი მოპყრობა“.[1] როგორც ჩანს, მისთვის კატეგორიულად არ-ის მიუღებელი სამღვდელოებასთან რადიკალური მიდგომა. მიუხედავად აღნიშნულისა, საბჭოთა სააზროვნო სივრცეში ძალიან აქტიურად ხდებოდა სტალინის დაკავშირება ანტირელიგიურ პოლიტიკასთან, რადგან ამ გზით მომხდარიყო საზოგადოებისათვის იმ ფაქტის ჩვენება, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ერთიანი ხედვა გააჩნდა ათეისტურ იდეოლოგიასთან დაკავშირებითაც.[2]

ამრიგად, საბჭოურმა ათეისტურმა იდეოლოგიამ მკვეთრად ჩამოყალიბებული მახასიათებლები შეიძინა ვლადიმერ ლენინის შემოქმედებაში, სადაც ანტირელიგიურმა შეხედულებებმა განსაკუთრებულად უკომპრომისო სახე მიიღო, რაც, თავის მხრივ, საფუძველი გახდა აგრესიული ათეისტური პოლიტიკისა XX საუკუნის 20-30-იან წლებში. ლენინისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო მინიმალური კომპრომისიც კი რელიგიურ საკითხში, მაშინ როდესაც განსხვავებული რეალობა გვაქვს იოსებ სტალინის შემთხვევაში, რომელიც თავის რიტორიკაში ცდილობს რელიგიის თემატიკას განსაკუთრებული ადგილი არ დაუთმოს, შედარებით ნაკლები რადიკალიზაციით გამოხატოს თავისი აზრი. მისი ეს დამოკიდებულება ადეკვატურ ასახვას ჰპოვებს უკვე 40-იანი წლების საბჭოთა რელიგიურ პოლიტიკაში, როდესაც ეკლესია-სახელმწიფოს დამოკიდებულება ურთიერთდაპირისპირებიდან კომპრომისში გადაიზარდა.

---

[1] **იოსებ სტალინი**. პარტიის მორიგი ამოცანები სოფლად. სიტყვა წარმოთქმული სოფლის უჯრედების მდივნების თათბირზე 1923 წ. 23 ოქტომბერს საკ. კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში. – *თხზულებანი.* ტომი 6. თბილისი: „სახელგამი“, 1949, გვ. 352-353.

[2] ქართულ სინამდვილეში აღნიშნულს საინტერესო გამოხმაურება ჰქონდა, კერძოდ, ჯერ 1933 წელს საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის მიერ გამოიცა ბროშურა (იხ.: სტალინი რელიგიისა და მასთან ბრძოლის შესახებ. შედგენილი **სოლ. ყუბანეიშვილის** მიერ. ტფილისი: საქ. მუკ-ის ცენტრალური საბჭოს გამოცემა, 1933), ხოლო შემდგომ კი ჟურნალ „მებრძოლ ათეისტში“ ფრაგმენტულად გვხვდება მსგავსი შინაარსის პუბლიკაციები (იხ.: ი. ბ. სტალინი რელიიგის შესახებ // ჟურნ. „*მებრძოლი ათეისტი*“, №12, 1939, გვ. 7-9; ამხანაგი სტალინი რელიგიისა და მისი დაძლევის შესახებ. // ჟურნ. „*მებრძოლი ათეისტი*“, №12, 1939, გვ. 10-22; **დ. კასრაძე.** სტალინი, როგორც ათეისტი. // ჟურნ. „*მებრძოლი ათეისტი*“, №2-3, 1939, გვ. 8-11.

თავი 2. საბჭოთა ათეისტური პროპაგანდის მეთოდოლოგია საქართველოში

§1. საბჭოთა ათეისტური პროპაგანდის მეთოდოლოგია საქართველოში (ბეჭდური მედია)

საბჭოთა ათეისტურ პოლიტიკაში ბეჭდური მედიის როლის გარკვევისათვის და ქართული რეალობის გაანალიზებისათვის შეირჩა გაზეთები „კომუნისტი“ და „ახალგაზრდა კომუნისტი“. მათი არჩევა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ეს გამოცემები წარმოადგენდნენ ქვეყანის მნიშვნელოვან პერიოდულ გამოცემებს, რომელთა ფურცლებზე აისახებოდა ის პოლიტიკური კურსი, რაც ქვეყანაში ვითარდებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პრესაში ყველაზე თვალნათლივ იკვეთება ხელისუფლების დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი, რასაც ასევე დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, იმდენად, რამდენადაც მედია ყველაზე ხელსაყრელი სფეროა მასებთან იდეოლოგიური კავშირისათვის. გამომდინარე აქედან, საბჭოთა ხელისუფლებაც სწორედ მედიის საშუალებით ცდილობდა სახელმწიფო იდეოლოგიის ფართო საზოგადოებამდე მიტანას, გავრცელებას და მათში დანერგვას.

ზოგად აღიარებული ფაქტია, რომ ტოტალიტარული რეჟიმის* პირობებში სიტყვის თავისუფლება ქვეყნის მასშტაბით ფაქტობრივად არ არსებობს და საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელება მთლიანად ხდება ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით. საბჭოთა კავშირი კი ყველა თავისი სახელმწიფოებრივი ფორმით წარმოადგენდა ტიპურ ტოტალიტარულ სახელმწიფოს.

---

* ტოტალიტარიზმი წარმოადგენს პოლიტიკური მმართველობის ყოვლისმომცველ სისტემას, რომელიც, ჩვეულებრივ, ტოტალური იდეოლოგიური მანიპულაციის, ღია ტერორისა და სისასტიკის გზით მყარდება. ის ცდილობს მოიპოვოს „ტოტალური ძალაუფლება“ საზოგადოებრივი და პირადი არსებობის ყველა ასპექტის პოლიტიზირების გზით (იხ. **ენდრიუ ჰეივუდი**. პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი კურსი. მესამე გამოცემა. თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2005, გვ. 263). საბჭოთა ტოტალიტარიზმის შესახებ დიდძალი ლიტერატურა არსებობს. გამოვყოფთ მათ შორის ყველაზე ავტორიტეტულ გამოცემებს: **John A. Armstrong**. The Politics of Totalitarianism. The Communist Party of the Soviet Union from 1934 to the Present. Random House, 1961; **Adam B Ulam**. The New Face of Soviet Totalitarianism. Cambridge, Massachusetts, Harvard University Press, 1963; **Hannah Arendt**. The Origins of Totalitarianism. Harcourt Brace Jovanovich, 1973; Beyond totalitarianism. Stalinism and Nazism compared. Edited by ***Michael Geyer*** and ***Sheila Fitzpatrick***. Cambridge University Press, 2008; **Bruce F. Pauley**. Hitler, Stalin, and Mussolini. Totalitarianism in the Twentieth Century. Wiley-Blackwell, 2014.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ პერიოდში საბჭოთა ბეჭდურ მედიას, მით უფრო ცენტრალურ გამოცემებს ფართო საზოგადოებაში მკითხველი ჯერ კიდევ ჰყავდა და მას საბჭოთა ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა. აღნიშნულ შემთხვევაში, ვეყრდნობით ცნობილი მეცნიერის კეტრინ იტონის (Katherine Eaton) კვლევას, რომლის მიხედვითაც პრესა „მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის, განსაკუთრებით რაიონებში ინფორმაციის მიღების ერთადერთი საშუალება იყო, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნდობა მაინცდამაინც დიდი არ იყო“.[1]

საკვლევ ობიექტში ჩაღრმავებამდე უპრიანია გავეცნოთ ვ. ლენინის შეხედულებებს პრესის შესახებ, რადგან, როგორც ყველა სხვა სააზროვნო სივრცეში, აქაც მისი მოსაზრებები გახდა ის წამყვანი იდეოლოგიური საყრდენი, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო და საბჭოური იდეოლოგია დაეფუძნა.

საბჭოთა სახელმწიფოში პრესას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საგიტაციო მუშაობაში.[2] მისი ეს როლი ჯერ კიდევ „რევოლუციამდე“ განსაზღვრა საბჭოთა სახელმწიფოს უმთავრესმა იდეოლოგმა და პრაქტიკულმა განმახორციელებელმა ვლადიმერ ლენინმა. 1901 წელს იგი თავის ცნობილ სტატიაში – „რით დავიწყოთ?“ წერდა: „გაზეთის როლი არ შემოიფარგლება მარტო იდეების გავრცელებით, მარტოოდენ პოლიტიკური აღზრდით და პოლიტიკური მოკავშირეთა მოპოვებით, გაზეთი არის არამარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორი, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც“.[3] გარდა ამისა, პრესის განსაკუთრებული როლის დახასიათებისას, ლენინი მიუთითებდა, რომ „პოლიტიკური გაზეთი ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა თანამედროვე საზოგადოების, ყოველი კლასის მონაწილეობისა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში“.[4]

ზემოაღნიშნული შეხედულების შესაბამისად ჩამოყალიბდა საბჭოთა სააზროვნო სისტემაც, რომელიც არათუ უარყოფდა, არამედ პირიქით, აცხადებდა ბეჭდური მედიის პირდაპირ კავშირს ცენტრალურ ხელისუფლებასთან: „საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა კომუნისტური პარტიის მძლავრი იარაღია. პრესის მეშვეობით პარტია ყო-

---

[1] **Katherine Eaton**. Daily Life in the Soviet Union. Westport, CT–London: Greenwood Press, 2004.

[2] ვრცლად საბჭოთა სახელმწიფოს საწყის ეტაპზე აგიტაცია-პროპაგანდაზე იხ.: **Peter Kenez**. The Birth of the Propaganda State Soviet Methods of Mass Mobilization, 1917-1929. Cambridge University Press, 1985.

[3] **ვლადიმერ ლენინი.** რით დავიწყოთ? – *თხზულებანი*, მეოთხე გამოცემა. ტომი 5. თბილისი: „სახელგამი“, 1949, გვ. 13.

[4] **ვლადიმერ ლენინი.** ნახევარი წლის მუშაობის შედეგები. – *თხზულებანი*, მეოთხე გამოცემა. ტომი 5, თბილისი: „სახელგამი“, 1949, გვ. 18.

ველდღიურად მიზანსწრაფვ ზემოქმედებას ახდენს მშრომელთა ფართო მასების შეგნებაზე მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, თავისი მეცნიერული პოლიტიკის შესაბამისად, რაზმავს მათ უმნიშვნელოვანესი საარსებო ამოცანების გადასაწყვეტად. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ჩვენი პრესა თავდადებით იბრძოდა და იბრძვის მარქსისტულ-ლენინური თეორიის და კომუნისტური პარტიის პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელებისათვის. რაზმავდა და რაზმავს ხალხის მასებს ჩვენს ქვეყანაში დიდი რევოლუციური გარდაქმნების უზრუნველსაყოფად. სხვადასხვა ისტორიული ეტაპების კვალად სახეს იცვლიდა პრესის წინაშე მდგომი ამოცანები, უფრო სრულყოფილი ხდებოდა მისი საზოგადოებრივი ფუნქციები, ყალიბდებოდა და მდიდრდებოდა მისი საქმიანობის პრინციპი. უცვლელი რჩებოდა ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის მთავარი დანიშნულება რომ იგი კომუნისტური პარტიის იდეური იარაღია".[1] აღნიშნული ნათქვამიდანაც ნათლად ჩანს, რომ საბჭოთა ბეჭდური მედია თავისი არსით ხელისუფლების პოლიტიკური კურსის უშუალო დანამატს წარმოადგენდა და მისი იდეოლოგიური პოლიტიკის ფართო საზოგადოებამდე მიტანის ფუნქცია გააჩნდა.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი კვლევის ობიექტი ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდია, შესაბამისად, აუცილებლად მიგვაჩნია ბეჭდურ მედიასთან დაკავშირებით მისი მოსაზრებების გაცნობა. ამ შეხედულებებში გასარკვევად, საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ციტატას მისი მიმართვიდან ჟურნალისტებისადმი, სადაც, ვფიქრობთ, ნათლად ჩანს მისი დამოკიდებულება ბეჭდური მედიისადმი: „ძვირფასო ამხანაგო ჟურნალისტებო! მწერლებს ჩვენ ვუწოდებთ პარტიის თანაშემწეებს. ნუ ეწყინებათ მწერლებს, თუ მე ვიტყვი, რომ თქვენ ჟურნალისტები, არამარტო ერთგული თანაშემწეები, არამედ პირდაპირ ხელქვეითნი – აქტიური მებრძოლნი მისი დიდი საქმისთვის. თქვენ მართლაც განუყრელნი ხართ პარტიასთან, როგორც კი დაგვჭირდება გადაწყვეტილების განმარტება და განხორციელება, თქვენ მოგმართავთ".[2] როგორც მოტანილი ფრაგმენტიდან ჩანს, ნიკიტა ხრუშჩოვის საკითხისადმი ხედვა არაფრით განსხვავდება ლენინისეული ხედვისაგან და იგი მისი იდეების ფაქტობრივი გამგრძელებელი იყო.

1954 წლის 7 ივლისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა

---

[1] **შოთა გაგოშიძე**. საბჭოთა პრესის ლენინური პრინციპები. თბილისი: „საბჭოთა საქართველო", 1969, გვ. 83-84.

[2] ნ. ხრუშჩოვის გამოსვლა საბჭოთა ჟურნალისტებთან მიღებაზე კრემლში 1959 წლის 14 ნოემბერს. // გაზ. *„კომუნისტი"*, №270, 1959 წ. 19 ნოემბერი, გვ. 2.

კომიტეტმა მიიღო საიდუმლო დადგენილება* „მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდაში დაშვებული მნიშვნელოვანი შეცდომებისა და მათი აღმოფხვრის შესახებ“,[1] რომელიც არსებითად იქცა, ერთის მხრივ, ნიკიტა ხრუშჩოვის ხელისუფლების ათეისტური პოლიტიკის, მეორეს მხრივ კი, დესტალინიზაციის პოლიტიკის განმსაზღვრელად. ეს დოკუმენტი, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს შეეხო, ნათლად ადასტურებს სამთავრობო და სახელისუფლებო დამოკიდებულებებს ბეჭდური მედიის სარედაქციო პოლიტიკისადმი. უპირველეს ყოვლისა, დადგენილება გვიჩვენებს, რომ ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს ათეისტურ მუშაობას არა მხოლოდ პარტიული ორგანიზაციების დონეზე, არამედ პროფკავშირების, განათლების, კულტურის სამინისტროს და ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო გამომცემლების დონეზეც. ეს დადგენილება გამოირჩევა აგრესიული, კატეგორიული ტონით და იგი 30-იანი წლების ათეისტური სტერეოტიპების მიხედვით არის შედგენილი.

დადგენილებაში ფართოდ არის გადმოცემული ის ძირითადი პრინციპები, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელებულიყო ათეისტური პოლიტიკის წარმართვა ქვეყანაში. განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ დადგენილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული – „პარტია აგრძელებს ლენინის გზას და რელიგიის კერძო, პირად საქმედ ვერ ჩათვლის“,[2] და არსად არის მოხსენიებული სტალინი, მაშინ, როდესაც ამგვარი პრაქტიკა საბჭოთა კავშირში 1953 წლამდე თითქმის უცვლელად არსებობდა. მეტიც ყურადღება განსაკუთრებულად ხაზგასმით არის გამახვილებული იმ გარემოებაზე, რომ ათეისტურ-პოლიტიკაში მეორე მსოფლიო ომის დროს დაშვებულ იქნა გარკვეული შეცდომები, გადაცდომები, რითაც სასულიერო პირებმა მომენტალურად ისარგებლეს და ეს ყველაფერი საფრთხის შემცველად შეიძლება მოიაზრებოდეს.[3] სამეცნიერო ლიტერატურაში სავსებით სამართლიანად არის შენიშნუ-

---

* აღნიშნულ დადგენილებას სამეცნიერო ლიტერატურაში საიდუმლო ეწოდება იმის გამო, რომ იგი მიღებიდან მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ გამოქვეყნდა, რის მიზეზებთან დაკავშირებითაც მეცნიერთა შორის დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა. ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ეს დადგენილება პარტიული მუშაკებისთვის იყო გათვლილი და ფართო საზოგადოების ანტირელიგიური პროპაგანდისთვის მომზადებას ისახავდა მიზნად (იხ.: **Joan Delaney Grossman**. Khrushchev's Anti-Religious Policy and the Campaign of 1954. // *Soviet Studies*, Vol. 24, No. 3 (Jan. 1973), გვ. 375; **John Anderson**. Religion, State and Politics in the Soviet Union and Successor States, 1953-1993. Cambridge University Press, 1994, გვ. 32).

[1] Вопросы идеологической работы: сборник важнейших решений КПСС (1954-1961 годы). Москва: Издательство политической литературы, 1961, გვ. 61-65.

[2] Вопросы идеологической работы: сборник важнейших решений КПСС (1954-1961 годы), გვ. 63.

[3] Вопросы идеологической работы: сборник важнейших решений КПСС (1954-1961 годы), გვ. 62.

ლი ის გარემოება, რომ ხრუშჩოვისეული დესტალინიზაციის პოლიტიკა რეალურად დაიწყო სწორედ ამ დადგენილებით და არა გახმაურებული კომპარტიის XX ყრილობით, როდესაც სტალინის პიროვნების კულტი დაიგმო.[1] ჩვენის მხრივ კი, განვმარტავთ, რომ ყოველივე ეს არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგან საბჭოთა სახელმწიფოს იდეოლოგიურ პოლიტიკაში რელიგიას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეკავა, რის გამოც პირველი დარტყმა სტალინის პოლიტიკას სწორედ ამ მიმართულებით მიადგა. რაც მთავარია, განსაკუთრებული ხაზგასმა ხდებოდა იმაზე, რომ ნიკიტა ხრუშჩოვი თავის თავს მოიაზრებდა ლენინის პოლიტიკის გამგრძელებლად, რაც, ვფიქრობთ, მისთვის, როგორც პარტიულ ელიტაში, ასევე ფართო საზოგადოების თვალში, თავისი ხელისუფლების ლეგიტიმაციის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა.

ჩვენ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესო ამ დადგენილების მეცხრე პუნქტია, სადაც აღნიშნულია: „დაევალოთ ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს აწარმოონ სისტემატური ათეისტური პროპაგანდა, ამ თემაზე პოპულარული მასალების, ლექტორების საუკეთესო ნაშრომების ბეჭდვა“.[2] ეს იყო პირდაპირი სახის მითითება ბეჭდური მედიისათვის, რომელსაც ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაეაქტიურებინა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ფრანგი მეცნიერის მარიან სეიდუს (Marianne Seydoux) მეტად საინტერესო დაკვირვება, რომლის მიხედვითაც ნიკიტა ხრუშჩოვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ანტირელიგიური პერიოდული გამოცემების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა.[3]

როდესაც ბეჭდურ მედიაში განთავსებულ ათეისტური შინაარსის სტატიებზე ვსაუბრობთ, საჭიროდ მივიჩნევთ მათი გარკვეული თვალსაზრისით დაჯგუფებას: 1) წმინდა სააგიტაციო მნიშვნელობის სტატიები; 2) სტატიები მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთმიმართებაზე; 3) საინფორმაციო სტატიები ვატიკანის რელიგიურ და სახელმწიფო პოლიტიკაზე (ამ უკანასკნელს, გარდა იდეოლოგიური ფუნქციისა, საბჭოთა კავშირის საგარეო-დიპლომატიურ ურთიერთობებთან აქვს კავშირი).

---

[1] **Bohdan R. Bociurkiw**. De-Stalinization and Religion in the U.S.S.R. // *International Journal*, Vol. 20, No. 3, 1965, გვ. 312-330; **Polly Jones**. Introduction the dilemmas of de-Stalinization. – *The Dilemmas of Destalinisation A Social and Cultural History of Reform in the Khrushchev Era*. Edited by **Polly Jones**. London and New York, 2006, გვ. 1-18; **Jörg Baberowski**. Nikita Khrushchev and De-Stalinization in the Soviet Union 1953-1964. – *The Cambridge History of Communism*. Volume 2. The Socialist Camp and World Power 1941-1960s. Edited by **Norman Naimark, Silvio Pons, Sophie Quinn-Judge**. Cambridge University Press, 2017, გვ. 113-138.

[2] Вопросы идеологической работы: сборник важнейших решений КПСС (1954-1961 годы), გვ. 65.

[3] **Marianne Seydoux**. Les périodiques antireligieux en URSS. //*Cahiers du monde russe et soviétique*. Vol. 11, N°1, 1970, გვ. 126-127.

ათეისტური თემატიკის პირველი პუბლიკაცია, რომელიც ჩვენი საკვლევი პერიოდის ქართულ ბეჭდურ მედიაში ჩნდება, თარიღდება 1954 წლის 25 აგვისტოთი, როდესაც გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა მოწინავე სტატია სათაურით: „ფართოდ გავშალოთ მეცნიერულ-ათეისტური მუშაობა“. მასში ფართოდ არის გადმოცემული ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ანტირელიგიური აგიტაციის დროს უნდა გაშლილიყო; განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია პროპაგანდის პროცესებში მეცნიერული მიღწევების გამოყენებაზე: „ანტირელიგიურ პროპაგანდაში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკის და კულტურის უდიდესი მიღწევები, განვუმარტოთ მშრომელებს სამყაროს წარმოშობა, ბუნების მოვლენების კანონზომიერება, ადამიანის წარმოშობა, ვესაუბროთ ასტრონომიაზე, მოვაწყოთ ლექციები, მოხსენებები და საუბრები ანტირელიგიურ თემაზე, გამოვააშკარავოთ რელიგიის რეაქციული ხასიათი“.[1] ყოველივე ეს ნათლად ადასტურებს, რომ ათეისტური შინაარსის პროპაგანდა დიდი მასშტაბურობით იშლებოდა და მათში ხელისუფლება აქტიურად რთავდა სამეცნიერო წრეებს. ასევე საინტერესოა პრესის მიმოხილვები. მაგალითად, ერთ ასეთ მიმოხილვაში, რომელიც საერთო სათაურით – „გავაძლიეროთ სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდა“ არის ცნობილი, განხილულია ანტირელიგიური პოლიტიკის თვალსაზრისით რესპუბლიკის მედიაში მიმდინარე პროცესი. გაზეთი „კომუნისტი“, როგორც ქვეყნის წამყვანი ბეჭდური გამოცემა, თავის თავზე იღებს მიმდინარე პროცესების ერთგვარ კოორდინირებას, რომელიც, მიღწევებთან ერთად, აუცილებლად აღნიშნავს საქმიანობაში გამოვლენილ ნაკლოვანებებს და დასახავს შესაბამის გზებს მათი აღმოფხვრისათვის. „საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო და სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდისადმი გაზეთების უდარდელი დამოკიდებულება არაფრით არ არის გამართლებული. თითოეული რაიონული და საქალაქო გაზეთის, ისევე როგორც მთელი ჩვენი პრესის ვალია სისტემატურად, გულმოდგინედ აწარმოონ სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდა“.[2] იქვე ხაზგასმით არის ნახსენები, რომ არ კმაროდა მარტო საბუნებისმეტყველო სტატიებისა და სხვადასხვა წყაროდან ამოღებული ანტირელიგიური ლიტერატურული მასალების ბეჭდვა. საჭირო იყო გაზეთებში უფრო მეტად გამოქვეყნებულიყო წერილები და შენიშვნები ადგილობრივ თემებზე, რომ-

[1] ფართოდ გავშალოთ მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა. // გაზ. *„კომუნისტი“*, №201, 1954 წ. 25 აგვისტო, გვ. 1.

[2] გავაძლიეროთ სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდა. // გაზ *„კომუნისტი“*, №221, 1957 წ. 11 სექტემბერი, გვ. 3.

ლებშიც კონკრეტული ფაქტებით და მაგალითებით ნაჩვენები იქნებოდა რელიგიის უსუსურობა, მეცნიერების და პრაქტიკის მონაცემებთან მისი აშკარა შეუსაბამობა. ათეისტური პროპაგანდა პრესაში შემტევ ხასიათს უნდა ჰქონოდა. გაზეთები დამაჯერებლად უნდა განემარტათ მშრომელებისათვის რელიგიის რეაქციული არსი, ის მავნებლობა, რაც მოაქვს რელიგიურ გადმონაშთებს. მთელი ეს მუშაობა გაზეთებმა საჭირო იყო ეწარმოებინათ არა კამპანიურად, არამედ სისტემატურად, მთელი გამზედაობით, რისთვისაც ფართოდ უნდა გამოყენებულიყო სხვადასხვა საგაზეთო ჟანრი: პროპაგანდისტული წერილები და რეცენზიები ათეისტურ ლიტერატურაზე, ნარკვევები და ფელეტონები, კორესპონდენციები და შენიშვნები. გაზეთები უნდა დახმარებოდნენ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლიერებაში. ვფიქრობთ, აღნიშნული ნათლად ადასტურებს იმ დამოკიდებულებას და ფუნქცია-დანიშნულებას, რაც პრესას მიეცა ათეისტური პროპაგანდის თვალსაზრისით.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რელიგიის და მეცნიერების ურთიერთმიმართებას, რაც ადასტურებს იმას, რომ სამთავრობო პოლიტიკა უნდა გამხდარიყო მეცნიერული ათეიზმი. აღნიშნული მიდგომა საბჭოთა ხელისუფლებისათვის სიახლეს არ წარმოადგენდა, მას გარკვეული თვალსაზრისით ტრადიცია უკვე გააჩნდა[1] და, როგორც ჩანს, ნიკიტა ხრუშჩოვმა გადაწყვიტა იმ პოლიტიკის აღდგენა, რომელიც 30-იანი წლების მიწურულიდან მივიწყებას მიეცა.[2]

საზოგადოებაში მეცნიერულ-ათეისტური იდეოლოგიის გავრცელება-დამკვიდრებას ემსახურება ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. პროკოფიევის სტატია „მეცნიერება და რელიგია“, სადაც ხაზგასმულია მეცნიერების უპირატესობა რელიგიასთან მიმართებაში: „მეცნიერება საზოგადოებრივი ცნობიერების განსაკუთრებული ფორმაა, იგი სწავლობს ობიექტურ სამყაროს და მის კანონებს, ხსნის ამა თუ იმ მოვლენის მიზეზებს. მეცნიერება ხსნის ბუნებისა და საზოგადოების ძირითადი კანონების მოქმედებას. მეცნიერების კანონები ასახავენ ბუნების და საზოგადოების იმ ობიექტურ პროცესებს, რომლებიც ადამიანების ნების საპირისპიროდ მიმდინარეობს“.[3] იქვე ნათქვამია, რომ რელიგია, მეცნიერებისაგან განსხვავებით, „ეყრდნობა ბრმა რწმე-

---

[1] ნიკიტა ხრუშჩოვამდელი მეცნიერული ათეიზმის შესახებ ვრცლად იხილეთ: **Pierre J. Beemans**. Scientific Atheism in the Soviet-Union: 1917-1954. // *Studies in Soviet Thought*, Vol. 7, No. 3 (Sep., 1967), გვ. 234-242.

[2] **Melanie Ilic**. What did women want? Khrushchev and the revival of the zhensovety. // *Soviet State and Society Under Nikita Khrushchev*. Edited by ***Melanie Ilic*** and ***Jeremy Smith***. New York and London: Routledge, 2009, გვ. 116.

[3] **ვ. პროკოფიევი.** მეცნიერება და რელიგია. // გაზ. *„კომუნისტი“*, №245, 1954 წ. 15 ოქტომბერი, გვ. 2.

ნას, იგი უარყოფს გამოცდილებას და დაკვირვებას“.[1] შედეგად კი, კომუნისტური სახელმწიფოს უპირატესობის აღიარებით, მოცემულია დასკვნა: „საბჭოთა მეცნიერება – ყველაზე მოწინავე მეცნიერება მსოფლიოში – ემსახურება ხალხს, იგი იბრძვის სოციალისტური ქვეყნის ეკონომიკის და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. საბჭოთა მეცნიერება ორგანულად, განუყოფლად უკავშირდება ცხოვრებას, პრაქტიკას, კომუნიზმისათვის ბრძოლას, იგი იბრძვის იდეალიზმისა და რელიგიური ბნელეთის მოციქულობის წინააღმდეგ“.[2] ეს სტატია ნათელი დადასტურებაა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის და მისი ძირითადი მიმართულების, რომ მეცნიერული გზით ებრძოლა რელიგიის წინააღმდეგ. იგივე აზრია გატარებული გ. ჭელიძის სტატიაში „რელიგია მეცნიერების მტერია“, სადაც კვლავაც ერთმანეთთან არის დაპირისპირებული რელიგიური და მეცნიერული შეხედულებები: „რელიგიური შეხედულებანი, ისე როგორც სხვა ცრურწმენები, ბუნებას და საზოგადოებას დამახინჯებულად ხსნიან. მეცნიერება კი ემყარება ცოდნას, პრაქტიკას, ფაქტებს“.[3]

ნ. ხრუშჩოვის მმართველობის დროს „მეცნიერული ათეიზმის“ იდეოლოგიის დანერგვის დასტურს წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ საეკლესიო მოღვაწეების მეცნიერული შესწავლა რამდენადმე ფრაგმენტულად მიმდინარეობდა, კერძოდ, შეუძლებელი გახლდათ სასულიერო პირის შემოქმედების შესწავლისას მისი საეკლესიო ღვაწლის ობიექტურად წარმოჩენა, სწორედ ამიტომ აქცენტი კეთდებოდა ამა თუ იმ პირის ცალმხრივ განხილვაზე. აღნიშნულის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ანთიმოზ ივერიელი, რომლის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლისას ხდებოდა მისი საეკლესიო ღვაწლის თითქმის სრული უგულებელყოფა და ამის ფონზე, პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის განსაკუთრებული წარმოჩენა.[4]

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის პუბლიკაციები, რომლებიც ვატიკანის თემატიკაზეა დაბეჭდილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ყველაფერს, საეკლესიო პოლიტიკასთან ერთად, მნიშვნელოვანი საგარეო-დიპლომატიური დატვირთვაც გააჩნდა, რადგან ვატიკანი თავისი არსით მნიშვნელოვან პოლიტიკურ აქტორს წარმოადგენდა

---

[1] **ვ. პროკოფიევი.** მეცნიერება და რელიგია. გვ. 3.
[2] **ვ. პროკოფიევი.** მეცნიერება და რელიგია. გვ. 3.
[3] **გ. ჭელიძე**. რელიგია მეცნიერების მტერია. // გაზ. *„ახალგაზრდა კომუნისტი“,* №126, 1954 წ. 21 ოქტომბერი, გვ. 2.
[4] **Mikheil Kartvelishvili**. The Study of St. Anthym of Iberia's merit in Georgian Historiography (Soviet Period). // *Dionysiana*, XI (2017), No. 1. Constanta, 2017, გვ. 160.

ცივი ომის პირობებში. როგორც ცნობილია, ოფიციალურმა ვატიკანმა იმთავითვე ცალსახად უარყოფითად შეაფასა ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლა და გააკრიტიკა ის ტოტალიტარული პოლიტიკა, რომელსაც კომუნისტური ხელისუფლება ატარებდა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, როდესაც სამყარო ორ ერთმანეთთან დაპირისპირებულ კაპიტალისტურ და სოციალისტურ ბანაკად გაიყო, კათოლიკურმა ეკლესიამ ყოველივესადმი თავისი დამოკიდებულება გამოხატა რომის პაპ პიუს XII-ის 1949 წელს გამოქვეყნებული დეკრეტით – „კომუნისტთა და მათი მომხრეების ეკლესიიდან განკვეთის შესახებ“,[1] რითაც სრულიად აშკარა გახდა მისი შეურიგებელი დამოკიდებულება კომუნისტური ხელისუფლებისადმი; ამიტომ ვატიკანის პოლიტიკის კრიტიკას საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. აღნიშნული ვითარება შენარჩუნდა ნ. ხრუშჩოვის მმართველობის დროსაც და კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ აქტიური პროპაგანდაც მიმდინარეობდა,[2] რამაც თავისი გამოძახილი ბუნებრივია ქართულ პრესაშიც ჰპოვა.

1954 წლის 24 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ვ. შეინმანის სტატია „ვატიკანი იმპერიალიზმის სამსახურში“,[3] სადაც მოცემულია რომის პაპისადმი საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება: „ვატიკანი სოლიდარობას უცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების აგრესიულ, რეაქციულ პოლიტიკას, რომლის მიზანია ომის მომზადება საბჭოთა კავშირის და მთელი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და აქტიურ მომზადებას იწყებს ამ პოლიტიკის განხორციელებაში. ვატიკანი რაზმავს მთელ თავის ძალებს, რათა დაეხმაროს ამერიკელ ომის გამჩაღებლებს“.[4] მსგავსი პათოსით არის გამსჭვალული ი. სტვოლინსკის სტატია „ვატიკანი მშრომელთა უბოროტესი მტერია“, სადაც ავტორს გადმოცემული აქვს ის შთაბეჭდილებები, რომლებიც მან რელიგიისა და ათეიზმის ისტორიის მუზეუმის[5] დათვალი-

---

[1] Acta Apostolicae Sedis, Annus XXXXII. Series II. VOL. XVII. Vatican, 1950, გვ. 195. ვსარგებლობთ რომის კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური მაცნის ელექტრონული ვერსიით, რომელიც განთავსებულია ვატიკანის ვებგვერდზე (იხ.: http://www.vatican.va/archive/aas/documents/AAS-42-1950-ocr.pdf. უკანასკნელად ნანახია 30.09.2019).

[2] ნიკიტა ხრუშჩოვის დროს ვატიკან-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ იხილეთ: **Denis J. Dunn**. The Catholic Church and Russia. Popes, Patriarchs, Tsars and Commissars. London and New York: Routledge, 2016, გვ. 153-170.

[3] **ვ. შეინმანი**. ვატიკანი იმპერიალიზმის სამსახურში. // *გაზ. „კომუნისტი“*, №200, 1954 წ. 24 აგვისტო, გვ. 3-4.

[4] **ვ. შეინმანი**. ვატიკანი იმპერიალიზმის სამსახურში, გვ. 3.

[5] რელიგიის და ათეიზმის სახელმწიფო მუზეუმი დაარსდა 1932 წელს, ყაზანის ეკლესიის ტერიტორიაზე. საბჭოთა პერიოდში წარმოადგენდა ათეიზმის კვლევის, სწავლების და პოპულარიზაციის მნიშვნელოვან ცენტრს საკავშირო მასშტაბით (იხ.: **М. Шахнович, Т. Чумакова**. Музей истории религии Академии наук СССР и российское религиоведение (1932-1961). СПб: «Наука», 2014, გვ. 37).

ერებისას მიიღო და ამის ფონზე საუბრობს ვატიკანის პოლიტიკის ძირგამომთხრელ პოლიტიკაზე.[1]

1954 წლის 10 ნოემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „მოსახლეობაში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დროს დაშვებული შეცდომების შესახებ“.[2] ეს დადგენილება განსხვავებით მისი წინამორბედისა საჯაროდ გამოქვეყნდა და ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა. ამ დადგენილებით ხელისუფლება ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, გამომდინარე იმ დიდი საფრთხიდან, რომელიც არსებობდა იმდროინდელ პოლიტიკაში, მოხდა ათეისტური პროპაგანდის საერთოდ შეჩერება და მთელი იდეოლოგიური მანქანა გადაერთო ანტიფაშისტურ აგიტაციაზე. აღნიშნული ტენდენცია, მცირე გამონაკლისების გარდა, შენარჩუნდა ომის დასრულების შემდეგაც, რასაც ნ. ხრუშჩოვის ხელისუფლება თავისი წინამორბედის შეცდომად მიიჩნევდა: „დაევალოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და ყველა პარტიულ ორგანიზაციას გადაჭრით აღმოფხვრან შეცდომები ათეისტურ პროპაგანდაში. პარტიას საჭიროდ მიაჩნია წარმოებდეს ღრმა სისტემატური მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს პოპულარული ახსნა-განმარტება ბუნების და საზოგადოების ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი საკითხისა მატერიალისტური თვალსაზრისით“.[3]

დადგენილების მიღების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ მასზე საუბარი არ ყოფილა პრესის ფურცლებზე, ახალი ძალით გაჩაღდა ათეისტური მიმართულებით პროპაგანდა, რაც უშუალოდ დაუკავშირდა ვ. ლენინის სახელს, რომელიც მუდამ ამახვილებდა ყურადღებას რელიგიის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე: „რელიგიური ცრურწმენების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა მივიჩნიოთ მეცნიერული, მატერიალისტური მსოფლმხედველობის იდეოლოგიურ ბრძოლად ანტიმეცნიერული, რელიგიური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ“.[4] იმავე პუბლიკაციაში ვხდებით ძალიან საინტერესო იდეებს ათეისტური აგიტაციის

---

[1] **ი. სტვოლინსკი**. ვატიკანი მშრომელთა უბოროტესი მტერია. // გაზ. *„კომუნისტი“*, №219. 1954 წ. 15 სექტემბერი, გვ. 2-3.

[2] სკკპ რელიგიის შესახებ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1963, გვ. 101.

[3] სკკპ რელიგიის შესახებ. გვ. 102-103.

[4] **გ. მარუაშვილი**. გავაძლიეროთ მეცნიერულ ათეისტური პროპაგანდა. // გაზ. „*კომუნისტი*“, №305, 1954 წ. 25 დეკემბერი, გვ. 3.

ორგანიზების თვალსაზრისით: „აუცილებელია ფართო კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაჩაღება, განსაკუთრებით სოფლად. ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ სასოფლო კლუბებმა და კულტსახლებმა. საჭიროა ახალგაზრდობის ძალების სწორედ დარაზმვა“.[1] სხვა კულტურულ ღონისძიებებთან ერთად, სოფლებში უნდა აღორძინებულიყო ლიტერატურული საღამოების, შემოქმედებითი დისპუტების და ნაწარმოებთა განხილვის მოწყობის ტრადიცია, რათა ამ გზით მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა, რომლის მიზანი იყო მასებში მატერიალისტური ცოდნის გავრცელებით მორწმუნე ადამიანთა განთავისუფლება რელიგიურ ცრურწმენათა გავლენისაგან, გამხდარიყო გაცილებით უფრო ეფექტური და შედეგიანი.

ამრიგად, საბჭოთა ათეისტური იდეოლოგიის გავრცელება-დამკვიდრებამ საქართველოში ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულება ბეჭდური მედიის მაგალითზე ჰპოვა. მეტიც, პრესა იქცა აგიტაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტორად, სადაც ანტირელიგიური პროცესი თემატური თვალსაზრისით მრავალფეროვნად მიმდინარეობდა, რაც სრულ თანხვედრაში იყო ცენტრალური ხელისუფლების მიერ ოფიციალურად მიღებულ დადგენილებებთან. ნ. ხრუშჩოვის ხელისუფლების დროინდელი ათეისტური პოლიტიკის პროპაგანდის თვალსაზრისის ასახვა ქართულ პრესაში განთავსებული მასალა განსაკუთრებული აგრესიით არ გამოირჩევა; მართალია, მას აქცენტი მთლიანად ანტირელიგიურ თემატიკაზე აქვს გადატანილი, თუმცა, აშკარაა, რომ ხელისუფლება ცდილობს საზოგადოების ცნობიერების გარდაქმნა მოახდინოს მეცნიერული გზით.

§2. ათეისტური პროპაგანდა და საზოგადოება „ცოდნა“

საბჭოთა ხელისუფლება თავისი იდეოლოგიის საზოგადოების ფართო წრეებში გავრცელებისათვის აქტიურად იყენებდა სხვადასხვა ორგანიზაციებს. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა საზოგადოება „ცოდნას“.

საკვლევი პრობლემის სათანადო გაანალიზებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია საკითხის ისტორიოგრაფიის გაშუქება, მისი სამეცნიერო ნაშრომებში ასახვის წარმოჩენა. აღსანიშნავია, რომ საკვლევი პერიოდის ამ მიმართულებით კვლევას ქართულ სა-

[1] **გ. მარუაშვილი.** გავაძლიეროთ მეცნიერულ ათეისტური პროპაგანდა, გვ. 3.

მეცნიერო რეალობაში ფაქტობრივად ადგილი არ ჰქონია.

1967 წელს გამოვიდა ისტორიკოს ნიკოლოზ ჭახრაკიას სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი „საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“ 20 წლის მანძილზე“. ნაშრომში მოკლედ არის გადმოცემული ის ევოლუციური განვითარების გზა, რომელიც ამ ორგანიზაციამ გაიარა თავისი არსებობის მანძილზე, წარმოჩენილია მისი ძირითადი ისტორიული მომენტები და ეპოქალური გამოწვევები. ხსენებული ნაშრომი სრულად ჯდება იმ პოლიტიკურ კონიუნქტურაში, რომელიც მისი დაწერის პერიოდში იყო გაბატონებული. სამი წლის შემდეგ იგივე ავტორმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების ისტორია საქართველოში (1947-1967 წწ.)“, სადაც იგი ერთ თავს უთმობს აღნიშნული საზოგადოების ათეისტურ საქმიანობას, თუმცა მისი მსჯელობა ჩვენთვის საინტერესო ეპოქას ზოგადად ეხება.[1]

საზოგადოება „ცოდნას“ ათეისტური კუთხით მუშაობას საგანგებო სტატია მიუძღვნა რ. ჭკადუამ,[2] თუმცა ავტორი არ საუბრობს ზოგადად საზოგადოების ათეისტურ მოღვაწეობაზე. მისი ყურადღების ცენტრში ლეონიდ ბრეჟნევის ეპოქის მოღვაწეობა მოექცა. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, უფრო სასურველი იქნებოდა, თუ განხილული იქნებოდა წინამორბედი მუშაობაც, მით უფრო, რომ ავტორი არ აკონკრეტებს, თუ რომელი პერიოდის შესწავლა აქვს მიზნად დასახული.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ პოსტსაბჭოთა ეპოქაში, განსხვავებით წინა პერიოდისაგან, აღნიშნული კუთხით არანაირი კვლევა არ ჩატარებულა, არადა, თანამედროვე ეტაპზე, როდესაც იდეოლოგიური ბარიერების სახით ხელისშემშლელი გარემოება თითქმის აღარ არსებობს, ამ მიმართულებით საკითხის შესწავლა მაინც არ მიმდინარეობს. ჩვენთვის საინტერესო საკითხს გაკვრით ეხება ისტორიის დოქტორი ეკა სილაგაძე სადოქტორო დისერტაციაში „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია საქართველოში 1928 -1947 წწ“, სადაც აღნიშნავს: „1947 წლის საბოლოო გადაწყვეტილებით, მებრძოლ უღმერთოთა კავშირი, როგორც შავი საქმის კარგად შემსრულებელი, გაუქმდა და მისი წევრები საზოგადოება „ცოდნაში“ გადანაწილდნენ“.[3]

---

[1] **ნიკოლოზ ჭახრაკია**. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების ისტორია საქართველოში (1947-1967 წწ.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1970, გვ. 383-403.

[2] **რ. ჭკადუა**. საზოგადოება „ცოდნის“ როლი მეცნიერული ათეიზმის პროპაგანდაში. კრებული „რელიგიის ისტორია და ათეისტური პროპაგანდა“, წიგნი XI. თბილისი, 1987, გვ. 12-24.

[3] **ეკა სილაგაძე.** მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია საქართველოში 1928 -1947 წწ. ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი, 2014, გვ. 153.

რაც შეეხება დასავლურ ისტორიოგრაფიას, ამ შემთხვევაში მეტად საინტერესო ფაქტთან გვაქვს საქმე. საზოგადოება „ცოდნა“ საგანგებოდ არავის უკვლევია და მის საქმიანობას ზოგადად, ნიკიტა ხრუშჩოვის რელიგიურ პოლიტიკაზე საუბრისას, ეხებიან დიმიტრი პოსპიელოვსკი[1] და ჯონ ანდერსონი,[2] ასევე მაიკლ ფროგატი თავის სადოქტორო დისერტაციაში[3] და ჯეიმს თ. ენდრიუსი.[4]

ორგანიზაციის დაარსებისას, მისი მიზნები და ამოცანები, იმთავითვე განისაზღვრა. 1947 წლის 27 აპრილს მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის დადგენილება „პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის საკავშირო საზოგადოების შესახებ“, სადაც გადმოცემულია ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ორგანიზაციას უნდა ჰქონოდა. დადგენილება, როგორც თითქმის ყველა საბჭოთა გადაწყვეტილება, ცხადდებოდა ხალხის ნების აღსრულებად, ამიტომ ამ შემთხვევაშიც მთავრობამ გადაწყვიტა, საქმე ისე წარმოეჩინა, თითქოს აღნიშნული საზოგადოების დაარსების ინიციატივა ხელისუფლების მხრიდან კი არ მოდიოდა, არამედ სამეცნიერო წრეებისგან. დადგენილების პირველ პუნქტში ვკითხულობთ: „მოწონებულ იქნას მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა მიმართვა საბჭოეთის მეცნიერებისა და კულტურის ყველა მოღვაწისადმი პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნასთან დაკავშირებით და უფლება მიეცეს მიმართვის გამოქვეყნებისა ცენტრალურ პრესაში“.[5] აღნიშნული, ბუნებრივია, ფარსი იყო და მას რეალობასთან არავითარი კავშირი არ გააჩნდა, რადგან საბჭოთა კავშირში, როგორც ტოტალიტარულ სახელმწიფოში, ყველაფერი კონტროლდებოდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ. ამ ნაბიჯით მთავრობა უბრალოდ ცდილობდა, მეტ-ნაკლებად შეექმნა საზოგადოებრივი აზრი სახელმწიფოს დემოკრატიულ წყობაზე. აღნიშნული დადგენილება მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მის ბოლო პუნქტში გადმოცემულია მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნობა, კერძოდ, „იმასთან დაკავშირებით, რომ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის

---

[1] **Dimitry V. Pospielovsky**. A History of Marxist-Leninist Atheism and Soviet Antireligious Policies. Volume 1. A History of Soviet Atheism in Theory and Practice, and the Believer. Palgrave Macmilan, 1987, გვ. 70-71, 74, 77.

[2] **John Anderson**. Religion, State and Politics in the Soviet Union and Successor States, 1953-1993. Cambridge University Press, 1994, გვ. 9, 44.

[3] **Michael Froggatt**. Science in propaganda and popular culture in the USSR under Khruschëv (1953-1964). Thesis Submitted for the Degree of Doctor of Philosophy. St. John's College (University of Oxford), 2005, გვ. 42-59.

[4] **James T. Andrews**. Inculcating Materialist Minds: Scientific Propaganda and Anti-Religion in the USSR during the Cold War. *Science, Religion and Communism in Cold War Europe*. Edited by ***Paul Betts*** and ***Stephen A. Smith***. Palgrave Macmilan, 2016, გვ. 105-126.

[5] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. 3: 1930-1954. თბილისი: „სახელგამი“, 1956, გვ. 785.

ფუნქციები სამეცნიერო და მატერიალისტური ცოდნის გავრცელებისა გადაეცემა პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გამავრცელებელ საკავშირო საზოგადოებას, შეწყდეს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის არსებობა, გადაეცეს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს ყველა მატერიალური საშუალებები პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას".[1] როგორც ჩანს, ხელისუფლებამ მიზანშეწონილად ჩათვალა გაეუქმებინა, ისედაც ფუნქციადაკარგული ორგანიზაცია („მებრძოლ უღმერთოთა კავშირი") და მის ნაცვლად დაეარსებინა სრულიად ახალი ტიპის გაერთიანება, რომელიც თავისი იდეოლოგიის უფრო ეფექტურ პროპაგანდას შეძლებდა ფართო საზოგადოებაში.

აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, 1947 წლის 1 მაისს გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის მეცნიერთა და კულტურის მოღვაწეთა მიმართვა, სადაც ნათქვამი იყო: „ხალხის კულტურის ამაღლებისათვის მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება, თუ მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების მუშაკთა ღონისძიებები გაერთიანდება სპეციალურ საზოგადოებაში, რომელიც დაისახავს მშრომელთა პოლიტიკური და კულტურული განათლების კეთილშობილურ მიზანს".[2] იქვე არის განსაზღვრული საზოგადოების ამოცანა – „მოაწყოს მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის ფართო პროპაგანდა, საერთაშორისო პოლიტიკის, საბჭოთა ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურის და ხელოვნების დარგში საჭირო ლექციების ჩატარებით, აგრეთვე ლექციების სტენოგრამების გამოცემითა და გავრცელებით".[3] მიმართვაში ასევე გადმოცემულია მოწოდება სხვა საბჭოთა მეცნიერებისა თუ კულტურის მოღვაწეების მიმართ, სადაც განმცხადებლები მათ მოუწოდებენ, უფრო აქტიურად იმუშაონ მშრომელთა სოციალისტური შეგნების ამაღლებისათვის: „საზოგადოების წევრებმა საჯარო ლექციებში უნდა განმარტონ საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა, გადაჭრით გამოამჟღავნონ ახალი ომისა და აგრესიის პროვოკატორები, ცხადყონ ბურჟუაზიული დემოკრატიის სიყალბე და შეზღუდულობა. საზოგადოების წევრთა მოვალეობაა განმარტონ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხები, გასწიონ მატერიალისტური მსოფლმხედველობის პროპაგანდა, იბრძოლონ ყოველგვარი არამეცნიერული მსოფლმხედველობისა და ადამიანთა შეგ-

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, გვ. 786-787.

[2] Обращение ко всем деятелям советской науки, литературы и искусства, и научным, общественным и другим организациям и учреждениям Советского Союза. // *«Правда»*, №106, 1 Мая 1947, გვ. 2.

[3] Обращение по всем деятелям советской науки.., გვ. 2.

ნებაში უცხო იდეოლოგიის ნაშთების წინააღმდეგ“.[1] ამ მიმართვას ხელს აწერდა 67 მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი და ვიცე-პრეზიდენტი რ. აგლაძე.[2]

1947 წლის 27 მაისს თბილისში ჩატარდა საინიციატივო ჯგუფის თათბირი, რომელმაც, მოისმინა რა აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის ცნობა „პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების დაარსების შესახებ, რომელიც მოეწყო საბჭოთა მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეების ჯგუფის ინიციატივით, მოიწონა წინადადება, რომელიც მიმართულია მოსახლეობის ფართო ფენებში პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელებისათვის“.[3] იქვე განისაზღვრა, რომ მას მჭიდროდ ეთანამშრომლა ცენტრალურ ორგანიზაციასთან, მისგან მიეღო ძირითადი მიმართულებები, ამასთან, რეგიონებში დაეარსებინა საზოგადოებრივი უჯრედები, რაც მის მუშაობას კიდევ უფრო ეფექტურს და შედეგიანს გახდიდა.[4]

საზოგადოების სააგიტაციო მუშაობის ძირითადი პრინციპები განისაზღვრა სრულიად საკავშირო საზოგადოების საერთო კრებაზე 1947 წლის 7-8 ივლისს. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე აკადემიკოსი მ. მიტინი დაწვრილებით შეჩერდა იმ ამოცანებზე, რაც დასახული იყო საზოგადოების წინაშე და რომელთაც ყოველმხრივ უნდა შეეწყო ხელი მასების სოციალისტური შეგნების ზრდისათვის, განემარტა ხალხისათვის საბჭოთა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკა, ჩაენერგა მათში სამშობლოსადმი ეროვნული სიამაყის გრძნობა, ფართოდ გაევრცელებინა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, ებრძოლა ყოველგვარი ანტიმეცნიერული შეხედულებებისა და უცხო იდეოლოგიის ნაშთების წინააღმდეგ. საზოგადოებას თავის მუშაობაში სანიმუშოდ უნდა ჰქონოდა ბოლშევიკური პარტიის იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის გიგანტური გამოცდილება.[5]

საზოგადოება „ცოდნის“ სააგიტაციო მუშაობა დასაშვებია პირობითად ორ ნაწილად დავყოთ:

---

[1] Обращение по всем деятелям советской науки.., გვ. 2.

[2] **ნიკოლოზ ჭახრაკია**. საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“ 20 წლის მანძილზე. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1967, გვ. 7.

[3] საქართველოს მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საინიციატივო ჯგუფის თათბირის რეზოლუცია: პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების შექმასთან დაკავშირებით. გაზ. „*კომუნისტი*“, №107, 1947 წ. 30 მაისი, გვ. 2.

[4] Постановление и циркуляры Всесоюзного общества «Знание» по руководству деятельностью обществ союзных республик. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1923, ანაწ. №1. საქმე №1, ფურც. 3-4.

[5] დამთავრდა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების საერთო კრება. გაზ. „*კომუნისტი*“, №138, 1947 წ. 12 ივლისი, გვ. 2.

1) ორგანიზაციის მიერ ჩატარებული საჯარო ლექციები – საზოგადოების წარმატებით მოღვაწეობის გადამწყვეტი პირობა უნდა ყოფილიყო ლექციათა მაღალი „იდეური დონე, საზოგადოების საპროპაგანდო და პოპულიზატორული მუშაობის მაღალი ხარისხი, შინაარსის ორგანული კავშირი სოციალისტური მშენებლობის აქტუალურ ამოცანებთან“.[1]

2) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა თემატური საღამოების, წიგნის საჯარო კითხვის მოწყობას, სამეცნიერო-საკონსულტაციო ბიუროების შექმნას, მეცნიერული და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ჩვენება-განხილვას, პროპაგანდისტული ტიპის ბროშურების, წიგნების გამოცემას და სხვა.

ცენტრალური ხელისუფლების ხედვა ამ ორგანიზაციისადმი იყო „მაღალი იდეურობა – აი მთავარი მოთხოვნა, რომელიც წარედგინება ახალი საზოგადოების საქმიანობის და ამ საქმიანობის წარმატების მთავარი პირობა. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდა უნდა ემსახურებოდეს ჩვენი დიდი სამშობლოსათვის საბჭოთა ეროვნული სიამაყის სულისკვეთებით მშრომელთა უფართოესი მასების აღზრდის დიად მიზანს, საზოგადოების ლექციებმა და გამოცემებმა საბჭოთა ადამიანები უნდა გაამდიდრონ ცოდნით მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგში, ხელი უნდა შეუწყონ მარქსისტული, მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას“.[2]

ნ. ჭახრაკია თავის გამოკვლევაში (პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების ისტორია საქართველოში (1947-1967 წწ.) მართებულად შენიშნავს, რომ საზოგადოების დაარსებიდან 1954 წლამდე მის მოღვაწეობაში ათეისტურ პროპაგანდას ნაკლები ადგილი ეკავა, მისი ადგილი მატერიალისტურმა იდეოლოგიამ დაიკავა,[3] რომელიც, როგორც თავად აღნიშნავს, ბევრ რამეში წინამორბედს მოიცავდა, თუმცა, აშკარა იყო, რომ მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროიდან დაიწყო, ნარჩუნდებოდა.

ზემოაღნიშნული მიდგომა რადიკალურად იცვლება ნ. ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში, როდესაც გააქტიურდა რელიგიის წინააღმდეგ მეცნიერული ფორმებით ბრძოლა, ამ კუთხით განსაკუთრებულად საინტერესოა ნ. ჭახრაკიას დისერტაცი-

---

[1] პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი სრულიად საკავშირო საზოგადოების საერთო კრება. გაზ. „*კომუნისტი*“, №137, 1947 წ. 11 ივლისი, გვ. 2.

[2] პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდა. გაზ. „*კომუნისტი*“, №140, 1947წ. 15 ივლისი, გვ. 1.

[3] **ნიკოლოზ ჭახრაკია**. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების ისტორია საქართველოში (1947-1967 წწ.), გვ. 141.

აში დაცული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც საქართველოში 1954 წელს ათეიზმის თემატიკაზე ჩატარებული ლექციების რაოდენობამ გადააჭარბა თვით სკკპ ისტორიის თემაზე წაკითხულ ლექციებს; 1955 წელს ეს რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა.[1]

სალექციო მუშაობაში ყურადღება უნდა გამახვილებულიყო იმ ფაქტორზე, რომ ათეისტურ პროპაგანდაში დამაჯერებლობის უზრუნველყოფა უნდა მომხდარიყო ადგილობრივი კონკრეტული მასალისა და ფაქტების გამოყენებით, ლოკალური ცრურწმენების გამოვლენითა და მათი ლექციების ციკლში მარჯვედ ჩართვით.

სალექციო მუშაობის წარმართვა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა სათანადო ლიტერატურის არსებობის გარეშე, რაც სერიოზულ დანაკლისად მიიჩნეოდა, სწორედ ამიტომ საზოგადოება „ცოდნის“ ქართულმა ფილიალმა ფეხი წარმატებით აუწყო საკავშირო და ცენტრალურ ორგანიზაციას. ამ კუთხით, განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია 1956 წელს გამოცემული სტატიების კრებული სახელწოდებით – „რელიგიის და ათეიზმის საკითხები“. ინტერესს ამ კრებულისადმი იწვევს ის გარემოება, რომ კრებული განკუთვნილია საზოგადოება „ცოდნას“ ლექტორებისათვის, როგორც დამხმარე ლიტერატურა სალექციო მუშაობისათვის. ფაქტია, რომ წიგნს ორმხრივი დატვირთვა გააჩნდა: ერთის მხრივ, იგი გამოცემულია სამუშაო გეგმად, ხოლო, მეორეს მხრივ, მასში შენარჩუნებული იყო პროპაგანდისტული მიმართულება. პირველ ვარაუდს ის ფაქტიც ასაბუთებს, რომ მასში არსებული თემატიკა აშკარად ითხოვდა შემდგომ სალექციო გაშლას, რაც დასტურდება მითითებული სარეკომენდაციო ლიტერატურით. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ იმ თემატიკას, რომელიც კრებულშია განთავსებული: კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება რელიგიისა და ეკლესიისადმი; ათეიზმის ფორმები სხვადასხვა ისტორიულ ეპოქათა მიხედვით; რელიგია როგორც მეცნიერების მტერი; შედარებულია მეცნიერებისა და რელიგიის ხედვები ადამიანის წარმოშობის შესახებ, განხილულია, თუ როგორ წარმოიშვა ქრისტიანობა და რა სოციალური საფუძვლები ჰქონდა მას. კრებული მთავრდება კომუნისტური და რელიგიური მორალის ურთიერთმიმართების განხილვით, სადაც ეს უკანასკნელი წარმოჩენილია „დრომორჭმულ, ყავლგასულ მოძღვრებად, რომლის დაძლევაც დროთა განმავლობაში აუცილებლად მოხდება“.[2]

---

[1] **ნიკოლოზ ჭახრაკია**. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების ისტორია საქართველოში (1947-1967 წწ.), გვ. 145.

[2] **ბიძინა ლუტიძე**. კომუნისტური მორალი და რელიგიური მორალი. კრ. „რელიგიის და ათეიზმის საკითხები“. თბილისი: „სახელგამი“, 1956, გვ. 160-161.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დღიდან დაარსებისა, „საზოგადოებამ“ თავის ერთ-ერთ მთავარ მიზნად, ლექციების ჩატარების პარალელურად, ამ უკანასკნელთა სტენოგრაფიული სახით გამოცემა და მათი ფართო მასშტაბით გავრცელება გადაწყვიტა.

ნ. ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში გააქტიურებულ ანტირელიგიურ პოლიტიკას თავისი გამოვლენა ქართულ სინამდვილეშიც ჰქონდა, რის დადასტურებასაც საზოგადოება „ცოდნას“ მიერ გამოცემული ბროშურები წარმოადგენს. მაგალითად, მისი გრიფით გამოვიდა დ. იაშვილის „რელიგია და მეცნიერება ადამიანის წარმოშობის შესახებ“ (თბილისი, 1955), გ. მიქაძის „მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის ზოგიერთი საკითხი მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში“ (თბილისი, 1956), ან. ბახარევის „ი. ვ. მიჩურინის მოძღვრების მეცნიერულ-ათეისტური მნიშვნელობა“ (თბილისი, 1956), ს. სახაროვის „მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიისა და ათეიზმის ფორმების შესახებ“ (თბილისი, 1956), ვ. გეგუჩაძის „მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა ქიმიის სასკოლო კურსში“ (თბილისი, 1957), ს. სახაროვის „რა არის ბიბლია?“ (თბილისი, 1960), რ. კუსრაშვილის „ქალი და რელიგია“ (თბილისი, 1960), გ. კიკნაძის „მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა საბჭოთა სკოლაში“ (თბილისი, 1960), ზ. ფორაქაშვილის „რელიგიური სექტანტობა და მისი იდეოლოგია“ (თბილისი, 1960), მეცნიერება რელიგიის წინააღმდეგ, სტატიების კრებული (თბილისი, 1961), გ. ვეკუას „მეცნიერება ცრურწმენების წინააღმდეგ ბრძოლაში“ (თბილისი, 1960), გ. ვეკუას „როგორ წარმოიშვა აღდგომის დღესასწაული“ (თბილისი, 1961), ოთარ გაბიძაშვილის „როგორ წარმოიშვა რელიგია“ (თბილისი, 1961), გ. დედაბრიშვილის „XVIII საუკუნის ფრანგი მატერიალისტების ათეისტური შეხედულებანი“ (თბილისი, 1961), დ. გეგეშიძის „ორმოცდაათიანელთა სექტა და მისი მავნეობა“ (თბილისი, 1962), „რელიგიის უარყოფა ერთადერთი სწორი გზაა“. სტატიების კრებული (თბილისი, 1962) და ა.შ. აღნიშნული ჩამონათვალი ნათელ სურათს გვიქმნის საზოგადოება „ცოდნის“ თემატურად „მრავალფეროვან“ საქმიანობაზე ათეისტური პროპაგანდის კუთხით. აღნიშნული მიმართულების გააქტიურების მანიშნებლად მოვიაზრებთ საზოგადოების კრებაზე (1959 წ.) დასმულ საკითხს, საკავშირო ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მსგავსად, დაარსებულიყო გამოცემების ცალკე ათეისტური სერია.[1] ნიშანდობლივია, რომ მიუხედავად საკითხის აქტუალობისა, იმხანად აღნიშნული იდეა არ განხორციე-

[1] Протоколы заседаний Президиума Правления Всесоюзного Общества «Знание». საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1923, ანაწ. №1, საქმე №426, ფურც. 55-56.

ლებულა, რაც, ვფიქრობთ, გამოცემათა და ავტორთა მრავალრიცხოვნობა-მრავალფეროვნების მიუხედავად, იმით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ საქართველოში ათეისტური განათლების პროფესიონალი კადრების დეფიციტი იყო, რის აღმოსაფხვრელადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანგებოდ დაარსდა ათეიზმის კათედრა (აღნიშნულის ირგვლივ საგანგებოდ ვიმსჯელებთ შემდეგ პარაგრაფში).

1959 წლიდან გამოდის „საზოგადოების“ ახალი ყოველთვიური ჟურნალი „მეცნიერება და რელიგია“ (Наука и религия). თავად ჟურნალის გამოცემა ხელისუფლების მხრიდან რელიგიის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის გაჩაღების მაუწყებელი იყო. საბჭოთა მთავრობას უკვე აღარ აკმაყოფილებდა ის მიდგომები, რომლებიც მანამდე არსებობდა და რელიგიის წინააღმდეგ უფრო დიდი მასშტაბებით ბრძოლის გადაწყვეტილება მიიღო. ძალაში უნდა შესულიყო მეცნიერული ათეიზმის იდეოლოგია, რაც თავის თავში გულისხმობდა რელიგიური გადმონაშთების წინააღმდეგ აკადემიური ცოდნით ბრძოლას, აღნიშნული კი ფართო მასებისათვის მაქსიმალურად გასაგებ ენაზე უნდა განხორციელებულიყო. ჟურნალის ეს პოლიტიკა მის პირველსავე ნომერში, რედაქციის საპროგრამო სიტყვაშიც აისახა, სადაც პირდაპირ არის გადმოცემული, რომ „საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობას არაფერი ისე არ აფერხებს და არ უშლის ხელს, როგორც რელიგიური გადმონაშთების არსებობა საზოგადოებაში, ამიტომ საჭიროა მათ წინააღმდეგ თანმიმდევრული ბრძოლა. ამიტომ ამოცანა არის შემდეგი: სასწრაფოდ დაიძლიოს ყველა ის შეფერხება რომელიც ამ მიმართულებით არსებობს და კომუნისტური მშენებლობის გზაზე მთავარ დამაბრკოლებელს – რელიგიური აზროვნების ნებისმიერ ფორმას საფუძველი გამოეცალოს“.[1] ნიშანდობლივია, რომ ეს გამოცემა დღემდე მონოგრაფიულად მეცნიერული კვლევის ობიექტი არ გამხდარა. ეს იმ დროს, როდესაც მასში დაბეჭდილი პუბლიკაციები საინტერესო ინფორმაციას შეიცავს, კერძოდ, თუ რა პოლიტიკას აწარმოებდა ხელისუფლება რელიგიური კუთხით, რა ძირითადი გამოვლინებები და მიმართულებები გააჩნდა მას.[2] ჟურნალის დაარსება ნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ხელისუფლება მაქსიმალურად შეეცდებოდა ათეიზ-

[1] Коммунистическое строительство в СССР и преодоление религиозных пережитков. Журнал «Наука и религия», №1. Москва, 1959, გვ. 7.

[2] ჟურნალის იდეოლოგიურ მუშაობაზე ვრცლად იხ. **Michael Froggatt**. Science in propaganda and popular culture in the USSR under Khruschëv (1953-1964). Thesis Submitted for the Degree of Doctor of Philosophy. გვ. 119-124; **А. С. Иванов**. Журнал «Наука и религия» — важное звено в атеистическом воспитании // Вопросы религии и религиоведения: сборник. Вып. 1: Антология отечественного религиоведения. Ч. 3: Институт научного атеизма — Институт религиоведения АОН при ЦК КПСС. Москва, 2009, გვ. 345-354.

მის პროპაგანდირებას მეცნიერული ფორმებით.[1] გამომდინარე აქედან, ფაქტია, რომ ქართულ რეალობაში საზოგადოება „ცოდნის“ საბჭოთა კავშირის მთელი არსებობის მანძილზე აღნიშნული იდეა დღის წესრიგში არ დამდგარა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს, საწყის ეტაპზე პროფესიონალი კადრების დეფიციტით იყო განპირობებული, შემდგომში კი ეს ფუნქცია ითავა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულმა ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის პერიოდულმა ორგანომ – „რელიგიის ისტორია და ათეისტური პროპაგანდა საქართველოში“. ამ უკანასკნელზე მსჯელობა სცდება კვლევის ამჟამინდელ ობიექტსა და ქრონოლოგიურ ჩარჩოს, ამიტომ ამჟამად მასზე არ შევჩერდებით.

ამრიგად, 1947 წელს ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაარსებული საზოგადოება „ცოდნა“, რომელიც იყო „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ მემკვიდრე და რომლის მიზანიც იყო მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის აგიტაცია საზოგადოების ფართო მასებში, 1953-1964 წლებში აქტიურ ანტირელიგიურ პროპაგანდას ეწეოდა. ქართულ რეალობაში მას კონკრეტული გამოვლინებები ჰქონდა, რაც არსობრივად არ განსხვავდებოდა ცენტრიდან (ცენტრალური საკავშირო ხელისუფლება) მომდინარე დირექტივებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული „საზოგადოება“, გარეგნული კუთხით მეცნიერთა დამოუკიდებელ გაერთიანებას წარმოადგენდა, ფაქტობრივად, ყველასთვის ნათელი იყო, რომ მისი ჩამოყალიბების და დასახული ამოცანების განხორციელების უკან ხელისუფლება იდგა. მთავრობა აქტიურად და მაქსიმალურად იყენებდა ქვეყანაში არსებულ ინტელექტუალურ და მატერიალურ-ტექნოლოგიურ რესურსებს. სამთავრობო რელიგიური კურსის აგიტაცია წარმოებდა როგორც სალექციო მუშაობით, ასევე წიგნებისა და ბროშურების გამოცემა-გავრცელებით. ორივე კუთხით მუშაობა ერთობ აქტიურად და სახასიათო თავისებურებებით მიმდინარეობდა, რაც თავის თავში გულისხმობდა ამა თუ იმ რეგიონისათვის დამახასიათებელი ფოლკლორული მასალის (ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები) აქტიურ გამოყენებას და რაც განპირობებული იყო ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკით. საზოგადოება „ცოდნამ“ საქართველოში და ზოგადად საბჭოთა სივრცეში დიდი როლი შეასრულა ათეისტური იდეოლოგიის აგიტაცია-პროპაგანდაში.

---

[1] **Stephen A. Smith**. Communism and Religion. – *The Cambridge History of Communism*. Volume 3. Endgames? Late Communism in Global Perspective, 1968 to the Present. Edited by **Juliane Fürst, Silvio Pons, Mark Selden.** Cambridge University Press, 2017, გვ. 315.

§3. ათეისტური პროპაგანდა და განათლება საქართველოში

ზოგადად აღიარებული ფაქტია, რომ განათლება არის სახელმწიფოებრივი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რადგან იგი უშუალო გავლენას ახდენს ქვეყნის შემდგომ მდგომარეობაზე. სრულიად აშკარაა, რომ მოწესრიგებული, ჩამოყალიბებული განათლების სისტემის გარეშე შეუძლებელია კონკრეტული წინსვლის რეალური წინაპირობის შექმნა. ასევე აშკარაა ის ფაქტიც, რომ ეს ნებისმიერი სახის სახელმწიფოს ეხება, განსაკუთრებით ტოტალიტარულ სახელმწიფოებს, სადაც განათლების სისტემა მტკიცედ უკავშირდება გაბატონებული იდეოლოგიის საკითხებს, რადგან მასში თვალსაჩინო გამოხატვას პოულობს ის გარემოება, თუ როგორ ხედავს ხელისუფლება ქვეყნის მომავალს, რა პრიორიტეტები გააჩნია მას და როგორ ესახება მომავალი თაობების განვითარება.

ბუნებრივია, საბჭოთა კავშირის ყველა მიმართულებაში, მათ შორის განათლების სფეროშიც, გაბატონებული იყო მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, რომლის მიზანიც იყო ჩამოეყალიბებინა ისეთი ადამიანი, რომელიც თავისი შეგნებით იქნებოდა კომუნიზმის მშენებელი, ინტერნაციონალისტური ხედვით და ათეისტური მსოფლმხედველობით.

განათლების განსაკუთრებულ იდეოლოგიურ მნიშვნელობას იმთავითვე გაუსვა ხაზი ვ. ლენინმა, რომელმაც 1917 წელს დაწერილ თავის სტატიაში „კოოპერაციის შესახებ“ გამოკვეთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა: საჭიროა „შევაიარაღოთ ფართო მასები მეცნიერული ცოდნით, შევიმუშაოთ საბჭოთა ადამიანებში მატერიალისტური მსოფლმხედველობა და ჩამოვუყალიბოთ მათ კომუნისტური მრწამსი“.[1] აღნიშნული უნდა ყოფილიყო მყარი გარანტი იმისა, რომ შეიქმნებოდა საბჭოთა სააზროვნო სისტემაზე აღზრდილი თაობები.[2]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნ. ხრუშჩოვის ათეისტური პოლიტიკის გააქტიურება 1954 წლიდან იწყება, როდესაც 7 ივლისს მიღებულ იქნა საიდუმლო დადგენილება „მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდისას დიდი დანაკლისის და მათი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ“. შემდგომ, იმავე წლის 10 ნოემბერს კი გამოქვეყნდა სკკპ

---

[1] **ვლადიმერ ლენინი**. კოოპერაციის შესახებ. // *თხზულებანი*, მე-4 გამოცემა. ტომი 33. თბილისი, 1953, გვ. 560.

[2] **კ. მელაშვილი**. საბჭოთა განათლების სისტემა და მისი ძირითადი პრინციპები. თბილისი, 1988, გვ. 17-18; **გ. თავზიშვილი.** ინტერნაციონალური აღზრდის მიზნები და შინაარსი. // *რჩეული პედაგოგიკური თხზულებანი.* ტომი III. თბილისი: „განათლება“, 1980, გვ. 101-125.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მოსახლეობაში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დროს დაშვებული შეცდომების აღმოფხვრის შესახებ. ანტირელიგიური პოლიტიკა სწორედ ამ ორ დადგენილებას დაეფუძნა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ ფაქტს, რომ საჭირო იყო „დადებითი შედეგები აღმზრდელობით მუშაობაში, რომლის მიზანია რელიგიური გადმონაშთების დაძლევა“, რისი მიღწევის წინაპირობად დასახელებული იყო მშრომელთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ამაღლება.[1]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განათლებაში ხელისუფლება თავისი პოლიტიკის აგიტაცია-პროპაგანდისათვის აქტიურად იყენებდა ბეჭდურ მედიას. სადისერტაციო ნაშრომში დასახული კვლევითი მიზნებიდან გამომდინარე, ყურადღება გამახვილდა გაზეთ „სახალხო განათლებაზე“, რადგან მისი პროფილი საგანმანათლებლო მიმართულება იყო. გარდა ამისა, ამ საკითხის განხილვა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის საბჭოთა ხელისუფლების გეგმებისა და ხედვის შესახებ საშუალო სკოლაში ათეისტურ განათლებაზე. გაზეთი აქვეყნებდა სტატიებს საყოველთაო-სავალდებულო განათლების, კომუნისტური აღზრდისა და სწავლების ხარისხის ამაღლების პრობლემების შესახებ; პროპაგანდას უწევდა მოწინავე სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადებას და სხვა.[2] გაზეთში საინტერესოდ არის ასახული საბჭოთა ათეისტური პოლიტიკის საგანმანათლებლო ასპექტები. ჩვენი კვლევის მიზანს ასევე წარმოადგენს საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში ხელისუფლების მიერ მასწავლებლის მნიშვნელობის გააზრება ანტირელიგიურ პროპაგანდაში.

საკვლევ პერიოდში, მასწავლებლის როლს ათეისტურ პროპაგანდაში ხაზი გაუსვა საქართველოს სსრ მინისტრმა გიორგი ჯიბლაძემ: „საბჭოთა მასწავლებლის მოვალეობას წარმოადგენს ღრმად დააუფლოს მოსწავლეები მეცნიერების ძირითად საფუძვლებს, ამავე დროს გასწიოს მეცნიერულ ათეისტური პროპაგანდა მოსწავლე-ახალგაზრდობაში და მოსახლეობაში. ამ მხრივ წელს ჩვენმა სკოლებმა განსაკუთრებული მუშაობა უნდა გასწიონ. მოსახლეობასა და მოსწავლე-ახალგაზრდობის წინაშე სამეცნიერო-ათეისტური ხასიათის ლექცია-საუბრებით გამოსვლა თითოეული მასწავლებლის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს“.[3] საინტერესოა ის ფაქტიც, რომ პედაგო-

---

[1] სკკპ რელიგიის შესახებ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1963, გვ. 106.
[2] **ნ. შველიძე**. „სახალხო განათლება“. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9. თბილისი, 1985, გვ. 230.
[3] **გ. ჯიბლაძე**. ახალი სასწავლო წელი. // გაზ. *„კომუნისტი“*, №207, 1954 წ. 1 სექტემბერი, გვ. 3.

გიური ჟურნალის „კომუნისტური აღზრდისათვის“, რომელიც ასევე განათლების სამინიტროს ოფიციალურ გამოცემას წარმოადგენდა, იმავე წლის სექტემბრისა[1] და ოქტომბრის ნომრებში დაიბეჭდა საგანგებო სტატიები ათეისტურ განათლებაზე, სადაც განსაკუთრებულად არის ხაზგასმული მასწავლებლის როლი.[2]

საკვლევი პრობლემატიკის უკეთ გარკვევის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია ბეჭდური მასალის არსებული მონაცემების დაჯგუფება: 1) ზოგადი ანტირელიგიური შინაარსის წერილები; 2) კონკრეტულ სამეცნიერო-სასწავლო დისციპლინებთან დაკავშირებული სტატიები. ზოგადად ანტირელიგიური შინაარსის პროპაგანდისტულ სტატიებს შორის, საკვლევ პრობლემასთან მიმართებაში, გაზეთ „სახალხო განათლების“ ფურცლებზე პირველი სტატია დაიბეჭდა 1954 წლის 1 სექტემბერს. მასში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ „მოსწავლე ახალგაზრდობა ქვეყნის მომავალს წარმოადგენს, ამიტომ აუცილებელია მისი ბავშვობის ადრეული ასაკიდანვე მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით აღზრდა, ზოგიერთი პარტიული თუ კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელები გამოდიან იქიდან, რომ სასწავლო პროგრამა აგებულია მატერიალისტურ საფუძვლებზე საჭიროდ არ თვლიან ანტირელიგიურ პროპაგანდას, რაც პრინციპულად არ არის სწორი“.[3]

ამავე საკითხს ეხმაურება 22 სექტემბრის მოწინავე სტატია – „სკოლისა და მასწავლებლის ღვიძლი საქმე“, სადაც ვკითხულობთ: მიმდინარე „ამოცანა ის არის, რომ გადაჭრით ავამაღლოთ საბუნებისმეტყველო თუ სხვა დისციპლინების დონე და მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის ფართო გაჩაღებით ვუზრუნველყოთ მოსწავლე ახალგაზრდობაში მებრძოლი მსოფლმხედველობის განუხრელად დანერგვა. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ მეცნიერულ-ათეისტური სულისკვეთებით გაჟღენთილი, მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებით შედგენილი სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები თავისთავად არაფერს არ მოგვცემს თუ თითოეული მასწავლებელი არ მოემზადება ყოველი გაკვეთილისთვის და მის მაღალ იდეურ დონეზე ჩატარებით მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის მიზნით არ წარმართავს მთელ პედაგო-

---

[1] **ო. ქაჯაია**. ყოველმხრივ გავაძლიეროთ მოზარდი თაობის ათეისტური აღზრდა. // ჟურნ. *„კომუნისტური აღზრდისათვის“*, №9. თბილისი, 1954, გვ. 13-18.

[2] **გ. ხუცურაული**. გავაძლიეროთ მეცნიერულ ათეისტური პროპაგანდა. // *ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“*, №10. თბილისი, 1954, გვ. 21.

[3] **გ. ჭელიძე**. ფართოდ გავაჩაღოთ მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა სკოლაში. // გაზ. *„სახალხო განათლება“*, №126, 1954წ. 1 სექტემბერი, გვ. 2.

გიურ პროცესს“.[1] შემდგომში ყურადღებაა გამახვილებული მასწავლებელთა იდეური მომზადების განსაკუთრებულ დონეზე: „საჭირო და აუცილებელია, რომ ახლა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თვით მასწავლებელთა იდეური ზრდის, მათი კულტურული ჰორიზონტის გაფართოებას და მეცნიერულ-პედაგოგიური დახელოვნების საქმეს“.[2] ასევე ყურადღება ექცევა, თუ როგორ უნდა მოხდეს მოსახლეობაში ათეისტური სულისკვეთების ჩამოყალიბება: „განსაკუთრებით მშობელთა შორის ქმედითი მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის გაჩაღება, ცხადია, უდიდეს გავლენას მოახდენს თვით მოსწავლეთა შორის რელიგიური ცრურწმენების აღმოფხვრაზე და ხელს შეუწყობს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მეცნიერული მსოფლმხედველობისა და მაღალი ზნეობის მქონე ახალგაზრდა თაობის აღზრდას“.[3]

ანტირელიგიური პროპაგანდის ახალი მიმართულებაა გაშლილი სტატიაში „ახალგაზრდობის აღზრდისათვის მებრძოლი ათეიზმის სულისკვეთებით“. მასში ხაზია გასმული სკოლისა და მშობლების ერთობლივ მოქმედებაზე რელიგიური რწმენის წინააღმდეგ გაშლილ ბრძოლაში: „ცნობილია, რომ აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სკოლისა და ოჯახის ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობა; ეს მით უმეტეს ანტირელიგიურ მუშაობაშია აუცილებელი. ცხადია, რომ სკოლას მეტად გაუძნელდება მოსწავლეთა ანტირელიგიური აღზრდა, თუ ოჯახი რელიგიურად არის განწყობილი და ცრუმორწმუნეობას ნერგავს ბავშვებში. ამიტომაც სკოლას მართებს ფართოდ გაშალოს ანტირელიგიური მუშაობა თვით მშობელთა შორის, მათთან ერთად განიხილოს მოსწავლეთა ანტირელიგიური აღზრდის საკითხები, დასახოს და გაატაროს სათანადო ღონისძიებანი“.[4] ეს სტატია მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მასში ასევე დასმულია საკითხი რელიგიურ ღონისძიებებში მონაწილეთა წინააღმდეგ, რომ რელიგიური ცრუმორწმუნეობა და რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესრულებაში მონაწილეობა „ერთსულოვან გაკიცხვას უნდა იმსახურებდეს თვით მოსწავლე ახალგაზრდობის, პირველ რიგში, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მხრივ“.[5] ათეისტური პოლიტიკის საინტერესო მიმართულებაა განვითარე-

---

[1] სკოლის და მასწავლებლის ღვიძლი საქმე. // გაზ. *„სახალხო განათლება“*, №38, 1954 წ. 22 სექტემბერი, გვ. 1.
[2] სკოლის და მასწავლებლის ღვიძლი საქმე, გვ. 1.
[3] სკოლის და მასწავლებლის ღვიძლი საქმე, გვ. 1.
[4] **ს. სიგუა**. ახალგაზრდობის აღზრდისათვის მებრძოლი ათეიზმის სულისკვეთებით. // გაზ. *„სახალხო განათლება“*, №43, 1954წ. 27 ოქტომბერი, გვ. 2.
[5] **ს. სიგუა**. ახალგაზრდობის აღზრდისათვის მებრძოლი ათეიზმის სულისკვეთებით, გვ. 2.

ბული სტატიაში „გზა გადავუღობოთ რელიგიურ ცრურწმენებს“. მასში ხაზგასმულია, თუ რა როლი შეიძლება შეასრულოს სკოლამ და სკოლის გარეთ მუშაობამ ანტირელიგიურ პროპაგანდაში; ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა ძირითადად სწავლების პროცესში ხორციელდება, მაგრამ იგი არ არის ერთადერთი გზა. ათეისტური აღზრდა სწავლების პროცესში „შევსებულ უნდა იქნეს კლასგარეშე სააღმზრდელო მუშაობით. კლასგარეშე მუშაობაში მთავარი ადგილი უკავია ათეისტური ხასიათის საუბრებსა და კლასგარეშე კითხვის მიმართულების მიცემას“.[1]

ანტირელიგიური პროპაგანდა სასწავლო პროცესში დაეფუძნა როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებებს. გარდა ამისა, გაზეთის ფურცლებზე დაიწყო კონკრეტული მაგალითების განხილვა, როდესაც მასწავლებლები პირად მაგალითს ჰყვებოდნენ არსებული მიღწევების თუ ნაკლოვანებების ირგვლივ. მაგალითად, სტატიაში „მოსწავლეთა ათეისტური აღზრდის გამოცდილებიდან“, ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი აღნიშნავდა: „ქიმია, როგორც მეცნიერება მდიდარ მასალას იძლევა მოსწავლეთა მებრძოლ ათეისტური მსოფლმხედველობით აღზრდისთვის. ამიტომ ამ საგნის სასწავლო კურსის ყოველ თემას (სადაც ეს მოსახერხებელია) მე ვუკავშირებ ათეისტური აღზრდის საკითხებს“.[2] ქიმიის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ანტირელიგიურ პროპაგანდაში საგანგებოდ შეჩერდა ქიმიკოსი ვ. გეგუჩაძე, რომელმაც ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა მის განსაკუთრებულ როლს მოსწავლეთა „მატერიალისტური შეხედულებების ჩამოყალიბებაში“.[3]

აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა ანტირელიგიური სააგიტაციო მუშაობა მსგავს მიდგომებს უწესებდა ფიზიკასაც. კერძოდ, მიუთითებდნენ, რომ „ფიზიკის სასწავლო კურსი წარმოადგენს ერთ-ერთ იმ დიდმნიშვნელოვან სასწავლო საგანს, რომელიც აცნობს მოსწავლეებს ბუნების მოვლენების წარმოშობისა და ცვალებადობის კანონზომიერებებს. ფიზიკა იმ მოცულობით და სისტემით, როგორითაც იგი სკოლაში ისწავლება, მდიდარ მასალას იძლევა მოსწავლეთა მეცნიერულ-ათეისტური აღზრდისათ-

---

[1] **ი. ძიძიგური**. მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა დაწყებითი კლასების ქართული ენის გაკვეთილებზე. // გაზ. *„სახალხო განათლება“*, №16, 1959წ. 15 აპრილი, გვ. 3.

[2] **კ. კუჭავა**. მოსწავლეთა ათეისტური აღზრდის გამოცდილებიდან. // გაზ. *„სახალხო განათლება“*, №7, 1959წ. 11 თებერვალი, გვ. 2.

[3] **ვ. გეგუჩაძე.** მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა ქიმიის სასკოლო კურსში. თბილისი, 1957, გვ. 54.

ვის";[1] რომ ფიზიკა მთელი თავისი შინაარსით „ანტირელიგიური ხასიათის სასწავლო საგანია, რომლის უმნიშვნელოვანესი კანონები და თეორიები პრინციპულად ეწინააღმდეგება რელიგიას. ნორჩ ფიზიკოსებს შეუძლიათ ბევრი გააკეთონ რელიგიურ შეხედულებათა და ცრურწმენების მხილებისათვის".[2]

საბუნებისმეტყველო დისციპლინებს შორის ათეისტური აღზრდის თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ბიოლოგიას, რომლის მასწავლებელსაც თითოეული თემის გავლისას შესაფერისი ანტირელიგიური მასალა უნდა დაეკავშირებინა.[3] ეს, თავის მხრივ, იმისთვის უნდა მომხდარიყო, რომ თემების დამუშავების დროს ანტირელიგიურ მომენტებზე ყურადღების გამახვილებით მოსწავლეთა ცოდნა უფრო მეტად ჩამოყალიბებული გაეხადათ, რითაც გაათავისუფლებდნენ მათ დამოკიდებულებას ბუნებისადმი „ყოველგვარ ცრუ შეხედულებათა უარყოფითი გავლენისაგან, რითაც მტკიცე საფუძველი იქმნება მოსწავლეთა მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის".[4] სასწავლო პროგრამაში საბუნებისმეტყველო საგნების ხვედრითი წილის ზრდა შენიშნული აქვს მკვლევარ მერვინ მეთიუსს (Mervyn Matthews), რომელმაც პოსტსტალინურ განათლების სისტემას სპეციალური კვლევა მიუძღვნა. ავტორი სამართლიანად ვარაუდობს, რომ ასეთი დარგების მეშვეობით საბჭოთა ხელისუფლება მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად.[5]

ჰუმანიტარულ მეცნიერებებს შორის ანტირელიგიური პროპაგანდის თვალსაზრისით ყურადღება ექცეოდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, სადაც განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთებულიყო ნაწარმოებებში ათეისტური თემატიკის განვრცობა-განვითარებაზე – „მოსწავლეთა ათეისტურ აღზრდაში დიდად დაგვეხმარება მხატვრული ლიტერატურა, განსაკუთრებით ისეთი ნაწარმოებები, სადაც კარგად არის ასახული და გამოვლენილი რელიგიური ცრურწმენის მავნე შედეგები. ასეთ დროს საჭიროა მასწავლებელმა ბავშვთა ყურადღება გაამახვილოს ისეთ ადგილებზე, რომლებშიც მოთხრობილია ცრუმორწმუნეობის უარყოფითი გავლენა ცხოვრებასა და

---

[1] **გ. კიკნაძე.** მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა საბჭოთა საქართველოში. თბილისი, 1960, გვ. 13.

[2] **ვ. კობახიძე**. მოსწავლეთა ანტირელიგიური აღზრდისათვის ფიზიკის გაკვეთილებზე. // ჟურნ. *„კომუნისტური აღზრდისათვის"*, №11. თბილისი, 1954, გვ. 34. 39.

[3] **ლ. მდინარაძე**. ათეისტური აღზრდის ელემენტები ბოტანიკის კურსში. // ჟურნ. *„კომუნისტური აღზრდისათვის"*, №10. თბილისი, 1954, გვ. 57.

[4] **ლ. მდინარაძე.** ათეისტური აღზრდის ელემენტები ბოტანიკის კურსში, გვ. 60.

[5] **Mervyn Matthews**. Education in the Soviet Union. Policies and Institutions Since Stalin. London and New York: Routledge, 2012, გვ. 18-19.

მდგომარეობაზე“.[1] გარდა ამისა ყურადღება კვლავ ეთმობოდა მასწავლებლების როლს ნაწარმოების შერჩევაში, საკითხების გაშუქებაში და ა.შ.: „მასწავლებელმა, ჩვენი აზრით, უნდა გაითვალისწინოს ნაწარმოებთა სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება ცრურწმენის გამაღვივებელი ადგილების კრიტიკულ ანალიზს უნდა დაუთმოს. გაკვეთილების მომზადებისას მასწავლებელმა წინასწარ უნდა აღნიშნოს შესაბამისი ადგილები და მოემზადოს სათანადოდ გაშუქებისათვის“.[2] ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების დროს ათეისტური მსოფლმხედველობის გამომუშავებისათვის განსაკუთრებული ყურადღება მახვილდებოდა იმ ფაქტზეც, რომ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით სკოლის მოსწავლეებს შეეგროვებინათ ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული ანტირელიგიური ფოლკლორი, რომელზეც შემდგომში მსჯელობა უნდა გამართულიყო.[3]

ამრიგად, დასაშვებია ითქვას, რომ 1953-64 წლებში საბჭოთა ანტირელიგიური პროპაგანდის განვითარებაში, ქართული სინამდვილის გათვალისწინებით გაზეთ „სახალხო განათლებას“ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.[4] გამომდინარე თავისი სპეციფიკიდან, მას მკვეთრად გამოკვეთილი პედაგოგიური ნიშა ჰქონდა დაკავებული და საგანმანათლებლო აგიტაციით იყო დაკავებული. მის ფურცლებზე გაშუქებული მიმართულებები ერთგვარი ტონის მიმცემად წარმოგვიდგებოდა როგორც განათლების მუშაკებისათვის, ისე მომავალი თაობებისთვის. სასკოლო განათლებაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ანტირელიგიურ აღზრდას, რაც მიზნად ისახავდა ათეისტური მსოფლმხედველობითა და თვითშეგნებით თაობების აღზრდას.

ბუნებრივია, ხელისუფლება შესანიშნავად აცნობიერებდა იმ ფაქტს, რომ ათეისტური პროპაგანდა მხოლოდ საშუალო სკოლებში საკმარისი არ იქნებოდა და ეს აუცილებლად უნდა მომხდარიყო უნივერსიტეტებშიც. აღნიშნულს ადასტურებს ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“ 1954 წლის ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი მეთაური სტატია „პედაგოგიური ინსტიტუტების საბრძოლო ამოცანები“, სადაც ვკითხულობთ, რომ სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ერთიან სისტემაში

---

[1] **ი. ძიძიგური.** მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა დაწყებითი კლასების ქართული ენის გაკვეთილებზე, გვ. 4.

[2] **ა. ციბაძე**. მოსწავლეთა ათეისტური აღზრდის ერთი საკითხის გამო. // გაზ. *„სახალხო განათლება“*, №2, 1955წ. 12 იანვარი, გვ. 3.

[3] **გ. კიკნაძე**. მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა საბჭოთა სკოლაში. იხ.: კრებული „მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საკითხები“. თბილისი, 1958, გვ. 54.

[4] **მიხეილ ქართველიშვილი.** საბჭოთა ანტირელიგიური პროპაგანდის ასახვა ქართულ ბეჭდურ მედიაში 1953-1964 წლებში (გაზეთ „სახალხო განათლების“ მიხედვით). // *ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული,* №5. ქუთაისი, 2013, გვ. 373-379.

განსაკუთრებით ფართო ადგილი უნდა დაეთმოს სისტემატურ მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდას: „ფაქტია, რომ ჩვენი სტუდენტების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა რელიგიური ცრურწმენებისგან. ამ დროს კი ინსტიტუტების დირექციები, პარტიული, კომკავშრული და პროფკავშირული ორგანიზაციები თანმიმდევრულ მუშაობას არ აწარმოებენ სტუდენტთა ათეისტური აღზრდისათვის, ძალიან სუსტად იბრძვიან სტუდენტთა შეგნებაში შემორჩენილი, საბჭოთა სინამდვილისათვის სრულიად მიუღებელი გადმონაშთების წინააღმდეგ“.[1]

ამ მიზნით კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა 1959 წლიდან, როდესაც საკავშირო ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულო გახდა „მეცნიერული ათეიზმის პრინციპების“ შესწავლა.[2] სწორედ ამ დადგენილებას უკავშირდება ათეიზმის კათედრის დაარსება საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში და მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც. თავდაპირველად, საჭიროდ მივიჩნიეთ კათედრის დაარსების სავარაუდო თარიღის დადგენა. საქმეს ის ართულებს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივში, რომელიც დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის საქართველოს უახლესი ისტორიის განყოფილებაში, ვერ მივაკვლიეთ ვერც უნივერსიტეტის დიდი საბჭოს შესაბამის დადგენილებას და, ვერც საფაკულტეტო დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებას. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული კათედრა უმაღლესი სკოლების საკავშირო კომიტეტის განკარგულებით გაიხსნა, თუმცა, გაუგებარია ის, რომ ამ მოვლენის შესახებ ინფორმაცია არც ცენტრალურ პრესაში არ დაბეჭდილა და, არც უნივერსიტეტის გაზეთში. რაც შეეხება კათედრის გახსნის თარიღთან დაკავშირებით არსებულ გაურკვევლობას, უნდა ითქვას, რომ პროფესორი თეიმურაზ ფანჯიკიძე, რომელიც თავის დროზე ათეიზმის კათედრის პირველი ასპირანტი იყო, აღნიშნავს: „1961 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე შეიქმნა მეცნიერული ათეიზმის კათედრა (ეთიკისა და ესთეტიკასთან ერთად), რომელსაც იგივე მიზნები და ამოცანები ჰქონდა, რაც მისი ტიპის სხვა კათედრებს მთელ საბჭოთა კავშირში“.[3]

---

[1] პედაგოგიური ინსტიტუტების საბრძოლო ამოცანები. // ჟურნ. *„კომუნისტური აღზრდისათვის“*, №10. თბილისი, 1954, გვ. 7.

[2] Вопросы идеологической работы: сборник важнейших решений КПСС (1954-1961 годы), გვ. 111.

[3] **თეიმურაზ ფანჯიკიძე**. რელიგიათმცოდნეობა და ღვთისმეტყველება, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1998 (საიუბილეო კრებული).* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998, გვ. 389; **თეიმურაზ ფანჯიკიძე**. რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე. თბილისი: „ლეგა“, 2003, გვ. 301.

ამავე დროს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის არქივში დაცულია დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც 1960 წლის 28 სექტემბერს ჩატარდა ათეიზმის, ეთიკისა და ესთეტიკის კათედრის პირველი სხდომა, სადაც დოცენტმა ს. სახაროვმა აღნიშნა, რომ „კათედრა ახლად შექმნილია და საჭიროებს სათანადო კადრებით დაკომპლექტებას“.[1] კათედრის დაარსებასთან დაკავშირებით იგივეს აღნიშნავს დოცენტი ოთარ გაბიძაშვილიც.[2] აქედან გამომდინარე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ თ. ფანჯიკიძის ცნობა დაზუსტებას საჭიროებს და შეგვიძლია თამამად ვივარაუდოთ, რომ კათედრა 1960 წლის მეორე ნახევარში, სავარაუდოდ სექტემბერში დაარსდა.

კათედრამ დაარსებისთანავე აქტიური მუშაობა გაშალა. მეცნიერული ათეიზმის საგანი სავალდებულო გახდა ყველა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, რაც, ბუნებრივია, დიდ ძალისხმევას მოითხოვდა და, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ მიზნით პირველივე სხდომაზე დღის წესრიგში დადგა კათედრის დაკომპლექტების საკითხი. როგორც ჩანს, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ეს კათედრა უნდა ყოფილიყო ათეისტური იდეოლოგიის ერთ-ერთი აქტიური განმხორციელებელი, ამიტომ შესაბამისი კადრებით უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო.

თავისთავად ცხადია ის ფაქტიც, რომ კათედრას მარტო სალექციო მუშაობა არ ევალებოდა. ის უნდა ჩამოყალიბებულიყო, როგორც მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფდა დარგის მუშაობის კოორდინირებას რესპუბლიკის მასშტაბით. ამ მიზნით კათედრის მეორე სხდომაზევე დამტკიცდა 1961 წლის კვლევითი მუშაობის გეგმები. კერძოდ, ს. სახაროვს დაევალა, დაემუშავებინა „მართლმადიდებლობა და მისი როლი თანამედროვე ეტაპზე“, ხოლო ო. გაბიძაშვილს – „რელიგიის ადრინდელი ფორმების საკითხისათვის“.[3] დასახელებული თემები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რა საკითხები იყო აქტუალური მოცემული მომენტისთვის, რომელ პრობლემათა შესწავლა უნდა მომხდარიყო მაქსიმალურად გამარტივებულად, რაც უნდა ვივარაუდოთ, რომ თავის თავში გულისხმობდა მის შემდგომ მომზადებას ფართო საზოგადოებისთვის წასაკითხი სალექციო თემატიკით. გარდა

[1] სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათეიზმის, ეთიკის და ესთეტიკის კათედრის სხდომის ოქმი №1. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №471, ანაწ. №24, საქმე №144, ფურც. 1.

[2] **ო. გაბიძაშვილი**. ახალი კათედრა მნიშვნელოვანი ამოცანების წინაშე, // გაზ. *„თბილისის უნივერსიტეტი“*, №3, 1962წ. 20 იანვარი, გვ. 3.

[3] სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული ათეიზმის კათედრის სხდომის ოქმი №2. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №471, ანაწ. №24, საქმე №144, ფურც. 4.

ამისა, უნდა შექმნილიყო ემპირიული თუ სოციოლოგიური ძიებების გარკვეული ბაზა, რასაც დაეყრდნობოდა შემდგომში უფრო კომპლექსური ხასიათის მეცნიერული კვლევები.

სრულიად აშკარაა, რომ კონკრეტული სამეცნიერო-სასწავლო დისციპლინის წარმატებულობას დიდწილად განსაზღვრავს ის გარემოება, თუ რამდენად არის აქტუალური და მნიშვნელოვანი იგი მომავალი თაობებისთვის. იმისთვის, რომ არ მომხდარიყო თაობების ჩავარდნა, საჭირო იყო მათი მუდმივი დაინტერესება დარგით. საბჭოთა სინამდვილეში „მეცნიერული ათეიზმს", როგორც იდეოლოგიური მიმართულებას, თეორიული მნიშვნელობის პარალელურად, ჰქონდა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც, რადგან ამ გზით უნდა მომზადებულიყვნენ პროპაგანდისტები და შემდგომში დარგის კარგი პროფესიონალები, რომლებიც წარმატებით შეძლებდნენ მომავალი კადრების აღზრდას. სწორედ ამ მიზნით ათეიზმის კათედრაზე, მის დაარსებასთან ერთად, თავიდანვე დღის წესრიგში დაისვა სტუდენტთა სამეცნიერო წრის ჩამოყალიბების საკითხი. მასში უნდა გაერთიანებულიყვნენ ის სტუდენტები, რომლებსაც სურვილი ექნებოდათ, დაუფლებოდნენ მეცნიერული ათეიზმის კვლევის საფუძვლებს. კათედრის პირველივე სხდომაზე დაწვრილებით განიხილეს, თუ როგორ მიმდინარეობდა სტუდენტების დასწრება მეცნიერული ათეიზმის საგანზე, სად იყო ჩავარდნები, რომ დასახულიყო შესაბამისი გზები მათ აღმოსაფხვრელად.[1] ეს სტუდენტთა სამეცნიერო წრე სხვა მსგავსი გაერთიანებისგან განსხვავდებოდა იმით, რომ მასში გაწევრიანება შეეძლო ნებისმიერი ფაკულტეტის ნებისმიერ სტუდენტს, რომელსაც საკითხის უფრო ღრმად შესწავლის სურვილი გაუჩნდებოდა. კათედრა ახდენდა სხვადასხვა დარგის სტუდენტების გაერთიანებას რელიგიის წინააღმდეგ დარაზმვაში. მსგავსი ფაქტი დაფიქსირებული აქვს საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის ცნობილ მკვლევარს ჯოშუა როზენბერგს, როდესაც ოდესის უნივერსიტეტის მაგალითზე განიხილავს, „თუ როგორ ხდებოდა სხვადასხვა მეცნიერების წარმომადგენელთა გაერთიანება ათეისტური პროპაგანდის ნიშნით, სადაც თითოეული დარგის მკვლევარს ინდივიდუალური დავალება ეძლეოდა, თავისი სფეროს მიხედვით მოეხერხებინა რელიგიური იდეოლოგიის წინააღმდეგ გალაშქრება".[2] აღნიშნული ფაქტო-

[1] სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული ათეიზმის კათედრის სხდომის ოქმი №1. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №471, ანაწ. №24, საქმე №144, ფურც. 1-2.

[2] **J. Rothenberg**, The Legal Aspect of Religious Education in the Soviet Union. // *Comparative Education Review*, Vol. 12, No. 1, გვ. 72.

რი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ მთელი საკავშირო მასშტაბით ხდებოდა ერთი გადაწყვეტილების მიღება და მისი გათავისების ვალდებულება ეკისრებოდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ხელისუფლებას.

საგნის სწავლებამ თანდათან წარმოაჩინა კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა. საქმე იმაშია, რომ მეცნიერულ ათეიზმში არ არსებობდა ქართულენოვანი სახელმძღვანელო. მართალია, არსებობდა გარკვეული მასალები, რომლებიც სალექციო კურსში შეიძლება გამოყენებულიყო, ასევე საინტერესო იყო ათეისტური მოძრაობის უფროსი თაობის გამოცდილება, მაგრამ უმაღლესი სასწავლებლებისთვის საჭიროებას წარმოადგენდა ახალი დროის გამოწვევების შესატყვისი სახელმძღვანელო. სწორედ ამიტომ 1961 წელსვე კათედრის ერთ-ერთ სხდომაზე დამტკიცდა ათეიზმის სახელმძღვანელოს გეგმის პროექტი, რომელსაც შემდგომში უნდა დაფუძნებოდა ახალი სახელმძღვანელო.[1] გამომდინარე იქიდან, რომ ქართველ ავტორებს ამგვარი სახელმძღვანელოების წერის გამოცდილება არ ჰქონდათ, მაგალითად გამოყენებულ იქნა რუსულენოვანი წიგნი «Основы научного атеизма». რაც შეეხება ქართულენოვან გამოცემას, მან დღის სინათლე 1964 წელს იხილა, როდესაც გამოქვეყნდა დამხმარე სახელმძღვანელო *მეცნიერული ათეიზმის ძირითადი საკითხები*, რომელიც რუსულ ენაზე შესრულებული ანალოგიური ნაშრომების მიხედვით შესრულებულ წიგნს წარმოადგენს. საბოლოოდ სრული ქართულენოვანი სახელმძღვანელო 1972 წელს გამოქვეყნდა.[2]

კათედრის მუშაობის დროს დღის წესრიგში საკმაოდ მწვავედ იდგა ახალგაზრდა კადრების აღზრდის საკითხი, რასაც ისიც დაემატა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის 1961 წლის 15 მარტის ბრძანების საფუძველზე თსუ მეცნიერული ათეიზმის კათედრას დაევალა რესპუბლიკური მასშტაბით სამეცნიერო და სასწავლო მეთოდური მუშაობის კოორდინაცია. ყოველივე ამან, ბუნებრივად გამოიწვია ასპირანტურაში ადგილების გამოყოფის საკითხი, რომელიც თავდაპირველად შეადგენდა ორი ადგილს (1 დასწრებული, 1 დაუსწრებელი).[3] საინტერესოა აღვნიშნოთ ისიც, რომ ზუსტად ერ-

---

[1] სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული ათეიზმის კათედრის სხდომის ოქმი №6. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №471, ანაწ. №24, საქმე №144, ფურც. 10.

[2] ათეიზმის თანამგზავრი. ბათუმი, 1977, გვ. 95.

[3] სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული ათეიზმის კათედრის სხდომის ოქმი №8. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №471, ანაწ. №24, საქმე №144, ფურც. 13.

თი წლის შემდეგ მეცნიერული ათეიზმის კათედრაზე მისაღები ასპირანტების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა და განისაზღვრა 6 კაცით.[1]

საგანგებო მიდგომას საჭიროებდა გასვლითი ლექცია-სემინარებისა და სამეცნიერო კონფერენციების საკითხი, რომელიც იმდენად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა, რომ გადაწყდა ეს საკითხი ტელევიზიით და საკავშირო პრესით გაშუქებულიყო, ამ ყველაფერს კათედრის ერთ-ერთი წევრი, იმჟამად დოცენტი ოთარ გაბიძაშვილი „მნიშვნელოვან საქმეს და დიდ გამარჯვებას“ უწოდებდა.[2] გასვლითი ლექცია-სემინარები იმხანად მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენდა და მიზნად ისახავდა მოსახლეობის მშრომელი საზოგადოების მაქსიმალურად ჩართვას და ინფორმირებას ხელისუფლების მიერ წარმოებული იდეოლოგიური (ამ შემთხვევაში რელიგიური) პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე. კათედრის სხდომის ოქმებში ხშირად ვხვდებით შენიშვნებს ჩატარებულ ლექციათა ნაკლოვანებებზე. როგორც ჩანს, ამგვარი ლექციები მოსახლეობაში მაინცდამაინც დიდი ყურადღებით თუ მოწონებით არ სარგებლობდა, ხშირად მათ ძალიან მოსაწყენი სახე ჰქონდა და ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

კათედრამ თავისი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით და იმისთვის, რომ მეცნიერული ათეიზმის მიმართულება გაემართლებინა, მიიღო გადაწყვეტილება, დაეწყო დამხმარე სახელმძღვანელოების გეგმის განხილვა, სადაც შესწავლილი იქნებოდა შესაბამისი თემატიკის ისტორიული მასალები და ეპიზოდები თანამედროვე ათეისტური მუშაობიდან.[3] თუმცა, როგორც შემდგომში მოვლენების განვითარებამ დაადასტურა, აღნიშნული კრებულების გამოცემა განუხორციელებელ მიზნად დარჩა და კათედრამ მხოლოდ ორი თემატური კრებული გამოსცა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ათეიზმის კათედრის დაარსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბჭოთა სახელმწიფოს კონკრეტული პოლიტიკის გამოხატულებას წარმოადგენდა. მან მუშაობა საკმაოდ აქტიურად წარმართა კათედრაზე ახალგაზრდა კადრების მოსაზიდად და მათ პროფესიონალებად ჩამოყალიბებისთვის. ამ მიზნით ფუნქციონირებდა სტუდენტთა სამეცნიერო წრე; კათედრა აწყობდა

---

[1] სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული ათეიზმის კათედრის სხდომის ოქმი №19. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №471, ანაწ. №24, საქმე №156, ფურც. 19.

[2] **ო. გაბიძაშვილი**. ახალი კათედრა მნიშვნელოვანი ამოცანების წინაშე, გვ. 3.

[3] სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული ათეიზმის კათედრის სხდომის ოქმი №6. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №471, ანაწ. №24, საქმე №156, ფურც. 9.

სისტემატურ შეხვედრებს ქალაქგარეთ; სხვადასხვა მუშათა კოლექტივებთან შეხვედ-რებზე მაქსიმალურად ცდილობდა გაევრცელებინა ის იდეოლოგია, რომლის პროპა-განდირება-შესწავლისთვისაც იყო იგი დაარსებული. კათედრის წევრები მუშაობისას იყენებდნენ ზომიერი და ლოიალური დიალოგის პრინციპს, რაც ასევე მთავრობის შე-საბამისი პოლიტიკით იყო განპირობებული, რომელიც მაქსიმალურად ერიდებოდა გამწვავებაზე წასვლას და განათლება-მეცნიერების გზით ცდილობდა მოსახლეობაში ათეისტური იდეოლოგიის გაძლიერებას.

ნ. ხრუშჩოვის ათეისტურმა პოლიტიკამ და პროპაგანდამ ერთ-ერთი ყველაზე ნათელი გამოხატულება განათლების სფეროში ჰპოვა. ეს გასაგებიც არის, რადგან სწო-რედ მომავალი თაობის ანტირელიგიური აღზრდის გზით იქნებოდა შესაძლებელი სახელმწიფო იდეოლოგიის შესაბამის მოქალაქეებად ჩამოყალიბება. ხელისუფლებამ თავის იდეოლოგიურ პოლიტიკაში აქტიურად ჩართო როგორც დაწყებითი სასკოლო განათლების სისტემა, ასევე უმაღლესი სასწავლებლებიც. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, გულისხმობდა ანტირელიგიური კადრების აღზრდას შემდგომი ათეისტური საქმიანობის უფრო ეფექტურად და მაღალ პროფესიულ დონეზე შესასრულებლად.

თავი 3. საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და იდეოლოგია XX საუკუნის 20-60-იანი წლების საქართველოში

§1. რელიგიური პოლიტიკა XX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში

1917 წლის ოქტომბერში რუსეთში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომელმაც დაამხო დროებითი მთავრობა. ხელისუფლების სათავეში მოვიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკური მიმართულება, რომელმაც მიზნად დაისახა პრაქტიკულად განეხორციელებინა სრულიად ახალი ტიპის იდეოლოგიის მქონე ქვეყნის ჩამოყალიბება. ბუნებრივია, მას სახელმწიფოებრივი განვითარების განსხვავებული პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურულ-სარწმუნოებრივი ხედვა ჰქონდა ჩამოყალიბებული.

ხელისუფლების სათავეში მოსული პოლიტიკური ძალა თვალნათლივ აცნობიერებდა, რომ სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ პრობლემას წარმოადგენდა სარწმუნოებრივი საკითხი, რომელიც ძალიან დიდ როლს ასრულებდა რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თვითშეგნებაში. ამ უკანასკნელის გადაჭრის მიზნით, საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა, სასწრაფოდ შეემუშავებინა „საეკლესიო კურსი“. ხელისუფლების წინაშე დადგა ორი საკითხი: 1) ეკლესიის სრული ლიკვიდაცია; 2) საეკლესიო მოდერნიზაცია. პირველის მომხრე იყო ლენინ-ტროცკის, ხოლო მეორის – სტალინის ბანაკი. საბჭოთა სახელმწიფოში მიმდინარე პროგრესული, სოციალურ-ეკონომიკური ძვრები პერიოდულად ითხოვდა ცვლილებებს სახელმწიფოს საეკლესიო კურსში.[1] ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეუძლებელია არ დავეთანხმოთ რუსეთის ეკლესიის ისტორიის მკვლევრის, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის დანიელ შუბინის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც „საბჭოთა სარწმუნოებრივი პოლიტიკა 20-იან წლებში მკვეთრად გამოხატული დინამიზმით ხასიათდება, ამიტომ მასში მომხდარი ეტაპობრივი ცვლილებები კომპლექსურად უნდა გავიაზროთ და სახელმწიფოებრივი განვითარების კურსთან დავაკავშიროთ“.[2]

---

[1] **ქეთევან პავლიაშვილი.** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945). ნაწ. I. თბილისი, 2008, გვ. 441.

[2] **D. H. Shubin**. A History of Russian Christianity. Volume IV. New York: Agora Publishing, 2006, გვ. 24.

საყურადღებოდ მიგვაჩნია, აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ბოლშევიკების მიერ კონტრრევოლუციური გადატრიალებისა და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რუსეთში დაიწყო მანამდე არნახული ტერორის ეპოქა. საბჭოთა ხელისუფლება დაუნდობლად სპობდა ოპოზიციას და ცეცხლითა და მახვილით ამკვიდრებდა ახალ პოლიტიკურ რეჟიმს.[1] დაიწყო განსხვავებულად მოაზროვნე ხალხის სასტიკი დევნა-განადგურება, ბუნებრივია მთავრობის რისხვა შეეხო სამღვდელოებასაც.

საბჭოთა რუსეთის ლიდერები ვლადიმერ ლენინი, ლევ ტროცკი და სხვები, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი დღეებიდანვე რუსეთის მოსახლეობის დატერორების პოლიტიკას დაადგნენ. ტერორმა არნახული მასშტაბები მიიღო 1918 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე. მემარცხენე ესერების ამბოხებისა და ვ. ლენინზე, თავდასხმის შემდეგ უამრავი ადამიანი სასამართლოს გარეშე დახვრიტეს, კიდევ უფრო მეტი ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში გამოკეტეს. განსაკუთრებული სისასტიკით იდევნებოდა თავადაზნაურობა, ბურჟუაზია, მეფის არმიის ოფიცრები, ინტელიგენცია და სამღვდელოება.[2] აღნიშნული ტერორის მიზანი იყო მოსახლეობაში შიშისა და პანიკის დანერგვა, რათა მომავალში ვერავის გაებედა ხელისუფლებასთან ნებისმიერი ფორმით დაპირისპირება.

საბჭოთა ხელისუფლება თავისი იდეოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარე, რაც ათეიზმს გულისხმობდა, ღიად და რადიკალურად დაუპირისპირდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას. ბოლშევიკები არ მალავდნენ, რომ მათ მიზანს ეკლესიის განადგურება წარმოადგენდა. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ლიდერები სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში ეკლესიას ადგილს არ უტოვებდნენ, უფრო მეტიც, რუსეთის ეკლესია განიხილებოდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ, ე.წ. „კონტრრევოლუციურ“ ძალად, რომლის დასუსტებისა და განადგურების გარეშე რუსეთში სოციალიზმი ვერ გაიმარჯვებდა.[3] კომუნისტებმა მიზნად დაისახეს რელიგიის ადგილის დაკავება საზოგადოების ცნობიერებაში და, რადგან მათთვის რელიგიის ავტორიტეტი ერთობ დამაბრკოლებელ ბარიერს წარმოადგენდა სოციალისტური მიზნების განხორციელებაში, ამიტომ შეუდგნენ ე.წ. ახალი რელიგიური რე-

---

[1] **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული**. რუსეთის ისტორია, 1900-1937. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005, გვ. 119.

[2] **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული**. რუსეთის ეკლესიის ისტორია (სალექციო კურსი). ნაწილი მესამე (1900-2001). ნაკვეთი პირველი (1901-1945). თბილისი: „არტანუჯი“, 2008, გვ. 35.

[3] **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული**. რუსეთის ეკლესიის ისტორია, ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 34.

ალობის ფორმირებას (კომუნისტური იდეოლოგია). ბოლშევიკების განცხადებით, კომუნისტის პირდაპირი მოვალეობა იყო, ეწამა ახალი მიმდინარეობის, რომელიც აყალიბებდა ახალ ადამიანს, საზოგადოებას გარკვეული რწმენის საფუძველზე და ეს რწმენა უნდა ყოფილიყო კომუნისტური პარტია და იდეოლოგია.

ვიზიარებთ რა პროფესორ ქეთევან პავლიაშვილის მოსაზრებას, რომ „ახალი რელიგიის“ საზოგადოების აზროვნებაში დამკვიდრება იმთავითვე დაიწყო თავად რელიგიის და განსაკუთრებით ქრისტიანული მოძღვრების დამცრობით“,[1] რადგან მოსახლეობაში თუ არ გაჩნდებოდა არსებული რელიგიისადმი უარყოფითი და ნიჰილისტური განწყობა, ახლის დამკვიდრება შეუძლებელი იქნებოდა. ამასთან, ყველა ახალი მოძღვრება თავს იმკვიდრებს ძველის ადგილზე, როდესაც საზოგადოების უმრავლესობისათვის ძველი მოსაზრებები ან უკვე დისკრედიტირებულია, ან კიდევ მათ თავი აქვთ ამოწურული. ამ მიზნის განხორციელებისათვის შემუშავებულ იქნა მკაცრად განსაზღვრული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა.

სარწმუნოებრივი პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და მეტად საინტერესო ასპექტს წარმოადგენდა სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი, რადგან მასში თვალსაჩინოდ ვლინდება მთელი რიგი საყურადღებო არსობრივი მახასიათებლები, რომელთაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ სახელმწიფოს იდეოლოგიურ-პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, დიდ როლს ასრულებს საზოგადოების ცნობიერების ჩამოყალიბებაზე.

საბჭოთა ხელისუფლება ეკლესიის ისტორიული როლის დაკნინებას ანტირელიგიური კანონებისა და გადაწყვეტილებების მიღება-გამოცემით ცდილობდა. 1918 წლის 20 იანვარს გამოვიდა საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის) დეკრეტი „სინდისის თავისუფლების, საეკლესიო და რელიგიურ საზოგადოებების თაობაზე“. 1918 წლის 23 იანვარს გამოიცა საბჭოთა რუსეთის სახალხო საბჭოს მეორე დეკრეტი – „სახელმწიფოსგან ეკლესიის და ეკლესიიდან სკოლის გამოყოფის თაობაზე“,[2] რომლის მიხედვითაც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია გაუთანაბრდა რუსეთში არსებულ სხვადასხვა რელიგიურ თემებსა და ორგანიზაციებს. ამიერიდან რუსეთის ეკლესია სახელმწიფოსაგან არავითარ ფინანსურ დახმარებას აღარ

---

[1] **ქეთევან პავლიაშვილი.** საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია საქართველოში, გვ. 393-394.

[2] სკკპ ყრილობების, კონფერენციების და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. I. თბილისი: „სახელგამი“, 1954, გვ. 87.

მიიღებდა, ხოლო მისი ქონება გამოცხადდა „საერთო-სახალხო მონაპოვრად“. რელიგია, მათ შორის მართლმადიდებლობა, ითვლებოდა საბჭოთა რუსეთის მოქალაქეების პირად (კერძო) საქმედ. საეკლესიო ფიცის დადება გაუქმდა, ჯვრისწერამ დაკარგა იურიდიული ძალა, სასკოლო პროგრამებიდან ამოიღეს საღვთო სჯულის სწავლება. რელიგიურ თემებს დაუტოვეს უფლება, თავისი ხარჯით შეექმნათ სპეციალური რელიგიური სასწავლებლები, სადაც მორწმუნეები განათლების მიღებას შეძლებდნენ.

სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფა დაადასტურა საბჭოთა რუსეთის კონსტიტუციამ, რომელიც 1918 წლის 10 (23) ივლისს მიიღო სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობამ.[1]

ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ შესანიშნავად იცოდა, რომ, სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამიჯვნის შემთხვევაში, ამ უკანასკნელს პოლიტიკურ-იდეოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად დაასუსტებდა. გარდა ამისა, ამ გზით, შესაძლებელი იქნებოდა ჯერ საბჭოთა რუსეთში, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის ცალკეულ ერებში ეროვნული მისწრაფებების აღმოფხვრა, რომლის იდეური საყრდენიც ყოველთვის ეროვნული ინტერესებისათვის მებრძოლი ეკლესია იყო. კომუნისტური პარტიის მესვეურთათვის ცნობილი იყო, რომ ეკლესიის მრავალმხრივი მოღვაწეობა ფართო მასებში ეროვნული თვითშეგნების გაღვივება-გავრცელების საშუალებადაც გვევლინებოდა, რაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვანწილად უპირისპირდებოდა საბჭოთა ინტერნაციონალისტურ პოლიტიკას. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფას იგი მაქსიმალურად უნდა დაესუსტებინა და საბჭოთა წყობილებისათვის უსაფრთხო ელემენტად ექცია.

საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის მკვლევარმა სიმონ ფრეიზერის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის მიმართულების ასოცირებულმა პროფესორმა სონია ლუერმანმა (Sonja Luehrmann) საგანგებო ყურადღება მიაქცია ამ საკითხს და გამოთქვა ვარაუდი, რომ საბჭოთა ათეისტური პოლიტიკა თავისი არსით აგრესიულ სეკულარისტულ ხასიათს ატარებდა და მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი სწორედაც ეკლესიის იმდენად დასუსტება იყო, რომ იგი ერთ-ერთ ყველაზე სუსტ ინსტიტუციად ქცეულიყო.[2]

---

[1] **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული**. რუსეთის ეკლესიის ისტორია, ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 34.

[2] **Sonja Luehrmann**. Soviet Atheism and Its Aftermath. – *The Oxford Handbook of Secularism*. Edited by ***Phil Zuckerman*** and **John R. Shook**. Oxford University Press, 2017, გვ. 234.

საბჭოთა სარწმუნოებრივი პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო ღვთისმსახურების მნიშვნელოვანად შეზღუდვა და შემდეგ მისი სრული აკრძალვა, რადგან საზოგადოების ეს ნაწილი ხელისუფლებისათვის მოიაზრებოდა, როგორც განსაკუთრებით საშიში ძალა, რომელიც მთლიანად შეზღუდულ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, რადგან სამღვდელოება თითქმის ყოველთვის ქრისტიანულ მრწამსთან ერთად ეროვნულ იდეოლოგიას ქადაგებდა, რაც, თავის მხრივ, დიდწილად განსაზღვრავდა მოსახლეობის თვითმყოფადობის განმტკიცება-გაძლიერებას.

საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებით მძიმე ზეწოლას განიცდიდნენ ეკლესია-მონასტრები, მასიურად იხურებოდა ტაძრები და სახელმწიფოს საკუთრებაში გადადიოდა, მიმდინარეობდა ეკლესიის მსახურთა და მრევლის ურთიერთდაპირისპირება. ტაძრებიდან გამოტანილ იქნა წმინდა ნაწილები და ადგილობრივი მუზეუმების საცავებს გადაეცა, რადგან ისინი, კომუნისტების თვალსაზრისით, რელიგიურ ნაწილებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ კულტურულ-ისტორიულ ნივთებს. მათდამი ასეთი მიდგომა ფართოდ უნდა დანერგილიყო, რათა მოსახლეობაში სიწმინდეებისადმი მოწიწებული დამოკიდებულება შეცვლილიყო. ისტორიოგრაფიიდან კარგად არის ცნობილი, რომ მოწამეთას ეკლესიიდან, სასულიერო პირების პროტესტის მიუხედავად, წმ. დავითისა და კონსტანტინეს ნეშტები ამოასვენეს და გადაიტანეს ქუთაისში, სადაც ხალხს არწმუნებდნენ, რომ ისინი არავითარი წმინდანები არ იყვნენ. ათეისტურად განწყობილმა ბრბომ დიდმოწამეთა წმინდა ნაწილები ანტირელიგიური პროპაგანდისათვის გამოიყენა. საინტერესოა, რომ ამ მოვლენას წინ უძღოდა საქართველოში ცნობილი პარტიული მუშაკის, გ. ზინოვიევის ვიზიტი, რომელმაც საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მოუწოდა, ყოფილიყვნენ მოწინავეები. მათ განსაკუთრებით უნდა ეაქტიურათ ანტირელიგიურ ფრონტზე, რათა ამ გზით მოეხდინათ მოსახლეობის „დროული გამოღვიძება რელიგიური ბანგისაგან, რომელშიც ისინი საუკუნეების მანძილზე იმყოფებოდნენ“.[1] ბუნებრივია, აღნიშნული მოწოდება ხელისუფლებამ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და განსაკუთრებით გააქტიურა ბრძოლა. დავით და კონსტანტინეს წმინდა ნაწილებთან დაკავშირებული საკითხი იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი და საინტერესო, რომ თავის თავში ორ მიმართულებას აერთიანებს, კერძოდ, მოხდა ამ მოვლენის როგორც პრესის ფურცლებზე მაქსიმალუ-

[1] ამხანაგ ზინოვიევის ჩამოსვლა. // გაზ. *„კომუნისტი“*, №17, 1923წ. 25 იანვარი, გვ. 1.

რად ფართოდ გაშუქება, ისე აქტიური გამოყენება აგიტაცია-პროპაგანდაში.[1]

საკითხის მნიშვნელობას ისიც ადასტურებს, რომ მას საგანგებოდ შეეხო და ანტირელიგიური მუშაობის ერთგვარ მაგალითადაც წარმოაჩინა სერგო ორჯონიკიძემ, რომელმაც ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა მეორე ყრილობას მოახსენა: „ახალმა ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოში ანტირელიგიური კამპანია გაშალა. გადავდგით ასეთი ნაბიჯი: საქართველოში ქუთაისის ახლოს, მოწამეთას მონასტერში იყო წმინდანთა ნაწილები. ქუთაისელებმა შეკრიბეს ყველა მაზრიდან მოხუცი გლეხები, სამღვდელოება, გლეხები, ექიმები. გახსნეს ეს ნაწილები და აღმოჩნდა ფერფლად ქცეული ძვლების გროვა. ჩამოიტანეს ეს ძვლები ქუთაისში და პროფკავშირთა საბჭოს შენობაში დაასვენეს. ამან გლეხებზე კოლოსალური შთაბეჭდილება დატოვა“.[2]

საბჭოთა ხელისუფლების აღნიშნული კამპანია, მოსახლეობის ფართო ფენებში რელიგიური რწმენა-წარმოდგენების მაქსიმალურად დამცირებასთან ერთად, მიზნად ისახავდა მრევლის დაშინებას. ამის პარალელურად უმკაცრესად იბეგრებოდა სამღვდელოება, ნადგურდებოდა და საშენ მასალად გამოიყენებოდა ტაძრები, იძარცვებოდა ეკლესიები სამღვდელო შესამოსლისა და საეკლესიო ინვენტარისგან, განსაკუთრებული სისასტიკით იდევნებოდნენ სასულიერო პირები.[3]

საბჭოთა სარწმუნოებრივი პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო საეკლესიო ორგანიზაციისა და სასულიერო კრებულის დისკრედიტაცია, რაც, თავის მხრივ, მოსახლეობის ფართო ფენებში ეკლესიისა და სამღვდელოებისადმი ტრადიციული მოკრძალებულ-მოწიწებული დამოკიდებულების დაკნინების პარალელურად, მიზნად ისახავდა ეკლესიისა და რელიგიის ისტორიული ავტორიტეტის დასუსტებას. აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებული როლი მიენიჭა პრესას, რომლის ფურცლებზეც ხშირად იბეჭდებოდა ეკლესიის საწინააღმდეგო, შეურაცხმყოფელი მასალები.

საბჭოთა ლენინ-ტროცკისეული სარწმუნოებრივი პოლიტიკის მიხედვით უნდა მომხდარიყო ეკლესიისაგან ახალგაზრდობის სრული ჩამოშორება, რათა ამ გზით

---

[1] **აქვსენტი შანიძე.** მოწამეთის „უხრწნელი“ ნაშთების გახსნა: სამღვდელოების ბნელ საქმიანობათა გამოსააშკარავებლად. // გაზ. *„კომუნისტი“*, №42, 1923წ. 23 თებერვალი, გვ. 4; მოწამეთის მონასტრის „წმინდანები“. // გაზ. *„კომუნისტი“*, №45, 1923წ. 27 თებერვალი, გვ. 2-3.

[2] **გრიგოლ ორჯონიკიძე.** რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა II ყრილობას. – *სტატიები და სიტყვები ორ ტომად.* ტომი 1. 1910-1926 წწ. თბილისი: „სახელგამი“, 1957, გვ. 356.

[3] **ქეთევან პავლიაშვილი.** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, გვ. 443.

მიღწეულიყო ათეისტურად მოაზროვნე თაობის აღზრდა-ჩამოყალიბება, რადგან რეალურად ახალი ადამიანის იდეა მომავალ თაობაში უნდა განხორციელებულიყო, რომელიც შემდგომში, თავის მხრი, უზრუნველყოფდა ათეისტური სახელმწიფოს წარმატებით მშენებლობას.

სარწმუნოებრივი პოლიტიკის აქტიურად და შედეგიანად გატარების მიზნით, საბჭოთა მთავრობა აქტიურად იყენებდა საჯაშუშო ქსელს, რათა სრული ინფორმაცია და წარმოდგენა ჰქონოდათ ეკლესიის ორიენტაციასა და სამღვდელოების საქმიანობაზე. ინფორმაციის გამოვლენის პარალელურად, სახელმწიფო სტრუქტურების აგენტები ეწეოდნენ მიზანმიმართულ პროვოკაციებსა და გამომწვევ საქმიანობას სამღვდელოებისა და მრევლის ურთიერთდაპირისპირებისათვის, რასაც განსაკუთრებით ხშირად ჰქონდა ადგილი საეკლესიო დღესასწაულების დროს,[1] რაც პროვოკაციის შესანიშნავი საშუალება იყო.

ლენინ-ტროცკის ანტისაეკლესიო პროგრამის ამოქმედებისათვის ხელსაყრელ გარემოებად იქცა მრავალპოლიტიკურ კატაკლიზმებგავლილი, უმძიმეს მატერიალურ სიდუხჭირეში მყოფი რუსეთის სახელმწიფო. შემდგომში ეს პროგრამა გავრცელდა იმ ქვეყნებზეც, რომლებიც იძულების წესით აღმოჩნდნენ საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში.[2]

საბჭოთა ხელისუფლების ანტისაეკლესიო პოლიტიკის კიდევ ერთ დადასტურებას წარმოადგენდა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 23 თებერვლის დეკრეტი, რომელიც საეკლესიო ქონების ამოღებას ითვალისწინებდა.[3] საბჭოთა ხელისუფლება აცხადებდა, რომ ეკლესიიდან გატანილი ფასეულობები (ძირითადად ოქროსა და ვერცხლის საეკლესიო ნივთები, ძვირფასი თვლები და სხვა.) იმ რეგიონების მოსახლეობის გადასარჩენად იყო გამიზნული, სადაც შიმშილი მძვინვარებდა და ასიათასობით ადამიანი იღუპებოდა. სინამდვილეში ეკლესიებიდან გატანილი ფასეულობის ერთი მეათედიც არ ყოფილა გამოყენებული მოშიმშილეთა გადასარჩენად. ეკლესიებიდან გატანილი ოქროსა და ვერცხლის ნივ-

---

[1] **მედეა ბენდელიანი**. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილილის გამომცემლობა, 2002, გვ. 33.

[2] **ქეთევან პავლიაშვილი.** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, გვ. 442.

[3] Протокол №1 совещания в ГПУ о проведении кампании по изъятию церковных ценностей. // Политбюро и церковь. 1922-1925 гг. В 2-х кн. Кн. 1. Издание подготовили: **Н. Н. Покровский, С. Г. Петров**. Новосибирск: «Сибирский хронограф», Москва: «Российская политическая энциклопедия» (РОССПЭН), 1997, გვ. 115.

თები თუ ძვირფასი თვლები სამხედრო-პოლიტიკური მიზნებისთვის იქნა გამოყენებული.[1] აღნიშნული იდეა ეკუთვნოდა ლევ ტროცკის, რომელიც „სახელმწიფოს საჭიროების მიზნით“ „ამართლებდა“ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის აღნიშნულ მიდგომას. ეს დეკრეტი შესანიშნავი პროვოკაციული გეგმა აღმოჩნდა სასულიერო იერარქიასთან დაპირისპირებისათვის, რადგან სამღვდელოებამ და მრევლმა ეკლესიებიდან ფასეულობათა გატანას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. მათი წინააღმდეგობა საბჭოთა ხელისუფლებამ საბოტაჟად მიიჩნია. რუსეთის ყველა რეგიონში ათასობით სასულიერო პირი და მორწმუნე მხეცურად მოკლეს უშუალოდ ეკლესიებსა და მონასტრებში. დაპატიმრებულ იქნა ათიათასობით სასულიერო და საერო პირი.[2]

1922 წელს, რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო ტროცკის წინადადება საეკლესიო საქმესთან კავშირში სისრულეში მოეყვანა სიკვდილით დასჯის განაჩენი ათასობით სასულიერო პირის მიმართ, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა ციხეებში იხდიდნენ სასჯელს, როგორც „ხალხის მტრები“.[3]

ხელისუფლება მკაცრი და უკომპრომისო პოლიტიკის მეშვეობით ცდილობდა ქვეყანაში ანტირელიგიური ფსიქოზი გამოეწვია. მოსახლეობა მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო დაშინებული, რომ თავისი პროტესტი ხმამაღლა არ გამოეხატა აქტიურად მიმდინარე ანტისარწმუნოებრივი და ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ. მმართველმა ძალამ იმთავითვე გაიაზრა, რომ საკუთარი მიზნების მაქსიმალურად ზუსტი განხორციელებისთვის აუცილებელი იყო საზოგადოების ტერორი, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა ხალხის ემოციურ დათრგუნვას. სწორედ ამიტომ, ეკლესია-მონასტრების დახურვა-ნგრევა საეკლესიო დღესასწაულების დროს მიმდინარეობდა, რათა მას მეტი სიმძაფრე შეეტანა საზოგადოების მენტალობაში. აღნიშნული პოლიტიკა უშუალოდ უკავშირდება ლევ ტროცკის ე.წ. „მკაცრი ხელის“ პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც საზოგადოებისთვის მოდუნების საშუალება არ უნდა არსებულიყო.

ათეისტური იდეოლოგია უნდა გამხდარიყო აბსოლუტურად ყოვლისმომცველი და მას უნდა შეძლებოდა მოსახლეობაში პარტიული დარაზმულობისთვის ხელშეწყობა. კომუნისტების დროს ათეიზმი წარმოგვიდგებოდა, როგორც ერთიანი სახელ-

---

[1] **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული**. რუსეთის ეკლესიის ისტორია, ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 37.

[2] **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული**. რუსეთის ეკლესიის ისტორია, ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 38.

[3] **ქეთევან პავლიაშვილი.** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, გვ. 443-444.

მწიფოებრივი იდეოლოგია, რომელიც თავისი მსოფლგაგებიდან სრულიად გამორიცხავდა რელიგიურ წარმოდგენებს. აცხადებდა რა მათ დრომოჭმულ, არამეცნიერულ შეხედულებებად, რომლის აღმოფხვრაც დროთა განმავლობაში გარდაუვლად უნდა მომხდარიყო, განსაკუთრებული დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობდა ანტისარწმუნოებრივი იდეოლოგიის სამეცნიერო აზროვნებაშიც გავრცელება, რათა „მეცნიერული" დასაბუთება მისცემოდა საბჭოთა ათეისტურ პოლიტიკას.

1922 წლიდან საბჭოთა სახელმწიფოს ეკლესიისადმი დამოკიდებულება რამდენადმე გადაისინჯა. მხედველობაში გვაქვს სტალინური საეკლესიო პოლიტიკა, რომელიც უფრო ფრთხილი, წინდახედული და, გარკვეულწილად, ეკლესიისადმი კომპრომისული თვისებებითაც ხასიათდება.[1] საქმე იმაშია, რომ იოსებ სტალინი შესანიშნავად აცნობიერებდა, თუ რა ორმხრივ სასარგებლო და მომგებიანი იქნებოდა ეკლესიისადმი ზომიერი და გააზრებული მიდგომა. მან (იგულისხმება იოსებ სტალინი) ძალიან კარგად იცოდა, რომ სახელმწიფოებრივი განვითარების ნებისმიერი ასპექტი დიდწილად ეკლესიასთან თანამშრომლობაზე იყო დამოკიდებული, რადგან მიუხედავად ლენინ-ტროცკის ინიციატივით გატარებული მანამდე არნახული საეკლესიო რეპრესიებისა და ანტისარწმუნოებრივი პროპაგანდისა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი რელიგიური მრწამსისადმი დიდ ლოიალობასა და ნდობას ამჟღავნებდა.[2] სწორედ ამით იყო განპირობებული საეკლესიო-სარწმუნოებრივი პოლიტიკის მნიშვნელოვანი გადასინჯვა და ამ პოლიტიკის ერთგვარი ევოლუციური განვითარება. სწორედ იოსებ სტალინის მიერ მოხდა ეკლესიის ფუნქციის გააზრება და მისი საბჭოთა ინტერესების გამოყენებისათვის მუშაობის გაშლა. საბჭოთა ხელისუფლების უპირველესი ამოცანა იყო საბჭოური ავტორიტარული სისტემის შექმნა, რომელსაც ეკლესია ხელს კი არ შეუშლიდა, არამედ, პირიქით, მისი იდეოლოგიის დამცველ-გამტარებელი იქნებოდა საბჭოთა საზოგადოებაში. აშკარა იყო, რომ ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ ამ უკანასკნელს გაეწია საბჭოური სისტემის პროპაგანდა მასებში.[3]

---

[1] **ქეთევან პავლიაშვილი.** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, გვ. 444.

[2] **Daniel H. Shubin**, A History of Russian Christianity, Volume IV. New-York: Agora Publishing, 2006, გვ. 36; **Christel Lane**. Christian Religion in the Soviet Union: A Sociological Study. New York: State University of New York Press, 1978, გვ. 103-154.

[3] **ქეთევან პავლიაშვილი.** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, გვ. 445-446.

სტალინის მიერ შემუშავებული ახალი სარწმუნოებრივი პოლიტიკა წინააღმდეგობაში მოდიოდა და მკვეთრად უპირისპირდებოდა ტროცკის სურვილს ეკლესიის მაქსიმალური დამცრობისაკენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1923-25 წლებში სტალინის მიერ ეკლესიის განადგურების საწინააღმდეგო ბრძანებებს ტროცკი ბლოკირებას უკეთებდა. აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ ის, სტალინის გენერალურ მდივნად ყოფნის მიუხედავად, ჯერ კიდევ სერიოზულ ძალაუფლებას ფლობდა ხელისუფლებაში.[1]

აღნიშნულს სტალინი ფართო იდეოლოგიური კამპანიით გამოეხმაურა, რომლის მიზანიც საზოგადოების ფართო მასებში ტროცკისა და მისი დაჯგუფების ხელისუფლებიდან ჩამოშორება და არნახული დისკრედიტაცია იყო. საყურადღებოდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ანტიტროცკისტულ ღონისძიებებში, რაც ამ პიროვნების წინააღმდეგ გამართულ კამპანიაზე აისახა, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სასულიერო პირებიც, რომლებიც მოსახლეობაში ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდნენ. სასულიერო კრებულის მონაწილეობა ამგვარ ღონისძიებებში გამოიხატებოდა პრესის ფურცლებზე ტროცკის საწინააღმდეგო პუბლიცისტური წერილების გამოქვეყნებაში.[2]

საბჭოთა სარწმუნოებრივი პოლიტიკის მნიშვნელოვანი ცვლილება დაკავშირებულია ეკლესიაში „განმაახლებლური“ მოძრაობის დაწყებაში, რომელიც მიზნად ეკლესიის საბჭოთა იდეოლოგიური მანქანის შემადგენელ ნაწილად გახდომას ისახავდა. აღნიშნული მოქმედებების შედეგად, საეკლესიო ინსტიტუტი დამცირება-განადგურებას გადაურჩა; მეტიც, მან შეიძინა ფუნქცია, რომლის თანახმადაც იგი საბჭოთა სისტემის ნაწილი უნდა გამხდარიყო. „განმაახლებლური“ მოძრაობის პარალელურად, დაიწყო დანგრეულ-განადგურებული ეკლესია-მონასტების მშენებლობა და რესტავრაცია. მოსახლეობაში მნიშვნელოვნად შესუსტდა ათეისტური აგიტაცია-პროპაგანდა.

„განმაახლებლური“ მოძრაობის მეშვეობით საბჭოთა ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეძლო კომუნისტური რეჟიმის მხარდამჭერი სამღვდელოების ჯგუფის შექმნა, რომელიც ტრადიციული ეკლესიის სასულიერო კრებულს აქტიურად დაუპირისპირდა და საზოგადოების ფართო ფენებში სოციალიზმის იდეოლოგის ფუნქცია სრუ-

---

[1] **ქეთევან პავლიაშვილი.** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, გვ. 445-446.

[2] **И. Старотонов**. Русская церковная смута (1921-1931). // *Из истории христианской церкви на родине и за рубежом в XX столетии*. Кн. 5. Москва, 1995, გვ. 29-172.

ლად იტვირთა. აღნიშნულის პარალელურად, საბჭოთა ხელისუფლებამ მას სრული თანადგომა გამოუცხადა, კერძოდ, მოდერნიზაციის მომხრე სამღვდელოებას ჰქონდა თავისი ოფიციალური სასულიერო გამოცემები, სასწავლებლები და გამომცემლობა.[1]

ქართულ სინამდვილეში „განმაახლებლური“ მოძრაობა შეისწავლა ისტორიკოსმა ირინა არაბიძემ.[2] აღნიშნული საკითხი ჩვენი კვლევის ობიექტი არ არის, ამიტომ მასზე არ შევჩერდებით.

საბჭოთა საეკლესიო პოლიტიკის საქართველოზე გავრცელება რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ მალევე დაიწყო. ხელისუფლების სათავეში მოსულმა ბოლშევიკურმა მთავრობამ აქტიური ბრძოლა გამოუცხადა ქართულ ეროვნულ ფასეულობებს. ისინი აშკარად დაუპირისპირდნენ ყველა ძველ სტერეოტიპს, რის გამოც საბჭოთა სივრცეში შესულ სხვადასხვა ხალხებს მოუწიათ ეროვნულ ღირსებაზე უარის თქმა. ძველ სტერეოტიპებს შორის უკიდურეს შეზღუდვას ეროვნული რელიგიები განიცდიდნენ. კომუნისტებმა უარყვეს ზოგადად რელიგია და თავად კომუნიზმი გამოაცხადეს რწმენის ახალ სახეობად.[3]

საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება ფორმალურად შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებლად. რეალურად იგი საბჭოთა რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების ნება-სურვილის განმახორციელებელი იყო და მის მიერ მიღებული კონკრეტული დადგენილება-გადაწყვეტილებების ზედმიწევნითი სიზუსტით შესრულებისათვის ძალ-ღონეს არ იშურებდა.

ქართული პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება არასოდეს შეგუებია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას და ყოველთვის აქტიურად იბრძოდა ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნებისათვის. ბუნებრივია, აღნიშნულ ბრძოლაში ქართული საზოგადოებრიობის გვერდით ყოველთვის იდგა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, რომელიც უაღრესად რთულ პოლიტიკურ ვითარებაშიც კი მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებდა მოსახლეობის

---

[1] **ქეთევან პავლიაშვილი.** საბჭოური იდეოლოგიის ფორმირება და საეკლესიო მოძრაობა. *ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი*, №VIII, 2008, გვ. 58-67; **ირინა არაბიძე**. „განახლების მოძრაობა" რუსეთის ეკლესიაში XX საუკუნის 20-იან წლებში: (ბროშურის "Что такое обновленчество" მიხედვით). // *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, №1 (9), 2011, გვ. 268-281.

[2] **ირინა არაბიძე.** „განახლების მოძრაობა“ საქართველოს ეკლესიაში XX ს. 20-30-იან წლებში. დისერტაცია წარდგენილი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2005.

[3] **ქეთევან პავლიაშვილი.** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, გვ. 439.

სულიერ გამხნევება-გაძლიერებას. საბჭოთა პირობებში კი მათ, აღნიშნულთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი საეკლესიო ორგანიზაციის გადარჩენისთვის უნდა ებრძოლათ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გასაბჭოების წინ საკმაოდ ძლიერ და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა. მართალია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-21 წწ.) სარწმუნოებრივი პოლიტიკა ლოიალურობით და ხელშეწყობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ხელისუფლება მიზანმიმართულ დევნა-შევიწროებას არ მიმართავდა, რამაც ხელი შეუწყო ახლად ავტოკეფალიაგამოცხადებული ეკლესიის ორგანიზაციულ რესტავრაციას.

1921 წლის 15 აპრილს საქართველოს რევკომმა №21 დეკრეტით მიიღო დადგენილება „სახელმწიფოსგან ეკლესიისა და ეკლესიისგან სკოლის გამოყოფის“ შესახებ. დადგენილების მუხლებში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ თითოეული პიროვნების საქმეა იწამოს ან არ იწამოს ესა თუ ის რელიგია; რომ სარწმუნოება არავითარ უპირატესობას არ ანიჭებდა არავის; რომ სკოლა გამოყოფილია ეკლესიისგან; რომ საერო სასწავლებლებში იკრძალებოდა საღვთო სჯულის სწავლება. განსაკუთრებით საგანგაშო იყო დადგენილების მე-14 და მე-15 მუხლები: „არცერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ ორგანიზაციას არ აქვს უფლება იქონიოს საკუთრება. მათ არ აქვთ იურიდიული პიროვნების უფლება საქართველოს რესპუბლიკაში. არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთვნილებად“.[1] აღნიშნული დადგენილება ფაქტობრივად ანალოგს წარმოადგენდა 1918 წლის 20 იანვრის საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის) დეკრეტისა „სინდისის თავისუფლების, საეკლესიო და რელიგიურ საზოგადოებების თაობაზე“ და 1918 წლის 23 იანვრის საბჭოთა რუსეთის სახალხო საბჭოს დეკრეტისა „სახელმწიფოსგან ეკლესიის და ეკლესიიდან სკოლის გამოყოფის თაობაზე“, რომლის მიხედვითაც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია გაუთანაბრდა რუსეთში არსებულ სხვადასხვა რელიგიურ თემებსა და ორგანიზაციებს. ცხადი გახდა, რომ ბოლშევიკური იდეოლოგიის გავრცელება ქვეყნის მასშტაბით შედეგად მოიტანდა არამარტო ეროვნული თავისუფლების იდეის დაკნინებას, არამედ ქართული ეროვნული მენტალობის სრულ დასამარებას.

[1] საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ პრეზიდიუმის ბრძანებულებათა ქრონოლოგიური კრებული. ტომი 1. 1921-1940 წწ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 10-13.

1921 წლის 1-5 სექტემბერს გამართულმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის III საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აკურთხა ჭყონდიდელ-ბედიელი ეპისკოპოსი ამბროსი (ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია). მან ზუსტად განსაზღვრა თავისი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება – ებრძოლა საქართველოს ეკლესის გადარჩენისა და საქართველოს ეროვნული თვითმყოფადობისათვის.

აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებით გამძაფრდა ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ, დაიწყო ხუროთმოძღვრების ძეგლების განადგურება, მათი მასიური ბარბაროსული ნგრევა, ხატების და ფრესკების დაზიანება, საეკლესიო განძეულის დატყვევება, ჯვრების ჩამოხსნა ეკლესიის გუმბათებიდან. გაძლიერდა ბრძოლა ყოველგვარი ეროვნულის წინააღმდეგ, რადგან, როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლებას განსაკუთრებული დამოკიდებულება და პოლიტიკა ჰქონდა შემუშავებული ცალკეული რესპუბლიკებისადმი, მათ შორის, ცხადია, საქართველოსადმიც, რაც იმით განისაზღვრებოდა, რომ მათი ერთიან საბჭოთა სივრცეში გაერთიანება მოხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდებოდა ეროვნული მენტალობის ან მაქსიმალურად მძიმე, გაუსაძლის მდგომარეობაში ჩაყენება, ან კიდევ მისი სრული განადგურება. ეროვნული ეკლესია ისტორიულად ეროვნული თვითშეგნების დამცველად და ერთ-ერთ უმთავრეს იდეოლოგად გვევლინებოდა, რის ნათელ დადასტურებასაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მენტალობას განსაზღვრავდა და მის სიძლიერეს დიდწილად განაპირობებდა. სწორედ ამიტომ მიაჩნდათ კომუნისტებს აუცილებლობად ეკლესიის სამაგალითო დასჯა, რადგან მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ მისი დაკნინების გზით მოსახლეობაში მოხდებოდა ეროვნული თვითშეგნების მაქსიმალური დეგრადირება.

ხელისუფლების პოლიტიკის მასშტაბურობას ადასტურებს ანკეტა, რომელიც 1923 წელს დაეგზავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტს. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული თვალსაჩინო წარმოდგენას გვიქმნის მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე.

აღნიშნულ ანკეტაში არსებულ კითხვებზე: „1. მაზრა. 2. რამდენი ეკლესიაა მაზრაში/სამლოცველოები, მეჩეთები/ეკლესია-მონასტრები, მათ შორის ა) ქალაქში; ბ)

სოფლებში; გ) მომქმედი; დ) არ მომქმედი. 3. რამდენი ეკლესია დაკეტეს თვით მცხოვრებლებმა ა) ქალაქში; ბ) სოფლებში; გ) მომქმედი; დ) არ მომქმედი. 4. რამდენი ეკლესია დარჩა დაუკეტავი ა) ქალაქში; ბ) სოფელში. 5. რამდენი მონასტერია მაზრაში. 6. რამდენი მონასტერია დაკეტილი ა) მამაკაცების; ბ) ქალების. 7. რამდენმა მღვდელმა და მღვდელთმსახურმა დატოვეს ეკლესია. 8. რამდენი მღვდელმსახური აღიკვეცა თავისი სურვილით. 9. რამდენი იყო აღკვეცილი ძალდატანებით. 10. რამდენი მღვდელმსახურია მაზრაში, რომელიც აშკარად გამოდის სარწმუნოების წინააღმდეგ. 11. რამდენი ეკლესიაა აქტიურად გადაკეთებული კლუბებათ, წიგნთ-საცავებათ და სხვა კულტურულ დაწესებულებათ. 12. რამდენ ექსცესებს ჰქონდა ადგილი ანტირელიგიოზურ პროპაგანდის დროს ან და რამდენი საწინააღმდეგო გამოსვლებს მორწმუნეთა მხრიდან. 13. სწარმოებს თუ არა ღვთის მსახურება კერძო სახლებში ეკლესიების დახურვის შემდეგ. 14. ხდება თუ არა გასვენება, ნათვლა და სხვა წესი უღვდლოთ“.[1] პასუხებით ხელისუფლება შეძლებდა, სრული წარმოდგენა შეჰქმნოდა, თუ რა მდგომარეობა არსებობდა მთელი ქვეყნის მასშტაბით რელიგიური თვალსაზრისით.

1923 წლის 23 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება საეკლესიო განძეულობის გამოყენების შესახებ, სადაც მითითებული იყო: „1. დახურული ეკლესიების მთელი საეკლესიო ქონება არის ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში; 2. ამ ქონების ის საეკლესიო განძეულობა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, დაცული იქნას სახალხო განათლების სამუზეუმო დაწესებულებათათვის გადასაცემად; 3. დანარჩენი საეკლესიო განძეული შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ. თითოეულ შემთხვევაში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით, უმთავრესად ადგილობრივი გლეხების საჭიროებისათვის“.[2]

ანტირელიგიურმა პოლიტიკამ საქართველოს ეკლესიის მსახურთა უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი მასობრივად ჩაებნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. 1924 წლის აგვისტოს აჯანყებულები მოითხოვდნენ სარწმუნოების თავისუფლებასაც. აჯანყებაში საეკლესიო საკითხის მნიშვნელობაზე ნათლად მეტყველებს სა-

[1] ანკეტა ანტი-რელიგიური პროპაგანდისათვის. შსს საარქივო სამმართველოს II განყოფილება, ფონდი №14, აღწერა №1, საქმე №838, ფურც. 66.

[2] საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ პრეზიდიუმის ბრძანებულებათა ქრონოლოგიური კრებული, ტ. 1, გვ. 41.

ქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სამეგრელოს ორგანიზაციის მიერ მოსახლეობაში გავრცელებული პროკლამაცია, რომელშიც ბოლშევიკების მიერ ჩადენილ სხვადასხვა დანაშაულებებთან ერთად აღნიშნულია ისიც, რომ „მან (კომუნისტური ხელისუფლება – მ.ქ.) დახურა და გაძარცვა ათას ოთხასი ეკლესია; ზოგი მათგანი სრულიად დაანგრია, ზოგიც სათეატრო სახლად და კლუბად გადააკეთა და ზოგიც სხვა არამედ, რითაც დასჭირდებოდა. მან სამასხარაოთ და ქუჩის ბიჭების დასაცინად გახადა სარწმუნოება. ეკლესიის მსახურნი, ვინც კი გაბედა სარწმუნოების გამოქომაგება, გაკრიჭა, ციხეში ჩაყარა კათალიკოსიანათ, ციხის გარეთ დარჩენილი მღვდლები აიძულეს მღვდელ-მოქმედებაზედ ხელი აეღოთ და ძალად გაკრიჭეს. ამავე დროს ყველა ეს სისაძაგლე დააბრალეს ხალხს, განაცხადეს რა თავიანთ ყრილობებზე – ეკლესიები ხალხმა დახურაო“.[1]

1924 წლის აჯანყებაში საეკლესიო საკითხის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ნაწყვეტი აჯანყებულთა ერთ-ერთი აქტიური წევრის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის – იასონ ჯავახიშვილის – ჩვენებიდან: „ახალმა ძალაუფლებამ (ბოლშევიკური ხელისუფლება მ. ქ.) დაიწყო ექსპერიმენტები ქართული ეკლესიის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ გამოაცხადეს სინდისის თავისუფლება, დაიწყეს ჩვენი რელიგიის უდიერად დევნა. ძალით დაჰკეტეს ქართული ეკლესიები, რიცხვით თვით გაზეთ „კომუნისტის“ ცნობით 1500, დაუკეტავი დარჩა არაუმეტეს 15-ისა. აიძულებდნენ მღვდლებს გაკრეჭილიყვნენ, არ გვაკმარეს, შეურაწყვეს საფლავი დავითისა და კონსტანტინესი, რომელნიც იყვნენ, არამარტო საეკლესიო, არამედ ეროვნული გმირები: ამით შეაგინეს ჩვენი ეროვნული გრძნობა. რად მიმართავდა ხელისუფლება რეპრესიებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ? იმიტომ, რომ სარწმუნოება არ ეგუება კულტურას? საფრანგეთი, ინგლისი ჩვენზე კულტურული ერებია, მაგრამ სარწმუნოებისათვის იქ ხელი არ უხლიათ. საბჭოთა ქვეყნები? აზერბაიჯანში არც ერთი მოზაკი არ არის დახურული, სომხეთიც, როგორც ჩანს მანოვსკის წიგნიდან „სომხური პოლიტიკური პარტიები საზღვარგარეთ“, დაკეტილია მხოლოდ რამდენიმე ეკლესია, საბჭოთა რუსეთში კი თითქმის ყველა ეკლესია ღიაა და გარდა

[1] **რევაზ ლომინაძე**. 1924 წლის აჯანყების დოკუმენტი. // *„პოლიტიკა“*, №8, 1991, გვ. 63-65; **ლევან ჯიქია**. 1924 წლის აჯანყება საქართველოს რეგიონებში (სამეგრელო). თბილისი: „უნივერსალი“, 2009, გვ. 28-29.

ამისა იქ სემინარიაცაა, რომელშიც მღვდლებს ამზადებენ.[1] არ შეიძლება ამ დევნას რაიმე ნორმალური მოჰყოლოდა, მერე რას მიაღწიეს ამით? ქართველმა ერმა ქართული ეკლესიის დევნით დაინახა ვოსტორგოვის მოვლინების საფრთხე და მართლაც რუსეთის „ცოცხალი ეკლესია“ შეეცადა კვლავ გაეერთიანებინა და საქართველოს ეკლესია გამოეცხადებინა თავის ეპარქიად“.[2]

1924 წლის აჯანყებაში საეკლესიო საკითხს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო ხელისუფლების მხრიდან გატარებული ანტირელიგიური და ანტიეროვნული პოლიტიკით, რომელიც ბუნებრივ აღშფოთებას იწვევდა ქართველ საზოგადოებაში, როგორც საერო, ასევე სასულიერო ფენებში.[3] სწორედ, ამიტომ „1924 წლის ამბოხების ერთ-ერთი სერიოზული მომხრე და დასაყრდენი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია იყო“.[4]

ამ აჯანყებიდან კომუნისტურმა პარტიამ გარკვეული დასკვნები გამოიტანა. საქართველოს ცაკმა 21 ნოემბრის დადგენილებით გააუქმა ყველა ძველი ინსტრუქცია და დადგენილება რელიგიის საკითხებზე და მიიღო ახალი, რაც სრულიადაც არ ნიშნავდა უკანდახევას. პირიქით, ის მოუწოდებდა პარტიულებს და კომკავშირლებს მეტი სიფრთხილისა და წინდახედულობისაკენ, გამოცდილების გამოყენებისაკენ, ჩადენილი შეცდომების არდავიწყებით, განეგრძოთ თავდაუზოგავი ბრძოლა ღმერთის, ეკლესიის, რელიგიური დღესასწაულების, ქელეხებისა და „ცრურწმენათა“ წინააღმდეგ.

1921-1925 წლებში გაზეთები: „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ახალი სოფელი“, „ფუხარა“, „სოფლის კომუნისტი“ და ა.შ., – სისტემატურად აქვეყნებდნენ როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ სტატიებს, წერილებსა და

---

[1] ცხადია, ამას იასონ ჯავახიშვილი საქართველოში არსებული სიტუაციის გასამძაფრებლად აღნიშნავს, რადგან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა ხელისუფლება ასევე მკაცრად დაუპირისპირდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასაც.

[2] იასონ ჯავახიშვილის ჩვენება სრული სახით პირველად გამოქვეყნდა ემიგრანტულ ჟურნალში „გუმბათი“ (იხ.: იასონ ჯავახიშვილის სიტყვა წარმოთქმული უზენაეს სასამართლოში. *გუმბათი*, №4. პარიზი, 1984, გვ. 24-49). იგი ასევე დაიბეჭდა ნესტან კირთაძის მიერ გამოცემულ დოკუმენტების კრებულში (იხ.: **ნესტან (ელისაბედ) კირთაძე**. კაენ, სად არის ძმა შენი?! ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930წწ). თბილისი: „მერანი“, 1998, გვ. 77-102). მოცემული მონაკვეთი ასევე გამოქვეყნდა რევაზ გრძელიძის ნაშრომში (იხ.: **რევაზ გრძელიძე.** 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1992, გვ. 46-47).

[3] **მიხეილ ქართველიშვილი**. საეკლესიო საკითხი 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში. //*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, IV. თბილისი: „მერიდიანი“, 2011, გვ. 330.

[4] **ლელა სარალიძე**. 1924 წლის აჯანყება და ქართველი სამღვდელოება. *ჩვენი სულიერების ბალავარი: VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი, 13-14 მაისი, 2016.* თბილისი: „უნივერსალი“, 2016, გვ. 276-285.

კარიკატურებს ანტირელიგიურ თემებზე, რომლებიც უმეტესწილად დაწერილი იყო მდარე დონეზე.

ანტირელიგიური კამპანიის მასშტაბურობას ადასტურებს პროფესორ სერგო ვარდოსანიძის მიერ მოყვანილი მონაცემები, რომლის მიხედვითაც „1923 წლის აპრილში თბილისის მაზრაში დაიკეტა 48, ქუთაისში 160, სენაკში 148, შორაპნის მაზრაში 148, ოზურგეთის მაზრაში 130, რაჭაში 117, ლეჩხუმში 78, გორის მაზრაში 78, ზუგდიდის მაზრაში 75, სიღნაღის მაზრაში 65, ცხინვალის ზონაში 60 ეკლესია“.[1] იგი ასევე აღნიშნავს იმასაც, რომ ეკლესიის წინააღმდეგ მიმდინარე „მასობრივი დევნა-შევიწროვების შედეგი ის იყო, რომ თუ 1921 წელს საქართველოში 1450 მოქმედი ეკლესია იყო და ღვთისმსახურებას ეწეოდა 1600 კაცი. 1931 წლისათვის მოქმედ ეკლესიათა რაოდენობა შემცირდა 350-მდე, ხოლო ღვთისმსახურთა 300-მდე. 25 მოქმედი მონასტრიდან დარჩა 5“.[2]

ხელისუფლებას აქტიურად დაუპირისპირდა კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, რომელიც თავის ქადაგებებში ამხელდა კომუნისტების ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს. პატრიარქ ამბროსის ბრძოლის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს მის მიერ გენუის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებისთვის გაგზავნილი მემორანდუმი, სადაც თვალნათლივი ასახვა ჰპოვა იმ უმძიმესმა მდგომარეობამ, რომელიც საქართველოში საბჭოთა წყობის დამყარების შემდეგ დადგა. კათოლიკოს-პატრიარქი თავის მიმართვაში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ კომუნისტური ხელისუფლების მმართველობის დროს „მახინჯდება წინაპართა მიერ შექმნილი ეროვნული კულტურა, შეურაცხყოფენ იმასაც კი, რაც ხალხისთვის ყველაზე ძვირფასია – რწმენას და სინდისის თავისუფლების ნიღბით უკრძალავენ თავისი რელიგიური მოთხოვნილებების თავისუფლად დაკმაყოფილებას... სამღვდელოებას უმოწყალოდ სდევნიან. ეკლესია, რომელიც ამდენი საუკუნის მანძილზე კვლავაც ქართული სახელმწიფოს დიდებისა და ძლიერების მთავარ ფაქტორს წარმოადგენს, წართმეული აქვს ყველა უფლება, იმდენად, რომ მიუხედავად მისი შრომისა, მოკლებულია საარსებო საშუალებების მოპოვების შესაძლებლობას“.[3]

---

[1] **სერგო ვარდოსანიძე**. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-52 წლებში. თბილისი: „მეცნიერება“, 2001, გვ. 101.

[2] **სერგო ვარდოსანიძე**. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-52 წლებში, გვ. 150.

[3] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მიმართვა გენუის საერთაშორისო კონფერენციისადმი – *ქართული დიპლომატიის ისტორია. ქრესტომათია.* რედ. ***როინ მეტრეველი***; თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 549. აღნიშნული ტექსტი ინგლისურ ენაზე თარ-

აღნიშნულ მიმართვაში სარწმუნოებრივი ასპექტის პარალელურად აქტიურადაა განხილული ეროვნული თავისუფლების იდეაც. პატრიარქი მათ კომპლექსურად, ერთიანობაში განიხილავს და მოითხოვს, რომ „ქართველ ერს მიეცეს უფლება, თავისუფლად მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლის. განამტკიცოს თავისი პოლიტიკური და სოციალური არსებობის ის ფორმები, რომლებიც უკეთ მიესადაგება მის სულს, მისწრაფებებს, ჩვეულებებს და მის ეროვნულ კულტურას“.[1]

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის აღნიშვნაც, რომ დღემდე ჩვენამდე მოღწეულია ამ მემორანდუმის სამი სხვადასხვა თანადროული გერმანულენოვანი თარგმანი, რაც, ვფიქრობთ, ამ დოკუმენტის მნიშვნელობას ადასტურებს.[2] აუცილებელია იმის თქმაც, რომ, როგორც დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე თავის მოგონებებში წერს, ამ მიმართვამ საზოგადოების ფართო ფენებში პატრიარქ ამბროსის პიროვნება განსაკუთრებულად პოპულარული გახადა,[3] მისი ცნობადობა გასცდა საქართველოს ფარგლებს, რის დადასტურებასაც წარმოადგენს მისი გარდაცვალებისადმი მიძღვნილ წერილი, რომელიც ცნობილ ფრანგულ გამოცემაში «Journal des débats politiques et littéraires» („პოლიტიკური და ლიტერატურული დებატების გაზეთი“) დაიბეჭდა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მის ანტისაბჭოთა მოღვაწეობას, კერძოდ, გენუის კონფერენციისთვის გაგზავნილ მემორანდუმს.[4] აღნიშნულის კიდევ ერთ დასტურს თუნდაც ის ფაქტი წარმოადგენს, რომ აბატმა შარლ კენემ (Charles Quenet) თავის ნარკვევში, რომელიც საქართველოს ეკლესიას ეხება, საგანგებო ყურადღება გაამახვილა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ბრძოლაზე ბოლშევიკების წინააღმდეგ.[5] ასევე უნდა ითქვას აშშ-ს წარმომადგენელთა პალატის მიერ მომზადებული კომუნისტური აგრესიის შესახებ საგანგებო კომიტეტის სპეციალური ანგარიში №6 “Communist takeover

---

გმნა და კომენტარებით გამოაქვეყნა მკვლევარმა ლაშა ჭანტურიძემ (იხ.: Catholicos-Patriarch Ambrose, Russia Annexes Georgia. Georgian Patriarch's Letter to the 1922 Genoa Conference. Translation and commentary by Dn. ***Lasha Tchantouridze***, PhD. // *The Canadian Journal of Orthodox Christianity*. Volume III. No 3, Fall 2008, გვ. 67-73).

[1] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მიმართვა გენუის საერთაშორისო კონფერენციისადმი, გვ. 549-550.

[2] ამ საკითხზე ვრცლად იხ. **კალისტრატე ცინცაძე**. ქადაგებები და სიტყვები, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და გამოკვლევა დაურთო **ნუგზარ პაპუაშვილმა**. თბილისი: უნივერსალი, 2014; **მაია დამენია.** 1922 წელს გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის უცნობი გერმანული თარგმანი. -*კალისტრატე ცინცაძე 150. საიუბილეო კრებული.* რედ. ***ნუგზარ პაპუაშვილი***. თბილისი, 2017, გვ. 151-164.

[3] **ნიკიტა თალაქვაძე**. მოქალაქე მღვდლის დღიურიდან. თბილისი, 2013, გვ. 266.

[4] Mort du patriarche géorgien. // *Journal des débats politiques et littéraires*, №115, 26 Avril 1927, გვ. 6.

[5] **Ch. Quénet**. Histoire des schismes orientaux. I- L'Église de Géorgie. // *Lumen: revue mensuelle: organe du Cercle d'enseignement catholique pour les femmes du monde*, №1, 1931, გვ. 31.

and occupation of Georgia" (კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია)", სადაც განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი კომუნისტური ხელისუფლების მიერ რელიგიის და კერძოდ საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას და გამოყოფილია ამბროსი ხელაიას მიერ გაგზავნილი მემორანდუმი.[1] აღნიშნული ტენდენციის უკვე სამეცნიერო სივრცეში გაგრძელების მაგალითებს წარმოადგენს, ჯერ ჩეხური წარმოშობის ბრიტანელი მკვლევრის ვალტერ კოლარცის მიერ ამ ფაქტზე ყურადღების გამახვილება,[2] ხოლო შემდეგ კი ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის დევიდ მარშალ ლანგის მიერ საკითხის გაშუქება.[3] აღნიშნულს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამ გზით ხდებოდა საკითხის ირგვლივ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების ინფორმირება.

მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქ ამბროსის ზემოხსენებულ მოთხოვნას საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან კონკრეტული ქმედითი რეაგირება არ მოჰყოლია, აღნიშნული მიმართვის გაგზავნა მაინც მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას ბრძოლა საბჭოთა ოკუპაციური რეჟიმის წინააღმდეგ მარტო აღნიშნული მემორანდუმით არ შემოიფარგლება. მანამდე, 1921 წლის 19 სექტემბერს, ამბროსი ხელაიამ წარმოთქვა სიტყვა, რომელიც მიეძღვნა მამულისათვის დაღუპულთა ნახევარ წლისთავს. სრულიად აშკარაა, რომ აქ იგულისხმებიან ის გმირები, რომლებიც შეეწირნენ წითელ არმიასთან ბრძოლას. მქადაგებელი მათ დაღვრილ სისხლს „წმინდას" უწოდებს და აღნიშნავს: „აი სისხლიც, რომელსაც დღეს ჩვენ ვიგონებთ, ამნაირის მნიშვნელობისაა. ის არის თავდები მომავალი თაობის სიმხნე-მამაცობისა, არის მაჩვენებელი იმისა, რომ წინაპართა სული მამულის სიყვარულისა, მისთვის თავდადებისა, არ გამქრალა ჩვენს ხალხში და, მაშასადამე შეგვიძლია იმედით ვუყუროთ მომავალს".[4] აქვე შემოდის ერთი საინტერესო საკითხი, კერძოდ, ამბროსი ხელაია ხაზს უსვამს სამშობლოსთვის თავგანწირვის მნიშვნელობას მომავალი თაობებისთვის და ასევე სარწმუნოებრივი თვალსაზრისითაც: „დაე, მა-

---

[1] კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია: საგანგებო კომიტეტის სპეციალური ანგარიში N6 კომუნისტური აგრესიის შესახებ: მომზადებულია თანახმად H. Res. 346 და H. Res. 438: 1954 წლის 31 დეკემბრის წარედგინა წარმომადგენელთა პალატას და გადაცემულია იქნა დასაბეჭდად. აშშ-ს წარმომადგენელთა პალატა, 83-ე კონგრესი, მე-2 სხდომა. თბილისი, 2007, გვ. 41.

[2] **Walter Kolarz.** Religion in the Soviet Union. New York: St. Martin's Press, 1961, გვ. 100.

[3] **David Marshall Lang.** A Modern History of Soviet Georgia. New York: Grove Press, 1962, გვ. 241.

[4] სიტყვა მამულისათვის დახოცილთა ნახევარი წლისთავზე თქმული თბილისის სამხედრო ტაძარში. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას პირადი არქივი, საქმე №241, ფურც. 1; **ამბროსი ხელაია**. თხზულებანი ორ წიგნად. წიგნი II. იხ.: მწიგნობრობა ქართული. ტომი 13. თბილისი, 2012, გვ. 66.

თი ხსენება იყოს საუკუნო ქართველი მამულისშვილის გულში, ამით ინერგებოდეს ის სულისკვეთება, რომელმაც მომავალშიაც არა ერთხელ უნდა იხსნას ჩვენი სამშობლო, შეანახვინოს მას თავისუფლება და სარწმუნოება“.[1]

თავის ქადაგებებში კათოლიკოს-პატრიარქი ხაზგასმით უპირისპირდებოდა ათეისტურ იდეოლოგიას და პროპაგანდას, განსაკუთრებით ცდილობდა მოსახლეობა გამოეფხიზლებინა და ეჩვენებინა ის დიდი საფრთხე, რაც ხელისუფლების იდეების გავრცელებას შეიძლებოდა მოეტანა. აღნიშნულის დასტურს წარმოადგენს 1922 წელს მართლმადიდებლობის ზეიმის დღესასწაულზე სიონის ტაძარში წარმოთქმული ქადაგებაც: „ურწმუნოება არანორმალური მოვლენაა ცხოვრებაში. ის ხრწნის საზოგადოებრივ ორგანიზმს. ის ხალხი, რომელიც უარყოფს სარწმუნოებას, ეცემა ზნეობრივად და შორს ვერ წავა განვითარების გზაზე. პირიქით, ის გაჩქარებით მიემართება ეროვნულად განადგურებისაკენ. ამას უნდა ჩაუფიქრდეს ჩვენი ერიც“.[2]

კომუნისტური ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკის მხილების შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის სიტყვები, რომლებიც მან 1922 წელს დანიელ ჭონქაძის, ლავრენტი არდაზანიასა და გრიგოლ რჩეულიშვილის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდზე წარმოთქვა: „ინტერნაციონალური იდეა არის მოტანილი ქრისტესაგან. მას ჰქადაგებენ როგორც სახარება, ისე მოციქულებიც, მაგრამ ამის განხორციელება მათ ესმით ცოტა უკეთესად, ვინემ ჩვენს ვითომ და ინტერნაციონალებს. კაცობრიობისთვის ზრუნვით, მისი ხსნის სურვილით გატაცებულნი ხშირად ივიწყებენ თავის ერს... ცხადია, ერისთვის ზრუნვა, მისი განკურნება, მისი კულტურულად ამაღლება არის კაცობრიობის სამსახური... ჩვენში კი არის მიმართულება, რომელიც ყველაფერ ეროვნულს გმობს, ხალხის ისტორიულ სიწმინდეებსაც საცინლად იგდებს“.[3]

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ უაღრესად დიდი საფრთხე შეუქმნა ქართველთა ეროვნულ-სარწმუნოებრივ მენტალობას. ხელისუფლებამ

---

[1] სიტყვა მამულისათვის დახოცილთა ნახევარი წლისთავზე თქმული თბილისის სამხედრო ტაძარში. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას პირადი არქივი, საქმე №241, ფურც. 1-2; **ამბროსი ხელაია**. თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი II, გვ. 66.

[2] ქადაგება მართლმადიდებლობის ზეიმის დღესასწაულზე. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას პირადი არქივი, საქმე №256, ფურც. 1-2.

[3] სიტყვა თქმული დანიელ ჭონქაძის, ლავრენტი არდაზანიასა და გრიგოლ რჩეულიშვილის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდზე. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას პირადი არქივი, საქმე №320, ფურც. 1-2.

თავისი მიზან-ამოცანების შესაბამისად აქტიური ბრძოლა დაიწყო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წინააღმდეგ, რადგან შესანიშნავად აცნობიერებდა, რომ სწორედ მისი დაკნინება-დასუსტების შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი ქართველთა ეროვნული თვითშეგნების მაქსიმალური შესუსტება და მოსახლეობაში სოციალისტური იდეების წარმატებული დანერგვა.

პროგრესულად მოაზროვნე ქართულმა საზოგადოებამ, კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და სასულიერო კრებულის ხელმძღვანელობით, იმთავითვე ზუსტი ალღო აუღო ხელისუფლების მიზნებსა და ამოცანებს, რის წინააღმდეგაც აქტიურად გაილაშქრა. საბჭოთა ხელისუფლებამ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ბრძოლა ეროვნული ინტერესების დასაცავად მის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად მიიღო და მის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ბრძოლა დაიწყო, რაც გამოიხატებოდა, ერთის მხრივ პრესის ფურცლებზე გაჩაღებულ აგიტაციაში, ხოლო, მეორეს მხრივ, მის წინააღმდეგ დაწყებულ სადამსჯელო ღონისძიებებში, რომელიც კომპლექსური ხასიათის იყო და მიზნად ისახავდა, მოსახლეობაში ეკლესიის მეთაურის პიროვნების მაქსიმალური დისკრედიტაცია მომხდარიყო.[1]

XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა მთავრობის ეკლესიისადმი დამოკიდებულების ცვლილება სრულიადაც არ ნიშნავდა საეკლესიო კურსის უარყოფას; კვლავინდებურად ეკლესიაზე ფრთხილი და ინტენსიური ზედამხედველობა გრძელდებოდა.[2] ამ პერიოდში საბჭოთა სინამდვილეში აქტიურად დაისვა ე.წ. „კულტურული რევოლუციის“ განხორციელების საკითხი, რომელსაც, თავის მხრივ, უნდა უზრუნველეყო ახალი ტიპის ადამიანის ჩამოყალიბება, რომელიც დამუხტული იქნებოდა საბჭოთა იდეოლოგიით. თეორიულად იგი ეყრდნობოდა იმ პრინციპს, რომლის თანახმად პროლეტარიატს ძირფესვიანად უნდა დაენგრია ძველი და შეექმნა ახალი კულტურა, რაც პრაქტიკულად ემსახურებოდა საბჭოთა საზოგადოების სულიერი ცხოვრების ცენტრალიზაციას და კოლექტივისადმი პიროვნების სრულ დამორჩილებას. აღნიშნულ კონცეფციას, ითვალისწინებდა რა საბჭოთა კავშირში არსებულ რეალობას, სადაც მრავალი ერი და ეროვნება ცხოვრობდა,

---

[1] აღნიშნულის შესახებ ვრცლად იხ.: წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) კომუნისტური მართლმსაჯულების წინაშე. კრებული შეადგინა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო **დინარა დარსალიამ**. თბილისი: „საარი“, 2011; **ჯემალ გამახარია**. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია): 150-ე წლისთავისთვის. თბილისი, 2012, გვ. 163-219.

[2] **ქეთევან პავლიაშვილი.** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, გვ. 476.

მიზანშეწონილად მიაჩნდა კულტურის ეროვნული ფორმით დაშვება, ხოლო შინაარსის გასოციალისტურებას ქვეყნის მთელი კულტურული ცხოვრების ცენტრალიზაცია და უნიფიკაცია უნდა უზრუნველეყო. სრულიად აშკარა იყო, რომ აღნიშნული მიდგომა ეროვნულ კულტურას საკუთარ შინაარსს ართმევდა. სამაგიეროდ, იგი აქტიურად ემსახურებოდა „სოციალისტური მშენებლობის“ პრაქტიკას, ხელს უწყობდა რა ეროვნული კულტურების ლიკვიდაციას და საერთო „სოციალისტურ“, ფაქტობრივად რუსულ კულტურაში ათქვეფას.[1]

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ბრძოლა განსაკუთრებით გაძლიერდა სარწმუნოების წინააღმდეგ, რადგან ის სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორი იყო. ამიტომ მისი გარდაქმნა-რეფორმირება „კულტურული რევოლუციის“ მიზნების წარმატებას განსაზღვრავდა.

ახალი სარწმუნოებრივი პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენდა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“, რომელიც, როგორც ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ჯერ კიდევ 1925 წლის აპრილში „უღმერთო მეგობართა საზოგადოების“ I ყრილობაზე დაფუძნდა მოსკოვში. მისი ცენტრალური აპარატის შექმნა 1928 წელს დასრულდა. კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვ. ლენინის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი და იდეური მხარდამჭერი ემილიან იაროსლავსკი.[2]

„მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ ორგანიზაციული სტრუქტურა და მიზან-ამოცანები განისაზღვრა მის II ყრილობაზე (1929წ. 10-16 ივნისი), რომელზეც შეიმუშავეს და მიიღეს კავშირის წესდება, რომლის მიხედვითაც „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“ არის ნებაყოფლობითი პროლეტარული საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც თავის ამოცანად ისახავს საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფართო მასების შეკავშირებას, რელიგიის (ყოველი სახისა და ფორმის), როგორც სოციალისტური მშენებლობისა და კულტურული რევოლუციის შემაფერხებელი მოვლენის წინააღმდეგ აქტიურ-სისტემატური და თანმიმდევრული ბრძოლის საწარმოებლად“.[3] აღნიშნული ყრილობის მნიშვნელობას, ვფიქრობთ, ისიც განაპირობებდა, რომ მასზე ორგანიზაცია სრულყოფილად ჩამოყალიბდა; სრულიად აშკარა გახდა, რომ ის ყველა არსებულ

---

[1] **В. Куроедов**. Религия и церковь в советском государстве. Москва: Партиздат, 1982, გვ. 86-87.

[2] **Владислав Цыпин**. История русской церкви (1917-1997). Москва, 1997, გვ. 95.

[3] საკავშირო მებრძოლ უღმერთოთა კავშირის საქალაქო უჯრედების ორგანიზაციის და მუშაობის ინსტრუქცია, ტფილისი: მუკის საბჭოს გამომცემლობა, 1930, გვ. 23.

გზას გამოიყენებდა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების წინააღმდეგ საბრძოლველად. ვფიქრობთ, მართალია მკვლევარი დანიელ პერისი (Daniel Peris), როდესაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ყრილობას, როგორც ორგანიზაციული თვალსაზრისით, ასევე იდეოლოგიურ-პრაქტიკული მუშაობის ფართო მასშტაბით გაშლის კუთხითაც.[1] სავსებით სამართლიანად შენიშნავს მკვლევარი ეკა სილაგაძე თავის სადოქტორო დისერტაციაში „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია საქართველოში 1928-1947 წწ. (2014)", როდესაც საგანგებო ყურადღებას აქცევს 1929 წლის II ყრილობას რუსეთში, როცა 10 ივლისის გადაწყვეტილებით ორგანიზაციას ოფიციალურად დაერქვა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი".[2] აქვე უნდა ითქვას, რომ კავშირის მუშაობა მაინც არადამაკმაყოფილებლად შეფასდა. ყრილობამ გააკრიტიკა კავშირის მიერ წარმოებული ანტირელიგიური კამპანია. აღნიშნულთან დაკავშირებით სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია, აღვნიშნოთ, რომ თავდაპირველად „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი" ხელისუფლების მიერ დაარსებულ სპონტანურ ორგანიზაციას წარმოადგენდა, ხოლო მეორე ყრილობიდან, როდესაც მისი ფუნქცია და დანიშნულება ნათლად გამოიკვეთა, მან ოფიციალური სახე მიიღო.

„მუკის" მიზანი და ამოცანა შემდეგში მდგომარეობდა:

„1. ის იყო ნებაყოფლობითი, პროლეტარიატის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებდა საბჭოეთის მოსახლეობას აქტიური და სისტემატიური ბრძოლისთვის რელიგიის წინააღმდეგ;

2. „მუკი" თავისი მიზნების განხორციელებისთვის აყალიბებდა უჯრედებს ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და მეურნეობებში, დაბა-სოფლებში, სასწავლო დაწესებულებებში და სხვა, ეწეოდა ანტირელიგიურ პროპაგანდას პრესით, ლექციასემინარებით და უნივერსიტეტებით, სკოლებით, კინოთეატრებით, ექსკურსიებით და სხვა;

3. „მუკი" გამოსცემდა ანტირელიგიურ ლიტერატურას და მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდა საბჭოთა სხვადასხვა ორგანოებთან: პარტიასთან, კომკავშირთან, პროფკავშირთან და ა.შ.;

4. „მუკი"-ს ცენტრალური საბჭო განთავსებული იყო მოსკოვში, ხოლო ცალკეულ

---

[1] **Daniel Peris**. The 1929 Congress of the Godless. // *Soviet Studies*. Vol. 43, No. 4 (1991), გვ. 714-715. აღნიშნული ხედვა ავტორს გადმოცემული აქვს თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაშიც (იხ.: **Daniel Peris**. Storming the Heavens: The Soviet League of the Militant Godless. Cornell University Press, 1998).

[2] **ეკა სილაგაძე**. მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია საქართველოში 1928-1947 წწ., გვ. 90.

რესპუბლიკებში კი მოქმედებდა საბჭოზე დაქვემდებარებული სექციები, რომლებიც მოქმედებდნენ ადგილზე შექმნილი გარემოებების შესატყვისად;

5. „მუკს“ გააჩნია იურიდიული პირის სტატუსი, თავისი შტამპი და პერიოდული ორგანო;

6. „მუკში“ გაწევრიანება ნებაყოფლობითი იყო 14 წლის ასაკიდან;

7. „მუკის უმაღლესი ორგანოები იყო: „მუკის“ საკავშირო ყრილობა და ცენტრალური საბჭო. ყრილობა ეწყობოდა წელიწადში ერთხელ და მას ადგილობრივი საბჭოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ;

8. „მუკის“ დაფინანსება ხდებოდა: საწევრო გადასახადით, ნებაყოფლობითი შემოსავლებით“.[1]

ორგანიზაციას დაარსების დღიდან დიდი იდეოლოგიური ფუნქცია დაეკისრა. მას ყოველმხრივი დახმარება უნდა გაეწია პარტიისა და ხელისუფლების ახალი მშენებლობის პროცესში.

„მებრძოლ უღმერთოთა კავშირმა“ ფართოდ გაშალა მოძრაობა, სწრაფად იზრდება მისი უჯრედების და წევრთა რაოდენობა. თბილისის ორგანიზაციის რიგები 1929 წლისათვის ორჯერ გაიზარდა, 106 უჯრედი 11 000 წევრს მოიცავდა.[2] ორგანიზაციის წევრების სწრაფი ზრდა განაპირობა იმ ფაქტმაც, რომ მათი წარმომადგენლები საბჭოთა ხელისუფლების მიერ განსაკუთრებული ხელშეწყობითა და მხარდაჭერით სარგებლობდნენ, ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდების ეს ორგანიზაცია კომკავშირთან ერთად კარიერულ-პარტიული დაწინაურების ერთ-ერთი გარანტი იყო.

სხვა ანტირელიგიური ორგანიზაციებისაგან მუკს ძირითადად განასხვავებდა ის, რომ მის ბრძოლას კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათი ჰქონდა, რომელიც უნდა წარმართულიყო მეცნიერული საშუალებებით, რისთვისაც ფართოდ უნდა გამოყენებულიყო ე.წ. „მეცნიერული მიღწევები“. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოდ მიგვაჩნია ის, რომ საბჭოთა საქართველოს იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებისადმი მიმართვაში მიხა ცხაკაია პირდაპირ მიუთითებდა: „მთელი ძალღონით სისტემურად და მეცნიერულად უნდა ვებრძოლოთ რელიგიას“.[3]

---

[1] **ქეთევან პავლიაშვილი.** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, გვ. 465-466.

[2] **ეკა სილაგაძე.** მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია საქართველოში 1928-1947 წწ., გვ. 97.

[3] მიხა ცხაკაიას ციტირებას ვახდენთ პროფესორ სერგო ვარდოსანიძის წიგნის მიხედვით (იხ.: **სერგო ვარდოსანიძე**. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-52 წლებში, გვ. 179).

ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ პროფკავშირის, კულტურის და განათლების განყოფილებები ბევრგან თითქმის არაფერს აკეთებდნენ ანტირელიგიური პროპაგანდის ხაზით, ნაკლები ყურადღება ექცეოდა კლუბებისა და სამკითხველოების მუშაობას, სწორედ ამიტომ აღნიშნულ ფრონტზე ბრძოლის წარმოება თავის თავზე „მებრძოლ უღმერთოთა კავშირმა“ აიღო. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ორგანიზაციას საკუთარი პერიოდული ბეჭდვითი ორგანო გააჩნდა თავისი ნამოქმედარ-ნამოღვაწარის აგიტაცია-პროპაგანდის მის ფურცლებზე გადასატანად, იგი საკითხისადმი უკომპრომისო და შეუვალი დამოკიდებულების გამო წარმატებით შეძლებდა ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებას. პროპაგანდისტული ლიტერატურით აღჭურვილ „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ უჯრედის მუშაკებსა თუ სხვა უწყებებს, მათ შორის საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებასა და „საქართველოს ურწმუნოთა საზოგადოებას“, ევალებოდათ მიზანმიმართული ანტირელიგიური კამპანიის წარმოება.[1]

დასავლეთ ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ მოღვაწეობის შესახებ გავრცელებულია აზრი, რომლის თანახმადაც ეს უკანასკნელი აგიტაცია-პროპაგანდის მუშაობის თვალსაზრისით მხოლოდ ერთი მიმართულებით გამოირჩეოდა და დანარჩენ საქმეში ფორმალურად ასრულებდა თავის ფუნქციას. აღნიშნული მოსაზრება რამდენადმე დაზუსტება-გადასინჯვას საჭიროებს, რადგან, როგორც მკვლევარი ეკა სილაგაძე სამართლიანად აღნიშნავს, მთელი მისი არსებობის მანძილზე „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“, ათეისტური პოლიტიკის განხორციელების პარალელურად, წარმოადგენდა სახელმწიფოს ერთიანი იდეოლოგიის მნიშვნელოვან ნაწილს, რომლის მიხედვითაც მას მოსახლეობის კომუნისტური იდეოლოგია უნდა გაევრცელებინა და ათეიზმის საქადაგებლად ყველა შესაფერისი მდგომარეობა გამოეყენებინა, მათ შორის ისეთ საკითხსაც, როგორიც იყო კოლექტივიზაცია.[2] ასევე, ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ ანტირელიგიური კამპანიების დროს ყურადღება მახვილდებოდა ლოზუნგზე „რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა არის ბრძოლა სოციალიზმისათვის“. ეს კამპანიები აქტიურობითა და განსაკუთრებული სტიქიურ-

---

[1] **ეკა სილაგაძე**. მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია საქართველოში 1928-1947 წწ., გვ. 107.

[2] **ეკა სილაგაძე**. მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია საქართველოში 1928-1947 წწ., გვ. 103-114. კოლექტივიზაციის როლზე საბჭოთა ათეისტურ პოლიტიკაში ასევე საუბრობს ცნობილი ფრანგი სოვეტოლოგი ნიკოლა ვერთიც (იხ.: **Nicolas Werth**. Le pouvoir soviétique et l'Église orthodoxe de la collectivisation à la Constitution de 1936. // *Revue d'études comparatives Est-Ouest*, vol. 24, №3-4, 1993, გვ. 41-43.

ობით ხასიათდებოდა.[1]

დღეისათვის საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საბჭოთა პოლიტიკის ერთ-ერთი მკვეთრად ჩამოყალიბებული მახასიათებელი იყო მკაცრი ცენტრალიზმი, რომლის თანახმადაც ცენტრალური კომიტეტის თუ მმართველობის სხვა ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება-დადგენილება თანაბრად ვრცელდებოდა მოკავშირე რესპუბლიკებშიც, გამონაკლისს, ცხადია, არც სარწმუნოებრივი პოლიტიკა წარმოადგენდა, მით უფრო, რომ საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებით დაინტერესებული იყო აღნიშნული საკითხის მაქსიმალურად დროული და, რაც მთავარია, ეფექტური გადაწყვეტით. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ზემოხსენებულ საკითხში მოკავშირე რესპუბლიკებს ეძლეოდათ გარკვეული თავისუფლება, ოღონდ ეს უკანასკნელი გეგმის პირნათლად შესრულებასა და გადაჭარბებაში უნდა გამოხატულიყო. ბუნებრივია, აღნიშნული თავისუფლება უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა და მოკავშირე რესპუბლიკების გადაწყვეტილებები უმეტესწილად სწორედ ცენტრალური მთავრობის დადგენილებების კალკირებას წარმოადგენდა, რომლის მიზანიც ეფექტური ათეისტური პოლიტიკის გატარება იყო.

აღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 1927 წლის 5 იანვარს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მიიღო დადგენილება მთელი რესპუბლიკის მასშტაბით დაწყებულიყო „უღმერთოთა საზოგადოებების“ ჩამოყალიბება. 1928 წლის გაზაფხულზე შეიქმნა „საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ საინიციატივო ბიურო, ხოლო უფრო გვიან – ოქტომბერში – მისი დროებითი ცენტრალური საბჭო. უღმერთოთა ორგანიზაციების რიცხვი სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ 1929 წლამდე ისინი ჯერ კიდევ ცალ-ცალკე არსებულ დეცენტრალიზებულ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ. ამ დროისათვის რესპუბლიკის მასშტაბით უკვე არსებობდა 263 უჯრედი.[2] ხელისუფლებას გარდაუვალ ამოცანად ესახებოდა მათი ერთ, მტკიცე და მთლიან ორგანიზაციად გაერთიანება, რადგან ამ გზით შესაძლებელი იქნებოდა მათი მუშაობის უკეთესი კონტროლი და ზედამხედველობა, რისი პრაქტიკული განხორციელებაც იყო „საქართველოს მებრ-

[1] სინამდვილეში რა ურთიერთმიმართება იყო „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ კამპანიების რიტორიკასა და რეალობას შორის საინტერესოდ აღწერს დენიელ პერისი (იხ.: **Daniel Peris.** Storming the Heavens. The Soviet League of the Militant Godless. Ithaca and London: Cornell University Press, 1998, გვ. 99-103).

[2] **გივი როგავა**. როგორ ებრძოდნენ რელიგიას და ეკლესიას საქართველოში (XX საუკუნის 20-30-იანი წლები). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994, გვ. 108.

ძოლ უღმერთოთა კავშირის“ I ყრილობა, რომელიც გაიხსნა 1929 წლის 1 ივნისს ქალაქ თბილისში. ყრილობის გახსნის პერიოდში ამ კავშირში დაახლოებით 19 000 წევრი იყო. მარტო თბილისში 106 უჯრედში 10 000-მდე უღმერთო ირიცხებოდა.[1]

„საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ ცენტრალური საბჭოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო უჯრედების მჭიდრო შეკავშირება და მათი ორგანიზაციული განმტკიცება, ათეისტური მუშაობის სათანადო კადრების სააგიტაციო მუშაობისათვის მომზადება. უჯრედის რიცხვთა სწრაფი ზრდის გამო, ბუნებრივია, ფართოვდება მათ მიერ ჩატარებული მუშაობის მასშტაბები, საოცარი მოქნილობით ამუშავდა პროპაგანდისტული მანქანა. დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა ათეისტური ლიტერატურა, მათ შორის ჟურნალი „მებრძოლი ათეისტი“, რომელსაც უდიდესი საგიტაციო-საინფორმაციო ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული. ასევე, დიდი რაოდენობით უშვებდნენ პლაკატებს, დგამდნენ ანტირელიგიურ სპექტაკლებს, იღებდნენ ათეისტური სულისკვეთებით გამსჭვალულ კინოფილმებს. ეკლესია-მონასტრების ნგრევა-განადგურებასა და სიწმინდეების შეურაცხყოფას ინტენსიური ხასიათი ჰქონდა. ხშირი იყო ეკლესიის მსახურთა დევნა-შევიწროვების და მათი საჯარო გასამართლებლის შემთხვევები.

„საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ მუშაობაში გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო პრობლემა, კერძოდ, მის ცენტრალური საბჭოს მცირერიცხოვან აქტივს არ შეეძლო ცოცხალი და მუდმივი კავშირი ჰქონოდა რაიონებთან, საჭიროების შემთხვევაში გაეგზავნა გამოცდილ ორგანიზატორთა ჯგუფი მუშაობის გაძლიერებისა და ადგილობრივი კადრების სათანადო მომზადებისათვის. სწორედ ამიტომ „მუკის“ ორგანიზაციამ ანტირელიგიურ საქმიანობაში აქტიურად ჩართო ქალაქისა და სოფლის ინტელიგენცია: მასწავლებლები, მეცნიერები, აგიტატორ-პროპაგანდისტები. სალექციო თემატიკა ეხებოდა ადგილობრივი დღესასწაულების მიზეზთა ახსნას, მათი არსის საბჭოური კუთხით გაშუქებას,[2] თუმცა აღნიშნულ ღონისძიებებს მოსახლეობა კატეგორიულად უპირისპირდებოდა. იყო ათეისტური ლექციების ჩაშლა-დარბევის შემთხვევებიც. სალექციო თემატიკა ხშირად არასიღრმისეულ ხასიათს ატარებდა, გარდა ამისა, მისი შინაარსი ხალხის ეროვნულ-სარწმუნოებრივი

---

[1] **გივი როგავა**. როგორ ებრძოდნენ რელიგიას და ეკლესიას საქართველოში (XX საუკუნის 20-30-იანი წლები), გვ. 108.

[2] **ქეთევან პავლიაშვილი.** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, გვ. 468.

გრძნობების შელახვას იწვევდა, რასაც, ბუნებრივია, მოსახლეობის სამართლიანი პროტესტი მოჰყვებოდა. სწორედ ამიტომ დღის წესრიგში იდგა ადგილობრივი ათეისტი კადრების მომზადება მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. აღნიშნული თვალსაზრისით ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანა იყო საწრეო მუშაობის განსაკუთრებული გაძლიერება-გააქტიურება, საქალაქო და სასოფლო კლუბების გადაქცევა ათეისტური აღზრდის მძლავრ და მუდმივმოქმედ კერად. აღსანიშნავია ისიც, რომ მატერიალური სახსრების, მეთოდური სახელმძღვანელოების, სათანადო ლიტერატურის არარსებობა ხელს უშლიდა მუკის მესვეურებს სათანადოდ გაეშალათ თავიანთი მუშაობა. იმის გამო, რომ რესპუბლიკის ცენტრალურ ხელისუფლებას კვლავ გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა ანტირელიგიური წრეების ჩამოყალიბება და ათეისტი პროპაგანდისტების მომზადება, „საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ ცენტრალური საბჭოს II პლენუმზე გადაწყდა: „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ანტირელიგიური მუშაობის დაწყების საქმეს პარტ სკოლებში, პედტექნიკუმებში, მუშათა ფაბრიკებში და სხვა. მიღებულ იქნას ზომები, რათა უმაღლეს სასწავლებლებში გაიხსნას რელიგიის ისტორიისა და ანტირელიგიური პროპაგანდის კათედრა“.[1] ამ დადგენილების პრაქტიკული განხორციელების შედეგი იყო ის, რომ მაღალკვალიფიციურ აგიტატორთა კადრების მომზადებისათვის 1930 წელს თბილისში გაიხსნა ანტირელიგიური მუშათა უნივერსიტეტი, რომლის მიზანიც იყო მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით მოემზადებინა ანტირელიგიური პროპაგანდის ლექტორები.[2] უნივერსიტეტი სამწლიანი იყო და მასში იღებდნენ 18-30 წლის ასაკის გარკვეული მომზადების ახალგაზრდებს. ამავე წლის ბოლოსათვის „მებრძოლ უღმერთოთა“ ანტირელიგიურ წრეებში 4 ათასამდე მსმენელი ირიცხებოდა. ათეისტური ბრძოლის თეორიული დონის ამაღლების მიზნით 1930 წელს თბილისის განათლების მუშაკთა სახლთან დაარსდა ანტირელიგიური კაბინეტი, რომელსაც 6 სექცია ჰქონდა: კვლევითი, სამუზეუმო, ლექტორთა, ანტირელიგიური აღზრდის, რეცენზირებისა და ხელოვნების.[3] აღნიშნული კაბინეტის მიზანი იყო, რომ მომხდარიყო ათეისტური და ანტისაეკლესიო კამპანიის მასშტაბური ფორმით გაშლა. პარტიული ნომენკლატურის აზრით ამგვარი

---

[1] **გივი როგავა**. როგორ ებრძოდნენ რელიგიას და ეკლესიას საქართველოში (XX საუკუნის 20-30-იანი წლები), გვ. 111.

[2] **ქეთევან პავლიაშვილი.** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, გვ. 468.

[3] **ეკა სილაგაძე**. მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ადგილი ანტისარწმუნოებრივ იდეოლოგიაში (1927-1947წწ.). // *კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები*, XIX. თბილისი, 2004, გვ. 96.

ღონისძიებები საზოგადოებას სრულად გამოიყვანდა რელიგიური ბურუსიდან, ხოლო ინტერნაციონალური იდეების გავრცელება თავისთავად აღმოფხვრიდა ნაციონალიზმთან დაკავშირებულ ტრადიციულ აღმსარებლობას.[1]

როგორც აღვნიშნეთ, „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“ საბჭოთა პოლიტიკური სისტემის იდეოლოგიის „კულტურული რევოლუციის“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, რომლის მიზანიც იყო ჩამოყალიბებულიყო ერთიანი შეგნების საბჭოთა ადამიანი Homo Sovieticus-ი, რომელიც განმსჭვალული იქნებოდა ათეისტურ-ინტერნაციონალისტური აზროვნებით, მისთვის უცხო და მიუღებელი უნდა ყოფილიყო ყოველგვარი სარწმუნოებრივ-ეროვნული იდეალები, სწორედ აღნიშნული მიზნის რეალიზაციისათვის მოსახლეობაში გააქტიურდა ბრძოლა ისტორიული წარსულის წინააღმდეგ, იგი გამოცხადდა ფეოდალურ გადმონაშთად, რომელშიც ღირებული ბევრი არაფერი იყო და საჭირო იყო მისი გადაფასება-დავიწყება; მოსახლეობას უნდა ეწამა თანამედროვე ცხოვრების და ებრძოლა ნათელი მომავლისთვის.

„მებრძოლ უღმერთოთა კავშირმა“, როგორც საბჭოთა იდეოლოგიური პოლიტიკის („კულტურული რევოლუციის“) შემადგენელმა ნაწილმა, აქტიურად გაილაშქრა ეროვნული თვითშეგნების წინააღმდეგაც. ეროვნულობაზე ხაზგასმა ცხადდებოდა „ბურჟუაზიულ ნაციონალიზმად, რაც ძალზე საშიშ მოვლენას წარმოადგენდა საზოგადოებისთვის, რომელსაც საერთო ინტერნაციონალისტური იდეით დამუხტული სახელმწიფო უნდა აეშენებინა.

საზოგადოებაში სააგიტაციო მუშაობის დროს განსაკუთრებული ხაზი ესმებოდა იმ ფაქტს, რომ ეროვნებას მხოლოდ გამოხატვითი თვალსაზრისი შეიძლებოდა ჰქონოდა და იგი მასობრივი გავრცელების საგნად არ უნდა ქცეულიყო. ბუნებრივია, აღნიშნული სახის იდეოლოგიის გატარება მოსახლეობაში მძაფრ პროტესტს იწვევდა, ამიტომ, საზოგადოების რისხვის თავიდან აცილების მიზნით, „კულტურულმა რევოლუციამ“ მუშაობის ტაქტიკა-სტრატეგია გარკვეული ფორმით შეარბილა.

„მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ მოღვაწეობაზე საუბრისას საჭიროდ მიგვაჩნია, აღვნიშნოთ, რომ მან თავის დასახულ მიზნებს მეტ-ნაკლები წარმატებით მიაღწია, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სამღვდელოება მის ათეისტურ პროპაგანდას აქტიურად ვერ უპირისპირდებოდა.

---

[1] **ეკა სილაგაძე**. მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ადგილი ანტისარწმუნოებრივ იდეოლოგიაში (1927-1947წწ.), გვ. 97.

„საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“ სათავეში ჩაუდგა ანტირელიგიურ და ათეისტურ სამუშაოებს რესპუბლიკის მასშტაბით. 1937 წელს გამოსვლა დაიწყო კავშირის ბეჭდვითმა ორგანომ „მებრძოლი ათეისტი“,[1] რომლის დანიშნულებაც იყო, გაცილებით უფრო სწრაფად და ეფექტურად მოეხდინა ათეისტური იდეოლოგიის პროპაგანდა მოსახლეობის მაქსიმალურად ფართო ფენებში.

30-იანი წლების ბოლოსა და განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ სარწმუნოებრივი პოლიტიკის მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ უფლებები მნიშვნელოვნად შეკვეცა. ცხადი გახდა, რომ მან თავდაპირველი თავისი შესაძლებლობა და დანიშნულება ამოწურა, თუმცა როგორც ორგანიზაციული ერთეული არ გაუუქმებიათ და მას მოსახლეობაში სახელისუფლებო იდეოლოგიის აგიტაცია-პროპაგანდის ფუნქციები მიენიჭა. აღნიშნული ცვლილების მიზეზი ის იყო, რომ სახელმწიფო პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეიცვლა.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემუშავებულმა იდეოლოგიურმა პოლიტიკამ („კულტურულმა რევოლუციამ“), რომელიც მიზნად ისახავდა „ახალი სოციალისტურად მოაზროვნე ადამიანის“ ჩამოყალიბებას, სარწმუნოებრივი ასახვა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ ჩამოყალიბებასა და აქტიურ მუშაობაში ჰპოვა, რომელმაც თავისი ანტირელიგიური კამპანია მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გაშალა. გამომდინარე იქიდან, რომ „მუკი“ ერთიანი იდეოლოგიური სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო, მან სარწმუნოების პარალელურად ბრძოლა ეროვნულ თვითშეგნებასაც გამოუცხადა და მას აცხადებდა დრომოჭმულ თუ ჩამორჩენილ იდეალად, რომლის დაძლევაც საზოგადოებაში ეტაპობრივად უნდა მომხდარიყო. აღნიშნული მიდგომა და თვალსაზრისი თვალსაჩინოდ გამოვლინდა „კულტურული რევოლუციის“ წარსულისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებაში, რომელიც თავის მხრივ გულისხმობდა ისტორიაში ყველანაირი ღირებულებების უარყოფას თუ იგი სოციალისტურ-ინტერნაციონალისტურ იდეებს არ უკავშირდებოდა.

„მებრძოლ უღმერთოთა კავშირმა“ შეძლო და თავისი ანტირელიგიური მოძრაობის ფართოდ გაშლით საბჭოთა კავშირის მოსახლეობის დიდი ნაწილი დიდწილად გააუცხოვა და დააშორა რელიგიის ფენომენს, რაც მისდამი პატივისცემა-სიყვარულის მნიშვნელოვნად შესუსტებაში გამოიხატა, აღნიშნულმა კი, თავის მხრივ, ხელი შეუწ-

[1] **მირიან ხუციშვილი**. საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში. თბილისი: „მეცნიერება“, 1987, გვ. 227-228.

ყო სარწმუნოებისადმი არაჯანსაღი დამოკიდებულების დამკვიდრებას.

ქართულ სინამდვილეში გარკვეული წარმატებების მიუხედავად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო კრებულის გარკვეული დამსახურებით „მებრძოლ უღმერთოთა კავშირმა“ ვერ შეძლო საზოგადოების სრული გაუცხოება რელიგიისადმი. მოსახლეობის დიდი ნაწილი სარწმუნოებისადმი კვლავ ნდობასა და ლოიალურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს მთავრობის მიერ შეცვლილი პოლიტიკის დროს გამჟღავნდა.

§2. საბჭოთა ათეისტური პოლიტიკა „დიდი სამამულო ომის“ წლებში (1941-1945 წწ.)

საბჭოთა ათეისტური პოლიტიკისა და ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის კვლევის თვალსაზრისით საინტერესო და თავისებურ პერიოდს წარმოადგენს ე.წ. „დიდი სამამულო ომის“ (1941-45 წწ.) პერიოდი, როდესაც მეტად საინტერესოდ და სახასიათოდ განვითარდა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მრავალი მნიშვნელოვანი ასპექტი, გამოიკვეთა მათი დაახლოება-ურთიერთთანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები.

საყურადღებოდ მიგვაჩნია, ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს აშკარა გახდა საბჭოთა ხელისუფლების საეკლესიო კურსში რადიკალური ცვლილებებისათვის სამზადისი. გარდა ამისა, საბჭოთა სახელმწიფო ჩართული იყო საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენებში და ზედმიწევნით ინფორმაციას ფლობდა მოსალოდნელი ომის საკითხებზე. აღნიშნულ გარემოებაში, საბჭოთა ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა თადარიგის დაჭერას, რათა სოციალიზმის მონაპოვარს შიდა და გარე „მტრული ელემენტებისგან“ საფრთხე არ შექმნოდა. უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის შიგნით ესაჭიროებოდა სანდო დასაყრდენი ძალა, რომელიც საზოგადოებაში სტაბილიზაციის და გარე აგრესიის წინააღმდეგ თავდადებული, ერთგული ბრძოლის გარანტი იქნებოდა. ასეთად სახელმწიფო ხელისუფლებას მართლმადიდებელი ეკლესია მიაჩნდა.[1]

[1] **ქეთევან პავლიაშვილი.** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, გვ. 475.

სწორედ აღნიშნული მიზეზით, საბჭოთა მთავრობა ცვლის ეკლესიასთან მიდგომის გზებსა და მეთოდებს, მთელი ძალისხმევით ცდილობს მისი ხალხში ჯერ კიდევ არსებული დიდი ნდობა-ავტორიტეტის თავის სასარგებლოდ გამოყენებას, მოსახლეობის დარაზმვას და მის ჩაბმას ომში სამშობლოს დაცვის მოწოდებით. ეკლესიასთან კეთილმეგობრული ურთიერთობა-თანამშრომლობის დამყარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოს მასშტაბით პოლიტიკური ნდობის აღდგენა-მოპოვების კუთხით, რადგან საერთაშორისო საზოგადოება საბჭოთა მთავრობას ხშირად საყვედურობდა საეკლესიო იდეოლოგიის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების გამო. ამიტომ ეკლესიისადმი მთავრობის ლოიალურ დამოკიდებულებას უნარი შესწევდა მსოფლიოს ქვეყნები დადებითად განეწყო საბჭოთა სახელმწიფოსადმი.[1]

აუცილებლად ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ სტალინისეული რელიგიური პოლიტიკის ერთგვარი ცვლილებების მიზეზი უნდა გამხდარიყო ის გარემოებაც, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის შენიშნული. ნაცისტური გერმანიის მიერ მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში დაკავებულ ტერიტორიებზე გერმანელების მიერ ხდებოდა კომუნისტური ხელისუფლების მიერ დაკეტილი ეკლესია-მონასტრების გახსნა და მათში წირვა-ლოცვის ჩატარება.[2] აღნიშნულ მოტივს ხაზს უსვამს მკვლევარი სერგო რატიანიც, რომელიც წერს, რომ „ნაცისტები ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეკლესიებს ხსნიდნენ და აშკარად პოლიტიკურად მიზანშეუწონელი იყო საბჭოთა კონტროლის აღდგენის შემდეგ მათი დახურვა“.[3] მსგავს მოტივზე საუბრობს ისტორიკოსი ბონდო კუპატაძეც. იგი მიიჩნევს, რომ „1941-1942 წლებში საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ნაცისტებმა აღადგინეს ბოლშევიკების მიერ გაუქმებული და დახურული ეკლესია-მონასტრები. ჯამში, რუსეთის ევროპულ ნაწილში, უკრაინასა და ბელორუსიაში 9 400 ეკლესია გაიხსნა. ამ ტერიტორიების ხელახლა დაკავების შემდგომ საბჭოთა ხელისუფლება უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა – რელიგიასთან მებრძოლი ათეისტური „მშობლიური მთავრობის“ მიერ გაუქმე-

---

[1] **ქეთევან პავლიაშვილი.** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია (1800-1945), გვ. 476.

[2] **Alexander Statiev**. The Soviet Counterinsurgency in the Western Borderlands. Cambridge University Press, 2010, გვ. 73; **Stephen A. Smith**. Communism and Religion. – *The Cambridge History of Communism*. Volume 3: Endgames? Late Communism in Global Perspective, 1968 to the Present. Edited by ***Juliane Fürst, Silvio Pons, Mark Selden***. Cambridge University Press, 2017, გვ. 313.

[3] **სერგო რატიანი.** განსხვავებული ეპოქების განსხვავებული პოლიტიკური თეოლოგიები. – *პოლიტიკური თეოლოგია: მოდერნულობამდე და მოდერნულობის შემდეგ*. რედ. ***გიგა ზედანია***. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ. 143.

ბული ეკლესიები მოსახლეობის სურვილით პირსისხლიანმა ნაცისტებმა აღადგინეს“.[1]

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ მთელი რიგი მიმართულებები აშკარად ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ამ პერიოდში უკვე გამოკვეთილად იყენებს რელიგიური ელფერის მქონე ტერმინებს, რის მაგალითადაც თუნდაც ის ფაქტიც გამოდგება, რომ ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ ომს „წმინდა ომი“ (Священная война) ეწოდა. აღნიშნული ფაქტი სამართლიანად აფიქრებინებს, ოჰაიოს უნივერსიტეტის პროფესორ სტივენ მერიტ მაინერს (Steven Merritt Miner), რომ ეკლესია ამ ომში საგანგებოდ იქნა ჩართული იმისათვის, რომ გამოჩენილიყო, ერთი მხრივ, საბჭოთა საზოგადოების ერთსულოვანი დამოკიდებულება ომისადმი, ხოლო, მეორე მხრივ, ეკლესიის მნიშვნელოვანი დანიშნულება შექმნილ სიტუაციაში.[2]

ომის საწყის პერიოდშივე რუსეთის საეკლესიო იერარქებმა ზუსტად განსაზღვრეს და შეაფასეს შექმნილი უაღრესად რთული სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა. მათ შესანიშნავად გაიაზრეს, რომ საჭირო იყო ეკლესიას იდეურად სწორი, ტაქტიკურად გამართლებული პოზიცია დაეკავებინა.

ომის დაწყების პირველივე დღეს რუსეთის პატრიარქის ტახტის მონაცვლემ, მოსკოვისა და კოლომნის მიტროპოლიტმა სერგიმ (სტრაგოროდსკიმ) დაწერა ეპისტოლე, რომელშიც გადმოცემული იყო ეკლესიის მხრიდან საბჭოთა ხელისუფლებისადმი სრული მხარდაჭერა, სამშობლოს დასაცავად ომში მონაწილეობა ყველა მართლმადიდებლის უწმინდეს მოვალეობად გამოცხადდა. 1942 წლის 22 ივნისის ეპისტოლეს შემდეგ მიტროპოლიტმა სერგიმ კიდევ 23 ეპისტოლე გაუგზავნა სამღვდელოებას და მრევლს. ამ ეპისტოლეთა საერთო აზრი იყო, რომ ღმერთის შეწევნით საბოლოო გამარჯვება საბჭოთა კავშირს დარჩებოდა.[3] ასევე სრული მხარდაჭერა გამოეცხადა ცენტრალური ხელისუფლების ყველა მოქმედებას, რომელიც სახელმწიფოს დაცვა-გაძლიერებისკენ იყო მიმართული. პატრიარქის მოწოდებების წერილობითი ვერსიები სისტემატურად იბეჭდებოდა ცენტრალურ პრესაში.

საჭიროდ მიგვაჩნია, აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ რუსეთის ეკლესია მხოლოდ ეპისტოლეებისა და მიმართვების გაგზავნით არ შემოფარგლულა და გადაწყვიტა, სა-

---

[1] **ბონდო კუპატაძე, ლევან ცუცქირიძე.** 13 მითი სტალინის შესახებ. Netherlands Institute for Multiparty Democracy, 2016, გვ. 46.

[2] **Steven Merritt Miner**. Stalin's Holy War. Religion, Nationalism, and Alliance Politics, 1941-1945. The University of North Carolina Press, 2003, გვ. 67.

[3] **მერაბ ვაჩნაძე. ვახტანგ გურული**. რუსეთის ისტორია, 1938-1953. თბილისი: „არტანუჯი“, 2006, გვ. 80.

ხელმწიფოს ეკონომიკურადაც დასდგომოდა გვერდით, კერძოდ, ეკლესია იმთავითვე შეუდგა მრევლში ფულადი სახსრებისა და სხვა შესაწირის (ოქრო-ვერცხლის ნივთების, ძვირფასი ქვების და სხვა.) შეგროვებას ომის საჭიროებისთვის.[1]

გერმანიასთან ომის დაწყებისთანავე, საქართველოს ეკლესიამ ზუსტად აუღო ალღო შექმნილ მდგომარეობას და ანტიფაშისტური ორგანიზაციის მტკიცე დამცველად გამოვიდა. გამომდინარე იქიდან, რომ იმჟამად საქართველოს რესპუბლიკა ტერიტორიულად საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იმყოფებოდა, საქართველოს ეკლესია მოვალე იყო, ეღიარებინა სახელმწიფოს პოლიტიკის კურსი, დაეცვა მისი ინტერესები და გამოეჩინა მისდამი ერთგულება. აღნიშნულს ისიც ემატება, რომ ქრისტიანულ-ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს ეკლესია ვერ გაამართლებდა ჰიტლერული გერმანიის ანტისაბჭოურ იდეოლოგიას – ფაშიზმს. ისტორიული ტრადიციებით და მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობით, ეკლესია არ უნდა შეგუებოდა არაჰუმანურ არც ერთ მიმართულებას და მისთვის მკაცრი ბრძოლა უნდა გამოეცხადებინა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეკლესია და მისი სასულიერო კრებული ერთიანი ძალით ირაზმება ფაშიზმის წინააღმდეგ. ამავდროულად, არსებულ სიტუაციაში საკუთარი ეკლესიის გადარჩენისა და სრული დამოუკიდებლობისათვის მეცადინეობაც უპრიანი იქნებოდა, მათი ცენტრალურ ხელისუფლებასთან და რუსეთის ეკლესიასთან თანამშრომლობა.[2] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) 1941 წლის 24 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და სახკომისრების სხდომაზე გააკეთა განცხადება, სადაც მთელი ქართველი სამღვდელოებისა და მორწმუნე მრევლის სახელით საჯაროდ დაგმო ფაშისტური იდეოლოგია და მისი აგრესია საბჭოთა სახელმწიფოსადმი: „საუკუნეთა მანძილზე კირთების ქვეშ მყოფმა ჩვენმა ხალხმა ოცდაოთხი წლის წინათ დააღწია თავი სამარცხვინო მონობას და თავის წიაღიდან წარმოშობილ გმირთა ბრძნული ხელმძღვანელობით შეუდგა თავისუფალ და მშვიდობიან აღმშენებლობით მუშაობას. დასაბამიდან კაცის მკვლელს ბოროტ სულს შეშურდა გუშინდელი მონების ასეთი წარმატება და აღიძრა ჩვენს წინააღმდეგ ცოდნისა და განათლების სახელგანთქმული ერის ხელმძღვანელნი, ჩვენს მიერ დღევანდელ დღემდე მეგობრად და კეთილმოსურ-

[1] **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული**. რუსეთის ეკლესიის ისტორია, ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 63.
[2] **მედეა ბენდელიანი**. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილილის გამომცემლობა, 2002, გვ. 96-97.

ნედ მიჩნეული, გულმოდგინედ გადმოალახვინა მათ ჩვენი საზღვრები, „წუნწუფა და ცეცხლი“ შემოიტანა ჩვენს მიწა-წყალზე, რათა შეაჩეროს ჩვენი სვლა ბრწყინვალე მომავლისკენ“.[1] აღნიშნული განცხადება გაიგზავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს სახელზე და პრესის მეშვეობით ქვეყნის მასშტაბით გავრცელდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, მისი საჭეთმპყრობელის კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს ხელმძღვანელობით და აქტიური მონაწილეობით, ჩაება საბჭოთა ქვეყნის გამარჯვებისთვის დაწყებულ სააგიტაციო-პროპაგანდისტულ საქმიანობაში. უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე სიონის საპატრიარქო ტაძარში ქადაგებისას არაერთხელ შეეხო ომისა და მშვიდობის თემას. ერთ-ერთ ქადაგებაში, მიმართავდა რა მრევლს, ის აღნიშნავდა: „აღვავლენთ მხურვალე ლოცვას, რათა მოანიჭოს დიდსა სამშობლოს ჩვენსა გამარჯვება ვერაგ მტერზედ, დაგვიბრუნოს ჯანმრთელი, დღეს ფრონტზედ მოღვაწენი ჩვენი შვილები, ძმები და მეუღლეები, აღივსო ქვეყანა ჩვენი, სახელნი ჩვენნი და გულნი ჩვენნი სიყვარულითა, სიხარულითა და კეთილმსახურებითა“. საბჭოთა კავშირის ცენტრალური პრესა (გაზეთები „პრავდა“, „იზვესტია“, „კომუნისტი“) სისტემატურად ბეჭდავდა კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვებს, ქადაგებებსა და მილოცვებს სტალინისადმი საბჭოთა კავშირის იუბილისა თუ წითელი არმიის ფრონტული წარმატების თემატიკაზე. აქვე საუბარი იყო იმ შემოწირულობათა რაოდენობაზეც, რომელიც სისტემატურად გროვდებოდა ქართველ მორწმუნეთა შორის ფრონტის საჭიროებისათვის. ხელისუფლება დადებითად აღიქვამდა ყოველივე ამას.[2]

უაღრესად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ზუსტი გამჭრიახობითა და ალღოთი მიღებული გადაწყვეტილებით საქართველოს ეკლესია ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელოვან საქმეს აგვარებდა:

1) ანტიფაშისტური მიმართულების მებრძოლი ქვეყნებისა და საზოგადოების რიგებში ჩადგა;
2) საბჭოთა ხელისუფლების „ნდობას“ იპოვებდა;
3) ეროვნული ეკლესიის დაცვა-გადარჩენისთვის და მისი იურიდიული უფლე-

[1] **ქეთევან პავლიაშვილი.** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, გვ. 477-478.

[2] **სერგო ვარდოსანიძე**. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე (1917-2017 წ.წ.). თბილისი, 2017, გვ. 277.

ბის აღდგენისთვის იღვწოდა.[1]

ამას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობისთვის, რომლებიც ეროვნული იდეის აღორძინებასა და პრაქტიკული განხორციელების გზებს ეკლესიაში ეძებდნენ.

დიდ სამამულო ომში საქართველოს ეკლესიის მოღვაწეობა მარტო პოლიტიკური და სააგიტაციო მუშაობით არ შემოფარგლულა. მან საკმაოდ დიდი როლი შეასრულა თავდაცვის ფონდში ფინანსური წვლილის შეტანით.

სამამულო ომის დაწყებისთანავე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გამოვიდა ინიციატივით შესაძლებლობის ფარგლებში მრევლიდან აკრეფილი სახსრებით თავდაცვის ფონდის შევსებისთვის. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოთხოვნით, საქართველოს ყველა ეკლესია-მონასტერში დაიდგა შემოწირულობების ყუთი. შეკრებილი თანხა ყოველი თვის მიწურულს ბარდებოდა საპატრიარქოს სამდივნოს, სადაც საგანგებო ოქმის დართვით იგზავნებოდა სახალხო ბანკში კათოლიკოს-პატრიარქის ანგარიშზე. 1943 წელს შემოწირულმა თანხამ 85 000 მანეთს მიაღწია,[2] რაც იმ პერიოდის მატერიალური სიდუხჭირის ფონზე საკმაოდ სოლიდური თანხა იყო. მოსახლეობის მხრიდან აღნიშნული ნაბიჯი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მათ ნათლად ჰქონდათ გააზრებული სახელმწიფოსთვის დახმარებისა და თანადგომის აუცილებლობა, გარდა ამისა, როგორც ჩანს, ხალხში კვლავაც დიდი ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა.

საქართველოსა და რუსეთის ეკლესიათა აქტიური ჩართვამ ანტიგერმანულ და ზოგადად ომის საწინააღმდეგო კამპანიაში, ცენტრალური ხელისუფლება სერიოზულად დააფიქრა იმაზე, რომ საბჭოთა საეკლესიო პოლიტიკაში საჭირო კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და დათმობების განხორციელება, მეტიც, შეიძლება თამამად ითქვას, საბჭოთა მთავრობამ ომის პერიოდში სარწმუნეობრივი პოლიტიკა საერთო პოლიტიკური კურსის მნიშვნელოვან და ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად აქცია.

საქართველოს სამღვდელოების ზემოხსენებული მოღვაწეობა მთელი სამამულო ომის მიმდინარეობის პროცესში არ შენელებულა. განსაკუთრებული მასშტაბები შე-

---

[1] **მედეა ბენდელიანი**. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში, გვ. 97.

[2] **ქეთევან პავლიაშვილი.** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, გვ. 473.

იძინა მისმა მრავალმხრივმა საქმიანობამ კავკასიის დაცვითი ბრძოლის დროს. აღნიშნულ პერიოდში ქართველი სამღვდელოება, როგორც მორალური, ასევე ფინანსური თვალსაზრისითაც სრულად მობილიზებული აღმოჩნდა კავკასიაში განლაგებულ წითელ არმიელთა სულიერად გასამაგრებლად. სასულიერო კრებული, შესაძლებლობის ფარგლებში, მნიშვნელოვან ფინანსურ და სულიერ დახმარებას უწევდა იმ ოჯახებს, რომელთა წარმომადგენლები ფრონტზე იბრძოდნენ. ყოველივე აღნიშნულმა ეკლესიისადმი მრევლის ტრადიციული დამოკიდებულება აღადგინა და ხალხი სასულიერო კრებულისადმი კვლავ დიდი ნდობითა და სიყვარულით განეწყო.

ფრონტის დასახმარებლად გაწეული დახმარება სხვადასხვა ხასიათის იყო: სამღვდელოება იძენდა ობლიგაციებს, ლატარიის ბილეთებს, ამზადებდა წითელი არმიელებისთვის პროდუქტებს, თბილ სამოსელს, თეთრეულს და სხვა.[1]

1943 წლის 4 სექტემბერს იოსებ სტალინმა მიიღო პატრიარქის ტახტის მონაცვლის, მოსკოვისა და კოლომნის მიტროპოლიტი სერგი (სტრაგოროდსკი), ლენინგრადისა და ნოვგოროდის მიტროპოლიტი ალექსი (სიმანსკი) და პატრიარქის ეგზარქოსი უკრაინაში, კიევისა და გალიჩის მიტროპოლიტი ნიკოლოზი (იარუშევიჩი). ამ შეხვედრაზე გადაწყდა რუსეთის ეპისკოპოსების კრების მოწვევა და პატრიარქის არჩევა.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსების კრება შედგა მოსკოვში 1943 წლის 8 სექტემბერს. კრებას ესწრებოდა 19 იერარქი (3 მიტროპოლიტი, 1 არქიეპისკოპოსი, 5 ეპისკოპოსი). ეპისკოპოსების კრებამ რუსეთის პატრიარქად აირჩია პატრიარქის ტახტის მონაცვლე, მოსკოვისა და კოლომნის მიტროპოლიტი სერგი (სტრაგოროდსკი). 1943 წლის 12 სექტემბერს შედგა ახლადარჩეული პატრიარქის ინტრონიზაცია.[2]

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „სამამულო ომის“ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსეთში მოქმედი ეკლესიების რიცხვი. 1944 წლის გაზაფხულისთვის რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში დაახლოებით 40 ეპარქია არსებობდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საეკლესიო ლიტერატურის გამოცემის საქმე. 1943 წლის სექტემბერში განახლდა „მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალის“ გამოცემა. ჟურნალის პირველი რედაქტორი პატრიარქი სერგი იყო.

---

[1] **მედეა ბენდელიანი**. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში, გვ. 104.

[2] **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული**. რუსეთის ეკლესიის ისტორია, ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 82-83.

1943 წლის ოქტომბერში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა დაამტკიცა სასულიერო განათლების სისტემის პროექტი. პროექტის მიხედვით მოსკოვში უნდა გახსნილიყო მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო ინსტიტუტი, ხოლო ეპარქიებში – საღვთისმეტყველო კურსები.[1]

ამ ფაქტს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გამოცემისა და განათლების უფლების მინიჭებით საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ ეკლესიას დიდი მხარდაჭერა გამოუცხადა. აღნიშნული რუსულ და ევროპულ ისტორიოგრაფიაში სავსებით სამართლიანადაა მიჩნეული ეკლესიის ინსტიტუტის გაძლიერებისა და დაქვემდებარებისაკენ გადადგმულ მნიშვნელოვან და შეგნებულ სვლად, რაშიც მთავრობა საკუთარ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ნაბიჯებს გულისხმობდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ომის პერიოდში საერთაშორისო ვითარებით ნაკარნახევ საბჭოთა მთავრობის კომპრომისულ საეკლესიო პოლიტიკას საქართველოს ეკლესიამ შემხვედრი ნაბიჯებით უპასუხა და ცენტრალური ხელისუფლების თვალში აქტიურ მხარდამჭერად მოგვევლინა. ამ გარემოებამ, ბუნებრივია, მისდამი ნდობა გაზარდა, რაც კონკრეტულ ხელშემწყობ ნაბიჯებში გამოიხატა.

მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას რუსულ ეკლესიას ხელსაყრელი პერიოდი დაუდგა პატრიაქობის აღდგენისათვის. უმაღლესმა ხელისუფლებამ დააფასა ეკლესიის როლი ომში; თავის მხრივ ეკლესიამაც მოიპოვა ნდობა ხელისუფლების წრეებში და ნება დართო მას 1943 წლის 8 სექტემბერს მოეწვიათ მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთა კრება მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ასარჩევად და წმინდა სინოდის შესაქმნელად. კრებამ პატრიარქად აირჩია მიტროპოლიტი სერგი (სტრაგოროდსკი).

სრულიად რუსეთის პატრიარქის არჩევას კმაყოფილებით შეხვდა საქართველოს ეკლესია, რადგან ამ ფაქტს უდიდესი როლის შესრულება შეეძლო ჩვენი ქვეყნის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისათვის. არსებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა საქართველოს ეკლესიის უფლებების აღიარებისათვის. კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) ისეთი პოლიტიკა შეიმუშავა, რომელიც ადგილიდან დაძრავდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ცნობის საკითხს. მეორე მსოფლიო ომში საქართველოს ეკლესიის დამსახურება კათოლიკოს-პატრიარქს უფლებას აძლევდა, ავტოკეფალიის აღიარება მოეთხოვა რუსეთის ეკ-

[1] **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული**. რუსეთის ეკლესიის ისტორია, ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 83.

ლესიისაგან. 1943 წლის 14 სექტემბერს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ მისალოცი დეპეშა გაუგზავნა სრულიად რუსეთის პატრიარქს სერგის და იმედი გამოთქვა მშვიდობიან თანაცხოვრებაზე ღვთის სადიდებლად. საპასუხო ტელეგრამაში პატრიარქმა სერგიმ გამოთქვა სურვილი, რომ ეკლესიათა შორის ურთიერთობები უფრო გაღრმავებულიყო.[1]

ორი საეკლესიო იერარქის ურთიერთობისაკენ ლტოლვამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ 1943 წლის 28 ოქტომბერს დაიწყო მთელ რიგ საკითხებზე შემამზადებელი მოლაპარაკებები. ამ მიზნით რუსეთის პატრიარქმა სერგიმ საქართველოს საკათალიკოსოში გამოგზავნა მისი წარმომადგენელი სტავროპოლისა და პიატიგორსკის არქიეპისკოპოსი მეუფე ანტონი. საქართველოს სასულიერო ხელისუფლებასთან შეხვედრისას არქიეპისკოპოსმა ანტონმა აღნიშნა, რომ ის პატრიარქისგან მოვლინებული იყო საქართველოს ეკლესიის ხელისუფლებასთან, რათა ადგილზე გამოერკვია რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის ლოცვითი და კანონიკური განხეთქილების ლიკვიდაციის საშუალებანი. მან საეკლესიო კანონმდებლობიდან გამომდინარე აღნიშნა, რომ საეკლესიო საზღვრები უნდა დამთხვეოდა სამოქალაქოს, რომ რუსული საპატრიარქო თანახმა იყო, ეღიარებინა საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია საქართველოს სსრ-ის ფარგლებში. პარალელურად, მან ქართული ეკლესიისგან კატეგორიულად მოითხოვა სახელმწიფო პოლიტიკური კურსის აღიარება და მისდამი ერთგულება, რაც უნდა გამოხატულიყო რუსული ეკლესიის ანტიკანონიკური დაჯგუფებების უარყოფაში, მათთან ყოველგვარი ურთიერთობის აღკვეთაში.[2] კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს განცხადებით, ქართულ ეკლესიას არ გააჩნია საეკლესიო სამართლის საწინააღმდეგო გადახრა, რომელიც ხელს შეუშლიდა რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის კანონიკურ ურთიერთობათა აღდგენას. მას შემდეგ, რაც კათოლიკოს-პატრიარქმა დაარწმუნა იგი თავისი ამომწურავი პასუხებით, არქიეპისკოპოსმა ანტონმა, მისი უწმინდესობის მოსკოვის პატრიარქის მიერ ბოძებული უფლებამოსილებით, კანონიკურად შესაძლებლად ჩათვალა, ეთხოვა ნებართვა ერთობლივ მსახურებაზე, რომელიც შედგა 1943 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს უძველეს საკათედრო ტაძარში – სიონში, რითაც ფაქტობრივად აღსდგა ლოცვითი

[1] **მედეა ბენდელიანი**. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში, გვ. 137.

[2] **მედეა ბენდელიანი**. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში, გვ. 137-138.

თანაზიარება ორ ეკლესიას შორის. აღნიშნული მოვლენა მიმანიშნებელი იყო რუსული ეკლესიის მხრიდან ქართული ეკლესიის აღიარებისა.[1]

როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებაზე ვსაუბრობთ, აუცილებლობად მივიჩნევთ, აღვნიშნოთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც რუსეთის ობნოვლენური ეკლესიის სინოდის მიერ მიღებულ იქნა 1927 წლის 25 თებერვლის აქტი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის შესახებ.[2] ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს და სანამ ამ საკითხის ირგვლივ რაიმე ახალი დამადასტურებელი წყაროები არ გამოვლინდება, ძალიან რთულია რაიმე კონკრეტულის მტკიცება.

მოსკოვში დაბრუნებულმა არქიეპისკოპოსმა ანტონმა საანგარიშო მოხსენებით სრულიად რუსეთის პატრიარქის სერგის წინაშე განცხადება გააკეთა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ რადიკალურად შეიცვალა საქართველოს სახელმწიფოებრივი (იურიდიული) მდგომარეობა, მართალია, იგი რჩება სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად, მაგრამ უკვე საბჭოთა კავშირის ნაციონალურ რესპუბლიკებთან ერთად და მათ მსგავსად აქვს თავისი განსაზღვრული სახელმწიფო ტერიტორია და მმართველობა, ამიტომ მართლმადიდებელი რუსული ეკლესია, აბარებს რა წარსულს ყოველგვარ სჯულისმიერ ანგარიშსწორებებს და ცდილობს, სიხარულით ხელგაშლილი შეხვდეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას, რომელიც მუდამ ეძიებდა რუსეთის ეკლესიასთან თანამშრომლობას ლოცვებში და საიდუმლოებებში.

აღნიშნულის საფუძველზე, რუსეთის უწმინდესმა სინოდმა განაჩინა: „მიიღება რა მხედველობაში, რომ საქართველოს უწმინდესმა და უნეტარესმა კათოლიკოს-პატრიარქმა ქართველი იერარქიის სამღვდელო დასისა და სამწყსოს სახელით დაამტკიცა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის უცვლელი გადაწყვეტილება, როგორც წარსულში, ასევე აწმყოში და მომავალშიც დარჩეს წმინდა მოციქულთა და წმინდა მამათა მიერ გადმოცემული მართლმადიდებელ სარწმუნოებაში, შეინარჩუნოს და დაიცვას ეკლესიის კანონები, აღიარებულ იქნას:

ა) ყოვლად უსამღვდელოეს სტავროპოლის მთავარეპისკოპოსის ანტონის მოქმედება კანონიერად, რომელმაც 1943 წლის 31 ოქტომბერს უწმინდეს კათალიკოსთან

---

[1] **ნუგზარ პაპუაშვილი**. საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის. თბილისი, 1996, გვ. 25.

[2] **მედეა ბენდელიანი.** რუსეთის ეკლესიის სინოდის 1927 წლის 25 თებერვლის აქტი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის შესახებ და მისი ისტორიული მნიშვნელობა. // *გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომები.* თბილისი, 2009, გვ. 173.

ერთად და მისდამი დაქვემდებარებულ სამღვდელოებასთან ერთად აღავლინა ლოცვა და ევქარისტია, რითაც არ დაარღვია მოსკოვის უწმინდეს პატრიარქის მიერ ყოვლად უსამღვდელოეს ეპისკოპოსისადმი მინიჭებული უფლებამოსილება. ამგვარად:

ბ) ჩვენდა სასიხარულოდ აღდგენილია ლოცვითი და ევქარისტული ურთიერთობა ქართულ და რუსულ ორ ავტოკეფალიურ დედა-ეკლესიებს შორის:

გ) ეცნობოს მომხდარის შესახებ საქართველოს სსრ-ს ფარგლებში მყოფ მართლმადიდებელ სამწყსოს და განვუმარტოთ მათ, რომ ამიერიდან მათი ვალია ღვთისმსახურებისას მოიხსენიონ იერარქიული თანმიმდევრობით საქართველოს უწმინდესი კათოლიკოსის და სხვა იერარქების სახელები და უეჭველად საიდუმლოთა აღსრულებისთვის მიმართონ ქართულ მღვდელთმსახურებს, როგორც მართლმადიდებლებს;

დ) ეთხოვოს საქართველოს უწმინდეს კათოლიკოს-პატრიარქს მიიღოს საქართველოს სსრ-ში მცხოვრები მართლმადიდებელი რუსი მრევლი თავის საჭეთმპყრობილებაში და მიეცეთ მათ უფლება შეინარჩუნონ თავიანთ მღვდელმსახურებაში და სამრევლო პრაქტიკაში ის წესები და ჩვევები, რაც მიიღეს მათ რუსული ეკლესიისგან მემკვიდრეობით“.[1]

სინოდალური განჩინების შემდეგ რუსეთის პატრიარქმა სერგიმ წერილი გაუგზავნა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს კალისტრატეს, რომელშიც მიუთითებდა, რომ „არ უნდა მიექცეს ყურადღება იმას, რაც იწერებოდა და ითქმოდა საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ თუ მხარდასაჭერად. ასევე, არ უნდა დაიწყოს ურთიერთანგარიშსწორებანი, რომლებიც ხელს უშლიდნენ მოცემული საკითხისადმი მიუკერძოებელ მიდგომას. საქართველოს ავტოკეფალია უკვე აღარ არის ამ ორ ეკლესიას შორის ცილობის საგანი“.[2]

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრებში რუსეთის ეკლესია ცნობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას მის განჩინებაში: აღავლენდა ლოცვით და ევქარისტიულ კავშირს მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და საეკლესიო წესების დოგმატების დაცვის პირობით, კერძოდ, განშორებას ლოცვით ურთიერთობისაგან პირებთან და საზოგადოებებთან, რომლებიც

---

[1] **მედეა ბენდელიანი.** საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში, გვ. 141-142.

[2] Письмо Св. Патриарха Сергия к Патриарху Грузии Католикосу Каллистрату. // *Журнал Московской патриархии*, №3, 1944, გვ. 10; **მ. ბენდელიანი**. საქართველოს სამოციქულო ეკლესიისთვის ტერიტორიული ავტოკეფალიის მინიჭების საკითხი საბჭოთა სისტემაში (1943 წელი). // *ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, №XIII-XIV, 2017, გვ. 229.

განყენებული იყვნენ ზიარებიდან რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის სამსჯავროს მიერ.[1]

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების შემდეგ, რუსეთის პატრიარქმა წერილებით მიმართა მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს და აცნობა, რომ ამიერიდან რუსეთის ეკლესია ოფიციალურად აღიარებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, აღნიშნულ ფაქტს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა საქართველოს ეკლესიის თვითმოწესეობის შემდგომი საერთაშორისო აღიარებისათვის.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალიის აღიარებას რუსეთის ეკლესიის მიერ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სასულიერო დასისათვის, ასევე საერო თვალსაზრისით. იმ პირობებში, როდესაც ქვეყანას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგული ჰქონდა, ეკლესიის თვითმოწესეობის აღიარება აძლიერებდა ქართველთა ეროვნულ თვითმყოფადობა-იდენტობას, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანსვეტიც ისტორიულად მართლმადიდებლური მრწამსი იყო. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ეროვნული ცნობიერების არნახული გაძლიერება და ერის დედა-ეკლესიისაკენ შემობრუნება ერთდროულად მოხდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ხელისუფლების გატარებული პოლიტიკის ერთგვარ დაგვირგვინებად შეგვიძლია მივიჩნიოთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წ. 1 დეკემბრის დადგენილება „მართლმადიდებლური ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების შესახებ“, რომლის მიხედვითაც „სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენდა:

1. აიკრძალოს დახურვა დადგენილი წესით რეგისტრირებული მართლმადიდებელი ეკლესიებისა, რომლებიც ყოფილ საეკლესიო შენობებში მოქმედებდნენ, და იმ სამლოცველო სახლებისა, რომლებიც მორწმუნეთა მიერ იჯარით აღებულ სადგომებში არიან მოთავსებული, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის საქმეთა საბჭოს ნება დაურთველად;
2. ნება დაერთოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივ საბჭოებს, საოლქო და სამხარეო აღმასკომებს, საჭიროების შემთხვევაში გაათ-

[1] **მედეა ბენდელიანი.** საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში, გვ. 143.

ავისუფლონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა შენობები (სკოლები, კლუბები, საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებანი და სხვა), რომლებიც გერმანელთა ოკუპაციის პერიოდში გამოყენებული იყო ეკლესიებად და სამლოცველო სახლებად, ამასთან მისცენ საეკლესიო საზოგადოებებს დრო, რაც საჭიროა იმისთვის, რომ მოძებნონ სხვა შენობები იჯარის უფლებით. ასეთ შემთხვევაში, როცა აღნიშნული სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი მოთავსებული იყვნენ ყოფილ საეკლესიო შენობებში, ხოლო ოკუპაციის პერიოდში ეს შენობები რელიგიურმა საზოგადოებებმა დაიკავეს, ამ შენობების გათავისუფლების საკითხი უნდა გადაიჭრას სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან შეთანხმებით;

3. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს, როცა მორწმუნეთა მნიშვნელოვანი ჯგუფებისგან მიღებული იქნება შუამდგომლობა მართლმადიდებლური ეკლესიის გახსნის შესახებ, თუ რაიონში ან ქალაქში არ მოიპოვება მოქმედი ეკლესიები ანდა მოქმედი ეკლესია განმცხადებელთა საცხოვრებელი ადგილიდან მნიშვნელოვან მანძილზე მდებარეობს – დააკმაყოფილოს ეს შუამდგომლობა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 28 ნოემბრის №1325 დადგენილებით გათვალისწინებული წესით. პირველ რიგში დაკმაყოფილებული უნდა იქნას მორწმუნეთა შუამდგომლობანი იმ ეკლესიების გახსნის შესახებ, რომელთა მიმართაც არ ყოფილა გამოტანილი დადგენილებანი მათი დახურვის შესახებ და საეკლესიო შენობები თავისუფალია და მათი გადაკეთება არ მომხდარა.
4. აიკრძალოს საეკლესიო შენობების გადაკეთება სხვა მიზნებისთვის სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს ნება დაურთველად;
5. დაწესდეს, რომ საეკლესიო შენობების დანგრევა ან აღება დაიშვება საოლქო (სამხარეო) აღმასკომის, ან რესპუბლიკის სახკომსაბჭოს განკარგულებით განსაკუთრებულ შემთხვევაში (თუ შექმნილია მისი ჩამონგრევის საფრთხე და სხვა.), უკეთუ ამის შესახებ შედგენილია აქტი და არსებობს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულის დასკვნა;
6. დაწესდეს, რომ ახალი სამლოცველო შენობების მშენებლობა დაიშვება ცალ-

კეულ შემთხვევაში მორწმუნეთა ძალებითა და სახსრებით, სსრ კავშირის სახკომ საბჭოსთან არსებული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს ნებართვით“.[1]

ვეთანხმებით მკვლევარ მედეა ბენდელიანის დასკვნას, რომ „მიუხედავად მთავრობის საგანგებო დადგენილებისა, ქართული სამღვდელოებისა და მორწმუნე საზოგადოების დიდი ძალისხმევისა, საქართველოს ეკლესია-მონასტრების ამოქმედების საკითხი უკიდურესად ჭიანურდებოდა“,[2] რის ერთ-ერთ მიზეზად ისიც მიგვაჩნია, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების ხარისხი ადგილობრივი მთავრობის მიერ საკმაოდ მოიკოჭლებდა, რაც ალბათ ქვეყნის საგანგებო მდგომარეობით უნდა აიხსნას.

სტალინისეული რელიგიური პოლიტიკის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია თავად მისი დამოკიდებულება, რომელიც, მართალია, ოფიციალურად არსად გაჟღერებულა, თუმცა, ჩვენს ხელთ არის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის საინტერესო მოგონება. საქმე იმაშია, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ 1945 წლის ოქტომბერში, მან თავისთან იხმო აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი. როგორც ეს უკანასკნელი გადმოგვცემს, საუბარში სტალინი შეხებია ჩვენთვის საინტერესო საკითხს, კერძოდ, უთქვამს, რომ „ომს /ანათემას/ უპასუხეთ ომით. დღეს სამღვდელოება სულ სხვა რიგად იქცევა და ჩვენც ჩვენი პროგრამის თანახმად სარწმუნოების თავისუფლების შესახებ თავისუფლება მივანიჭეთ ეკლესიასაც“.[3]

ამრიგად, 1941-1945 წლებში საბჭოთა სარწმუნეობრივმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. ხელისუფლებამ გაიაზრა, რომ გარე საფრთხის პირობებში ეკლესიის ინსტიტუტს თამამად შეიძლებოდა დაყრდნობოდა და გამოეყენებინა იგი, როგორც საშინაო, ასევე საგარეო პრობლემების მოსაგვარებლად. თავის მხრივ, როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამაც ალღო აუ-

---

[1] სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილება მართლმადიდებლური ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების შესახებ, საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №600, ანაწ. №2, საქმე №581, ფურც. 1-3.

[2] **მ. ბენდელიანი**. ეკლესიებისა და სამლოცველოების ამოქმედების საკითხი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საქართველოში. // *ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, №XV-XVI, 2018, გვ. 32.

[3] აღნიშნული მოგონება დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში, აკადემიკოს ბერძენიშვილის პირად ფონდში, საქმე №1675. ჩვენ ვსარგებლობთ მისი აკადემიური პუბლიკაციით (იხ.: **ნიკო ბერძენიშვილი.** სტუმრად ამხანაგ სტალინთან სოჩაში. 1945.10.20-23. // *ჟურნ. „ცისკარი“*, №1, 1998, გვ. 103).

ღეს სამთავრობო პოლიტიკას და ხელისუფლების მჭიდრო მოკავშირედ მოგვევ-ლინენ, რამაც საეკლესიო ცხოვრების მნიშვნელოვანი გაძლიერება და გამოცოცხლება გამოიწვია.

§3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რწმუნებულის ფორმირება-განვითარების ისტორია (XX საუკუნის 40-50-იანი წლები)

მეორე მსოფლიო ომის დროს რელიგიური ორგანიზაციებისადმი სტალინის ხე-ლისუფლების მიერ გატარებული კომპრომისული პოლიტიკა სულაც არ ნიშნავდა იმ-ას, რომ სახელმწიფომ უარი თქვა რელიგიის კონტროლსა და მის საქმეებში ჩარევაზე. პირიქით, აღნიშნულმა გაცილებით უფრო ინტენსიური ხასიათი შეიძინა, რადგან რელიგიურ ინსტიტუტებს შორის მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფო ინსტი-ტუტად იქცა და თუ მანამდე იგი ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების თვალში ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ ძალად აღიქმებოდა, ამჯე-რად სახელმწიფო კურსის გამტარებლად მოგვევლინა.

იმ რეალობაში, როდესაც საბჭოთა კავშირში თითქმის არ არსებობდა სახელმწი-ფოს მხრიდან ეკლესიასთან თანამშრომლობის ნორმალური მიდგომა, ბუნებრივია, აუცილებელი იყო მოეძებნათ ისეთი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფდა მის იმგვა-რი სახით დარეგულირებას, რომ ორივე მხარე ურთიერთთანამშრომლობით მეტ-ნაკ-ლებად კმაყოფილი დარჩენილიყო. სწორედ ამიტომ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ 1943 წელს ეკლესიაზე კონტროლის უკეთ განხორციელების მიზნით შექმნა ახალი ორგანო – სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული რუსეთის მართლმადიდე-ბელი ეკლესიის საქმეთა საბჭო. საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა გ. კარპოვი.[1] თავის მხრივ, ეს უკანასკნელი ამ თანამდებობაზე შემთხვევით არ აურჩევიათ. იგი საბჭოთა სისტემისათვის მეტად გამოცდილი და სანდო კადრი იყო, რომელსაც სახელმწიფო

[1] **Daniel H. Shubin**. A History of Russian Christianity. Vol IV. Tsar Nicholas II to Gorbachev's Edict on the Freedom of Conscience. New York: Algora Publishing, 2006, გვ. 152-153; **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული.** რუსეთის ეკლესიის ისტორია (სალექციო კურსი). ნაწილი მესამე (1900-2001), ნაკვეთი პირველი (1901-1945). თბილისი: „არტანუჯი“, 2008, გვ. 83. **А. Б. Онищенко**. О роли и значении Совета по делам Русской Православной Церкви в 1943-1953 годах. // *Церковь и время.* №2 (55), 2011, გვ. 133-158. **სერგო ვარდოსა-ნიძე**. საქართველოს ეკლესია XX საუკუნის 50-70-იან წლებში. – *ისტორია შეულამაზებლად.* რედ. ***როინ მეტრეველი, სერგო ვარდოსანიძე,*** თბილისი, 2014, გვ. 43-44.

უშიშროების სისტემაში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ წინამდებარე საკითხის კვლევისას საარქივო დოკუმენტების გამოყენებას განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან საბჭოთა პრესაში ამ სახელმწიფო ორგანოს შესახებ თითქმის არანაირი, მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათის ინფორმაცია გვხდება.[1]

რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს ისტორია ქართულ ისტორიოგრაფიაში ფაქტობრივად შეუსწავლელია. მასზე არსებული ფრაგმენტული სახის ინფორმაცია არსებობს, რაც იმას ადასტურებს, რომ მისი გაანალიზება მეცნიერულ აუცილებლობას წარმოადგენს. მკვლევართა შორის არ არის ერთიანი აზრი, თუ რა უნდა გამხდარიყო საბჭოთა სახელმწიფოსათვის ამ ახალი, მანამდე უცხო სახელისუფლებლო ორგანოს წარმოშობის მიზეზი. გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს და მივიჩნევთ, რომ იოსებ სტალინის აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი ის იყო, რომ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი ცდილობდა შეექმნა ისეთი ორგანო, რომელიც მისი ზედამხედველობის ქვეშ იქნებოდა და ამავდროულად, მაქსიმალური სიზუსტით შეძლებდა საეკლესიო იერარქების გაკონტროლებას. ის უნდა ყოფილიყო „ერთგვარი შუამავალი ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის“.[2] ახლად დაარსებული ინსტიტუციის დაარსების მიმართ ანალოგიური დამოკიდებულება აქვს მედეა ბენდელიანს, რომელიც მიიჩნევს, რომ „მთავრობამ დააარსა ისეთი სასულიერო ორგანო, რომელიც კურირებას გაუწევდა ეროვნულ ეკლესიებს, დაუქვემდებარებდა მათ ცენტრს – რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას, რომლის ერთგულების მოპოვებისთვის თავდაუზოგავად იღვწოდა საერო ხელისუფლება. ასეთი მეთოდით სახელმწიფო ხელისუფლებას მუდმივ მეთვალყურეობაში ჰყავდა რესპუბლიკის ეკლესიები. მათ რიცხვში აღმოჩნდა საქართველოს ეკლესიაც. აღნიშნულის ნათელი გამოვლინებაა უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის 1943 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკლესიის საქმეთა გამო, ცალკე საბჭოს დაარსებაზე“.[3] ვიზიარებთ რა ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, დავძენთ, რომ აღნიშნული ორგანო სასულიერო ნამდვილად არ იყო, ის მთლი-

---

[1] **John Anderson.**The Archives of the Council for Religious Affairs. // *Religion, State and Society.* Vol. 20. Nos 3&4, 1992, გვ. 399-404.

[2] **სერგო ვარდოსანიძე.** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე (1932-1952 წ.წ.). თბილისი: „ნათლისმცემელი“, 2009, გვ. 85.

[3] **მ. ბენდელიანი**. ეკლესიებისა და სამლოცველოების ამოქმედების საკითხი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საქართველოში. // *ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, №XV-XVI, 2018, გვ. 28.

ანად საერო პირებით იყო დაკომპლექტებული.

ამ ნაბიჯით ხელისუფლების მიერ, ერთის მხრივ, თავიდან აცილებული იქნებოდა საეკლესიო ელიტის დაპირისპირება სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკურ კურსთან, რადგან ამას იოსებ სტალინისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა, მეორეს მხრივ კი, მისი პოლიტიკური კურსისა და რეფორმების მოწინააღმდეგე ძალებთან ბრძოლაში ეკლესიის მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურეს, ეკლესიის დამოკიდებულება ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხისადმი, მიუხედავად ქვეყანაში ჩატარებული ათეისტური კამპანიებისა, საზოგადოებისათვის მაინც მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად რჩებოდა.

აღნიშნულ ვარაუდს ისიც ამყარებს, რომ როგორც საარქივო დოკუმენტები ცხადყოფენ, ასეთი, ერთგვარად მაკოორდინირებელი ორგანოს ჩამოყალიბება იმთავითვე გადაწყდა, როგორც კი მან შესაძლებლად ჩათვალა რუსი იერარქებისთვის პატრიარქის არჩევის უფლების მიცემა. ამავე დროს, სტალინმა იმთავითვე გააფრთხილა კარპოვი, პირველ რიგში, არ შეელახა ეკლესიის ავტონომიისა და დამოუკიდებლობის იმიჯი და მეორე მხრივ, კარპოვის თანამდებობა წმინდა სინოდის თვალში არ უნდა ქცეულიყო ახალ ობერ-პროკურორად, რომელიც საეკლესიო-სახელწმიფო საქმეებს იმპერიული ავტოკრატიით მართავდა.[1]

ამ ორგანოს პარალელურად, 1944 წელს შეიქმნა რელიგიური კულტების საქმეთა საბჭო, რომლის მიზანიც იყო საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე რელიგიურ თემატიკაზე მიღებული საბჭოთა კანონმდებლობის ცხოვრებაში გატარების უზრუნველყოფა მოეხდინა.[2] ამ მეორე სახელისუფლებლო ორგანოს დაარსება, სავარაუდოდ, იმით იყო გამოწვეული, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, უზარმაზარ მრავალეროვან და მრავალკონფესიურ გაერთიანებას წარმოადგენდა, ამიტომ, მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობის ნორმალიზების პარალელურად, უნდა მომხდარიყო სახელმწიფოს სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთანაც დამოკიდებულებების ხელახალი ჩამოყალიბება.

---

[1] Записка Г. Г. Карпова о приеме И. В. Сталиным иерархов Русской Православной Церкви. Сентябрь 1943 г. Государственный архив Российской Федерации, ф. 6991, оп. 1, д. 1, л. 1-10. ციტირებას ვახდენთ წიგნიდან: **М. Одинцов**. Русские Патриархи XX века: Судьбы отечества и церкви на страницах архивных документов. Москва, РАГС, 1999, გვ. 283-291. იხ. http://istmat.info/node/34874 (უკანასკნელად ნანახია 30.09.2019).

[2] **Совет по делам Русской православной церкви иделам религиозных культов**. – *Большая Советская Энциклопедия*. 2-е издание. Т. 39. Москва: „Большая советская энциклопедия“, 1956, გვ. 523.

ნიშანდობლივია ისიც, რომ აღნიშნული ორგანო თავდაპირველად ცენტრალიზებული სახით შეიქმნა, მაგრამ ძალიან მალევე გამოჩნდა, რომ მისი დასახული მიზნების ეფექტური რეალიზაციისათვის აუცილებელი იყო მისი გარდაქმნა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობდა საბჭოთა კავშირში შემავალ ეკლესიებთან ინდივიდუალურ მუშაობას. ეს კი შესაძლებელი გახდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი მოკავშირე რესპუბლიკებში არსებულ მართლმადიდებელ ეკლესიებთან დაარსდებოდა ცალკე ორგანო. მართალია, მისი მაქსიმალური გაკონტროლება მოხდებოდა, მაგრამ ამით მთავრობის მუშაობაც გაცილებით უფრო გაადვილდებოდა, რის შედეგადაც უნდა წარმოებულიყო ცალკეულ რელიგიურ ორგანიზაციებთან უფრო შედეგიანი მუშაობა. სავსებით რეალურია, ვივარაუდოთ ის ფაქტიც, რომ ამ მხრივ გარკვეულ აქტიურობას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობაც გამოიჩენდა, რადგან ჩვენი ეკლესიისათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო იმგვარი ორგანიზაციისადმი დაქვემდებარება, რომელიც ცალსახად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეებს განიხილავდა. ეს, ბუნებრივია, შელახავდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებებს, რომელიც თავად რუსეთის ეკლესიის მიერ იყო აღიარებული. აღნიშნულთან დაკავშირებით, ინტერესს იწვევს კათოლიკოს-პატრიარქის წერილები, რომელთა შორისაც განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია ერთი წერილი, რომელიც გაგზავნილია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვალერიან ბაქრაძისადმი. მის მნიშვნელობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მისით დასტურდება პატრიარქ კალისტრატეს საკითხში, ერთის მხრივ, სიღრმისეული, ხოლო, მეორეს მხრივ, პრინციპული დამოკიდებულება. იგი ჯერ სიტუაციას ახსნა-განმარტებას მიმართავს „1943 წლის ოქტომბერში დაარსდა რა რ.ს.ფ.ს.რ-ის (ვინაიდან მართლმადიდებელი სამრევლოები მოიპოვებიან აზერბაიჯანის და თურქმენეთის რესპუბლიკებშიც კი), არამედ კავშირის სახკომსაბჭოსთან რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭო (პირობითად უწოდოთ: მოსკოვის საბჭო). მოსალოდნელი იყო ასეთი საბჭოს დაარსება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის საქმეთათვისაც, მაგრამ დაარსდა მხოლოდ მოსკოვის საბჭოს რწმუნებულის თანამდებობა საქართველოს ს.ს.რ-ში. ჩვენი ეკლესიის რუსეთისათვის დაარსებული ორგანოს სფეროში მოქცევით, რუსეთის ეკლესიას ენიჭება შესაძლებლობა საქართველოს ეკლესიის შინაურ საქმეებში ჩარევისა. თუმცა, 1943 წლის ოქტომბრის 31 და ნოემბრის 19 აქტით, საქართველოს ეკლესიაში შემავალ რუსის მოსახლეობა უფლებამოსილია შეინარჩუნოს რუსეთის ეკ-

ლესიის წესები და ჩვეულებები, მაგრამ ზოგიერთი „მორწმუნე“ დიდმპყრობელობით გაჟღენთილი, ამით ვერ კმაყოფილდება: მას სურს საქართველოს ეკლესიაშიც დამყარდეს რუსული „უმჯობესი“ ჩვეულება-წესები და განიდევნოს „აზიური“ ქართული“.[1] წერილში პატრიარქი საუბრობს იმ საშიშროებაზე, რომელიც ამ ყველაფრის უყურადღებოდ დატოვების შემთხვევაში შეიძლება მომხდარიყო: „სხვა საცილობელ განსხვავებებზე რომ არ ვილაპარაკოთ, მაგალითისათვის, აღვნიშნავ ერთს: ჩვენი ეკლესიის პრაქტიკით, სამშაბათ-ხუთშაბათ-შაბათ საღამოს (და ზოგიერთ მარხვებში) ჯვარის დაწერა შეიძლება, რუსეთის ეკლესიის პრაქტიკით კი – არა. წეს-ჩვეულებების დოგმატისაგან ვერ გამრჩევი „მორწმუნე“ წარმოვიდგინოთ შეეკითხა ორივე ეკლესიის მეთვალყურე ორგანოს – მოსკოვის საბჭოს (პატრიარქს არ მიმართავს პირდაპირ, რადგანაც იგი მოსკოვის საპატრიარქოს წევრი არ არის): რომელი პრაქტიკა უფრო სწორია, ქართული თუ რუსულიო, შესაძლებელი პასუხი ერთადერთია: რუსეთის ეკლესია ასეთ პრაქტიკას არ იცნობსო. ზემოხსენებული „მორწმუნე“ დაიხვევს რა ხელზე ამ პასუხს, დაიწყებს თავისებურ პროპაგანდას საქართველოს ეკლესიის არა-მართლმადიდებლობაზე და ქართველების „განათლების“ საჭიროებაზე, შეიტანს განხეთქილებას მორწმუნე რუსებში, შეეცდება ძმური განწყობილების დარღვევას ქართველთა და რუსთა შორის (როგორც ეს ხდებოდა უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში), და, როცა წყალი საკმაოდ აიმღვრევა, საკითხი „შემთხვევით“ მივა მოსკოვის პატრიარქის ყურამდე, და ის „იძულებული“ შეიქმნება გამართოს მიწერ-მოწერა საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქთან, და „ძმური რჩევების“ საშვალებით მოხდეს ძლიერისაგან სუსტის და ჩაგვრა: ყოველთვის ხომ მოსკოვის კათედრა არ ეჭირება ისეთ ფართო მსოფმხედველობის ადამიანს, როგორიც იყო განსვენებული სერგი პატრიარქი“.[2] და, შესაბამისად აღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით სამართლიანობის დამყარებისათვის მოითხოვს – „დააარსოთ საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ჩვენი ეკლესიის საქმეთათვის საკუთარი საბჭო, ან საკუთარი რწმუნებული (ჩვენი ეკლესია იმდენად პატარაა, რომ მისთვის საკმარისი იქმნება რწმუნებულიც), რომელსაც თავაშვებული „მორწმუნე“ მის მიერ ათვალისწინებულ ქართულ ჩვეულებათა შესახებ ან ვერ მიმარ-

[1] საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, მოქალაქე ვალერიანე მინასძე ბაქრაძეს. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქმე №2, ფურც. 8-9.

[2] საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, მოქალაქე ვალერიანე მინასძე ბაქრაძეს. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქმე №2, ფურც. 8-9.

თავს, ან, თუ მიმართა, მიიღებს მისგან, როგორც ჩვენებურ წესებ-ჩვეულებების საფუძვლიანად დაბადებიდანვე მცოდნისაგან, სათანადო განმარტებას, ან მივლინებული იქმნება მის მიერ საქართველოს ეკლესიის მეთაურთან".[1] ზემოთ მოყვანილი მასალა ადასტურებს პროფესორ ქეთევან პავლიაშვილის დასკვნას, რომლის მიხედვითაც „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა არაერთგზის აღძრა საკითხი უმაღლესი ხელისუფლების წინაშე საქართველოს რეპუბლიკის სახკომსაბჭოსთან საკუთარი საბჭოს დაარსებაზე, რომელიც გაუწევდა მეთვალყურეობას საქართველოს".[2]

სავარაუდოა, რომ ქართულ სინამდვილეში სახელისუფლებლო ადგილობრივი ორგანოს დაარსება იმითაც იყო განპირობებული, რომ მისი ფუნქციონირება და კონტროლი საბჭოთა ხელისუფლებისათვის ადგილზე ბევრად უფრო მარტივი ყოფილიყო, ასევე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობას იმ ეტაპზე არ სურდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის მომდურება, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეკლესიას მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა სახელმწიფოს მხარდასაჭერად რიგი ნაბიჯი ჰქონდა გადადგმული და მომავალშიც სანდო მოკავშირედ განიხილებოდა. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ცენტრალური ხელისუფლების მიერ ერთგვარი დათმობითი პოლიტიკა, რის შედეგადაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 2 სექტემბერის №959 დადგენილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინა: „საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 22 აგვისტოს №11536 დირექტივის შესაბამისად დამტკიცდეს უფლებამოსილების თანახმად დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რწმუნებულის თანამდებობა".[3] ამავე დადგენილებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, „გაუქმდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს სსრ-ს საკითხებში საბჭოს რწმუნებულის თანამდებობა".[4]

---

[1] საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, მოქალაქე ვალერიანე მინასძე ბაქრაძეს. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქმე №2, ფურც. 9.

[2] **ქეთევან პავლიაშვილი.** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, გვ. 535.

[3] Постановление №959 Совета Министров Грузинской ССР 2 сентября 1947 года. Об учреждении должности Уполномоченного Совета Министров Грузинской ССР по делам грузинской православной церкви. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქმე №11, ფურც. 1.

[4] Постановление №959 Совета Министров Грузинской ССР 2 сентября 1947 года. Об учреждении должности Уполномоченного Совета Министров Грузинской ССР по делам грузинской православной церкви.

ბუნებრივია, ინტერესს მოკლებული არ არის ამ ორგანოს დებულებაც, სადაც ძალიან მკაფიოდ არის ასახული რწმუნებულის უფლება-მოვალეობები. აღნიშნულის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის საარქივო დოკუმენტი, რომელიც საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივშია დაცული და წარმოადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ დებულებას – „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ“.[1]

მითითებული დებულებიდან ირკვევა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხებში რწმუნებული საკმაოდ დიდი ფუნქციებით იყო აღჭურვილი, რაც ადასტურებს ამ თანამდებობის მნიშვნელობას. მას პრაქტიკულად უნდა დაერეგულირებინა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა, წინასწარ უნდა განეხილა ყველა ის საკითხი, რომლებსაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აღძრავდა ცენტრალური ხელისუფლების წინაშე და, რომელზეც საჭირო იყო საქართველოს სსრ მთავრობის ნებართვა, თვალყური უნდა ედევნებინა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებული საბჭოთა კავშირის და საქართველოს სსრ მთავრობის კანონებისა და დადგენილებების ცხოვრებაში სწორი და დროული გატარებისათვის; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში უნდა წარედგინა დასკვნები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხებთან დაკავშირებით, უნდა მოეხდინა საქართველოს სსრ-ს მთავრობის დროული ინფორმირება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შესახებ. ამ მიზნით, ყოველწლიურად დგებოდა ანგარიშები, სადაც ასახული იყო როგორც საპატრიარქოს მდგომარეობა, ასევე მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიციები ქვეყნისათვის ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე და ცალკეული სასულიერო პირების (აქ იგულისხმება როგორც მაღალი იერარქები, ისე რიგითი მღვდლები) დამოკიდებულებები მრევლისადმი, სახელმწიფოსადმი თუ სხვა საკითხებისადმი. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ისიც, რომ

საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქმე №11, ფურც. 1.

[1] Положение об Уполномоченном Совета Министров Грузинской ССР по делам грузинской православной церкви. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879 ანაწ. №1. საქმე №12. ფურც. 1-2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ // *საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი*, 1947 წლის სექტემბერი, თბილისი, 1947, გვ. 400.

სწორედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხებში რწმუნებულის ფუნქციებში შედიოდა „ეკლესიის გახსნის განცხადების წინასწარი განხილვა და შემოწმება, მის შესახებ დასკვნის შედგენა და ასეთის წარდგენა საქართველოს სსრ მთავრობაში დასამტკიცებლად“.[1] მას ასევე უნდა ეწარმოებინა ეკლესიების საერთო რაოდენობის აღრიცხვა და სტატისტიკური ცნობების შედგენა ადგილებიდან მოწოდებული მონაცემების მიხედვით. საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება მისი უფლებებიც, რაც პრაქტიკულად ეკლესიასთან ურთიერთობაში მის უპირატესობას და აღმატებულებას ამტკიცებდა. რწმუნებულს ჰქონდა უფლება, მოეთხოვა რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოებისაგან აუცილებელი საკითხების შესახებ ცნობები და მასალა, რომლებიც დაკავშირებული იყო მართლმადიდებელ ეკლესიასთან, აგრეთვე, მასთან შეთანხმებით ჩაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მას მიეცა უფლება, შეექმნა „კომისიები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებული გარკვეული საკითხების დასამუშავებლად“.[2] ეს კი პრაქტიკულად იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხებში რწმუნებულს ეკლესიის შიდა საქმეებში ჩარევის უფლება ჰქონდა. ინსტიტუციური თვალსაზრისით, საქართველოში ჩამოყალიბებული ახალი ორგანო მინისტრთა საბჭოს დაექვემდებარა.

საინტერესოა, როგორი იყო ქართველი სასულიერო პირების დამოკიდებულება, რწმუნებულის თანამდებობასთან დაკავშირებით. კერძოდ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, კათოლიკოს-პატრიარქი კატეგორიული წინააღმდეგი იყო საქართველოს ეკლესიაზე კონტროლი განხორციელებულიყო იმ ორგანიზაციის მიერ, რომელსაც რუსეთის ეკლესიის ზედამხედველობა ევალებოდა, თუმცა, მას შემდეგ, რაც საქართველოში აღნიშნული ორგანო დაარსდა, პატრიარქი საეკლესიო საკითხების მოგვარებას ძირითადად კვლავ მისგან გვერდის ავლით ცდილობს და ეკლესიისათვის მნიშვნელოვან და საჭირბოროტო სა-

[1] Положение об Уполномоченном Совета Министров Грузинской ССР по делам грузинской православной церкви. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1. საქმე №12, ფურც. 1; დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა რწმუნებულის შესახებ. // *საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი*, 1947 წლის სექტემბერი. თბილისი, 1947, გვ. 401.

[2] Положеие об Уполномоченном Совета Министров Грузинской ССР по делам грузинской православной церкви. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქმე №12, ფურც. 1-2; დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა რწმუნებულის შესახებ, გვ. 401-402.

კითხების მოსაგვარებლად საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას მიმართავდა.[1] ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საქართველოს საპატრიარქო მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რწმუნებულს იგნორირებას უკეთებდა. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ხელისუფლების ორივე წარმომადგენელთან ცდილობდა დადებითი დამოკიდებულებების შენარჩუნებას, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ მას სურდა, ერთის მხრივ, დარეგულირებული ურთიერთობა შეენარჩუნებინა ცენტრალურ ხელისუფლებასთან, მეორეს მხრივ კი, ახლად დაარსებულ ინსტიტუციასთანაც გამოენახა საერთო ენა.

საინტერესოა, აღნიშნულ პერიოდში ქართულ სინამდვილეში თუ როგორი იყო რელიგიური ცხოვრება. ბუნებრივია, ქვეყანაში აღმსარებლობის შედარებითი თავისუფლება შესამჩნევად დადებითი შედეგის მომტანი იქნებოდა, რაც დაეტყობოდა მოსახლეობის, ეკლესიისა და სამღვდელოებისადმი განწყობის გამოცოცხლებასაც, რის დასტურად ეკლესიის მაღალი იერარქების მიერ მთავრობისადმი მრავლად გაგზავნილი წერილებიც გამოდგება, სადაც ხშირად ვხვდებით მოთხოვნებს დახურული ეკლესია-მონასტრების ხელახლა ამოქმედების შესახებ. გარდა ამისა, სწორედ ამ დროს ეყრება საფუძველი საპატრიარქოს მხრიდან წმინდა მოწამეთა დავით და კონსტანტინე მხეიძეების წმინდა ნაწილების მუზეუმიდან კვლავ მოწამეთის ეკლესიაში დაბრუნების კამპანიას, რომელიც საკმაოდ დრამატულად და საინტერესოდ მიმდინარეობდა. როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, დავით და კონსტანტინეს წმინდა ნაწილების ეკლესიაში დასაბრუნებლად ქართველმა სასულიერო პირებმა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, კერძოდ, 50-იანი წლებიდან დაიწყეს. სამღვდელოების პოზიციასთან დაკავშირებით საინტერესოდ მიგვაჩნია კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს

[1] აღნიშნულის დასტურს წარმოადგენს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს წერილები საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივან კანდიდ ჩარკვიანისადმი, სადაც აღძრულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მნიშვნელოვანი საკითხები (იხ. კ. ცინცაძის განცხადება საქ. სსრ კპცკ-ის პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის სახელზე ლოცვანის დასტამბვაზე. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი არქივი, საქმე №82, ფურც. 1. კ. ცინცაძის განცხადება საქ. სსრ კპცკ-ის პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის სახელზე საკათალიკოსო სახლის აშენების შესახებ. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი არქივი, საქმე №83, ფურც. 1; კ. ცინცაძის განცხადება საქ. სსრ კპცკ-ის პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის სახელზე სიონის ტაძრის შეკეთების შესახებ. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი არქივი, საქმე №84, ფურც. 1; კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მიმართვა საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კანდიდ ნესტორის ძე ჩარკვიანისადმი საყოველთაო ლოცვანის დაბეჭდვის აუცილებლობის შესახებ. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი არქივი, საქმე №274, ფურც. 1).

წერილი რელიგიის საქმეთა რწმუნებული ვ. ბუჯიაშვილისადმი, სადაც პირველად გაჟღერდა თხოვნა, ეკლესიას დაბრუნებოდა წმინდა დავით და კონსტანტინეს წმინდა ნაწილები. პატრიარქი, ბუნებრივია, ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ ეკლესიისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება შედარებით ლოიალური გახდა, თუმცა საბჭოთა სახელმწიფო მაინც ათეისტურ იდეოლოგიას ატარებდა. ამიტომ თანხმობის მისაღწევად ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ „გადმოსვენება მოხდება იმ წესით, რა წესითაც მოხდა მიტროპოლიტ ალექსის ნეშთის გადმოსვენების დროს, ე. ი. უზეიმოდ“.[1]

მეორე წერილი, რომელიც კვლავ რელიგიის საქმეთა რწმუნებული ვ. ბუჯიაშვილისადმია გაგზავნილი, უკვე 1951 წლით თარიღდება, შინაარსობრივად უფრო მრავალფეროვანი და საინტერესოა, მასში ავტორი ცდილობს პარალელები მოძებნოს ქრისტიანულ მრწამსსა და კომუნისტურ მოძღვრებას შორის და აღნიშნავს, რომ „როგორც ხედავთ ქრისტიანობასა და კომუნიზმს შორის საერთოა:

1. ყველა ადამიანი წარმოშობილია ერთისაგან სისხლისა.
2. არ აქვს მინიჭებული უპირატესობა რომელიმე რასას ან ეროვნებას: ურია და წარმართი, სკვითი და ბარბაროსი, მონა და აზნაური (თავისუფალი) ძმანნი და თანასწორუფლებიანი არიან.
3. დედაკაცი და მამაკაცი სწორუფლებიანი არიან.
4. ყველა ადამიანს ევალება შრომა, რომელიც საპატიო ღირსებაც არის, ამისთვის სასყიდელი მიეცეს მხოლოდ მუშაკს და ვინც არ საქმიანობს (მუშაობს) ის არ უნდა სჭამდეს.
5. ყველას, ქალსა თუ კაცს თანასწორი უფლება აქვს განათლების მიღებისა, შრომისა და დასვენებისა“.[2]

ამ პოსტულატებს მოსდევს დასკვნა: „ჩანს სახელმწიფოს ძირითად კანონსა და ქრისტიანობას შორის სადაო და შეუთანხმებელი არ არის რა“.[3] კათოლიკოს-პატრიარქი

---

[1] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთათვის ვ. დ. ბუჯიაშვილს. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქმე №23, ფურც. 3. აქვე აღვნიშნავთ, რომ აქ იგულისხმება ერთ-ერთი უდიდესი რუსი წმინდანის, კიევისა და სრულიად რუსეთის მიტროპოლიტი ალექსი ბიაკონტის წმინდა ნაწილების გადასვენება, რომელიც 1947 წელს გადაასვენეს ელოხოვოს უფლის გამოცხადების სახელობის ტაძარში.

[2] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთათვის ვ. დ. ბუჯიაშვილს. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქ. №23, ფურც. 7.

[3] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთათვის ვ. დ. ბუჯიაშვილს. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქ. №23, ფურც. 7.

მარჯვედ იყენებს რუსეთის ეკლესიაში შექმნილ მდგომარეობას და ითხოვს, რომ ორივე ეკლესიაზე თანაბარი პირობები გავრცელდეს – „საბჭოთა კავშირის სხვა ნაწილებში ქრისტეანული ეკლესია თავისუფალია შინაურ საქმეებში, მას რწმუნებულთა მეშვეობით ხელსაც უწყობენ: ეკლესიას წმ. ნეშთებიც დაუბრუნეს და უმაღლესი და საშვალო სკოლებიც გაუხსნეს, სანთლების სახელოსნოებიცა და ხატ-ჯვრების საწყობების გახსნის უფლებაც მისცეს და წიგნებსა და ჟურნალებს უსტამბავენ, ლიტანიებსაც ამართვინებენ, მსოფლიოს მასშტაბით საეკლესიო კრების მოწვევის ნებართვასაც აძლევენ.

ჩვენ ხომ უკანონო შვილები არ ვართ საბჭოთა სახელმწიფოსი? თუ გენიოსი ადამიანის მიერ შექმნილი მონოლითური ძირითადი კანონის შესწორების უფლება მიენიჭათ პატივცემულ კოპალიანსა და ლომიძეს?“.[1]

როგორც ჩანს, კათოლიკოს-პატრიარქი შესანიშნავად იაზრებდა შექმნილ მდგომარეობას და მაქსიმალურად ცდილობდა ეს ყველაფერი ეკლესიის სასიკეთოდ გამოეყენებინა. მისი მიდგომები მთელი რიგი საკითხებისადმი აშკარად ლოგიკური და მართებულია. ის შესანიშნავად ხვდებოდა იმ გარემოებას, რომ საჭირო იყო საკითხის დროული გადაწყვეტა. გარდა ამისა, წერილში ერთი ძალიან საინტერესო პასაჟია, კერძოდ, როდესაც რელიგიის საქმეთა რწმუნებულთან ხდება იმ დაბრკოლებების ჩამოთვლა და განმარტება, რომელიც ამ საქმეს მოჰყვა. პატრიარქი, იყენებდა რა თავის პირად ნაცნობობას ი. სტალინთან, წერდა: „ამ საკითხის გამოსაკვლევად ხომ არ გვაიძულებენ ზემოხსენებული პირები მივმართოთ თვით კონსტიტუციის ავტორს? ჩვენი მსოფლიოს დემოკრატიის საკეთილდღეო საკითხებით დატვირთულ ჩვენი დროის უდიდესი ადამიანის შეწუხება ასეთი პატარა საკითხით არა მსურს“.[2] კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძეს და სხვა ქართველი სასულიერო პირების მონდომებას, მოეგვარებინათ ეს საკითხი, უკვალოდ არ ჩაუვლია და მათი ბრძოლა საბოლოოდ 1954 წელს წარმატებით დაგვირგვინდა.[3]

ბუნებრივია, ინტერესს იწვევს თუ როგორი იყო რელიგიური ცხოვრება საქართ-

---

[1] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთათვის ვ. დ. ბუჯიაშვილს. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქ. №23, ფურც. 7-8.

[2] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთათვის ვ. დ. ბუჯიაშვილს. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქ. №23, ფურც. 8.

[3] **Mikheil Kartvelishvili**. The Attitude of Georgian Orthodox Clergy Towards the Return of the Holy Relics (40-50s of Twentieth Century). // *Abstracts of International Conference "The Churches from Romania, Georgia, Macedonia and Poland. Forms of Organization and Leadership over the Centuries. Considerations and Assessments*". Constanta, 2017, გვ. 43-44.

ველოში და როგორ ჩანდა ის უცხოეთის თვალში. აღნიშნული პრობლემის გარკვევისათვის, წარმოდგენილ ქვეთავში განხილული გვაქვს საკითხი, რომელიც აქამდე ამ კუთხით არ შესწავლილა. მხედველობაში გვაქვს ამერიკელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ჯონ სტაინბეკის საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შთამბეჭდავ წიგნში – „რუსული დღიური“ დაცული საინტერესო ცნობები, სადაც მეტად ორიგინალურად არის გადმოცემული მისი შთაბეჭდილებები.

როგორც ცნობილია, ჯონ სტაინბეკმა საბჭოთა კავშირში 1947 წელს იმოგზაურა, ცნობილ ფოტოგრაფ რობერტ კაპასთან ერთად. საქართველოში მისი მოგზაურობისას ჩვენთვის საინტერესოა ის პასაჟები, რომლებიც ქართულ რეალობაში რელიგიური ცხოვრების კვლევისას შეიძლება გამოგვადგეს. თბილისის აღწერისას ჯონ სტაინბეკი წერდა: „ქალაქშიც და მთის თხემებზეც ძველი ეკლესიებია. საქართველოში ქრისტიანობა მეოთხე საუკუნეში შემოვიდა, და ის ეკლესიები, სადაც ახლაც მიმდინარეობს წირვა-ლოცვა, ჯერ კიდევ მაშინ აშენდა. მაღლა იმ მთაზე, ქალაქს რომ გადაჰყურებს მამა დავითის ეკლესიაა. ბევრი ადამიანი ადიოდა იმ მიხვეულ-მოხვეული გზებით ეკლესიაში, ბევრი აღავლენდა იქ წირვა-ლოცვას“.[1] საინტერესოდ არის გადმოცემული ავტორისეული შთაბეჭდილებები, როდესაც წერს: „მამა დავითის ეკლესიიდან რომ ჩამოვედით, საკათედრო ტაძრის ზარები ისე მქუხარედ რეკდნენ, რომ იქ შევედით. ხალხით იყო გადაჭედილი იქაურობა. წირვა-ლოცვას მოხუცი კაცი უძღვებოდა, თეთრთმიანი, თავზე ოქროს მიტრა ედგა, და იმდენად ლამაზი იყო, ირეალური გეგონებოდა. იგი კათალიკოსი იყო და საქართველოს ეკლესიის წინამძღოლია. ღვთისმსახურება დიდებული იყო, და მუსიკოსების გუნდი წარმოუდგენლად გალობდა“.[2]

აღნიშნული ცნობები, ვფიქრობთ, მეტად საინტერესოდ აღადგენს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობას. ჩვენ არავითარი საფუძველი არ გვაქვს, არ ვენდოთ ავტორის მონათხრობს, რადგან ის იმ სამყაროს წარმომადგენელი იყო, რომელიც ყველანაირად ეცდებოდა საბჭოთა რეალობის მაქსიმალურად მუქ ფერებში წარმოდგენას, მით უფრო, რომ მთხრობელი გარკვეული პოლიტიკური მიზანდასახულობისაგან თავისუფალი არ ყოფილა.[3] ამ

---

[1] **ჯონ სტაინბეკი**. რუსული დღიური. ინგლისურიდან თარგმნა *თამარ სუბელიანმა*. თბილისი: „არტანუჯი“, 2015, გვ. 210. 214.

[2] **ჯონ სტაინბეკი**. რუსული დღიური, გვ. 215-216.

[3] ჯონ სტაინბეკის საბჭოთა კავშირში ვიზიტის შესახებ ვრცლად იხ.: **ვახტანგ ამაღლობელი**. სტაინბეკის საგანგებო მისია საქართველოში. // *ჩვენი მწერლობა*, №16, 2007, გვ. 2-4; **როსტომ ჩხეიძე**. ჯონ სტაინბეკის საიდუმლო. // *ჩვენი მწერლობა*, №17, 2009, გვ. 6-10; ჯონ სტაინბეკის მოგზაურობის მიზანი. ინტერვიუ

ფონზე მის მიერ მოწოდებული ინფორმაციებს კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძლება მივანიჭოთ, მით უფრო, რომ ამ კუთხით იშვიათ წყაროს წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც ძალიან ადვილად დასტურდება, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს ეკლესიისადმი დაწყებულმა ლოიალურმა პოლიტიკამ ქართულ სინამდვილეში რელიგიური ცხოვრების გამოცოცხლება მოიტანა, რაც, უპირველეს ყოვლისა, წირვა-ლოცვებში მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით გამოიხატებოდა. როგორც ჩანს, მიუხედავად ახალი კონტროლის მნიშვნელოვანი მექანიზმებით აღჭურვილი ორგანოს შექმნისა, მას მრევლის დამოკიდებულებაზე ეკლესიისადმი დიდად არ უმოქმედია.

როდესაც ვაჯამებთ, თუ რა შედეგი მოჰყვა ამ სახელისუფლებლო ორგანოს ჩამოყალიბებას, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მან მაქსიმალურად ზუსტად შეასრულა ის ფუნქცია, რომელიც მისი შექმნის დროს ჰქონდა დაკისრებული, მთავრობის შემადგენლობაში ის იქცა იმგვარ დაწესებულებად, რომელიც წარმატებით ახორციელებდა ეკლესიის საქმიანობის ყოველმხრივ კონტროლს, აღნიშნულს ის ფაქტიც ნათლად ადასტურებს, რომ მისი წარმომადგენლები მონაწილეობდნენ თითქმის ყველა საეკლესიო საკითხის გადაწყვეტაში, არ ჰქონდა მნიშვნელობა, ეხებოდა ეს ეკლესიის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას. ამ ორგანოს დაარსებით სტალინის ხელისუფლებამ პრაქტიკულად დაასრულა საეკლესიო იერარქიაზე სრული კონტროლის დამყარების საკითხი, თანაც, ყველაფერი იმგვარად გადაწყვიტა, რომ პრაქტიკულად სასულიერო პირების მხრიდან არანაირ წინააღმდეგობას არ წასწყდომია. გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ შესაძლებელია ამგვარი სახელისუფლებო ორგანოს დაარსებას სასულიერო პირებში დიდი კმაყოფილება არ გამოეწვია, რადგან სახელმწიფოსთან ურთიერთობაში საკმაოდ გამოცდილი საეკლესიო იერარქია შესანიშნავად მიხვდებოდა, თუ რეალურად რა განზრახვა ჰქონდა ხელისუფლებას, თუმცა, მას იმის შესანიშნავი მაგალითიც ჰქონდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არცთუ შორეულ 20-30-იან წლებში ანტაგონისტურ პოლიტიკას ატარებდა. ახლა კი ის, თავისი მეტ-ნაკლებად დამთმობი და ლოიალური დამოკიდებულებით, რაც რეალურად ხელისუფლებასთან მტკიცე თანამშრომლობასაც ნიშნავდა, გაცილებით მეტ შედეგებს აღწევდა, ვიდრე რადიკალური დაპირისპირებით. ალბათ, სწორედ ამით იყო განპირობებული,

---

პიტერ ბრიჯისთან. // *ჩვენი მწერლობა*, №16, 2011, გვ. 21-24; **ვახტანგ ამაღლობელი**. ჯონ სტაინბეკის უცნობი „მივლინების ანგარიშის“ შესახებ. // *აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი*, ტ. XI, 2010-2011, გვ. 3-7.

რომ მაღალი სასულიერო იერარქია მთავრობის მიერ ამ აპარატის დაარსებას დუმილით შეხვდა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ხელმისაწვდომ საარქივო დოკუმენტებში, პრესის მასალებსა თუ მოგონებებში მსგავსი სახის ინფორმაცია არ გვხვდება. ჩვენი აზრით, ნაკლებად სავარაუდოა ისეთი მასალის გამოჩენა, რომელიც საწინააღმდეგოს დაამტკიცებდა და დაასაბუთებდა. ერთადერთ გამონაკლისს ამ მხრივ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს დამოკიდებულება შეიძლება მივიჩნიოთ. ისიც ეწინააღმდეგებოდა არა იმდენად ამ ახალი სახელისუფლებლო ორგანოს დაარსებას, არამედ მისი მოთხოვნა ეხებოდა მხოლოდ ქართულ რეალობასთან მის მორგებას, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია შეიძლებოდა კვლავაც რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში აღმოჩენილიყო, რაც მისი ავტოკეფალური უფლებების შელახვის მომტანი იქნებოდა.

§4. ნიკიტა ხრუშჩოვის რელიგიური პოლიტიკის მახასიათებლები (1953-1964 წწ.)

საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელებს შორის ერთ–ერთი საინტერესო და კოლორიტული ფიგურა იყო ნიკიტა ხრუშჩოვი. ადამიანი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული ისეთი პოლიტიკური კურსი, რომელიც მანამდე საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილისათვის პრაქტიკულად წარმოუდგენელი იყო (მხედველობაში გვაქვს დესტალინიზაციის პოლიტიკა). სანამ უშუალოდ ამ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ გავეცნოთ იმ პოლიტიკურ გზას, რომელიც ნიკიტა ხრუშჩოვმა გაიარა ხელისუფლებაში მოსვლამდე.

ნიკიტა ხრუშჩოვი დაიბადა 1894 წლის 5 (17) აპრილს კურსკის გუბერნიის სოფელ კალინოვკაში, გლეხის ოჯახში. ზამთარში დადიოდა სკოლაში, სადაც ისწავლა წერა-კითხვა, თუმცა დაწყებითი სკოლა არ დაუმთავრებია. 12 წლისა უკვე მუშაობდა ქარხანაში და დონბასის შახტებში. 1918 წელს ბოლშევიკური პარტიის წევრი გახდა. იგი სამოქალაქო ომის მონაწილეა. სამხედრო კომისრის ხრუშჩოვისათვის სამოქალაქო ომი დასრულდა ყუბანში. 1920 წელს არჩეულ იქნა მეშახტეთა უჯრედში პოლიტიკურ ხელმძღვანელად. 1921 წელს დონბასში გაიხსნა „დონტექნიკუმი“. ტექნიკუმთან შექმნილ მუშფაკში მან სწავლა დაიწყო, თუმცა ვერც ეს სასწავლებელი დაამთავრა.

1928 წელს უკრაინის კპ ცკ (ბ) გენერალური მდივანი გახდა ს. კოსიორი. მან ხრუშჩოვი, როგორც გლეხის ოჯახში დაბადებული, მუშად ნამყოფი და არაინტელიგენტი გადმოიყვანა საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილედ. 1931 წელს ის აირჩიეს მოსკოვის ბაუმანის რაიკომის პირველ მდივნად. 1932 წელს ხრუშჩოვი მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანია, ხოლო 1935 წლიდან – მოსკოვის საოლქო პარტიული ორგანიზაციის პირველი მდივანი. 1938 წლის იანვარში ის ჯერ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, მოგვიანებით კი – უკრაინის კომუნისტთა ლიდერი გახდა. XVIII ყრილობის შემდეგ ხრუშჩოვს საკავშირო ცკ-ის პოლიტბიუროს წევრად ირჩევენ. ომის პერიოდში ის იყო კიევის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი და ჰქონდა გენერალ-მაიორის წოდება. ომის დროს მიიღო სუვოროვის მეორე ხარისხის ორდენი. 1947 წელს ხრუშჩოვი უკრაინის კპ ცკ-ის პირველ მდივნად ინიშნება, 1949 წელს კი უკვე მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანია. მის მოღვაწეობაში დაიწყო ახალი ეტაპი. ამავე დროს ის ხდება სსრკ კპ (ბ) ცკ მდივანი. 1953 წელს, იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც დაიწყო ბრძოლა ხელისუფლებისათვის, კონკურენტთა შორის ყველაზე მოხერხებული სწორედ ნიკიტა ხრუშჩოვი აღმოჩნდა. მან ეფექტურად ისარგებლა პარტიის შიგნით ქაოსით და გახდა სკკპ ცკ-ის პირველი მდივანი, ხოლო 1958 წლიდან სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.[1]

ნ. ხრუშჩოვის მიერ გატარებულ იდეოლოგიურ პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს სტალინის პიროვნების კულტის წინააღმდეგ გალაშქრებას, რომელიც არ ყოფილა ერთჯერადი აქტი. ეს იყო მოქმედებათა მთელი კომპლექსი, რომელთაც სამეცნიერო ლიტერატურაში პირობითად დესტალინიზაცია ეწოდება და, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო სტალინის პიროვნების, მისი მიღწევების მაქსიმალურად დამცრობა-დაკნინება.

მეცნიერთა შორის არ არის ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ რა იყო ხრუშჩოვის სტალინისადმი ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი. ზოგიერთი ვარაუდობს, რომ მის ამ ნაბიჯში შეიძლება იყოს ერთგვარი რევანში პირად შეურაცხყოფებზე, რისი შემთხვევებიც, როგორც თანამედროვეები იგონებენ საკმაოდ ხშირი იყო.[2] ჩვენ უფრო

---

[1] ნიკიტა ხრუშჩოვის ბიოგრაფიისათვის ვსარგებლობთ შემდეგი ნაშრომებით: Khrushchev and Khrushchevism. Edited by **Martin McCauley,** Palgrave Macmillan UK. 1987; **William J. Tompson**. Khrushchev: A Political Life. Palgrave Macmillan UK, 1997; **William Taubman**. Khrushchev: The Man and His Era. New York: Norton, 2003; **ავთანდილ სონღულაშვილი**. ნიკიტა ხრუშჩოვის პოლიტიკური პორტრეტი. // *„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“*, №1(18). თბილისი, 2016, გვ. 222-242.

[2] **William Taubman**. Khrushchev: The Man and His Era, გვ. 167-168, 214-215.

იმ მოსაზრებისაკენ ვიხრებით, რომ საკითხი ასე მარტივად ნამდვილად არ დგას. შესაბამისად, არც გამოვრიცხავთ, რომ ხრუშჩოვის გადაწყვეტილებებს ხშირად პიროვნული მიზეზებიც განსაზღვრავდა, მაგრამ მაინც მიგვაჩნია, რომ საკითხი უფრო სხვაგვარ ახსნას საჭიროებს, კერძოდ, ძალაუფლების განმტკიცებისათვის ხელისუფლებაში მოსულ ლიდერს სჭირდებოდა ისეთი რამ, რაც მოახერხებდა მისი, როგორც დამოუკიდებელი ლიდერის წარმოჩენას ევროპული და ამერიკული პოლიტიკური სპექტრის წინაშე, რომ ის თავისუფალი იყო იმ მემკვიდრეობისაგან, რომელიც მას ერგო. ამ ნაბიჯით ის პასუხისმგებლობას იხსნიდა ყველა იმ ნამოქმედარზე, რომელიც მის წინამორბედს უკავშირდებოდა. გარდა ამისა, საბჭოთა სისტემა იყო იმგვარად შექმნილი, რომ მას მთელი თავისი არსებობის მანძილზე მუდმივად ესაჭიროებოდა მარადიული მტრის ხატი. თუ საგარეო თვალსაზრისით ამ ფუნქციას ე.წ. კაპიტალისტური სამყარო წარმატებით ითავსებდა და მისი ეს დანიშნულება უცვლელი დარჩა, ქვეყნის შიგნით თითქმის ყველა მძლავრი მოწინააღმდეგე განადგურებული იყო. ასევე, არ უნდა გამოვრიცხოთ ის გარემოებაც, რომ, შესაძლოა, ქვეყნის პოლიტიკურ ელიტაში არსებობდნენ გარკვეული ძალები, ვისთვისაც კარგად იყო ცნობილი ის ფაქტი, რომ სტალინის პიროვნების კულტი, სიტუაციის გაჯანსაღების ნაცვლად, რეგრესის მანიშნებელი უფრო იყო და თავისი ამ ნაბიჯით ნიკიტა ხრუშჩოვმა სწორედ ამ დაჯგუფებას დაანახა საკუთარი თავი, როგორც პოტენციური ლიდერი, რომელიც, ერთის მხრივ, დაგმობდა სტალინის პოლიტიკურ კულტს თავისი თანმხლები უარყოფითი მოვლენებით, ხოლო, მეორეს მხრივ, მათ თანაბრად განვითარების საშუალებას მისცემდა, რისი შესაძლებლობებიც მანამდე პრაქტიკულად არ არსებობდა.

დესტალინიზაციის, როგორც მოვლენის, მეტად საინტერესო დახასიათებას გვთავაზობს იაპონური წარმომავლობის ამერიკელი ფილოსოფოსი, პოლიტოლოგი ფრენსის ფუკუიამა: „როცა არ არსებობს ხელისუფლების მემკვიდრეობითობის საყოველთაოდ აღიარებული წესი, ძალაუფლების ამა თუ იმ პატივმოყვარე პრეტენდენტს მუდამ უჩნდება ცდუნება მეტოქეებთან ბრძოლის უებარ საშუალებად ფუნდამენტური რეფორმებისაკენ მოწოდება გამოიყენოს. რამდენადაც სტალინიზმით უკმაყოფილება ლამის გლობალური მოვლენაა, ასე გამოიყენა ანტისტალინიზმი ხრუშჩოვმა. ამგვარ პროცესს ბუნებრივად ახასიათებდა ძველი რეჟიმის უფლებამოსილებისათვის ძირის გამოთხრა სწორედ მისი აუცილებელი ლანძღვა-გინებითა და მანკიერებების

გამომზეურებით“.[1] აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს გერმანელი ისტორიკოსი იორგ ბაბეროვსკიც, რომლის აზრით, დესტალინიზაცია იყო ერთგვარად გზა ძალაუფლებისაკენ, ხოლო შემდეგ კი მისი გამტკიცებისაკენ.[2]

დესტალინიზაციის პოლიტიკა არ დაწყებულა სკკპ XX ყრილობით. მას საკმაოდ ადრინდელი ფესვები გააჩნია. ეს საქმე თავდაპირველად ლ. ბერიამ წამოიწყო, როდესაც ხელისუფლებაში ყოფნის მცირე დროში მოასწრო და გაატარა პოლიტიკური კურსი, რომელიც აშკარად მიზნად ისახავდა სტალინისეული პოლიტიკის მაქსიმალურ ცვლილებას. ეს ეხება როგორც ქვეყნის საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯებს, კერძოდ, მის მიერ მოხდა გულაგებიდან პოლიტპატიმრების განთავისუფლება. გარდა ამისა, შეწყდა ქვეყნის მასშტაბით სტალინის მადიდებელი პუბლიკაციები, მათ შორის პრესის ფურცლებზეც; შეჩერდა სტალინის თხზულებების გამოცემა. საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, ბერიას დროს მოხდა წინადადებების წამოყენება ორი გერმანიის გაერთიანების შესახებ, ასევე იუგოსლავიის დაშლის შესახებ. უფრო რეალური ნაბიჯების გადადგმა ბერიამ ვერ მოასწრო, რადგან იგი ხელისუფლებას ჩამოაშორეს.[3]

რაც შეეხება ხრუშჩოვს, მის მიერ გატარებულმა დესტალინიზაციის პოლიტიკამ, პირველ რიგში, ასახვა ჰპოვა ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხში, როგორიც არის ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტალინის მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს ეკლესიისაკენ გადაიდგა გარკვეული კომპრომისული ნაბიჯები, რაც გარკვეულწილად ომის შემდეგაც გაგრძელდა, კერძოდ, 1947 წელს გაუქმდა საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკის ერთ-ერთი ფლაგმანი ორგანიზაცია – „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“. ამ მოვლენის შემდეგ ქვეყნის მასშტაბით ათეისტურ პროპაგანდას მასშტაბური ხასიათი აღარ მიუღია.

ხელისუფლების მიერ გატარებულ ანტირელიგიურ პოლიტიკას განვიხილავთ

---

[1] **ფრენსის ფუკუიამა**. ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. მთარგმნელი ***ზაზა ჭილაძე***. თბილისი: CIPDD, 1999, გვ. 55.

[2] **Jörg Baberowski**. Nikita Khrushchev and De-Stalinization in the Soviet Union 1953–1964. – *The Cambridge History of Communism*. Volume 2: The Socialist Camp and World Power 1941–1960s. Edited by ***Norman Naimark, Silvio Pons, Sophie Quinn-Judge***, Cambridge University Press, 2017, გვ. 87-112.

[3] ლავრენტი ბერიასეული დესტალინიზაციის პოლიტიკის შესახებ იხილეთ: **Françoise Thom**. Beria: Le Janus du Kremlin. Paris: Les editions du Cerf, 2013, გვ. 651-653; **რევაზ გაჩეჩილაძე**. საქართველო მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. XX და XXI საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები. თბილისი, 2013, გვ. 346-347. **თეიმურაზ პაპასქირი**. სსრკ 1945-1991 წლებში. სალექციო კურსი. ელვერსია – https://sites.google.com/site/tpapaskiri/teimurazpapaskiri%27spublications2.

ოფიციალური დადგენილებების ფონზე, თუ რა იყო მათი მიღების მიზეზი, რა საკითხების წინ წამოწევა ხდებოდა დადგენილებების ძირითადი მიმართულებებით, რამდენად ხდებოდა მათი რეალურ ცხოვრებაში გატარება. სწორედ ამ მიღწევების გადასინჯვას ისახავდა მიზნად ჩვენს მიერ უკვე ნახსენები 1954 წლის 6 ივლისის ე.წ. „საიდუმლო დადგენილება“ „დიდი ნაკლოვანებების შესახებ მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდაში და მისი გაუმჯობესების ზომების შესახებ“. დადგენილებაში „სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ბევრი პარტიული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად ახორციელებს სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდის ხელმძღვანელობას მოსახლეობას შორის, რის შედეგადაც იდეოლოგიური მუშაობის ეს უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი აღმოჩნდა მიშვებულ მდგომარეობაში. ამავე დროს, ეკლესიამ და სხვადასხვა რელიგიურმა სექტებმა მნიშვნელოვნად გამოაცოცხლეს თავიანთი საქმიანობა, გააძლიერეს თავისი კადრები და მოქნილად დაუკავშირდნენ თანამედროვე პირობებს, გაძლიერებულად ავრცელებენ რელიგიურ იდეოლოგიას მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებში. ეკლესიის მსახურები და სექტანტები სხვადასხვა მეთოდებს ეძებენ ხალხის ცნობიერების რელიგიური ბანგით მოსაწამლად. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ახალგაზრდების და ქალების ეკლესიაში მისაზიდად. ისინი ხშირად იყენებენ თავიანთ ბეჭდურ ორგანოებს, ქადაგებენ კეთილშობილურ საქმიანობას, ეწევიან მოქალაქეთა ინდივიდუალურ დამუშავებას. ეკლესიაში მიმსვლელთა გაზრდის მიზნით საზეიმოდ ირთვება ღვთისმსახურება, იყენებენ მგალობელთა ორკესტრს, ამცირებენ ფასებს რელიგიურ მომსახურებაზე, ყოველივე ამ საშუალებებით ეკლესია ცდილობს გაზარდოს და გააძლიეროს თავისი გავლენა მოსახლეობაზე. ეკლესიის მოქმედების გააქტიურების შედეგად შეინიშნება მოქალაქეთა რაოდენობის ზრდა რომლებიც იცავენ რელიგიურ დღესასწაულებს და რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, რომლებიც ახორციელებენ ე.წ. „წმინდა ადგილების“ მოლოცვას. მორწმუნეთა დიდი რაოდენობა მიემართება კიევ-პეჩორის ლავრაში, ათასობით მომლოცველი იკრიბება „კორენიის უდაბნოში“ კურსკის ოლქში, ნიკოლინის მთაზე, ულიანოვსკის ოლქის სურსკის რაიონში. განსაკუთრებით მრავლადაა მომლოცველები შუა აზიის „წმინდა ადგილებში“. რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნას ხშირად თან ახლავს მრავალდღიანი ღრეობა საქონლის მასიური დაკვლით, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას და ათასობით ადამიანს წყვეტს სამუშაოდან, ძირს უთხრის შრომით დისციპლინას. საბჭოთა მოქალაქეთა ნაწილში რელიგიური მოსაზრებები და რწმენა–

წარმოდგენები ხელს უშლის კომუნიზმის მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას“.[1]

დადგენილებაში დიდი ადგილი დაეთმო ცენტრალური ხელისუფლების ხედვას ათეისტური პროპაგანდის მდგომარეობასთან დაკავშირებით. ხელისუფლება აწუხებდა ის გარემოება, რომ მრავალი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაცია, აგრეთვე, ის უწყებები და დაწესებულებები, რომლებსაც უნდა განეხორციელებინათ მოსახლეობაში ათეისტური მუშაობა, არ ატარებდნენ ღონისძიებებს მის გასაუმჯობესებლად. დადგენილებაში განსაკუთრებით ყურადღება მიექცა იმ ფაქტორს, რომ „რიგ პარტიულ ორგანიზაციებში გამოვლინდა ამ მუშაობის შეუფასებლობა, როგორც სერიოზული საშუალება მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის. რიგ პარტიულ და საბჭოთა მოსამსახურეებში გაჩნდა მცდარი ცნება, თითქოს საბჭოთა ქვეყანაში ეკლესიის ბაზის ლიკვიდაციით, მისი კონტრრევოლუციური მუშაობის გადაკვეთით, დაიკარგა აუცილებლობა აქტიური ათეისტური პროპაგანდისა... არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ სამეცნიერო პროპაგანდის კუთხით საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტრო, პოლიტიკური და სამეცნიერო საკავშირო საზოგადოება. ლექციები და მოხსენებები ათეისტურ თემაზე უკიდურესი იშვიათობა გახდა, ამასთან, ასეთი ლექციების რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდებოდა. ასეთი ლექციების იდეურ-სამეცნიერო დონე იყო უკიდურესად დაბალი. განსაკუთრებით ცუდად ტარდებოდა ბუნებისმცოდნეობის პროპაგანდა სოფლის მოსახლეობაში. სუსტად მიიზიდებოდა მრავალრიცხოვანი კადრები საბჭოთა ინტელიგენციისა. სავსებით არასრულყოფილად ტარდებოდა სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდა პრესაში, ცენტრალურმა და ადგილობრივმა გაზეთებმა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მხატვრულმა ჟურნალებმა დაიკავეს დამკვირვებლის პოზიცია და ბოლო პერიოდში თითქმის შეწყვიტეს პოპულარული მასალის ბეჭდვა, ხოლო ცენტრალური და ადგილობრივი გამომცემლობები უაღრესად მცირე რაოდენობით აქვეყნებდნენ ბროშურებს და რაც გამოდიოდა, როგორც წესი, მიუღწევლად რჩებოდა მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის“.[2] ქვეყნის ხელმძღვანელობა არც იმას ივიწყებდა, რომ სამეცნიერო-ათეისტურ პროპაგანდაში „არ გამოიყენებოდა კინო, ახალი სამეცნიერო-პოპულარული ფილმები ათეისტურ თემაზე არ გამოდიოდა. მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებმა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების სა-

[1] Вопросы идеологической работы: сборник важнейших решений КПСС (1954-1961 годы). Москва: Издательство политической литературы, 1961, გვ. 61.

[2] Вопросы идеологической работы: сборник важнейших решений КПСС (1954-1961 годы), გვ. 61-62.

მინისტრომ მკვეთრად შეასუსტეს მოსწავლე ახალგაზრდობის ანტირელიგიური აღ-ზრდის მიმართებით მუშაობა“.[1]

ხელისუფლების აზრით, შექმნილმა მეტად რთულმა მდგომარეობამ მუშაობის გააქტიურების საჭიროება შექმნა, რადგან ეკლესიის მოღვაწეობისადმი და ხალხზე რელიგიის გავლენის ზრდისადმი ნეიტრალური, პასიური პოზიციით დაკავებული იყვნენ პროფკავშირული და კომკავშირული საზოგადოებები. სწორედ ამიტომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტმა დაადგინა: „დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკის კომპარ-ტიის ცენტრალურ კომიტეტებს, სკკპ სამხარეო და საოლქო კომიტეტებს ბოლო მო-უღოს ანტირელიგიური მუშაობის ჩაშლას, გაშალოს სამეცნიერო-ათეისტური პროპა-განდა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს განსაკუთრებულად ჩამორჩენილ მო-სახლეობას, რომლებიც იმყოფებიან რელიგიური რწმენისა და წინასწარმეტყველებე-ბის ტყვეობაში. აუცილებელია გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის მითითება, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ჩავთვალოთ რელიგია კერძო საქმედ ჩვენი პარტიისადმი დამოკიდებულებაში. რომ პარტიას არ შეუძლია და არ უნდა იყოს გულგრილი შეუგ-ნებელი სიბნელისადმი, რელიგიური რწმენებისადმი, რომ ათეიზმის პროპაგანდა უნ-და შეადგენდეს პარტიული მუშაობის ერთ-ერთ მიმართულებას“.[2]

ამ მიზნის შესასრულებლად კი აუცილებელი იყო, ფართოდ გაშლილიყო ათეის-ტურ თემაზე პოპულარული ლექციების კითხვა, სამეცნიერო პოზიციიდან გამოაშკა-რავებულიყო რელიგიის, ქრისტიანობის, მართლმადიდებლობის, კათოლიციზმის, პროტესტანტიზმის, ისლამის და რელიგიური სექტანტობის არსი, განმარტებულიყო ვის ემსახურება რელიგია, ვის სჭირდებოდა რელიგიური დღესასწაულები, რაში მდგომარეობდა რელიგიური გადმონაშთების მავნებლობა, რატომ ხდებოდა დაპი-რისპირება მეცნიერებასა და რელიგიას შორის და ა. შ.

ათეისტური პროპაგანდის გაძლიერების მიზნით გამოყენებულ უნდა ყოფილი-ყო მრავალფეროვანი მეთოდები და იდეურ-პოლიტიკური ზემოქმედების საშუალებ-ები მოსახლეობაზე, მათ მშობლიურ ენაზე ლექციები, მოხსენებები, საუბრები, პრესა, რადიო, კინო, თეატრი. მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდაში ჩართული უნდა ყო-ფილიყვნენ პარტიული და კომკავშირული საუკეთესო პროპაგანდისტები, ინტელი-გენცია და სამეცნიერო ძალები. ამიტომ დადგენილებაში ნათქვამი იყო: „დაევალოს

[1] Вопросы идеологической работы: сборник важнейших решений КПСС (1954-1961 годы), გვ. 62.
[2] Вопросы идеологической работы: сборник важнейших решений КПСС (1954-1961 годы), გვ. 63.

ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების და ჟურნალების რედაქციებს სისტემატურად გააშუქოს საბუნებისმეტყველო მეცნიერების და ათეისტური პროპაგანდის საკითხები, დაბეჭდოს ამ თემებზე პოპულარული მასალები, აჩვენოს საუკეთესო ლექტორების და ლექტორიუმების მუშაობის გამოცდილება".[1] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად მეორე თავის პირველ პარაგრაფში ვსაუბრობთ, სადაც გადმოცემული გვაქვს საბჭოთა ათეისტური პროპაგანდის მეთოდოლოგია საქართველოში ბეჭდური მედიის მაგალითზე, ამიტომ აქ ვრცლად აღარ შევჩერდებით და მხოლოდ იმის თქმით შემოვიფარგლებით, რომ საბჭოთა ათეისტურმა პოლიტიკამ საქართველოში ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულება სწორედ ბეჭდური მედიის მაგალითზე ჰპოვა, მეტიც, პრესა იქცა აგიტაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განმახორციელებლად, სადაც ანტირელიგიური პროცესი თემატური თვალსაზრისით მრავალფეროვნად მიმდინარეობდა, რაც სრულ თანხვედრაში იყო ცენტრალური ხელისუფლების მიერ ოფიციალურად მიღებულ აღნიშნულ დადგენილებასთან.

ცენტრალურმა ხელისუფლებამ საგანგებო ყურადღება დაუთმო განათლების საკითხს, რაც ამავე დადგენილების ერთ-ერთ პუნქტში აღინიშნა კიდეც: „დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს და სსრკ უმაღლესი განთლების სამინისტროს გააძლიეროს მოსწავლეებსა და სტუდენტთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა მებრძოლი მატერიალისტების სულით, ორგანიზება გაუწიოს სკოლებში, სპეციალურ საშუალო სასწავლო დაწესებულებებში და უმაღლეს სასწავლებლებში პოპულარული საუბრების და ლექციების სისტემატური ჩატარებას, საბუნებისმეტყველო მეცნიერების, ათეისტური თემებზე, სამეცნიერო ფილმების დემონსტრირებას. საგნების (ისტორია, ლიტერატურა, ბუნებისმცოდნეობა, ფიზიკა, ქიმია და სხვა) სწავლება გამდიდრდეს ათეისტური შინაარსით, ხოლო უმაღლესი სასწავლებლების პროგრამაში დიალექტიკური მატერიალიზმის და ისტორიული მატერიალიზმის მიმართულებით დაემატოს თემები მეცნიერული ათეიზმის საკითხები".[2] ქართულ რეალობაში, აღნიშნულ საკითხს ვრცლად შევეხეთ მეორე თავის მესამე პარაგრაფში, სადაც დაწვრილებით გვაქვს ამ საკითხზე საუბარი. ამჯერად კი მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ საგანმანათლებლო სივრცის ათეისტურ პოლიტიკაში ჩართვით ხელისუფლება ცდილობდა ერთდროულად რამდენიმე პრობ-

[1] Вопросы идеологической работы: сборник важнейших решений КПСС (1954-1961 годы), გვ. 64.
[2] Вопросы идеологической работы: сборник важнейших решений КПСС (1954-1961 годы), გვ. 64.

ლემის გადაჭრას; ერთის მხრივ, ეს იყო მოზარდი თაობის ათეისტური აღზრდა სკოლის ასაკიდან, რაც იმის გარანტი იქნებოდა, რომ ჩამოყალიბდებოდა ათეისტური საზოგადოება, ხოლო, მეორეს მხრივ, უმაღლეს სასწავლებლებში ამ საკითხის შეტანით გადაიჭრებოდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომლის წინაშეც იდგა საბჭოთა ხელისუფლება, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მომავალი აგიტატორ-პროპაგანდისტი კადრების აღზრდა.

გარდა ამისა, საკავშირო ალკკ-ს ცენტრალურ კომიტეტს დაევალა ახალგაზრდებს შორის მეცნიერული ათეიზმის პროპაგანდის გაუმჯობესება. მას ფართოდ უნდა ჩაერთო საქმეში ახალგაზრდა მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები და მოსწავლეები სხვადასხვა მხატვრულ თვითმოქმედების კოლექტივებში, სპორტულ ორგანიზაციებში, ტექნიკურ, სასოფლო-სამეურნეო და სამეცნიერო წრეებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა ახალგაზრდობის იმ ნაწილს, რომელიც კვლავინდებურად იმყოფებოდა ეკლესიის გავლენის ქვეშ. ამ მიზნის შესასრულებლად საკავშირო პროფესიული კავშირების ცენტრალურ საბჭოს წინადადება მიეცა, მიეღო ზომები მუშებსა და მოსამსახურეებს შორის მეცნიერული ათეიზმის ცოდნის პროპაგანდის გაძლიერებისათვის, სისტემატური ორგანიზება გაეწიათ კულტურის სახლებში, კლუბებში და წითელ კუთხეებში ლექციებისა და მოხსენებებისათვის ანტირელიგიურ თემებზე, მოეხდინათ სამეცნიერო-პოპულარული კინოფილმების დემონსტრირება, რაც ხელს შეუწყობდა მშრომელებში მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

ამ მიმართულებით, ქართული რეალობის შესწავლასთან დაკავშირებით, საინტერესოდ მიგვაჩნია საარქივო დოკუმენტი, რომელიც შსს არქივშია დაცული. იგი წარმოადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის ტელეხედვის სტუდიის პოლიტიკურ გადაცემათა მთავარი რედაქტორის გ. დვალიშვილის ანგარიშს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებისადმი, სადაც დაწვრილებით არის მოთხრობილი ის სამუშაოები, რომლებიც ჩატარდა ათეისტური კუთხით. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობის და ტელევიზიის კომიტეტი ანტირელიგიურ პროპაგანდას ძირითადად ეწეოდა პროპაგანდის, ახალგაზრდობისა და საბავშვო გადაცემათა რედაქციების საშუალებით. კერძოდ, ათეისტურ თემებზე გადაცემებში საუბარი იყო იმაზე, თუ რა ზიანი მოჰქონ-

და რელიგიურ ცრურწმენებს ადამიანებისთვის, მთელი საზოგადოებისთვის; ხაზგასმით აღინიშნებოდა, რომ რელიგია ართმევდა ადამიანს თვითმოქმედებისა და ინიციატივის გამოჩენის უნარს, ახშობდა და აბნელებდა მის გონებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმას, თუ როგორ იყენებდნენ კაპიტალისტურ სამყაროში რელიგიას და რელიგიურ დოგმებს მშრომელთა თვალის ასახვევად, მათ მოსატყუებლად. საუბრებში, სტატიებსა და რადიოგადაცემებში გადმოცემული იყო რელიგიური დოგმების „ნამდვილი არსი", მათი „დამღუპველი გავლენა" საზოგადოების განვითარებაზე, ადამიანთა შეგნებაზე, „მხილებული" იყო ზოგიერთი ადამიანის შეგნებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი რელიგიური ცრურწმენების „მავნეობა". დოკუმენტში ასევე საუბარია იმის შესახებაც, რომ პროპაგანდის რედაქციამ ბოლო ხუთი თვის განმავლობაში ანტირელიგიურ თემებზე გადასცა შემდეგი საუბრები: „როდის და რატომ წარმოიშვა რელიგია", „რა არის ღვთისმორწმუნოება?" „შრომა და რელიგია", „არსებობს თუ არა ბედი?", „იყო თუ არა ქრისტე?", „რელიგიური წინასწარმეტყველებანი და მეცნიერული წინასწარხედვა", „ათეისტური აღზრდა", სამგადაცემიანი ციკლი „სიცოცხლის წარმოშობა". იქვე მოცემულია რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, „უმჯობესი იქნებოდა საუბრებში, სიტყვებსა თუ რადიოგადაცემებში ათეისტურ თემებზე ნაკლებად მოვიყვანოთ ადგილები სახარებიდან; მათი უხვად ციტირება და კრიტიკა ხშირად ფარავს ძირითადს. საჭიროა კონკრეტულ მასალებზე დაყრდნობით რელიგიური ცრურწმენების მავნეობის ჩვენება და არა ზოგადი მსჯელობა საერთოდ რელიგიაზე. ეს უთუოდ ამაღლებს რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითობას".[1]

სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ 1954 წლის ივლისის ეს დადგენილება იყო ხანგრძლივ დროზე გათვლილი პროგრამა მოსახლეობაში სამეცნიერო-ათეისტური განათლების განვითარების კუთხით.[2] ვფიქრობთ, რომ ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ მასში მთავარი აქცენტები განათლებაზეა გაკეთებული. გარდა ამისა, უესლის უნივერსიტეტის (Wesleyan University) მკვლევრის ვიქტორია სმოლკინის სამართლიანი შეფასებით, ამ დადგენილებით ხელისუფლებამ გამოკვეთა თავისი ყველაზე მთავარი „პოზიცია, რომ რელიგია და კომუნიზმი ერთმა-

---

[1] საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას. შსს საარქივო სამმართველოს II განყოფილება, ფონდი №14, აღწერა №34, საქმე №337, ფურც. 66.

[2] **Bohdan R. Bociurkiw**. De-Stalinization and Religion in the U.S.S.R. // *International Journal*, Vol. 20, No. 3 (Summer, 1965), გვ. 316. **Joan Delaney Grossman**. Khrushchev's Anti-Religious Policy and the Campaign of 1954. // *Soviet Studies*, Vol. 24, No. 3 (Jan., 1973), გვ. 378.

ნეთთან შეუთავსებელია და სოციალისტურ პირობებში რელიგიური აქტიურობა იყო შედეგი, ერთის მხრივ, ომის შემდეგ პარტიის მიერ ათეიზმის უგულებელყოფის, მეორეს მხრივ კი, გაკრიტიკებულ იყვნენ პარტიული კადრები იდეოლოგიური პასიურობისათვის და მოუწოდეს მათ, ეაქტიურათ ათეისტურ სამუშაოზე".[1]

საბჭოთა ხელისუფლების მიერ რელიგიის თემაზე მიღებულ ოფიციალურ დადგენილებებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „მოსახლეობაში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დროს დაშვებული შეცდომების შესახებ", რომელიც 1954 წლის 10 ნოემბერს მიიღეს და წლების განმავლობაში ზემოთ ჩვენს მიერ ნახსენები მიზეზის გამო სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეული იყო პირველ დადგენილებად, რომელიც ხრუშჩოვის ხელისუფლებამ ანტირელიგიური პოლიტიკის გატარების მიზნით მიიღო და მასში საუბარი იყო სტალინის დროს დაშვებულ შეცდომებზე.

მეცნიერთა შორის არ არის ერთიანი აზრი, თუ რატომ გახდა აუცილებელი ამ დადგენილების მიღება, მაშინ როდესაც იმავე წლის 7 ივლისს მიღებული იყო ჩვენს მიერ ზემოთ განხილული დადგენილება. საქმე იმაშია, რომ პირველი რეზოლუციით, რომელიც ათეისტური მუშაობისათვის სრულ კარტბლანშს აძლევდა აგიტატორებს, მოხდა გარკვეული გადაჭარბებები, რამაც მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რაც ბუნებრივიც არის, რადგან სტალინის მიერ გატარებული პოლიტიკის შემდეგ მორწმუნეთა დიდ ნაწილს რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა უპრობლემოდ შეეძლო, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ კი კვლავ აგრესიულ დამოკიდებულებებს წააწყდნენ. სწორედ ამიტომ, მდგომარეობის შერბილების მიზნით, მიიღეს ახალი დადგენილება, სადაც აღნიშნული იყო, რომ „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ხელთ აქვს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამ ბოლო ხანს მთელ რიგ ადგილებში მოსახლეობაში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დროს დაშვებულია უხეში შეცდომები. ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებში, აგრეთვე ზოგიერთი ლექტორისა და მომხსენებლის გამოსვლებში დაშვებულია შეურაცხმყოფელი გამოხდომები სამღვდელოებისა და მორწმუნეთა წინააღმდეგ. ამგვარი შეცდომები ანტირელიგიურ პროპაგანდაში ძირეულად ეწინააღმდეგება კომუნისტური პარტიის პროგრამასა და პოლიტიკას რელიგიისა და მორწმუნეთა მი-

[1] **Victoria Smolkin**. A Sacred Space Is Never Empty. A History of Soviet Atheism. Princeton University Press, 2018, გვ. 64.

მართ, არღვევს პარტიის არაერთგზის მითითებას, რომ შეუწყნარებელია მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფა“.[1] ამავე დროს, აქვე ხაზგასმული იყო, რომ „პარტიას საჭიროდ მიაჩნია, წარმოებდეს მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს პოპულარული ახსნა-განმარტება ბუნების და საზოგადოების ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა, ისეთი საკითხებისა, როგორიც არის სამყაროს აღნაგობა, სიცოცხლისა და ადამიანის წარმოშობა დედამიწაზე, მიღწევები ასტრონომიის, ბიოლოგიის, ფიზიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიისა და სხვა მეცნერების დარგში, რომლებიც ადასტურებენ ბუნებისა და საზოგადოების განვითარებაზე მატერიალისტურ შეხედულებათა სისწორეს“.[2]

ამ დადგენილების შეფასებისას სავსებით მართებულად მიგვაჩნია ჯონ ანდერსონის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მთავრობა შეეცადა, უკან დაეხია.[3] ეს გარკვეულწილად ასეც მოხდა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ ხრუშჩოვს ჯერ ძალაუფლება ბოლომდე გამტკიცებული არ ჰქონდა და მოსახლეობის გაღიზიანებას ერიდებოდა. არ უნდა გამოვრიცხოთ ის ფაქტიც, რომ მასზე შესაძლებელია ყოფილიყო საერთაშორისო ზეწოლაც. ჩვენი აზრით, აქ სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ხელისუფლება ცდილობდა, ათეისტური პროპაგანდისთვის აკადემიური სახე შეეძინა და იგი მეცნიერულად დაესაბუთებინა. ამას ადასტურებს ისიც, რომ ამავე დადგენილებაში საგანგებოდ ჩაიწერა: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის წარმოება მოითხოვს უდიდეს ყურადღებას. ამ მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნან განსაკუთრებით კვალიფიციური მეცნიერული კადრები, რომლებსაც უნარი შესწევთ მატერიალისტური პოზიციებიდან განმარტონ რელიგიის ანტიმეცნიერული ხასიათი“.[4] ხელისუფლების ამ პოლიტიკამ შემდგომ დადგენილე-

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწილი IV. 1954-1960. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1962, გვ. 59-60; სკკპ რელიგიის შესახებ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1963, გვ. 100-101.

[2] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი IV, გვ. 63-64; სკკპ რელიგიის შესახებ, გვ. 104-105.

[3] **John Anderson**. Religion, State and Politics in the Soviet Union and Successor States, 1953-1993. Cambridge University Press, 1994, გვ. 31.

[4] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწილი IV, გვ. 64; სკკპ რელიგიის შესახებ, გვ. 106.

ბებშიც ჰპოვა ასახვა. აღნიშნული დადგენილების შესახებ ინტერესს იწვევს ის ფაქტიც, რომ მას საგანგებო ყურადღება დაეთმო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სამდივნო სხდომებზე და საგანგებო მითითებაც გაიცა, რომ აკადემიაში შემავალ ორგანიზაციებში მეცნიერულ-ათეისტური მუშაობა უნდა გაშლილიყო.[1]

როდესაც ხრუშჩოვის ხელისუფლების მიერ მიღებულ დადგენილებებს განვიხილავთ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ 1959 წლის 5 მაისის დადგენილებაზე, რომლის მიხედვითაც დაარსდა ჟურნალი „მეცნიერება და რელიგია“. აუცილებლად მიგვაჩნია ორიოდე სიტყვით შევეხოთ იმ ფაქტს, რომელსაც ამ საკითხის მკვლევრები, როგორც წესი, დუმილით უვლიან გვერდს. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ჟურნალის დაარსება ჯერ კიდევ 1954 წლის 7 ივლისის დადგენილებით იყო გათვალისწინებული. კერძოდ, მის მეოთხე პუნქტში ვკითხულობთ: „უფლება მიეცეს საკავშირო პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას გამოსცეს მასობრივი სამეცნიერო-პოპულარული ყოველთვიური ჟურნალი „მეცნიერება და რელიგია“ მოცულობით სამი საბეჭდი თაბახი, ტირაჟით 75 ათასი ეგზემპლარი“.[2] იმ ეტაპზე აღნიშნული ჟურნალის გამოცემა ვერ განხორციელდა. დღესდღეობით, რთულია დადგინდეს, თუ რატომ მოხდა ჟურნალის გამოცემა ხუთის წლის დაგვიანებით და რატომ გახდა ამისთვის საჭირო საგანგებო დადგენილების მიღება. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 1954 წლის ივლისისათვის საზოგადოება „ცოდნას“ არ ჰყავდა საკმარისი კადრები, რომ წარმატებით უზრუნველეყო ჟურნალის გამოცემა. საბოლოოდ, ჟურნალის გამოცემა 1959 წლის გადაწყვეტილებით დაიწყო და დადგენილებაშივე განიმარტა, რომ „1959 წლის მეორე ნახევრიდან გამოცემულ იქნას სამეცნიერო-პოპულარული ათეისტური ჟურნალი „მეცნიერება და რელიგია“, როგორც საკავშირო საზოგადოების ორგანო. პერიოდულობით 12 ნომერი წელიწადში, მოცულობით 6 თაბახი ფურცელი, ტირაჟით 100 000. ჟურნალის ამოცანა უნდა იყოს პოპულარული სტატიების დაბეჭდვა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და პროპაგანდის ლექციების და კონსულტაციების განხილვა, რელიგიის გაშიშვლება და კრიტიკა მეცნიერული ათეიზმის თეორიისა და ისტორიის ფონზე. ჟურნალი განკუთვნილი უნდა იყოს მასობრივ მკითხველზე და ასევე ლექტორზე, სამომავლო მეცნიერულ-ათეის-

[1] სავლე წერეთელის ფილოსოფიის ინსტიტუტუტის საბჭოთა პერიოდის საარქივო მასალები, 1946-1991. საიუბილეო გამოცემა. შემდგენელი **მერი ცუცქირიძე**. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017, გვ. 141.

[2] Вопросы идеологической работы: сборник важнейших решений КПСС (1954-1961 годы), გვ. 64.

ტური პროპაგანდისათვის“.[1]

სრულიად აშკარაა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა მთავრობას უკვე აღარ აკმაყოფილებდა ის მიდგომები, რომლებიც მანამდე გააჩნდა და რელიგიის წინააღმდეგ უფრო დიდი მასშტაბებით ბრძოლის გადაწყვეტილება მიეღო. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის შენიშნული, ეს იყო მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის „ახალი ხაზი“.[2] ძალაში უნდა შესულიყო მეცნიერული ათეიზმის იდეოლოგია, რაც თავის თავში გულისხმობდა რელიგიური გადმონაშთების წინააღმდეგ აკადემიური ცოდნით ბრძოლას. აღნიშნული კი ფართო მასებისათვის მაქსიმალურად გასაგებ ენაზე უნდა განხორციელებულიყო. ჟურნალის ეს პოლიტიკა მის პირველსავე ნომერში, რედაქციის საპროგრამო სიტყვაში აისახა, სადაც პირდაპირ არის გადმოცემული: „საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობას ისე არაფერი აფერხებს და ხელს უშლის, როგორც რელიგიური გადმონაშთების არსებობა საზოგადოებაში, ამიტომ საჭიროა მათ წინააღმდეგ თანმიმდევრული ბრძოლა, ამიტომ ამოცანა არის, სასწრაფოდ დაიძლიოს ყველა ის შეფერხება, რომელიც ამ მიმართულებით არსებობს და კომუნისტური მშენებლობის გზაზე მთავარ დამაბრკოლებელს – რელიგიური აზროვნების ნებისმიერ ფორმას საფუძველი გამოეცალოს“.[3] საინტერესოდ მიგვაჩნია დიმიტრი პოსპიელოვსკის შეფასება, რომლის მიხედვით, „ჟურნალის სახით სპეციალური ანტირელიგიური მასობრივი პროპაგანდისტული გამოცემა გამოჩნდა. მართალია, მას აგრესიული და ხშირად ვულგარული ხასიათიც ჰქონდა, მაგრამ 20-30-იანი წლების „უღმერთოს“ ვერ შეედრებოდა“.[4] ჟურნალმა აქტიური მუშაობა გააჩაღა და მისი მონოგრაფიული შესწავლა აუცილებლად მიგვაჩნია, რადგან მასში ორიგინალურად და საინტერესოდ არის ასახული, რეალურად რა ცვლილებებს განიცდიდა საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება რელიგიისადმი.

აღნიშნული ჟურნალის დაარსებამ სათანადოდ გამოამჟღავნა მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომლებიც ხელისუფლებას ამ მიმართულებით გააჩნდა. პირველ რიგში, სრულიად აშკარა იყო ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების სერიოზული დეფიციტი. ამ დანაკლისის შევსების გზად ხელისუფლებამ ათეისტური სწავლების გამ-

---

[1] Вопросы идеологической работы: сборник важнейших решений КПСС (1954-1961 годы), გვ. 271.

[2] **Bohdan R. Bociurkiw**. De-Stalinization and Religion in the U.S.S.R., გვ. 318.

[3] Коммунистическое строительство в СССР и преодоление религиозных пережитков. // «*Наука и религия*», №1. Москва, 1959, გვ. 7.

[4] **Dimitry V. Pospielovsky**. A History of Soviet Atheism in Theory and Practice, and the Believer. Vol 2. Soviet Anti-Religious Campaigns and Persecutions. New York: St Martin's Press, 1988, გვ. 98.

ლიერება ჩათვალა, რის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად ახალი სახელმძღვანელოს შექმნა დაისახა. სწორედ ამიტომ 1960 წლის 16 თებერვლის სკკპ დადგენილებით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ „აუცილებლობად ჩაითვალოს მომზადდეს და გამოიცეს პოპულარული სასწავლო სახელმძღვანელო „ათეიზმის საკითხები“ გათვალისწინებული კომუნისტების, კომკავშირლების და უპარტიოთა ფართო ფენებისათვის, რომლებიც სწავლობენ მეცნიერული ათეიზმის საფუძვლებს წრეებში, სემინარებზე ან დამოუკიდებლად შესასწავლად“.[1] სასწავლო სახელმძღვანელო დაწერილი უნდა ყოფილიყო „მაღალ იდეურ და სამეცნიერო დონეზე, ცოცხალი ენით, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებათმცოდნეობით მეცნიერებათა მიღწევებზე და პრაქტიკაზე. განსხვავებული მკაფიო, მიმწვდომი და დამაჯერებელი არგუმენტაციის სიღრმით“. მასში აუცილებლად გადმოცემული უნდა ყოფილიყო სისტემური, პოპულარული და მოკლე განმარტებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: „რელიგიის წარმოშობა, არსი და სოციალური საფუძვლები; დაპირისპირება მეცნიერულ და რელიგიურ მსოფლმხედველობაზე; რელიგიის თანამედროვე ფორმების სოციალური როლი; კომუნისტური და რელიგიური მორალის წინააღმდეგობა; კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამოკიდებულება რელიგიასა და ეკლესიისადმი; საბჭოთა კავშირში რელიგიური გადმონაშთების მიზეზები და მათი დაძლევის გზები; მეცნიერული ათეიზმის შინაარსი, ფორმები და მეთოდები“.[2]

ამ დადგენილების შესრულება და აღნიშნული სასწავლო სახელმძღვანელოს დაწერა დაევალა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიას, საბჭოთა კავშირის ფილოსოფიის ინსტიტუტს, პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობას. მათ ასევე დაევალათ ავტორთა კოლექტივის შემადგენლობის შერჩევა და თავიანთი წინადადებების განსახილველად შეიტანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში, მათ შორის მოკავშირე რესპუბლიკებისათვის.

ის, რომ ამ საკითხს განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალი კადრების აღზრდისათვის, ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 1961 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა ორი ნაშრომი: ა. კარლიუკის წიგნი «Очерки по научному атеизму» (ნარკვევები სამეცნიერო ათეიზმის შესახებ) და ავტორთა კოლექტივის მიერ შესრულებული

[1] Вопросы идеологической работы: сборник важнейших решений КПСС (1954-1961 годы), გვ. 169.
[2] Вопросы идеологической работы: сборник важнейших решений КПСС (1954-1961 годы), გვ. 170.

სახელმძღვანელო «Основы научного атеизма» (მეცნიერული ათეიზმის საფუძვლები). რაც შეეხება ქართულენოვან გამოცემას, მან დღის სინათლე მხოლოდ 1964 წელს იხილა, როდესაც გამოქვეყნდა დამხმარე სახელმძღვანელო *მეცნიერული ათეიზმის ძირითადი საკითხები* და რომელიც რუსულ ენაზე შესრულებული ანალოგიური ნაშრომების მიხედვით დაიწერა.

რეალურად ეს დადგენილება არის ნიკიტა ხრუშჩოვის ხელისუფლების მიერ მიღებული ბოლო ოფიციალური დადგენილება, რომელიც რელიგიის თემატიკას ეხება და მთავრობის პოლიტიკას გამოხატავს. ამ დადგენილებებით სრულიად აშკარად ჩანს მოღვაწეობის კონკრეტულ ეტაპზე რა მიმართულებები იყო მთავრობისათვის პრიორიტეტული.

როდესაც ხრუშჩოვის მიერ გატარებულ ანტირელიგიურ პოლიტიკაზე ვსაუბრობთ ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. კერძოდ, ამერიკის საგაზეთო-საგამომცემლო ტრესტის მეთაურთან უ. ჰერსტთან საუბარში, რომელიც 1957 წლის 22 ნოემბერს შედგა, ხრუშჩოვმა საბჭოთა ხელისუფლების ეკლესიასთან ურთიერთობის შესახებ საუბრისას შენიშნა: „ჩვენ უფლის საფლავისათვის არ ვიომებთ. არ შეიძლება საფლავისათვის ომობდე და საფლავებით ფარავდე მსოფლიოს. ოდესღაც კი სისხლისმღვრელი ომები წარმოებდა უფლის საფლავისათვის, ათასობით და ათასობით ადამიანი იღუპებოდა ჯვაროსანთა ლაშქრობებში. მაგრამ ეს დრო უკვე დიდი ხანია ჩაბარდა ისტორიას“.[1] სავარაუდოდ, ხრუშჩოვის ამ განცხადებაში ის გარემოება უნდა იგულისხმებოდეს, რომ მისმა ხელისუფლებამ უარი განაცხადა თავისი წინამორბედის მიერ გატარებული პოლიტიკის გაგრძელებაზე, რაც მიზნად ისახავდა რუსეთის ეკლესიისათვის წმინდა მიწაზე ეკლესია-მონასტრების დაბრუნებას და იქ რუსული მძლავრი სულიერი კერის შექმნას და მის სანაცვლოდ იდეა-მიზანი ფორთოხლის პლანტაციებში გადაცვალა. აღნიშნული დიპლომატიის ისტორიაში „ფორთოხლის გარიგების“ სახელით შევიდა.[2]

ხრუშჩოვის რელიგიურ პოლიტიკაზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით საინტერესო საკითხს, რომელიც აქამდე მეცნიერული კვლევის ობიექტი არ ყოფილა, კერ-

---

[1] **ნ. ს. ხრუშჩოვი**. მტკიცე მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. თბილისი: საქ. კპ ცკ-ის გამ-ბა, 1958, გვ. 409.

[2] ვრცლად ამ საკითხზე იხ. **ქეთევან პავლიაშვილი**. საბჭოთა იმპერიის საეკლესიო პოლიტიკა მახლობელ აღმოსავლეთში XX საუკუნის 20-60-იან წლებში („სტალინის პროექტი“ და ე.წ. „ფორთოხლის გარიგება“). // *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, №2 (6). თბილისი, 2009, გვ. 359-368.

ძოდ, რა დამოკიდებულება გააჩნდა და რა გამოხმაურება ჰქონდა მის გატარებულ პოლიტიკაზე საერთაშორისო საზოგადოებას? გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი საკვლევი პერიოდი ცივი ომის პერიოდს ემთხვევა, გასათვალისწინებელია ის რეალობაც, რომელიც მაშინ არსებობდა, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ბიპოლარულ სამყაროში ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული ძალა ცდილობდა თავისი მოწინააღმდეგე მაქსიმალურად კომპრომეტირებული ჰყოლოდა. დასავლური სამყაროსათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, თითქმის მთელი მისი არსებობის მანძილზე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი იყო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი, რაც კომუნისტურ რეალობაში საკმაოდ მწვავედ იდგა.* მათ შორის, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა რელიგიური აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლების საკითხს. პროფესორი ფრედერიკო რომერო სამართლიანად შენიშნავს, რომ მისი არსებობის ადრეული წლებიდან მოყოლებული საბჭოთა კავშირის დისკრედიტაცია ყველაზე ადვილად ხდებოდა სწორედაც რელიგიურ საკითხზე დაყრდნობით.[1]

როდესაც დასავლურ გამოხმაურებაზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია აშშ კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ე.წ. „არაამერიკულ მოქმედებათა კომიტეტის მიერ გამოცემული წიგნი-დოკუმენტი "The Crimes of Khrushchev". (ხრუშჩოვის ბოროტმოქმედებანი), რომელიც 1959-1960 წლებში მომზადდა, შვიდი ნაწილისაგან შედგება და წარმოადგენს სხვადასხვა პიროვნებების ინტერვიუების ერთგვარ ნაკრებს. სრულიად აშკარაა, რომ შემდგენლები სხვადასხვა მასალით სარგებლობენ. ჩვენთვის საინტერესოა ამ დოკუმენტის ბოლო მეშვიდე ნაწილი, სადაც საუბარია რელიგიურ უფლებებზე. ინტერესს ზრდის ის გარემოებაც, რომ აქ დაბეჭდილ მასალაში ჩვენება-მოხსენებისათვის რესპონდენტებად მოწვეული იყვნენ ქართველი ემიგრანტები გივი ზალდასტანიშვილი და გიორგი ნაკაშიძე. აღნიშნული დოკუმენტი მრავალი კუთხით არის საინტერესო, რადგან მასში საუბარია მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე. გივი ზალდასტანიშვილი ხრუშჩოვის დადანაშაულებას იწყებს 1956

---

* აღნიშნულ საკითხზე ყურადღება განსაკუთრებით მას შემდეგ გამახვილდა, რაც 1975 წელს აშშ-მ, კანადამ, საბჭოთა კავშირმა და ევროპის 32 ქვეყანამ ხელი მოაწერეს „ჰელსინკის დეკლარაციას", რომელიც, სხვა პუნქტებთან ერთად, ითვალისწინებდა ადამიანის უფლებების და თავისუფლებების – აზრის, სინდისის, რწმენის თავისუფლების – პატივისცემას (იხ.: ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად (ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის, ვენის, კოპენჰაგენისა და პარიზის თათბირების დასკვნითი აქტები და მასალები). თბილისი, 1991, გვ. 16-17).

[1] **Federico Romero**. Cold War Anti-Communism and the Impact of Communism on the West. *The Cambridge History of Communism*. Volume 2. The Socialist Camp and World Power 1941-1960s. Edited by **Norman Naimark, Silvio Pons, Sophie Quinn-Judge**. Cambridge University Press, 2017, გვ. 309.

წლის მოვლენების გახსენებით, როდესაც აბსოლუტურად მშვიდობიანი დემონსტრაცია ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო. ჩვენთვის საინტერესო საკითხზე საუბრისას კი აღნიშნავს, „ღვთისმსახურებაზე დასწრება ეს არის ერთგვარი გამოწვევა რეჟიმისათვის. მღვდლებს არ აქვთ ქადაგების უფლება იმის შიშით, რომ რაიმე ანტიკომუნისტური შეხედულებები არ გამოამჟღავნონ".[1] იმავე საუბარში მოგვიანებით იგი კვლავ უბრუნდება რელიგიის საკითხს, მოკლედ აღწერს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას და ქართველი სამღვდელოების დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი და აღნიშნავს, „ამჟამინდელ საქართველოში რელიგიის თავისუფლება არ არის".[2]

ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის, რომ აშშ-ს ხელისუფლების მიერ მომზადებული ამ ოფიციალური დოკუმენტისათვის შეირჩა ზუსტად ეს ორი პიროვნება, რადგან გივი ზალდასტანიშვილი იმ დროისათვის, როგორც თავადვე აღნიშნავს, არის ორგანიზაცია „საქართველოს ეროვნული ალიანსის" ვიცე-პრეზიდენტი, ინგლისურენოვანი პერიოდული გამოცემის "The Voice of Free Georgia"-ს („თავისუფალი საქართველოს ხმა") რედაქტორი, ასევე თანადამაარსებელი გაზეთისა „ქართული აზრი".[3] აღნიშნული გამოცემები გამოირჩეოდნენ თავისი მკვეთრად გამოხატული ანტიბოლშევიკური პათოსით და აქტიურად ამხელდნენ საბჭოთა ხელისუფლების გატარებულ პოლიტიკას. რაც შეეხება გიორგი ნაკაშიძეს, ისიც აქტიურად იბრძოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, იყო 1925 წელს ვარშავაში დაარსებული საზოგადოება „პრომეთეს" წევრი, 1933 წელს ვარშავის უნივერსიტეტში მიიწვიეს ქართული ენის ლექტორად, 1948 წელს კი ჰარვარდის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს.[4] ამრიგად, ეს ორი პიროვნება, რომლებსაც ჰქონდათ შესაბამისი ცოდნა-გამოცდილება და, რაც, მთავარია მკვეთრი ანტიბოლშევიკური პათოსი, შერჩეულ იქნენ აღნიშნულ საკითხზე სასაუბროდ. მიგვაჩნია, რომ მათი შერჩევა წიგნის იმ ნაწილში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულ ანტირელიგიურ პოლიტიკას ეხება, ასევე არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი, რადგან ამ კომუნისტური მთავრობის მიერ გატარებულმა ათეისტურმა პოლიტიკამ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ზარალი სწორედ საქართველოს და მის ეკლესიას მიაყენა.

ამრიგად, ხრუშჩოვის რელიგიურ პოლიტიკას მთელი რიგი თავისებურება გა-

[1] The Crimes of Khrushchev. Part 7. Washington: United States Government Printing Office, 1960, გვ. 2.
[2] The Crimes of Khrushchev, part 7, გვ. 14.
[3] The Crimes of Khrushchev, part 7, გვ. 7.
[4] The Crimes of Khrushchev, part 7, გვ. 15.

აჩნდა. მათ შორის მკვეთრად გამოსაყოფი და მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ იგი უშუალოდ დაუკავშირდა დესტალინიზაციის პოლიტიკას, რომლისთვის დამახასიათებელი იყო სტალინისეული მიღწევების უარყოფა, როგორც მკვეთრად ანტისაბჭოთა მოვლენისა. სწორედ ამიტომ, ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა თავისი წინამორბედის მიერ „დაშვებული შეცდომების გამოსწორება“ და რელიგიას ახალი ძალით შეუტია. ამ გზაზე მან მიზნად დაისახა ისეთი პოლიტიკის წარმოება, რომელიც, ერთის მხრივ, მოსახლეობის ყველა სოციალურ ფენას პოლიტიკური ხელმძღვანელობის ურყევ დამოკიდებულებას დაანახებდა, მეორეს მხრივ კი, თავს საკუთარი უკომპრომისობით საზღვარგარეთაც გამოიჩენდა. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ აქცენტი „მეცნიერული ათეიზმის“ დანერგვასა და მის შესაბამის აგიტაცია-პროპაგანდაზე აიღო. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ ყველაზე თვალსაჩინო და მკაფიო გამოხატულება, ერთის მხრივ, ოფიციალურ დადგენილებებში, ხოლო, მეორეს მხრივ, ამ დადგენილებების პრაქტიკულ რეალიზაციაში ჰპოვა. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ ხელისუფლების გატარებულ რელიგიურ პოლიტიკას, საინტერესო გამოხმაურება მოჰყვა დასავლურ საზოგადოებაში. გარდა იმისა, რომ საბჭოთა რელიგიურ პოლიტიკაზე იწერებოდა მთელი რიგი კრიტიკული სამეცნიერო გამოკვლევები სრულიად აშკარა იყო, ამ საკითხით დაინტერესებას თვით აშშ-ს პოლიტიკური ხელმძღვანელობაც იჩენდა, რადგან მათთვის კარგად იყო ცნობილი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უპირატესობა, რომელიც მათ საბჭოთა კავშირის ხელისუფლებასთან ჰქონდათ. ეს ამ ქვეყანაში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების პრაქტიკულად სრული უგულებელყოფა იყო, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი სწორედაც რელიგიურ საკითხს ეჭირა.

თავი 4. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია (XX საუკუნის 50-60 წლებში)

§1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება საბჭოთა რელიგიური პოლიტიკისადმი

ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში საზოგადოების და მისი სოციალური ფენების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ეკლესიის დამოკიდებულება და შემდგომი ურთიერთობა ხელისუფლებასთან. აღნიშნული პრობლემა უამრავ საინტერესო ნიუანსს შეიცავს, სადაც მჟღავნდება საზოგადოების სახელმწიფოებრივი მენტალობისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი დეტალი და თავისებურება. ეს საკითხი განსაკუთრებით საინტერესოა იმ დროს, როდესაც ქვეყანას დაკარგული აქვს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ოკუპანტი ქვეყანა ტოტალიტარული ტიპის სახელმწიფოს წარმოადგენს.

საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს საბჭოთა ოკუპაციის პერიოდი წარმოადგენს. მისდამი საზოგადოების დამოკიდებულებამ ეს უკანასკნელი იმთავითვე სამ ნაწილად ჩამოყალიბა: საზოგადოების ერთმა ნაწილმა გააცნობიერა, რომ ხელისუფლებასთან რადიკალური დაპირისპირება შედეგის მომტანი ვერ იქნებოდა და პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა დაიწყო; მეორე ნაწილმა, ასევე ნაკლებად რადიკალურად განწყობილმა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაინახა, რომ აშკარად გამოხატული ბრძოლა შედეგის მომტანი ნაკლებად იქნებოდა, შეეცადა არსებულ რეალობას მორგებოდა და ნაკლები დაპირისპირებით, მეტი დათმობებით შეეცადა ქართული მენტალობა გადაერჩინა; ხოლო საზოგადოების მესამე ნაწილი, რომელიც, როგორც წესი, დისიდენტებად, ანუ სხვაგვარად მოაზროვნეებად ცხადდებოდა, რადიკალურად დაუპირისპირდა გაბატონებულ რეჟიმს. მათთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო, თუნდაც უმნიშვნელო ხასიათის კომპრომისი, რადგან ეს, მათი აზრით, სისუსტედ და მეტიც, ხშირ შემთხვევაში, ღალატად ითვლებოდა.

ქართველი სამღვდელოების წინაშეც იგივე ამოცანები დადგა, რაც მთლიანად იმ დროს სოციუმის წინაშე იდგა. მათთვის ხელისუფლებასთან დამოკიდებულების გამოკვეთას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან საბჭოთა სახელმწიფო, კა-

ცობრიობის ისტორიაში მანამდე არსებული სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, იყო პირველი ათეისტური სახელმწიფო, რომელიც უღმერთო იდეოლოგიაზე იდგა.

ჯერ კიდევ ქვეყნის გასაბჭოების ადრეულ წლებში, ქართველ სამღვდელოებაში გამოიკვეთა ორი მიმართულება: პირველს დასაშვებია პირობითად პატრიარქ ამბროსი ხელაიას მიმდევრები ვუწოდოთ. მათთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო საბჭოთა ხელისუფლებასთან თუნდაც მცირე კომპრომისი და ისინი მთავრობას და მის პოლიტიკას რადიკალურად უპირისპირდებოდნენ; ხოლო მეორე ნაწილის დამოკიდებულებას ხელისუფლებისადმი კათოლიკოს-პატრიარქის ქრისტეფორე ციცქიშვილის თანამოაზრეები იზიარებდნენ. მათი აზრით, რომ მთავრობასთან აქტიურ დაპირისპირებას პრაქტიკულად არანაირი დადებითი შედეგის მოტანა არ შეეძლო, ამიტომ ხელისუფლებასთან შედარებით ლოიალური დამოკიდებულების გზა არჩიეს და ამ გზით შეეცადნენ ეკლესიის, როგორც ინსტიტუციური ერთობის შენარჩუნება მაინც მოეხერხებინათ, რადგან ამ კურსს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებისათვის. ხელისუფლებისადმი მათ დამოკიდებულებას გააჩნია თავისი დადებითი თუ უარყოფითი ასპექტები. ქართველ სამღვდელოებაში იყო კიდევ ერთი მცირე რაოდენობის ჯგუფი, რომელმაც ხელისუფლების გამუდმებულ წნეხს ვერ გაუძლო, უარი თქვა სასულიერო ცხოვრებაზე და ერისკაცობას დაუბრუნდა. მათ პოზიციას საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა განსაკუთრებულად აქტიურად იყენებდა, აცხადებდა რა მათ „სიბნელიდან გამოღვიძებულ ხალხად“, რომლებმაც „გაიაზრეს“ ქრისტიანული რელიგიის რეალური არსი და ჭეშმარიტებას დაუბრუნდნენ. ძალიან იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა ისეთი ხალხი, ვისაც მღვდლობაზე უარი ჰქონდა ნათქვამი, თუმცა, დაინახეს რა ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა, დაუბრუნდნენ სასულიერო პირების ცხოვრებას. აღნიშნულის დასტურს წამოადგენს ფილოსოფოსის, აკადემიკოს შალვა ხიდაშელის მამის ისტორია, რომელიც მეცნიერის მემუარებშია დაცული და, როგორც გადმოგვცემს, მამამისს ეს სურვილი „ზნეობასა და რწმენაზე ზრუნვამ გადაადგმევინა“.[1] სამწუხაროდ, ბევრი მცდელობის მიუხედავად, აღნიშნულ პიროვნებაზე დამატებითი ინფორმაციის მოძიება ამჟამად ვერ მოხერხდა, თუმცა, არ გამოვრიცხავთ, სამომავლოდ გამოვლინდეს რაიმე ახალი წყარო აღნიშნული საკითხის უფრო დაწვრილებით შესასწავლად.

---

[1] **შალვა ხიდაშელი.** უსათაურო მოგონებანი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994, გვ. 77-78. აღნიშნულ მოგონებაზე მიგვითითა თსუ დოქტორანტმა ნოდარ ჩხაიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

როდესაც ქართველი სასულიერო პირების საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებაზე ვსაუბრობთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხს. კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ დაიწყო უთანასწორო ბრძოლა ბოლშევიკური ხელისუფლების იდეოლოგიური მანქანის წინააღმდეგ. უწმიდესი კალისტრატე თავის მიმართვებში ამხელდა ხელისუფლების ვერაგულ პოლიტიკას“.[1] თუმცა, როგორც ჩანს, პატრიარქის ბრძოლა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მხოლოდ მიმართვებით არ შემოიფარგლებოდა. იგი აქტიურად იყო ჩაბმული კონსტანტინოპოლის უბიწო ჩასახვის ქართული კათოლიკური მონასტრის მიერ დაწყებულ ანტისაბჭოთა მოძრაობაში.[2] აღნიშნული ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქართველი სასულიერო პირების ბრძოლა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მხოლოდ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას მიერ გენუის საერთაშორისო კონფერენციისადმი მემორანდუმის გაგზავნით არ შემოფარგლულა და სამღვდელოების გარკვეული ნაწილი ფარულ ბრძოლას კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ აგრძელებდა, რასაც თავის მხრივ, აქტიურად დაუპირისპირდა საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც აღნიშნულ საკითხს საგანგებო ყურადღება დაუთმო პრესაშიც, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქტიურად გამოიყენებოდა აგიტაციაპროპაგანდისათვის. ამ მხრივ, საინტერესოა გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი პუბლიკაციები, სადაც თვალსაჩინოდ არის გადმოცემული ხელისუფლების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი და აღნიშნული მონასტრის საქმიანობა შეფასებულია, როგორც ცალსახად კონტრრევოლუციური.[3]

ხელისუფლებისადმი ლოიალური დამოკიდებულება კიდევ უფრო მკვეთრად გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს სასულიერო პირების მიერ ხელისუფლების მხარდასაჭერად გადადგმულ ნაბიჯებს მთავრობის მხრიდან აშკარად გამოხატული შემხვედრი ნაბიჯები მოჰყვა, რისი დაგვირგვინებაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლე-

---

[1] **სერგო ვარდოსანიძე.** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე (1932-1952 წ.წ.). თბილისი: „ნათლისმცემელი“, 2009, გვ. 62.

[2] **ქეთევან პავლიაშვილი**. კონსტანტინოპოლის „უბიწოდ ჩასახვის“ ქართული კათოლიკური მონასტრის ისტორიიდან (XX ს-ის 10-30-იანი წწ.). // *კულტურის ისტორიის საკითხები*, №VI. თბილისი, 1999, გვ. 83. აღნიშნულ საკითხზე მიგვითითა სტატიის ავტორმა, ჩვენმა მეცნიერ-ხელმძღვანელმა პროფესორმა ქეთევან პავლიაშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ და აქვე დავძენთ, რომ ეს საკითხი ცალკე შესწავლის ობიექტია.

[3] **კვესი.** „უმანკო ჩასახება“ სტამბოლში, ვატიკანი და მენშევიკური კონტრრევოლუცია. // გაზ. „*კომუნისტი*“, №212, 1928წ. 12 სექტემბერი, გვ. 3; **კვესი.** „უწმინდესი" სპეკულანტები ანუ რომის პაპის ხელი საქართველოში. // გაზ. „*კომუნისტი*“, №44, 1930წ. 22 თებერვალი, გვ. 3.

სიის მიერ აღიარება იყო. გარდა ამისა, მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები აქტიურად ჩაებნენ სამშვიდობო ღონისძიებებში, რასაც ორმხრივი დატვირთვა გააჩნდა. ერთის მხრივ ხელისუფლება წარმატებით ახერხებდა როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო საზოგადოებისათვის ეჩვენებინა, რომ საბჭოთა საზოგადოება ერთიანი იყო და მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც მუდამ მის მოწინააღმდეგე ძალად ითვლებოდა, უკვე მის მოკავშირეს წარმოადგენდა, რაც, თავის მხრივ, იმასაც ნიშნავდა, რომ რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება საკავშირო მასშტაბით არ იზღუდებოდა, მეორეს მხრივ კი, სასულიერო პირებს შესაძლებლობა მიეცათ, აქტიურად ექადაგათ იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომელთა წინაშეც ჩვენი ქვეყნის საზოგადოება იდგა. სრულიად აშკარა გახდა, რომ ეკლესია საზოგადოების თვალში იბრუნებდა იმ ისტორიულ ფუნქცია-დანიშნულებას, რომელიც მას საუკუნეების მანძილზე ჰქონდა.

აღნიშნულით იყო გამოწვეული ის ფაქტიც, რომ ცალკეული სასულიერო პირები საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯებით უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ მას არ უპირისპირდებოდნენ და ეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური, დეკლარირებული პოზიცია არასოდეს არ გამხდარა. აღნიშნული ტენდენციები შენარჩუნდა ხრუშჩოვის მმართველობის დროსაც, როდესაც ხელისუფლებამ სრული დესტალინიზაციის პოლიტიკა გამოაცხადა და მნიშვნელოვნად გადასინჯა თავისი წინამორბედის თითქმის ყველა მიღწევა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიისადმი დამოკიდებულებაში გამომჟღავნდა და მისმა რელიგიურმა პოლიტიკამ საკმაოდ აგრესიული სახე მიიღო. როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, განსაკუთრებული ადგილი მეცნიერულმა ათეიზმმა დაიკავა, რომლის მიხედვითაც საბჭოთა ხელისუფლებას რელიგიის და მისი გამოვლინებების წინააღმდეგ აკადემიურ-შემეცნებითი გზით უნდა ებრძოლა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ნაბიჯის გადადგმით ხრუშჩოვს ლენინური იდეალებისკენ მიბრუნების და მათი წინ წამოწევის გზით სურდა საკუთარი ძალაუფლების მაქსიმალური გამტკიცება.

ხრუშჩოვის დროს გატარებული საეკლესიო პოლიტიკისადმი ქართველი სასულიერო ხელისუფლების დამოკიდებულება არ იყო რადიკალური. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო წყაროებით ეს არ დასტურდება. აღნიშნული კომპრომისული დამოკიდებულების მიზეზად შეიძლება ორი მიზეზი დავასახელოთ:

1) მიუხედავად იმისა, ეს აღარ იყო 20-30-იანი წლები, როდესაც კომუნისტური ხელისუფლება არ ერიდებოდა ყველა განსხვავებულად მოაზროვნისადმი ღია რეპრესიებს, მათ იცოდნენ, რომ გამოკვეთილ დაპირისპირებას გაცილებით უარესი შედეგების მოტანა შეეძლო;

2) მიუხედავად მკვეთრი აგრესიული პოლიტიკისა, რომლითაც ხრუშჩოვის ხელისუფლება გამოირჩეოდა და რომელიც მაქსიმალურად ცდილობდა ლენინისეული მიდგომების აღდგენას, საქართველოს სინამდვილეში, განსხვავებით რუსეთისგან, ეკლესიების ნგრევა არ მომხდარა და ათეისტური პოლიტიკა აგიტაცია-პროპაგანდას პრაქტიკულად არ გასცდენია. თუმცა, აღნიშნული სრულებითაც არ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მდგომარეობა თუნდაც სასურველს უახლოვდებოდა; სწორედ ამიტომ, ქართველმა სამღვდელოებამ არსებულ რეალობას სწორი ალღო აუღო და მათი დამოკიდებულებაც აბსოლუტურად ესადაგებოდა კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული ინსტიტუციის ქმედებებს.

ხრუშჩოვის მმართველობა საქართველოში მელქისედეკ III-ისა და ეფრემ II კათოლიკოს-პატრიარქობის ზეობას ემთხვევა. ორივე მათგანმა შესაძლებლობის ფარგლებში გააგრძელა ხელისუფლებასთან კომპრომისული და თანამშრომლობითი ტენდენციები, რაც, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიის ინტერესებიდან მომდინარეობდა. აღნიშნულის დასტურს წარმოადგენს წმინდა დავით და კონსტანტინე მხეიძეების წმინდა ნაწილების მოწამეთას ეკლესიაში დაბრუნების საკითხი, რომელიც გვიან სტალინურ ეპოქაში დაიწყო და 1954 წელს წარმატებით დაგვირგვინდა.[1] აღნიშნულის მიზეზად, უპირველეს ყოვლისა, ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ განაპირა რეგიონებში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო სტალინის რელიგიური პოლიტიკის ინერცია და ადგილობრივი ხელისუფლება სამღვდელოებასა და მოსახლეობასთან წინააღმდეგობაში აღარ შესულა.

საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლების მხრიდან ხელისუფლების პოლიტიკისადმი ადეკვატური დამოკიდებულების დასტურია ისიც, რომ მათ სცადეს, მთავრობის მიერ წარმოებული მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდისათვის შესაბამისი

[1] **Stephen F. Jones**. The Georgian Orthodox Church. – *Eastern Christianity and the Cold War, 1945-91.* Ed. by **Lucian N. Leustean.** London and New York: Routledge, 2010, გვ. 107; **ლევან ტყეშელაშვილი.** მოწამეთა. ქუთაისი, 2010, გვ. 56; **ელდარ ბუბულაშვილი**. უცნობი მასალები წმ. დიდმოწამე არგვეთის მთავრების დავითისა და კონსტანტინეს წმინდა ნაწილების შესახებ. // *„რელიგია“,* №3, 2012, გვ. 19-26; **Mikheil Kartvelishvili.** The Attitude of Georgian Orthodox Clergy Towards the Return of the Holy Relics (40-50s of Twentieth Century), გვ. 43-44.

ნაბიჯებით ეპასუხათ. ამის გამოხატულება ისიც უნდა ყოფილიყო, რომ ისინი შეეცადნენ ხელისუფლება სასულიერო სასწავლებლის გახსნაზე დაეთანხმებინათ. ამით შესაძლებელი იქნებოდა ორი მიზნის მიღწევა. პირველ რიგში, ამ ნაბიჯის პრაქტიკული განხორციელებით ეკლესიას საშუალება მიეცემოდა, შეევსო ახალგაზრდა კადრებით არსებული სერიოზული დეფიციტი, რაც ეკლესიაში ამ პერიოდში უკვე აშკარად იგრძნობოდა; ხოლო, მეორეს მხრივ, მეტ-ნაკლებად მოახერხებდა სასულიერო განათლების გავრცელებას დაინტერესებულ საზოგადოებაში. ამიტომ 1956 წლის 2 ივლისს მელქისედეკ III-მ საგანგებო წერილით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა რწმუნებულს მოსე მექვაბიშვილს: „პატივისცემით მოგახსენებთ, რომ საქართველოს ეკლესიას მღვდლების, კანდიდატების მომზადებისათვის სკოლა არ აქვს. ამიტომ გთხოვთ გვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ მოგვცეს ნება სიონის ტაძართან გავხსნათ უვადო კურსები მღვდლების კანდიდატების მოსამზადებლად. ამასთან საჭიროა მოგვეცეს ნებართვა, რომ ეკლესიებში კედელზე გავაკრათ განცხადება კურსების გახსნის შესახებ და მოვუწოდოთ მსურველებს განუცხადონ თავიანთი სურვილი კურსების გამგეს. სასწავლო საგნები იქნება: 1. საეკლესიო კითხვა-გალობა, 2. საღმრთო წერილის კითხვა, 3. ღვთისმსახურება, 4. საეკლესიო ისტორია, 5. ქადაგება, 6. საეკლესიო საქმის წარმოება“.[1]

უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ეკლესიის გააქტიურება სწორედ ამ დროს შემთხვევით არ დაწყებულა, რადგან, როგორც ცნობილია, ზუსტად ამ დროს საბჭოთა კავშირს უნგრეთში სერიოზული პრობლემები ჰქონდა. კომუნისტურ ხელისუფლებას, რომელიც საერთაშორისო არენაზე რიტორიკის დონეზე აცხადებდა, რომ, წინამორბედისგან განსხვავებით, „დათბობის პოლიტიკის“ გატარებას აპირებდა, უნგრეთში შეჭრით სერიოზულად შეელახა საერთაშორისო იმიჯი. საბჭოთა ხელისუფლებისადმი უარყოფითი მუხტი 1956 წლის მარტში თბილისში მომხდარი ამბების უცხოურ მედიაში გავრცელებამაც გამოიწვია, რისთვისაც განსაკუთრებულად აქტიურ მუშაობას ქართველი ემიგრანტები ეწეოდნენ. გამომდინარე აქედან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველი სასულიერო პირების მიერ ამ საკითხის აღნიშნულ პერიოდში წინ წამოწევა განპირობებული იყო იმით, რომ ისინი ვარაუდობდნენ, ხელისუფლება

[1] საქართველოს საპატრიარქო არქივი, დოკ. 2691. აღნიშნული მიმართვის ციტირებას ვახდენთ პროფესორ სერგო ვარდოსანიძის წიგნიდან (იხ.: **სერგო ვარდოსანიძე**. თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია. თბილისი: „ნათლისმცემელი“, 2010, გვ. 13).

ვითარების გამწვავებაზე არ წავიდოდა და მათ თხოვნას დააკმაყოფილებდა. სამწუხაროდ, ეს მოლოდინი აღნიშნულ ეტაპზე არ გამართლდა და ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება მხოლოდ 1963 წელს განხორციელდა, როდესაც 14 ოქტომბერს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის ლოცვა-კურთხევით მცხეთაში გაიხსნა სამოძღვრო კურსები, რომლის ბაზაზეც ორ წელიწადში სასულიერო სემინარია გაიხსნა. ამ ნაბიჯით შესაძლებელი გახდა, საქართველოშივე მომზადებულიყვნენ სასულიერო პირები.

პატრიარქ ეფრემ II-ის მოღვაწეობისას წარმატებით დასრულდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმე, რასაც საფუძველი ჯერ კიდევ კალისტრატე ცინცაძის პატრიარქობის დროს ჩაეყარა. კერძოდ, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს პირად არქივში შემორჩენილია მეტად საინტერესო მასალა[1] იმაზე, თუ როგორ ცდილობდა საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ 40-იანი წლების მიწურულიდან ცენტრალური ხელისუფლება დაეყოლიებინა ლოცვანისა და სასულიერო შინაარსის ლიტერატურის გამოცემაზე. იმ პერიოდისათვის მხოლოდ საქართველოს ეკლესიის კალენდრის გამოცემა მოხერხდა, რაც, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მანამდე საბჭოთა მთავრობა მსგავსი სახის ლიტერატურის გამოცემების უფლებას არ იძლეოდა, მაინც დიდი მიღწევა იყო. 1963 წელს კი ცალ-ცალკე წიგნებად გამოიცა *„ახალი აღთქუმაი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი“* და *„ლოცვანი“*. მათი გამოცემა იმ დროისათვის საკმაოდ მცირე ტირაჟით განხორციელდა, თუმცა თავად ამ ფაქტს ეკლესიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ბუნებრივია, ინტერესს იწვევს, თუ რამ განაპირობა ეკლესიისადმი ხელისუფლების მიერ დათმობითი ნაბიჯების გადადგმა. ვფიქრობთ, რომ ამას მხოლოდ ერთი კონკრეტული მიზეზი არ გააჩნია და ეს საკითხი კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. კერძოდ, საქმე იმაში მდგომარეობს, რომ როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნავდით, 1959-1960 წლებში გამოვიდა წიგნი-დოკუმენტი "The Crimes of Khrushchev", სადაც ხრუშჩოვის მიერ გატარებულ რეპრესიულ ათეისტურ პოლიტიკას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა. ამიტომ ხელისუფლებას სიტუაციის კიდევ უფრო მეტად გამწვავება არ აწყობდა, მით უფრო, რომ 1961 წელს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია საბჭოთა კავშირის და თუ ვარშავის პაქტის სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან ერთად ეკუმენური მოძრაობის მმართველ ორგანოში – ეკ-

[1] კ. ცინცაძის განცხადება საქ. სსრ კპცკ-ის პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის სახელზე ლოცვანის დასტამბვაზე. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი არქივი, საქმე №82, ფურც. 1.

ლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანდა, რაც გაცილებით ზრდიდა კომუნისტური მთავრობის პასუხისმგებლობას რელიგიურ პოლიტიკასთან მიმართებით. გარდა ამისა, ისიც აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ამ დროს ახალი დასრულებული იყო კარიბის, იგივე კუბის სარაკეტო კრიზისი, რომელიც 1962 წლის ოქტომბერში განვითარდა და ისტორიკოსების მიერ სამართლიანად არის მიჩნეული ცივი ომის კულმინაციურ მომენტად, რადგან ამ დროს ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული ზესახელმწიფო – აშშ და სსრკ – ატომური ესკალაციის ზღვარზე იყო მისული. მსოფლიო ისტორიაში ატომური ომი აქამდე უფრო სავარუდო არასდროს ყოფილა.[1] უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ორი გარემოების თანხვედრამ მნიშვნელოვანწილად გადაწყვიტა ხელისუფლების მიერ რელიგიისადმი დათმობაზე წასვლა, ვინაიდან მის ინტერესში აღარ შედიოდა ისედაც გამწვავებულ საერთაშორისო მდგომარეობას ეს ფაქტორიც დამატებოდა.

როდესაც ვეხებით საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლების საბჭოთა ათეისტური პოლიტიკისადმი დამოკიდებულების საკითხს, ყურადღება უნდა გავამახვილოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე. კერძოდ, როგორც საარქივო დოკუმენტებით ირკვევა, კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის მიზანი იყო საეკლესიო ჟურნალის დაარსება. ამ საკითხზე მან 1953 წელს სპეციალური წერილი გაუგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა რწმუნებულს მოსე მექვაბიშვილს: „პატივისცემით გთხოვთ გვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რათა მოგვცეს ნება ეკლესიური ორგანოს გამოცემისა, სახელწოდებით „საქართველოს ეკლესიის უწყებანი“.[2] ეს ფაქტიც ნათლად ადასტურებს, რომ ჩვენი ეკლესიის ხელმძღვანელობას არსებითად სწორი გზა ჰქონდა არჩეული ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში. სამწუხაროდ, მთავრობის მიერ ეკლესიის აღნიშნულ ინიციატივას კონკრეტული ნაბიჯები არ მოჰყოლია, რადგან სავარაუდოდ მიიჩნიეს, რომ ეს გადაწყვეტილება საქართველოს ეკლესიას მნიშვნელოვან გაძლიერებას გამოიწვევდა, რაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა რელიგიის საკითხთან დაკავშირებით ცენტრალური ხელისუფლებისგან მომდინარე დირექტივებს. კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის აღნიშნულმა სურვილმა განხორციელება ილია II-ის დროს ჰპოვა, მას შემ-

[1] **Robert Jervis**. The Cuban missile crisis: what can we know, why did it start, and how did it end ? – The Cuban Missile Crisis: A Critical Reappraisal. Ed. By. **Len Scott** and **R. Gerald Hughes**. London and New York: Routledge, 2015, გვ. 17; **რევაზ გაჩეჩილაძე**. საქართველო მსოფლიო ისტორიის კონტექტსში, გვ. 396.

[2] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთათვის მ. დ. მექვაბიშვილს. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქ. №27, ფურც. 1-44.

დეგ, რაც 1978 წლიდან გამოსვლა დაიწყო საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალურმა ჟურნალმა სახელწოდებით „ჯვარი ვაზისა“.

ამრიგად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება საბჭოთა ათეისტური პოლიტიკისადმი დიდწილად ადეკვატურობით ხასიათდებოდა. მისი წარმომადგენლები შესანიშნავად ათვითცნობიერებდნენ იმ ფაქტს, რომ ხელისუფლებასთან კონფრონტაციული დამოკიდებულებით ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწევდნენ, პირიქით, მათი ნაბიჯები ისევ ეკლესიისათვის იქნებოდა საზიანო. სწორედ ამიტომ სასულიერო ხელისუფლებამ წარმატებით გააგრძელა მთავრობასთან აქტიური თანამშრომლობა, რაც იმ მდგომარეობისათვის სავსებით გამართლებული პოზიცია იყო. ეკლესიის დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი თანამშრომლობით იყო განმსჭვალული საგარეო-დიპლომატიურ ასპარეზზეც, სადაც ქართულმა სასულიერო კრებულმა, პატრიარქების მეთაურობით, ძირითადი აქცენტი სამშვიდობო მოწოდებებზე, საქართველოს ეკლესიის ისტორიის პოპულარიზაციასა და საერთაშორისო საეკლესიო საზოგადოებისათვის მის გაცნობაზე გააკეთეს. თუ პირველი მათგანი ხელისუფლების უშუალო დაკვეთას წარმოადგენდა და ზუსტად ასახავდა კომუნისტური ხელისუფლების ოფიციალურ იდეოლოგიას, მეორე უკვე ჩვენი ეკლესიის ინტერესების დასაცავად გადადგმული ნაბიჯი იყო.

§2. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობები XX საუკუნის 50-60 წლებში

მთელი თავისი არსებობის მანძილზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არასოდეს ყოფილა იზოლირებული საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან. მას ისტორიულად მჭიდრო საეკლესიო-დიპლომატიური და კულტურული ურთიერთობები ჰქონდა როგორც ქრისტიანულ ეკლესიებთან, ასევე სხვა რელიგიურ კონფესიებთან, მათ ლიდერებთან თუ ცალკეულ წარმომადგენლებთან.

აღნიშნული თვალსაზრისით, გამონაკლისს არც XX საუკუნე წარმოადგენს; მიუხედავად იმისა, რომ ეს პერიოდი თავისი სირთულით და მრავალმხრივობით ნამდვილად გამორჩეული და საინტერესოა, სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიას და მის მეთაურებს არასოდეს არჩევანი იზოლაციაზე არ გაუკეთებიათ,

პირიქით, შესაძლებლობის ფარგლებში ყოველთვის ცდილობდნენ თავიანთი სათქმელი სხვა ეკლესიებისთვისაც მიეწვდინათ და მათთან მაქსიმალურად მჭიდრო კავშირ-ურთიერთობები დაემყარებინათ.

აღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენს ისიც, რომ 1917 წელს, ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, ახლადარჩეულმა პატრიარქმა კირიონ II-მ, მჭიდრო საეკლესიო დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების მიზნით, წერილები გაუგზავნა როგორც კონსტანტინეპოლის პატრიარქ ბასილის, ასევე რომის პაპს.[1] სრულიად აშკარაა, რომ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის სურვილი იყო საქართველოს ეკლესიის რეალური ავტოკეფალიის მიღწევა და თავის დაეღწია საუკუნოვანი კარჩაკეტილობისაგან, რომელშიც ჩვენი ეკლესია რუსეთის მიერ დაპყრობის პირობებში იმყოფებოდა. სამწუხაროდ, მისი სურვილი და მიზანი იმ ეტაპზე განუხორციელებელი დარჩა; კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მის შემდგომ მოღვაწე პატრიარქები, რომლებიც იძულებული იყვნენ, ეღვაწათ ჯერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მკაცრად სეკულარული პოლიტიკის პირობებში, ხოლო შემდგომში კი – საბჭოთა ათეისტურ პერიოდში. ამ მხრივ, სიტუაციის გაუმჯობესება რეალურად საბჭოთა ხელისუფლების შედარებით ლოიალურ საეკლესიო პოლიტიკას უკავშირდება, რისი უშუალო შედეგიც იყო, ერთის მხრივ, რუსეთის ეკლესიაში საპატრიარქო ტახტის აღდგენა, ხოლო, მეორეს მხრივ, ამ უკანასკნელის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება.

თანამედროვე ეტაპზე, თითქოს განმანათლებლობიდან მომდინარე სეკულარიზაციის პროცესის მიუხედავად, რომელიც მიზნად ისახავდა რელიგიის მთლიანად გაძევებას საჯარო სივრციდან და მის დატოვებას მხოლოდ პირადი ცხოვრების საქმედ, სრულიად აშკარაა, რომ რელიგიური ფაქტორი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად რჩება პოლიტიკურ ურთიერთობაში. ეს ეხება არამარტო ქვეყნის საშინაო პოლიტიკურ განვითარებას, არამედ საგარეო-დიპლომატიურ ურთიერთობებსაც.[2] ეს

---

[1] ეპისტოლე სრულიად საქართველოის კათალიკოზ-პატრიარქის კირიონ მეორისა აღმოსავლეთის პატრიარქთა მიმართ, ეპისტოლე სრულიად საქართველოის კათალიკოზ-პატრიარქის კირიონ მეორისა ჰრომთა პაპის მიმართ. ჟურნ. „*სვეტიცხოველი*“, №4. თბილისი, 1917, გვ. 4-5.

[2] ამ საკითხზე ვრცლად იხ. **Jonathan Fox**. Integrating religion into international relations theory. // *Routledge Handbook of Religion and Politics*. Ed. By Jeffrey Haynes. London, New York: Routledge, 2009, გვ. 273-292; **Jeffrey Haynes**. Religion and foreign policy. // *Routledge Handbook of Religion and Politics*. Ed. By Jeffrey Haynes. London, New York: Routledge, 2009, გვ. 293-307; **Giorgio Shani**. Transnational religious actors and international relations. // *Routledge Handbook of Religion and Politics*. Ed. By Jeffrey Haynes. London, New York: Routledge, 2009, გვ. 308-322.

აზრი სავსებით შეიძლება გავრცელდეს საბჭოთა კავშირზეც, რომელიც ოფიციალურად უარყოფდა ღმერთის არსებობას და, შესაბამისად, მისი იდეოლოგია ათეისტური იყო. მიუხედავად ამისა, რელიგიური ფაქტორის სრულ უგულებელყოფას ბოლომდე მაინც ვერ ახერხებდა და მეტიც, წლების მანძილზე აქტიურად ცდილობდა მის გამოყენებას თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის.

ნაშრომის წინამდებარე მონაკვეთში მიზნად ვისახავთ შევისწავლოთ საქართველოს ეკლესიის საგარეო ურთიერთობები XX საუკუნის 50-60 წლებში. გამომდინარე, იქიდან, რომ აღნიშნული საკითხი თავისი დიდი მოცულობისა და აქტუალურობის გამო მონოგრაფიულ კვლევას საჭიროებს, ჩვენი კვლევის ობიექტს ამ ეტაპზე წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს ეკლესიის ურთიერთობის მხოლოდ ერთი მონაკვეთი – კავშირი ეკუმენურ მოძრაობასთან და მის მმართველ ორგანოსთან – ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან.

საკვლევი პრობლემის უკეთ გაანალიზებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ წინამდებარე საკვლევი პერიოდი. აღნიშნული საკითხის გარკვევას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამის გარეშე შეუძლებელი იქნება პრობლემის მეტ-ნაკლები სისრულით გაშუქება.

ორ სამყაროს (ე.წ. კაპიტალისტურ და სოციალისტურ) შორის დაძაბულობა განსაკუთრებული სიმძაფრით დღის წესრიგში დგება მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მას შემდეგ, რაც იწყება ე.წ. „ცივი ომი“ და ის მჭიდროდ უკავშირდება იმ იდეოლოგიურ ბრძოლას, რომელიც არსებობდა, ერთის მხრივ, დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების, ხოლო, მეორეს მხრივ, საბჭოთა კავშირსა და ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ორ განსხვავებულ და დაპირისპირებულ მხარეებს შორის.

სამეცნიერო ლიტერატურაში[1] აღნიშნულია, რომ პირველად ტერმინი „ცივი ომი“ გამოიყენა ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა ჯორჯ ორუელმა 1945 წელს გაზეთ „Tribune“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „ატომური ბომბი და შენ“.[2]

დღემდე ძნელი დასადგენია „ცივი ომის“ დაწყების ზუსტი თარიღი. „საბჭოური ისტორიოგრაფია ათვლის წერტილად მიიჩნევდა უ. ჩერჩილის 1946 წ. 5 მარტის

[1] **Odd Arne Westad**. The Cold War and the international history of the twentieth century. -*The Cambridge History of the Cold War*. Volume 1. Origins. Ed. By ***Melvyn P. Leffler*** and ***Odd Arne Westad***. New York: Cambridge University Press, 2010, გვ. 3.

[2] The Collected Essays, Journalism, and Letters of ***George Orwell***. Volume IV. In Front of Your Nose 1945-1950. Edited by ***Sonya Orwell*** and ***Ian Angus***. London: The Camelot Press, 1968, გვ. 9.

ფულტონის სიტყვას, რომელშიც მან მოუწოდა დასავლეთის ქვეყნებს მოეწყოთ ჯვაროსნული ლაშქრობა კომუნიზმის წინააღმდეგ. თავის მხრივ, დასავლეთში „ცივი ომის“ დასაწყისად თვლიან სტალინის 9 თებერვლის სიტყვას, რომელშიც მან აუცილებლობად გამოაცხადა ყველა საშუალების გამოყენება მთელ მსოფლიოში კომუნიზმის დასამყარებლად. 1946 წელი თამამად შეიძლება ჩაითვალოს „ცივი ომის“ ოფიციალურად გაფორმების წლად“.[1]

„ცივი ომის“ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რელიგიურ ფაქტორსაც, რომლის გამოყენებასაც აქტიურად ცდილობდა ორივე დაპირისპირებული მხარე. აშშ და ე.წ. კაპიტალისტური სამყარო, როდესაც საუბრობდა თავის მოწინააღმდეგეზე, როგორც არადემოკრატიულ რეჟიმზე, მუდმივად ხაზს უსვამდა საბჭოთა კავშირში რელიგიური უფლებების შეზღუდვას, სახელმწიფოს მიერ ეკლესიისა და ზოგადად კონფესიათა შიდა საქმეებში ჩარევას. თავის მხრივ კი, კომუნისტური ხელისუფლება დასავლურ სამყაროს ადანაშაულებდა ეკლესიის გამოყენებაში მათი იმპერიალისტური პოლიტიკისათვის. „ცივ ომში“, მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, აქტიურად იყვნენ ჩაბმული სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციები.[2]

ჩვენს საკვლევ პერიოდში ორი დაპირისპირებული ზესახელმწიფოს შორის ურთიერთდამოკიდებულება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. აღნიშნულში დიდ როლს თამაშობდა საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის კონკრეტული მიმართულებებიც.

ეკუმენური მოძრაობა ორგანიზებული სახით XX საუკუნის დასაწყისში იწყება, როდესაც ჩნდება იდეა ეკლესიათა გაერთიანების შესახებ. თავდაპირველად ის სამშვიდობო მიზნით შეიქმნა და მისი მიზნები რეალურად ძალიან შორს იდგა დღევანდელი ვითარებისგან, როდესაც დღის წესრიგში წინ წამოიწია დოგმატური ცვლილებებისაკენ მისწრაფებებმა, ეკლესიის „გათანამედროვეობამ“, სხვადასხვა რელიგიათა წარმომადგენლების თანალოცვის პრინციპების შემუშავებამ.

1910 წელს მსოფლიო მისიონერულ კონფერენციაზე ქ. ედინბურგში (შოტლანდია) საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანული ეკლესიების ეკუმენურ გაერთიანებას. ამავე

---

[1] **თეიმურაზ პაპასქირი**. ცივი ომის დასაწყისი. სალექციო კურსი. იხ.: https://sites.google.com/site/tpapaskiri/teimurazpapaskiri%27spublications2 (უკანასკნელად ნანახია 30.09.2019).

[2] ვრცლად ცივი ომის დროს რელიგიური ფაქტორის შესახებ იხ.: **Dianne Kirby**. The Religious Cold War. // *The Oxford Handbook of the Cold War*. Edited by ***Richard H. Immerman*** and ***Petra Goedde***. Oxford University Press, 2013, გვ. 540-564.

კონფერენციაზე ჩამოყალიბდა ახალი საზოგადოება – „შრომისა და ცხოვრების მსოფლიო ქრისტიანული საბჭო“, რომლის ამოცანა იყო ცალკეულ ქრისტიანულ ეკლესიასათა შორის ურთიერთობების შესწავლა.[1]

აღნიშნულის პარალელურად ჩამოყალიბდა კიდევ ერთი საზოგადოება – „მსოფლიო კონფერენცია რწმენისა და წესრიგის შესახებ“ („რწმენა და წესრიგი“, ქ. ჟენევა, 1920 წ.), რომლის მიზანიც იყო ეკლესიათა შორის გაერთიანების ხელისშემშლელი გარემოებების ლიკვიდაცია.

პირველი მსოფლიო კონფერენცია მოეწყო ქ. ლოზანაში (შვეიცარია) 1927 წელს, ხოლო მომდევნო კი – 1937 წელს ქ. ედინბურგში. იმავე წელს ორივე ზემოაღნიშნულმა მოძრაობამ 7-7 კაცისაგან შემდგარი „თოთხმეტთა კომიტეტი“ დააარსა, რომლის უმთავრესი ინიციატივაც იყო 1938 წელს ქ. უტრეხტში საკონსულტაციო კონფერენციის მოწვევა, რომელმაც ძირითადი საკითხების გადასაწყვეტად შექმნა მუდმივმოქმედი ორგანო – ეკლესიების მსოფლიო საბჭო. მისი ორგანიზაციული გაფორმება, მეორე მსოფლიო ომის გამო, მხოლოდ 1948 წელს მოხდა ეკლესიების მსოფლიო ასამბლეაზე.[2]

ბუნებრივია, აღნიშნულ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს დამფუძნებელ ასამბლეაზე მოწვევა გაეგზავნა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასაც. აქვე საინტერესოდ მიგვაჩნია, აღვნიშნოთ ისიც, რომ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ჩართულობას ეკუმენურ მოძრაობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა XX საუკუნეში საერთაშორისო ურთიერთობების ბრიტანული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი მარტინ უაითი (Martin Wight), რომელიც თავისი მოღვაწეობის ადრეულ წლებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქრისტიანულ რელიგიას საკაცობრიო მშვიდობის დამყარების პროცესში. სწორედ აღნიშნული პათოსით არის დაწერილი მისი წერილი „*ეკლესია, რუსეთი და დასავლეთი*“, რომელიც ეკლესიების მსოფლიო საბჭოს ოფიციალურ ჟურნალ The Ecumenical Review (*ეკუმენური მიმომ-*

---

[1] **ლელა გიორგაძე**. ეკუმენური მოძრაობა და საქართველო. // *კულტურის ისტორიის და თეორიის საკითხები*, №21, 2005, გვ. 171; **ქეთევან პავლიშვილი**. ქრისტიანობის ისტორია. თბილისი: „მერიდიანი“, 2010, გვ. 590. ვრცლად ედინბურგის კონფერენციის მიმდინარეობისა და მნიშვნელობის შესახებ. იხ.: **Thomas E. FitzGerald**. The Ecumenical Movement. An Introductory History. Westport, CT–London: Praeger, 2004, გვ. 82-84; **Ted A. Campbell. Gary B. MacDonald**. Laying the Foundations: 1910–1948. – *The Oxford Handbook of Ecumenical Studies*. Edited by ***Geoffrey Wainwright*** and ***Paul McPartlan***. Oxford University Press, 2017; **Lorelei Fuchs.** Pivotal Years: 1948–1965. – *The Oxford Handbook of Ecumenical Studies*. Edited by ***Geoffrey Wainwright*** and ***Paul McPartlan***. Oxford University Press, 2017.

[2] **Thomas E. FitzGerald**. The Ecumenical Movement. An Introductory History, გვ. 85-87; **ლელა გიორგაძე**. ეკუმენური მოძრაობა და საქართველო, გვ. 171. **ქეთევან პავლიშვილი**. ქრისტიანობის ისტორია, გვ. 590-591.

ხილველი) პირველ ნომერში დაიბეჭდა. მასში გადმოცემულია იდეა, რომ, „რუსეთსა და დასავლეთს შორის კონფლიქტის პირობებში, რკინის ფარდის დაძლევა შეუძლია მოლაპარაკებების პროცესში ეკლესიის აქტიურ ჩართვას“.[1] ბუნებრივია, აღნიშნული პროცესი, რომელიც რელიგიურად პროტესტანტული სამყაროს და პოლიტიკურად აშშ-ს მიერ იყო ინიცირებული, არ შედიოდა საბჭოთა კავშირის იმდროინდელ ინტერესებში. შესაბამისად, რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მოქმედების მეტად საინტერესო ტაქტიკა აირჩია. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ 1948 წლის 8-დან 18 ივნისამდე ქ. მოსკოვში, სოკოლნიკის მაცხოვრის აღდგომის ტაძარში მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებისა და წარმომადგენლების, ანუ სრულიად მართლმადიდებელთა თათბირი დაინიშნა. ოფიციალურად ის რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალიის 500 წლისთავს მიეძღვნა, თუმცა, როგორც ისტორიკოსი ირინა არაბიძე შენიშნავს, „რუსეთის ეკლესიამ თავისი დღესასწაულის აღნიშვნა ამსტერდამში დაგეგმილ ეკუმენური მოძრაობის მმართველი ორგანოს — ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს დამფუძნებელ ასამბლეამდე ერთი თვით ადრე მოაწყო“.[2] მასზე განსახილველ საკითხთა შორის იყო ეკუმენური მოძრაობა და მართლმადიდებელი ეკლესია.[3] ამ შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა, თუ რა პასუხი ექნებოდათ მათ 1948 წელს ქალაქ ამსტერდამში მიმდინარე ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პირველი ასამბლეისადმი.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საორგანიზაციო კომიტეტისადმი მიღებულ დადგენილებაში, რომელსაც ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ მყოფმა ეკლესიის მეთაურებმა (მათ შორის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძეც იყო), მიიღეს გადაწყვეტილება: „შევატყობინოთ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ჩვენს მიერ ამსტერდამის ასამბლეაზე წევრთა სახით მონაწილეობაზე მოწვევის პასუხად, რომ ამ შეხვედრის წევრი ყველა მართლმადიდებელი ადგილობრივი ეკლესია იძულებულია უარი თქვას დღევანდელი სახით არსებულ ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობაზე“.[4]

---

[1] **Martin Wight**. The Church, Russia and the West. *The Ecumenical Review*. Volume 1. Issue 1, 1948, გვ. 25-45.

[2] **ირინა არაბიძე**. რუსეთის ეკლესიის ანტიეკუმენური მოღვაწეობის ისტორიიდან (მოსკოვის 1948 წლის თათბირი). // *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები,* №2, 2014, გვ. 122.

[3] **Viorel Ionita**. Pan-Orthodox Decisions on the ecumenical relations of orthodox churches – A survey and historical account. // *Orthodox Handbook on Ecumenism. Resources for Theological Education*. Editors: ***Pantelis Kalaitzidis, Thomas FitzGerald, Cyril Hovorun, Aikaterini Pekridou Nikolaos Asproulis, Guy Liagre, Dietrich Werner***. Oxford, 2014, გვ. 117.

[4] რეზოლუცია საკითხზე „ეკუმენური მოძრაობა და მართლმადიდებელი ეკლესია“. რუსულიდან თარგმნა ***ლევან აბაშიძემ.*** – *ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა*. რედ. ***თამარ გრძელიძე***. თბილისი: „კვირიონი“, 2000, გვ. 205.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მიმართვაში მოცემულია სარწმუნოებრივი მომენტები, რომლებიც, მიმართვის ავტორების აზრით, შეუძლებელს ხდის ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობას, აქვე ხაზგასმულია პროტესტანტული სამყაროს დასავლურ ე.წ. კაპიტალისტური სამყაროსადმი პოლიტიკური და რელიგიური მიკუთვნებულობა, რაც, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს. აშკარაა, რომ ხელისმომწერები ყველანაირად ცდილობდნენ, დასავლურ სამყაროს მაქსიმალურად გამიჯვნოდნენ და მის საპირწონედ მართლმადიდებელი სამყარო გაეერთიანებინათ. ამ პროცესის შემადგენელ ნაწილად უნდა გავიაზროთ ის პოლიტიკაც, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება მეორე მსოფლიო ომის მიწურულს საბერძნეთსა და თურქეთში აწარმოებდა. ამ პროექტის განხორციელება იმ ეტაპზე დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით შეუძლებელი გახდა. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა საეკლესიო გზით მოეგვარებინა და იმ პირობებში, როდესაც მსოფლიო საპატრიარქოს ცენტრი კონსტანტინოპოლი თურქეთის მმართველობის ქვეშ რჩებოდა, მის ნაცვლად წინ წამოეწია მოსკოვი. ეს სავსებით ჯდებოდა ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკაში, რომელიც, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული, „მესამე რომის“ კონცეფციის უკავშირდება. ქართულ საისტორიო მეცნიერებაში რომის იდეის მემკვიდრეობა მონოგრაფიულად პროფესორმა ბეჟან ჯავახიამ შეისწავლა. მიუხედავად ავტორის მიერ შემოთავაზებული საინტერესო მოსაზრებებისა, სამწუხაროდ, იგი საბჭოთა რეალობის კვლევისგან თავს იკავებს და მის შესახებ ფრაგმენტულ ინფორმაციას გვაწვდის და ძირითადად ზურაბ კიკნაძის ნაშრომის განხილვით იფარგლება,[1] რომელიც, თავის მხრივ, ცდილობს გარეგნული პარალელები მოძებნოს საბჭოთა სახელმწიფოსა და საეკლესიო ინსტიტუციას შორის,[2] რაც საკითხის ამგვარად განხილვის პირველ პრეცედენტს სრულებითაც არ წარმოადგენს და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ რეალობაში ამის ერთ-ერთ პრეცედენტს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ჰქმნის, როდესაც ცდილობს კომუნისტური იდეოლოგია და ქრისტიანულ მრწამსს შორის საერთო მოძებნოს.[3] სამაგიეროდ, აღნიშნულ საკითხზე ვრცლად ჩერდება ისტორიკოსი ირინა არაბიძე, რომელიც საინტერესო ხედვას გვთა-

---

[1] **ბეჟან ჯავახია**. მარადიული რომი: „სხვა რომი“ რომის შემდეგ. თბილისი: „ახალი აზრი“, 2009, გვ. 190.

[2] **ზურაბ კიკნაძე.** ბიზანტიური მემკვიდრეობა. // *ეკლესია გუშინ, ეკლესია ხვალ.* თბილისი: „ლომისი“, 2002, გვ. 176.

[3] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთათვის ვ. დ. ბუჯიაშვილს. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქ. №23, ფურც. 7.

ვაზობს, რომლის მიხედვითაც „XX საუკუნის 40-იანი წლების II ნახევარში მოსკოვში მართლაც რომ მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა იგეგმებოდა. ამაზე მეტყველებს სსრკ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 29 მაისის დადგენილება (1132-46/CC), რომლითაც ნებადართულია მსოფლიო საეკლესიო კრების წინასწარი თათბირის მოწვევა ყველა ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურთა მონაწილეობით, ვატიკანის წინააღმდეგ ბრძოლის, ეკუმენურ მოძრაობასთან დამოკიდებულების, მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევის და სხვა საკითხების განსახილველად. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, მოსკოვში მოწვეული მსოფლიო კრების მიზანი ასევე უნდა ყოფილიყო მოსკოვის ოფიციალური აღიარება III რომად (ზოგ დოკუმენტში — II რომი წერია)“.[1] მსოფლიო საპატრიარქო კათედრის კონსტანტინოპოლიდან მოსკოვში გადმოტანის იდეის გაჩენა, როგორც ისტორიკოსთა ნაწილი ვარაუდობს, საერთაშორისო პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენებით იყო განპირობებული, კერძოდ, იმ პერიოდისათვის აღმოსავლეთ ევროპის მართლმადიდებელი ქვეყნები საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში აღმოჩნდნენ. გარდა ამისა, არსებობდა იმის ალბათობაც, რომ საბერძნეთში მიმდინარე სამოქალაქო ომში კომუნისტებს გაემარჯვათ.[2] ზოგადად, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ იდეა – „მოსკოვი – მესამე რომი“ სტრუქტურული და ჩამოყალიბებული სახით რუსეთის მეფე ივანე IV მრისხანის დროს იწყება, საინტერესოდ ვითარდება იმპერატორ პეტრე დიდის მმართველობისას და მის განხორციელებაზე სერიოზულად ზრუნავდა ეკატერინე II.[3]

ეკუმენურ მოძრაობაში არჩართულობის გამო, რაც ცალსახად საბჭოთა ხელისუფლების ერთპიროვნული გადაწყვეტილება იყო, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მნიშვნელოვნად შეეზღუდა საერთაშორისო საეკლესიო ურთიერთობებში მონაწილეობა. ქართველი სასულიერო პირები აღნიშნული დეფიციტის აღმოფხვრას ეკლესიათა სამშვიდობო კონფერენციებში მონაწილეობით ცდილობდნენ. აღნიშნული მოვლენა კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს დროს იწყება. უახლესი ისტორიის არქივში დაცულია აღნიშნულ თემატიკაზე არსებული მეტად საინტერესო დოკუმენტაცია, მაგალითად, საქართველოს მართლამდიდებელი ეკლესიის მიერ

---

[1] **ირინა არაბიძე**. რუსეთის ეკლესიის ანტიეკუმენური მოღვაწეობის ისტორიიდან (მოსკოვის 1948 წლის თათბირი), გვ. 124.

[2] **ირინა არაბიძე**. რუსეთის ეკლესიის ანტიეკუმენური მოღვაწეობის ისტორიიდან (მოსკოვის 1948 წლის თათბირი), გვ. 124.

[3] **გიორგი ჟუჟუნაშვილი.** მოსკოვი – მესამე რომი (კონცეფციის წამოშობა და განვითარება). // *საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხები.* თბილისი: „უნივერსალი“, 2009, გვ. 21-49.

სტოკჰოლმის მშვიდობის მომხრეთა მუდმივი კომიტეტისადმი შეერთების აქტი,[1] ასევე საქართველოს სასაკათალიკოსოს მესვეურთა მიმართვა გაერთიანებული ერებ-ის ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსადმი.[2] მოსკოვში მშვიდობის მომხრეთა მეორე კონფერენციაზე ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსის გაბრიელის (ჩაჩანიძე) სიტყვა[3]; ასევე, კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს სიტყვები მშვიდობის მომხრეთა მესამე კონფერენციაზე.[4] თავისი წინამორბედის აღნიშნული გზა გააგრძელა კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლე-სიის სახელით მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ მშვიდობის კონფერენციაში.[5] მა-თი ამ კუთხით აქტიურობა, ერთის მხრივ, მიზნად ისახავდა ცენტრალური ხელი-სუფლების ოფიციალური იდეის – საყოველთაო მშვიდობისა და ამ საქმეში საბჭოთა კავშირის განსაკუთრებული როლის აღიარების საეკლესიო კუთხით წარმოჩენას, რა-თა ამ გზით კომუნისტურ მთავრობას ეჩვენებინა საერთაშორისო საზოგადოებისათ-ვის, თუ როგორი ერთსულოვანი იყო ამ საქმეში საბჭოთა საზოგადოება, ხოლო, მე-ორეს მხრივ, საქართველოს ეკლესიას სურდა, საკუთარი მდიდარი ისტორიული წარ-სულის მაქსიმალურად ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა მოეხერხებინა.

კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის აღნიშნული კუთხით მოღვაწეობის თვალსაჩინო დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მან აქტიური მონაწილეო-ბა მიიღო სსრკ-ს ყველა ეკლესიის და რელიგიური ორგანიზაციის მშვიდობის დაცვი-სადმი მიძღვნილ კონფერენციაში, რომელიც გამართა 1952 წლის მაისში, ყოვლადწმი-და სამების სერგის ლავრაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეგიდით. აღ-ნიშნულ ღონისძიებაზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ხუთკაციანი დელეგაციით იმყოფებოდა. პატრიარქ მელქისედეკ III-ის სიტყვა ზუსტად ასახავს, ერთის მხრივ, იმ ტენდენციებს, რომლებიც იმ პერიოდის სახელმწიფოსა და ეკლესიას

[1] Грузинская Православная Церковь присоединяется к решениям Стокгольмской сессии постоянного всемирного конгресса сторонников мира. Коммюнике иерархов Русской Православной Церкви. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქმე №18, ფურც. 10.

[2] Совету безапасности организации Объединённых Наций. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქმე №18, ფურც. 12.

[3] **Епископ Гавриил.** Речь к 2-й Всесоюзной Конференции сторонников мира в Москве. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქმე №18, ფურც. 13-16.

[4] Речь Каталикоса-Патриарха Грузии Калистрата на 3-ей Всесоюзной Конференции сторонников мира в ноябре 1951 г. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879. ანაწ. №1. საქმე №22, ფურც. 2-5; Слово, сказанное Каталикосом-Патриархом Калистратом на Всесоюзной Конференции сторонников мира. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1,საქმე №22, ფურც. 6-8.

[5] **სერგო ვარდოსანიძე**. პატრიარქი კალისტრატე, პატრიარქი მელქისედეკ III. თბილისი, 2013, გვ. 186.

შორის ურთიერთობებში არსებობდა, ხოლო, მეორეს მხრივ, მსოფლიო პოლიტიკაში შექმნილ ვითარებას.[1]

კათოლიკოს-პატრიარქის აქტიურ მონაწილეობას სამშვიდობო ღონისძიებებში ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მან ხელი მოაწერა 1955 წელს აღმოსავლეთ ევროპის მართლმადიდებელი ეკლესიების ხელმძღვანელების მიერ გავრცელებულ მიმართვას „მთელი ქრისტიანული სამყაროსადმი", სადაც გადმოცემულია მოწოდება ქრისტიანებისათვის, რომ მათ მაქსიმალურად ეზრუნათ მშვიდობის დაცვისათვის და თავიდან აეცილებინათ ახალი მსოფლიო ომი.[2]

საქართველოს ეკლესია დელეგაცია 1955 წლის სექტემბერში კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის ხელმძღვანელობით კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს მიწვევით იმყოფებოდა ქალაქ სტამბოლში.[3] შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს საპატრიარქოსთვის, რომელიც წლების მანძილზე პრაქტიკულად სრულ იზოლაციაში იმყოფებოდა.

პატრიარქმა სცადა, მჭიდრო ურთიერთობები დაემყარებინა ბულგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთანაც, რომელთანაც ჩვენს ეკლესიას საუკუნოვანი ურთიერთობის გამოცდილება ჰქონდა. მელქისედეკ III-ის ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯის დასტურს წარმოადგენს მისი წერილი ბულგარეთის პატრიარქისადმი, სადაც გამოთქმულია ურთიერთთანამშრომლობის აღდგენისა და შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავების სურვილი.[4]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო პოლიტიკა კიდევ უფრო გააქტიურდა კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის დროს. ეს ის პერიოდია, როდესაც დასავლეთის პოლიტიკური წრეების მიერ განსაკუთრებულად გაძლიერდა საბჭოთა ხელისუფლებაზე ზეწოლა, სადაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი სწორედ რელიგიურ თემატიკას ეთმობოდა, სწორედ ამიტომ საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური ორგანიზაციებისათვის შედარებით მეტი თავისუფლება მიეცა და აღნიშნული თავისი მიზნებისათვის გამოეყე-

---

[1] Речь Святейшего Католикоса-Патриарха всея Грузии Мелхиседека. оѣ. Конференция всех церквей и религиозных объединений в СССР, посвященная вопросу защиты мира. Загорск, Троице-Сергиева Лавра. 9-12 мая 1952 года. Материалы. Москва: Изд-во Московской патриархии, 1952, გვ. 106-109.

[2] К Христианам Всего Мира. // *Журнал Московской патриархии*, №8, 1955, გვ. 4.

[3] От Грузинской Православной Церкви. // *Журнал Московской патриархии*, №10. 1955, გვ. 3.

[4] პატრიარქ მელქისედეკის წერილი ბულგარეთის პატრიარქს. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქმე №76, ფურც. 14-15.

ნებინა. სამშვიდობო კონფერენციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1962 წლის 15-19 მაისში ქალაქ კარლოვი ვარში ჩატარებული სამშვიდობო კონფერენცია, რომელმაც მიიღო შესაბამისი ხასიათის ორი რეზოლუცია: 1. Резолюция совещательного комитета о разоружении[1] და Резолюция совещательного комитета по вопросу зависимых народов и развивающихся стран.[2] აღნიშნული კონფერენცია ჩვენთვის მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ მასში მონაწილეობა მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ, რომლის მოხსენებაც ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველ რიგში, მან უმთავრესი აქცენტი ფართო აუდიტორიისათვის საქართველოს ეკლესიის ისტორიის გაცნობაზე და სამშვიდობო საკითხებზე გააკეთა.[3] აღნიშნული ნაბიჯით ის ახერხებდა, ორმაგი გათვლა განეხორციელებინა: ერთის მხრივ, ფართო საეკლესიო წრეებისათვის გაეცნო მისი ეკლესიის ისტორიული წარსული, რომლის შესახებაც მეტად ფრაგმენტული წარმოდგენა ჰქონდათ, ხოლო, მეორეს მხრივ, არც ეპოქის გამოძახილი დავიწყებია და ეპოქის შესაბამისი განცხადებებიც გააკეთა მშვიდობის დაცვის და შეიარაღების შემცირების შესახებ. ეს უშუალო თანხვედრაში იყო კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციებთან, რომლებიც ეხებოდა, ერთის მხრივ, მასობრივი განადგურების იარაღის შემცირებას, განიარაღების საკითხს, ხოლო, მეორეს მხრივ, საყოველთაო მშვიდობის საკითხს. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ აღნიშნული მიდგომები სრულად ჯდებოდა საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალურად აღიარებულ გეგმებში.

XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან კვლავ აქტიურდება ეკუმენურ მოძრაობაში მართლმადიდებელი ეკლესიების გაწევრიანების საკითხი, რაც, უნდა ვივარაუდოთ, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ინიციატივა უნდა ყოფილიყო, რომელიც, თავის მხრივ, მჭიდრო კავშირში იყო დასავლურ პოლიტიკურ ძალებთან. ეს უკანასკნელნი ამ გზით ცდილობდნენ აღმოსავლეთის ქრისტიანობის წარმომადგენლების გაწევრიანებას ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში, რასაც მნიშვნელობა ენიჭებოდა განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც რომის კათოლიკური ეკლესია თავს იკავ-

---

[1] Резолюция совещательного комитета о разоружении. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1880, ანაწ. №1, საქმე №76, ფურც. 1-2.

[2] Резолюция совещательного комитета по вопросу зависимых народов и развивающихся стран. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1880, ანაწ. №1, საქმე №76, ფურც. 3-8.

[3] **ეფრემ II.** მსოფლიოს ყოველი მხრის მცხოვრებნო, მსოფლიოს ყოველი მხრის ხელმწიფენო და მთავრობანო. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1880, ანაწ. №1, საქმე №76, ფურც. 9-12.

ებდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანებისაგან,[1] რადგან ოფიციალურ ვატიკანს ეკუმენიზმისადმი თავისი ხედვა-პროექტი გააჩნდა, რომელიც საკუთარ თავს მოიაზრებდა ამ პროცესების ხელმძღვანელად. თუმცა, ისიც არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მსოფლიო საპატრიარქოს ქმედებების უკან კონკრეტული პოლიტიკური მიზანდასახულობაც იდგა, კერძოდ, თავის მხრივ, ეკუმენური მოძრაობის მესვეურებსაც დიდი სურვილი ჰქონდათ თავიანთ რიგებში ეხილათ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებელი ეკლესიები, რათა, ერთის მხრივ, მათი მოძრაობა ყოვლისმომცველი გამხდარიყო, ხოლო, მეორეს მხრივ, შესაძლებლობა მისცემოდათ, საბჭოთა ხელისუფლება უკეთ გაეკონტროლებინათ.

ამ კუთხით საინტერესოა აღნიშნულ ეტაპზე თუ რატომ არ წავიდა წინააღმდეგი კომუნისტური რეჟიმი ეკლესიათა ეკუმენურ მოძრაობაში გაწევრიანებაზე. აქ იკვეთება ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ, სავარაუდოდ, ხელისუფლება მიხვდა, რომ ამ პროცესის ხელის შეშლით შეიძლებოდა უარესი შედეგი მიეღო, ამიტომ გადაწყვიტა საერთაშორისო საზოგადოების დასანახად ეკლესიებისათვის საგარეო ურთიერთობებში მეტი თავისუფლება მიეცა, ფაქტობრივად კი ისინი საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც მშვიდობის დამცველის პროპაგანდას მოახდენდნენ საერთაშორისო საეკლესიო მასშტაბით. ეს ემთხვევა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის ლენინგრადისა და ნოვგოროდის მიტროპოლიტ ნიკოდიმისოსის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ის ფაქტი, რომ მართლმადიდებელ ეკლესიებს საბჭოთა ხელისუფლებამ დართო ნება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანებულიყვნენ, სავსებით შეესაბამებოდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკას, რომლის დეკლარირებასაც ხრუშჩოვი, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ტრიბუნიდან, ხშირად ახდენდა, როდესაც საერთაშორისო ურთიერთობებში მშვიდობის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ საუბრობდა.[2] მართლმადიდებელი ეკლესიების ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობის შესახებ ვიზიარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ სან დიეგოს უნივერსიტეტის პროფესორის რიჩარდ მადსენის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც „მართლმადიდებელი ეკლესია ას-

---

[1] რომის კათოლიკური ეკლესიის დამოკიდებულებაზე ეკუმენური მოძრაობის შესახებ. იხ. დეკრეტი ეკუმენიზმის შესახებ. *ვატიკანის II კრება. კონსტიტუციები, დეკრეტები, დეკლარაციები.* მთარგმნელი ***ლელა ალექსიძე***. თბილისი: ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის გამოცემა, 2006, გვ. 135-150. **ქეთევან პავლიშვილი**. ქრისტიანობის ისტორია, გვ. 602-606.

[2] **Cyril Hovorun**. Metropolitan of Leningrad and Novgorod Nikodim (Rotov). – *Orthodox Handbook on Ecumenism. Resources for Theological Education*. Editors: ***Pantelis Kalaitzidis, Thomas FitzGerald, Cyril Hovorun, Aikaterini Pekridou Nikolaos Asproulis, Guy Liagre, Dietrich Werner***. Oxford, 2014, გვ. 310.

ევე გადაიქცა ხელსაყრელ ინსტრუმენტად საერთაშორისო პოლიტიკაში. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციებზე სანდო დელეგატების გაგზავნით საბჭოთა კავშირი იქმნიდა ხელსაყრელ იმიჯს, რომ მსოფლიო პოლიტიკის სცენაზე წარმოჩენილიყო, როგორც რელიგიური თავისუფლების პატივისმცემელი სახელმწიფო".[1]

სწორედ ამიტომ, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია პრაქტიკულად იძულებული გახდა, გაწევრიანებულიყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსის მიერ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილ წერილში გადმოცემულია, რომ „რუსეთის ეკლესია ზუსტად პასუხობს დამოუკიდებლობის და სტაბილურობის იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს კონსტიტუცია მოითხოვს. იმედს გამოვთქვამთ, რომ რუსეთის ეკლესია 1961 წლის ნოემბრის ნიუ დელის მესამე ცენტრალურ ასამბლეაზე გაწევრიანდება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში, რადგან ის ყოველთვის პატივს სცემდა იმ მოთხოვნებს, რომლებიც მისდამი გააჩნიათ და მზად არის აქტიურად იღვაწოს მის შემადგენლობაში".[2] რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის აღნიშნულ მცდელობას უკვალოდ არ ჩაუვლია და 1961 წლის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საბჭოს III გენერალურ ასამბლეაზე იგი ამ ორგანიზაციის წევრი გახდა, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სავსებით რეალურად პასუხობდა ეკუმენური მოძრაობის მისწრაფებასაც, რომელსაც სურდა თავის რიგებში ეხილა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან ერთად.

მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რუსეთის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანების შესახებ, მსოფლიო საეკლესიო საბჭოს III გენერალურ ასამბლეას სიტყვით მიმართა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსიმ, რომლის სიტყვაშიც გადმოცემულია ის მოლოდინები, რომლებიც მის ეკლესიას გააჩნდა: „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსგან რუსული მართლმადიდებლური ეკლესია ელოდება თანამედროვე მსოფლიოში უფრო მეტად მიზანმიმართულ საერთო ქრისტიანულ მოღვაწეობას, რომელიც ჩვენი ქრისტიანული მოღვაწეობა გამართლებული იქნება ღვთისა და ადამიანების წინაშე მხოლოდ მაშინ თუკი იგი, სახარებისეული პრინციპებიდან გამომდინარე, ადამიანთა საზოგადოების მნიშვნელოვან საკითხებს

[1] **Richard Madsen**. Religion under Communism. – *The Oxford Handbook of the History of Communism*. Edited by ***Stephen A. Smith***. Oxford University Press, 2014, გვ. 589.
[2] Letter from the Patriarch of Moscow. // *The Ecumenical Review*, Volume 13, Issue 4, 1961, გვ. 514-515.

გასცემს პასუხს".[1] მასში ასევე გადმოცემულია ისიც, რომ უმთავრესი, რასაც რუსეთის ეკლესია ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებისაგან მოელოდა, უნდა ყოფილიყო სამშვიდობო ღონისძიებების გატარება, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ დროს ჰქონდა, როდესაც სულ უფრო და უფრო მეტად იზრდებოდა საფრთხე ახალი მსოფლიო ომისა. ამიტომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს, მის შემადგენლობაში შემავალ ეკლესიებთან და გაერთიანებებთან ერთად უნდა გამოემჟღავნებინა „ის პრინციპულობა, რომელსაც მათგან მოელის ქრისტიანული საზოგადოება და მოელიან საერთოდ ადამიანები. კაცობრიობამ უარი უნდა თქვას ომებზე, როგორც საერთაშორისო კონფლიქტების გადაჭრის საშუალებაზე".[2]

იმ ფაქტს, რომ რუსეთი, ისევე როგორც სხვა მართლმადიდებლური ეკლესიები ემიჯნებოდნენ ეკუმენური მოძრაობის პროტესტანტულ ეკლესიოლოგიას, რაც თავის თავში გულისხმობს პროტესტანტული სწავლებით ეკლესიისა და ქრისტიანული ერთობის აღდგენას, ნათლად გამომჟღავნდა მათ განცხადებაში, რომელშიც მკაფიოდ არის გადმოცემული ეკლესიათა პროტესტანტული ხედვით გაერთიანების შეუძლებლობა.[3]

ამრიგად, 1961 წელს, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია და სოციალისტური ბლოკის სხვა მართლმადიდებელი ეკლესიები გახდნენ საბჭოს წევრები.[4] ამან მნიშვნელოვნად გააძლიერა მართლმადიდებელთა ხმა საბჭოში, რაც ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების ნებართვით მოხდა, რომელიც ვარაუდობდა, რომ ამ მხრივ ზეწოლა მოეხდინა დასავლეთის მთავრობებზე. თავის მხრივ დასავლეთის საეკლესიო ლიდერებს ნათლად ჰქონდათ გააზრებული საბჭოთა დღის წესრიგი.[5]

---

[1] მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მიმართვა მსოფლიო საეკლესიო საბჭოს III გენერალურ ასამბლეაზე. თარგმნა ***ლევან აბაშიძემ.*** *ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა.* რედ. თამარ გრძელიძე. თბილისი: „კვირიონი", 2000, გვ. 235-236; Message from Alexis, Patraiarch of Moscow and all the Russians. // *The Ecumenical Review*, Volume 14, Issue 2, 1962, გვ. 232-233.

[2] მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მიმართვა მსოფლიო საეკლესიო საბჭოს III გენერალურ ასამბლეაზე, გვ. 236; Message from Alexis, Patraiarch of Moscow and all the Russians, გვ. 234.

[3] ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს III ასამბლეის მართლმადიდებელ მონაწილეთა განცხადება. თარგმნა ***ლევან აბაშიძემ.*** *ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა.* რედ. თამარ გრძელიძე. თბილისი: „კვირიონი", 2000, გვ. 232-233.

[4] **Étienne Fouilloux**. Les voies incertaines de l'oecuménisme (1959-1999). // *Vingtième Siècle, revue d'histoire*, n°66, avril-juin 2000, გვ. 134.

[5] **David M. Thompson**. Ecumenism. – *The Cambridge History of Christianity*. Vol. 9. World Christianities c. 1914 – c. 2000. Edited by ***Hugh McLeod***. Cambridge University Press, 2006, გვ. 61-62; **J. A. Helby**. The state, the church, and the oikumene: the Russian Orthodox Church and the World Council of Churches, 1948-1985. – *Religious policy in the Soviet Union*. Edited by ***Sabrina Petra Ramet***. New York, Cambridge University Press, 1993, გვ. 105-122.

რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანების საკითხების განხილვას მოჰყვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხის გაშუქებაც. ქართველ მკვლევართა უმრავლესობა, რომელიც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ეკუმენურ მოძრაობაში გაწევრიანების საკითხს შეხებია, თანხმდება იმაზე, რომ ეს იყო ხელისუფლების ზეწოლის შედეგი.[1] თუმცა, აუცილებლად ყურადღება უნდა გამახვილდეს, თუ როგორ მოხდა ჩვენი ეკლესიის წარმომადგენლების მიერ ამ საკითხის სასიკეთოდ გამოყენება. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მართლმადიდებელი სამყარო საქართველოსთან დაკავშირებით ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდა, რაც ხელს უწყობდა მცდარი ან მიზანმიმართულად არასწორი ინფორმაციის გავრცელებას ჩვენი ეკლესიის, როგორც ისტორიული წარსულის, ასევე თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. ამ მხრივ, ჩვენს საკვლევ პერიოდში განსაკუთრებით საინტერესოა პატრიარქ ეფრემ II-ის მოღვაწეობა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ მისი გამოსვლა კარლოვი ვარში (ჩეხეთი) ჩატარებულ სამშვიდობო კონფერენციაზე. კათოლიკოს-პატრიარქი შესანიშნავად ხვდებოდა, რომ ეკუმენურ მოძრაობაში გაწევრიანებით შესაძლებელი გახდებოდა იძულებითი იზოლაციის დაძლევა; ასევე, განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებისათვის დაწყებული ბრძოლა, რომელიც ამ პერიოდში აქტიურდება. სწორედ ამიტომ, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსადმი გაგზავნილ იქნა თხოვნა გაწევრიანების შესახებ.[2]

1962 წლის 7-17 აგვისტოს ქ. პარიზში გაიმართა ეკლესიის მსოფლიო საბჭოს ცენტრალური კომიტეტის XVI შეხვედრა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეკუმენურ მოძრაობაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაწევრიანების შესახებ.[3] აღნიშნული მოვლენა, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების ზეწოლის შედეგი იყო მიღებული, სრულიად აშკარად მოიცავდა დადებით ასპექტებსაც. კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ცნობილი ამერიკელი ქართველოლოგის,

---

[1] **ლელა გიორგაძე**. ეკუმენური მოძრაობა და საქართველო, გვ. 175; **ქეთევან პავლიშვილი**. ქრისტიანობის ისტორია, გვ. 607; **ირინა არაბიძე**. რუსეთის ეკლესიის ანტიეკუმენური მოღვაწეობის ისტორიიდან (მოსკოვის 1948 წლის თათბირი), გვ. 138-139.

[2] Cinq Églises d'Union Soviétique demandent à adhérer au Conseil œcuménique des Églises. // «*Le Monde*», 16 Juin 1962.

[3] **Nino Salia**. Sa Sainteté Ephrem II, catholicos-patriarche de toute la Géorgie au congrès oecumenique des eglises, à Paris. // „*Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie*“, Volume XIII-XIV (No. 41-42). Paris, 1962, გვ. 11; World Council Diary. // *The Ecumenical Review*, Volume 15, Issue 1, 1962, გვ. 102; Russians at World Churches Council. Paris Discussions. // *The Times,* 7 August 1962, გვ. 12.

მაუნტ ჰოლიოკის კოლეჯის პროფესორ სტივენ ჯონსის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანებით დასრულდა საქართველოს ეკლესიის იზოლაცია“.[1] მეცნიერის აღნიშნული თვალსაზრისი გარკვეული დოზით უდავოდ შეიცავს სიმართლის მარცვლებს, მხოლოდ, ჩვენი აზრით, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში რაიმე იზოლაციისაგან სრულ თავისუფლებაზე საუბარი გადაჭარბებულად მიგვაჩნია.

საკითხზე მსჯელობისას გვსურს შევეხოთ ერთ მნიშვნელოვან პრობლემასაც, კერძოდ, განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია ქართველი სასულიერო პირების დამოკიდებულება ეკუმენურ მოძრაობაში გაწევრიანების შესახებ. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით ჯერჯერობით არ იკვეთება რაიმე კონკრეტული ინფორმაცია, არსებობდა თუ არა საქართველოს ეკლესიის ეკუმენურ მოძრაობაში გაწევრიანების მოწინააღმდეგე ცალკეული სასულიერო პირები ან რაიმე დაჯგუფება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთის არსებობის შემთხვევაშიც კი მათი მოღვაწეობა უკიდურესად შეზღუდული იქნებოდა, რადგან ცენტრალურ ხელისუფლებას აღებული ჰქონდა კურსი, დაეძლია ის იზოლაციონიზმი, რომელიც მანამდე არსებობდა. ამას სავარაუდოდ ორი მიზეზი შეიძლება ჰქონოდა: ერთის მხრივ, ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა დასავლეთის თვალში საბჭოთა რეჟიმი მაქსიმალურად დემოკრატიულად წარმოჩენილიყო, მეორეს მხრივ კი, საბჭოთა კავშირის ეკლესიებს ამ პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად წარმოადგენდა. მართლაც, სასულიერო პირების უმრავლესობისათვის სავსებით მისაღები აღმოჩნდა დაკისრებული მოვალეობა, რომლის შესრულებასაც ისინი ენერგიულად შეუდგნენ. სრულიად აშკარაა, რომ ეს იყო იძულებითი ნაბიჯი, რომლის მიღმაც კონკრეტული მიზანი იდგა.

როდესაც ეკუმენური მოძრაობისადმი ქართველი სასულიერო პირების დამოკიდებულებაზე ვმსჯელობთ, წარმოვაჩენთ ეკუმენური მოძრაობის გამორჩეულ წარმომადგენელს წმინდა გრიგოლ ფერაძეს, ქართველ სასულიერო პირს და მეცნიერს, რომელიც თავისი მოღვაწეობით მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ მოძრაობასთან. იგი 1927 წელს სიტყვით გამოვიდა ლოზანის კონფერენციაზე. მის დამოკიდებულებაზე ეკუმენური მოძრაობისადმი მეცნიერთა შორის არ არის ერთიანი აზრი. მაგალითად მკვლევარი ნუგზარ პაპუაშვილი მას უპირობო ეკუმენისტად მიიჩნევს. მეტიც, ის

[1] **S.F. Jones**. Soviet Religious Policy and the Georgian Orthodox apostolic Church: From Khrushchev to Gorbachev, // *Religion in Communist Lands*. Vol. 17. Issue 4. 1989, გვ. 297.

ფიქრობს, რომ გრიგოლ ფერაძე „დასავლეთ ევროპაში, გერმანიაში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კრებამ და ამ ეკლესიის მეთაურმა ინტერკონფესიური მოტივით მიავლინეს, რაც კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის ზემოწარმოდგენილ წერილშიც აღნიშნულია. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მაშინდელმა საჭეთმპყრობელმა იგი სხვა აღმსარებლობის ეკლესიებთან დიალოგისათვის აკურთხა“.[1] შინაარსობრივად მსგავსი აზრის განმეორებას წარმოადგენს ავტორის მორიგი განცხადება, რომ „სწორედ მათ (იგულისხმებიან კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია და მიტროპოლიტი ნაზარი. მ. ქ.) აკურთხეს სულიერი შვილი – გრიგოლი – იმ ბრძოლაში მონაწილეობისათვის, რომლის საბოლოო მიზანი ეკლესიათა გაერთიანებაა“.[2] თუმცა, ასეთ კატეგორიულ დასკვნას, რომელიც ძალიან საფრთხილო გვგონია, კათოლიკოს-პატრიარქის წერილი ნამდვილად არ იძლევა. სრულიად აშკარაა, რომ გრიგოლ ფერაძე საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა მიერ გერმანიაში სწავლა-განათლების მიზნით გაიგზავნა. გრიგოლ ფერაძის ეკუმენურ მოძრაობასთან კავშირზე საუბრობს ასევე ლუკას ფიშერიც, რომელიც აღნიშნულ საკითხზე საუბრობს; მის 1927 წელს ლოზანის კონფერენციაზე მონაწილეობაზე დაყრდნობით.[3] ამ პრობლემას სტატია მიუძღვნა მიუნხენის უნივერსიტეტის მართლმადიდებლური თეოლოგიის დოქტორანტმა დიაკონმა ირაკლი ჯინჯოლავამ.[4] თუმცა მათ ყურადღებაში არ ექცევა ის გარემოება, რომ ამავე ლოზანის კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას გრიგოლ ფერაძემ შეუძლებლად მიიჩნია, რომ საქართველოს ეკლესია სხვა ქრისტიანულ აღმსარებლობის წარმომადგენლებთან შეძლებდა დოგმატური ხასიათის გაერთიანებას – „მე არ მჯერა, რომ ჩემი ხალხი ახლა ან მოგვიანებით რაიმე დოგმატური გაერთიანების თანახმა იქნება. ჩვენთან ეკლესია ხალხის სულია. იგი ყოველთვის მხარდამხარ მიუძღვებოდა ჩვენს ხალხს“.[5]

იკვეთება კიდევ ერთი საინტერესო გარემოება, კერძოდ, გრიგოლ ფერაძეს ინ-

---

[1] **ნუგზარ პაპუაშვილი**. გრიგოლ ფერაძე სარწმუნოების და მოქალაქეობის შესახებ: გამოკვლევა, ბიბლიოგრაფია, ქადაგებები, შენიშვნები, დანართი. თბილისი: კონფლიქტების და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევის ცენტრი, 2006, გვ. 48.

[2] **ნუგზარ პაპუაშვილი**. გრიგოლ ფერაძე სარწმუნოების და მოქალაქეობის შესახებ, გვ. 51.

[3] **Lukas Vischer**. A Georgian Saint Grigol Peradze (1899-1942). //*The Ecumenical Review*, *Volume 52*, *Issue 1*. 2000, გვ. 81.

[4] **Irakli Jinjolava**. The Ecumenical Vocation of the Orthodox Church According to the Georgian Theologian and Saint Priest – Martyr Grigol Peradze. // *Ostkirchliche Studien*, Bd. 65, Heft 2, 2016, გვ. 239-270.

[5] გრიგოლ ფერაძის სიტყვა ლოზანის კონფერენციაზე (საქართველოს ეკლესია). – *ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა*. რედ. თამარ გრძელიძე. თბილისი: „კვირიონი“, 2000, გვ. 182.

ტენსიური მიმოწერა ჰქონდა თავის მასწავლებელ, აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს-თან (ამას ყურადღება ისტორიკოსმა გოჩა საითიძემ მიაქცია).[1] ერთ-ერთ წერილში, რომელიც 1926 წლის 7 იანვრით თარიღდება, წერს: „დიდათ დამავალებთ, თუ მომ-ცემთ თქვენ აზრს უნიის შესახებ. მე პირადათ ამისი დიდი წინააღმდეგი ვარ“.[2] ვფიქ-რობთ, მოტანილი ფრაგმენტი სავსებით ნათლად წარმოადგენს წმინდა გრიგოლ ფე-რაძის დამოკიდებულებას ეკუმენიზმთან დაკავშირებით. ჩვენთვის სრულიად აშკა-რაა, რომ მისთვის მიუღებელი იქნებოდა ეკლესიათა დოგმატური ხასიათის გაერთი-ანება, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ მაინც მონაწილეობდა ლოზანის კონფერენცია-ში, რაც, ვფიქრობთ, იმითაც უნდა აიხსნას, რომ მას, ერთის მხრივ, აინტერესებდა მიმდინარე რელიგიური პროცესი, მეორეს მხრივ კი, არ გამოვრიცხავთ, რომ ეკუმენ-ურ მოძრაობისადმი მისი დამოკიდებულება ყოფილიყო დაახლოებით მსგავსი კათო-ლიკოს-პატრიარქ ილია II-ის დამოკიდებულებისა, რომელიც მოგვიანებით, XX საუკ-უნის 70-80-იან წლებში აქტიურად თანამშრომლობდა ეკუმენურ მოძრაობასთან, მაგ-რამ ამ ურთიერთობას არასოდეს მიუღია დოგმატური ხასიათი და მხოლოდ სამშვი-დობო ღონისძიებებში მონაწილეობით შემოიფარგლებოდა, რაც ისევ და ისევ საქარ-თველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საერთაშორისო დონეზე ცნობადობის ამ-აღლებას ისახავდა მიზნად. თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ საკითხის დაწვრილებით კვლევის შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია გამოჩნდეს ის ახალი მასალა, რომე-ლიც დაგვეხმარება საკითხის სიღრმისეულ შესწავლაში.

ამრიგად, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, ისევე როგორც საბჭოთა კავ-შირის ტერიტორიაზე არსებული სხვა ეკლესიები, ცენტრალური ხელისუფლების გა-დაწყვეტილებით, თავდაპირველად ეკუმენური მოძრაობის მიღმა აღმოჩნდნენ, ხო-ლო შემდეგ, ხრუშჩოვის მმართველობის ბოლოს, ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის შემდეგ, იძულებული გახდნენ შესულიყვნენ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობები თავდა-პირველად სამშვიდობო კონფერენციებში მონაწილეობით და ქართველი სასულიერო პირების სიტყვით გამოსვლებით შემოიფარგლებოდა. შემდგომში მნიშვნელოვან მოვ-

---

[1] **გოჩა საითიძე**. წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის უცნობი წერილები აკადემიკოს კორნელი კე-კელიძისადმი (XX ს-ის 20-30-იანი წლები). // *თსუ სიღნაღის (კახეთის) ფილიალის სამეცნიერო შრო-მათა კრებული*, ტ. V, სიღნაღი, 2004, გვ. 83-95.

[2] **გოჩა საითიძე**. წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის უცნობი წერილები აკადემიკოს კორნელი კე-კელიძისადმი (XX ს-ის 20-30-იანი წლები), გვ. 89.

ლენას წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიის გაწევრიანება ეკუმენური მოძრაობის მმართველ ორგანო – ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაბიჯი ცალსახად ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული პოლიტიკური აქტი იყო, ქართველმა მაღალმა სასულიერო იერარქებმა წარმატებით აუღეს ალღო შექმნილ მდგომარეობას და იგი ჩვენი ეკლესიის სასარგებლოდ გამოიყენეს: ერთის მხრივ, გაზარდეს რა საქართველოს ეკლესიის ცნობადობა საერთაშორისო მასშტაბით, მეორეს მხრივ, გააააქტიურეს ბრძოლა ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებისათვის. ინტერესს იწვევს ქართველი სასულიერო პირების დამოკიდებულება ეკუმენური მოძრაობისადმი, დღემდე ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო წყაროებით არ იკვეთება ამ საკითხისადმი უარყოფითი დამოკიდებულება.

დასკვნა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარების პროცესში ათეისტურ მსოფლმხედველობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. აღნიშნული საკითხი თავისი მრავალფეროვნებითა და მრავალსახოვნებით მეცნიერული კვლევის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

დასავლეთ ევროპაში ჰუმანისტურ-რენესანსული იდეოლოგიით გაჯერებულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ დაიწყო ჯერ ქრისტიანული მოძღვრების გადახედვა, რითაც დასაბამი მისცა მწყობრი სახით შექმნილ ათეისტურ მსოფლმხედველობას, ხოლო ამ უკანასკნელმა, სრულყოფილი სახე XVIII-XIX საუკუნეებში მიიღო, როდესაც ჯერ ფრანგი განმანათლებლების, შემდეგ კი – კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნააზრევის სახით ჩამოყალიბებულ მებრძოლ ათეისტურ მოძღვრებად იქცა. სწორედ ეს იდეოლოგია დაედო საფუძვლად საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობას, სადაც აღნიშნული იდეების პრაქტიკულმა განხორციელებამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია.

ათეისტური იდეოლოგიის გავრცელებას საინტერესო ისტორია აქვს რუსულ სინამდვილეში, სადაც რევოლუციონერ-დემოკრატების (ა. გერცენი, ბ. ბელინსკი, ნ. დობროლიუბოვი, ნ. ჩერნიშევსკი) რელიგიური შეხედულებები იყო ის ძირითადი იდეოლოგიური ბაზა (კ. მარქსსა და ფ. ენგელსთან ერთად), რომელსაც დაეფუძნა საბჭოთა ათეისტური აზროვნება. მისთვის დამახასიათებელი იყო არსებული პრობლემის რევოლუციური გადაწყვეტის ხედვა და სოციალური საკითხის წინ წამოწევა, რასაც დიდწილად სწორედ იმ პერიოდის რუსეთში არსებული პოლიტიკური და რელიგიური რეალობა განაპირობებდა. სწორედ ამიტომ, რუსი მოღვაწეების შეხედულებებში ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდა მეფის ცენტრალური ხელისუფლებისა და ეკლესიის კრიტიკა, რაც შემდგომში საბჭოთა სააზროვნო სისტემის ქვაკუთხედად იქცა.

საბჭოურმა ათეისტურმა იდეოლოგიამ თავისი მკვეთრად ჩამოყალიბებული მახასიათებლები შეიძინა ვლადიმერ ლენინის შემოქმედებაში, სადაც ანტირელიგიურმა შეხედულებებმა სრულყოფილი და განსაკუთრებულად აგრესიული სახე მიიღო. ეს კი, თავის მხრივ, საფუძველი გახდა აგრესიული ათეისტური პოლიტიკისა XX საუკუნის 20-30-იან წლებში. ლენინისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო რელიგიურ საკითხში თუნდაც მინიმალური კომპრომისი, მაშინ, როდესაც განსხვავებული

რეალობა გვაქვს იოსებ სტალინის შემთხვევაში, რომელიც თავის თხზულებებში ცდილობს, რელიგიის თემატიკას განსაკუთრებული ადგილი არ დაუთმოს. მისი რელიგიისადმი დამოკიდებულება ნაკლები რადიკალიზმით გამოირჩევა, რაც კონკრეტულ ასახვას რელიგიურ პოლიტიკაში უკვე 40-იანი წლების დასაწყისიდან ჰპოვებს, როდესაც ეკლესია-სახელმწიფოს დამოკიდებულება ურთიერთდაპირისპირებიდან კომპრომისულში გადაიზარდა. ხელისუფლებამ შესანიშნავად გაიაზრა, რომ გარე საფრთხის პირობებში ეკლესიის ინსტიტუტს შეიძლება თამამად დაყრდნობოდა და გამოეყენებინა იგი როგორც საშინაო, ასევე საგარეო პრობლემების მოსაგვარებლად. თავის მხრივ, როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ზუსტი ალღო აუღო სამთავრობო პოლიტიკას და ის ხელისუფლების მჭიდრო მოკავშირედ მოგვევლინა, რამაც შედეგად საეკლესიო ცხოვრებას მნიშვნელოვანი გაძლიერება და გამოცოცხლება მოუტანა.

1947 წელს სტალინის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა ახალი საგანგებო ორგანო – მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატი, რომლის დაარსებასაც შესაბამისი მიზნები და ამოცანები გააჩნდა, რაც მან ზედმიწევნითი სისრულით შეასრულა. კერძოდ, დაარსებიდან უმოკლეს მთავრობის შემადგენლობაში ის იქცა იმგვარ დაწესებულებად, რომელიც წარმატებით ახორციელებდა ეკლესიის საქმიანობის ყოველმხრივ კონტროლს, რასაც ისიც ნათლად ადასტურებს, რომ მისი წარმომადგენლები მონაწილეობდნენ თითქმის ყველა საეკლესიო საკითხის გადაწყვეტაში, არ ჰქონდა მნიშვნელობა ეხებოდა ეკლესიის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას. ამ ორგანოს დაარსებით სტალინის ხელისუფლებამ პრაქტიკულად დასრულა საეკლესიო იერარქიაზე სრული კონტროლის დამყარების საკითხი. თან, ყველაფერი იმგვარად გადაწყვიტა, რომ სასულიერო კრებულს პრაქტიკულად არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამგვარი სახელისუფლებო ორგანოს დაარსება სასულიერო პირებში სავარაუდოდ დიდ კმაყოფილებას არ გამოიწვევდა, რადგან სახელმწიფოსთან ურთიერთობაში საკმაოდ გამოცდილი საეკლესიო იერარქია შესანიშნავად მიხვდებოდა ხელისუფლების რეალურ განზრახვას. თუმცა, მას ასევე იმის შესანიშნავი მაგალითიც ჰქონდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არცთუ შორეულ წარსულში 20-30-იან წლებში ანტაგონისტურ პოლიტიკას ატარებდა, ახლა კი მას თავისი მეტ-ნაკლებად დამთმობი და ლოიალური დამოკიდებულებით, რაც რეალურად ხელისუფლებასთან მტკიცე თანამშრომლობასაც ნიშნავდა, რი-

თაც გაცილებით მეტ შედეგებს აღწევდნენ, ვიდრე რადიკალური დაპირისპირებით. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ იყო, რომ მაღალი სასულიერო იერარქია მთავრობის მიერ ამ აპარატის დაარსებას დუმილით შეხვდა. ერთადერთ გამონაკლისს ამ მხრივ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს დამოკიდებულება შეიძლება მივიჩნიოთ. ისიც ეწინააღმდეგებოდა არა იმდენად ამ ახალი სახელისუფლებო ორგანოს დაარსებას, რამდენადაც მოითხოვდა მხოლოდ მის ქართულ რეალობასთან მორგებას, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იყო იმის საშიშროება, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კვლავაც რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში აღმოჩენილიყო.

ვითარება რადიკალურად იცვლება ხრუშჩოვის მმართველობის დროს. მის რელიგიურ პოლიტიკას მთელი რიგი თავისებურება გააჩნდა. მათ შორის მკვეთრად გასამიჯნი და მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ იგი უშუალოდ დაუკავშირდა დესტალინიზაციის პოლიტიკას, რომლისთვის დამახასიათებელი იყო სტალინისეული მიღწევების უარყოფა, როგორც მკვეთრად ანტისაბჭოთა მოვლენისა. სწორედ ამიტომ, ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა თავისი წინამორბედის მიერ „დაშვებული შეცდომები გამოესწორებინა“ და რელიგიას განსაკუთრებულად შეუტია. ამ მიზნის შესასრულებლად საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ აქცენტი „მეცნიერული ათეიზმის“ დანერგვასა და მის შესაბამის აგიტაცია-პროპაგანდაზე გააკეთა. მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ყველაზე თვალსაჩინო და მკაფიო გამოხატულება, ერთის მხრივ, ოფიციალურ დადგენილებებში ჰპოვა, ხოლო, მეორეს მხრივ, ამ დადგენილებების პრაქტიკულ რეალიზაციაში. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ ხელისუფლების გატარებულ რელიგიურ პოლიტიკას საინტერესო გამოხმაურება მოჰყვა დასავლურ საზოგადოებაში. გარდა იმისა, რომ საბჭოთა რელიგიურ პოლიტიკაზე იწერებოდა მთელი რიგი კრიტიკული სამეცნიერო გამოკვლევები სრულიად აშკარა იყო, რომ ამ საკითხით დაინტერესებას თვით აშშ-ს პოლიტიკური ხელმძღვანელობაც იჩენდა, რადგან მათთვის კარგად იყო ცნობილი ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი უპირატესობა, რომელიც მათ საბჭოთა კავშირის ხელისუფლებასთან მიმართებაში გააჩნდათ. ეს ამ ქვეყანაში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების პრაქტიკულად სრული უგულვებელყოფა იყო, რაშიც უმნიშვნელოვანესი ადგილი სწორედაც რელიგიურ საკითხს ეჭირა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა და 1959-1960 წლებში გამოქვეყნდა წიგნი-დოკუმენტი “The Crimes of Khrushchev”, სადაც განსაკუთ-

რებული მნიშვნელობით გვევლინება საეკლესიო პრობლემატიკას აქვს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლების დამოკიდებულება საბჭოთა რელიგიური პოლიტიკისადმი ადეკვატურობით ხასიათდებოდა. ისინი შესანიშნავად აცნობიერებდნენ იმ ფაქტს, რომ ხელისუფლებასთან კონფრონტაციული დამოკიდებულებით ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწევდნენ, პირიქით, მათი ნაბიჯები ისევ ეკლესიისათვის იქნებოდა საზიანო. სწორედ ამიტომ, სასულიერო ხელისუფლებამ წარმატებით გააგრძელა მთავრობასთან აქტიური თანამშრომლობის გზა, რაც იმ მდგომარეობისათვის სავსებით გამართლებული პოზიცია იყო. ეკლესიის დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი მასთან თანამშრომლობით იყო გამსჭვალული საგარეო-დიპლომატიურ ასპარეზზეც, სადაც ქართველმა სასულიერო კრებულმა პატრიარქების მეთაურობით ძირითადი აქცენტი სამშვიდობო მოწოდებებზე, საქართველოს ეკლესიის ისტორიის პოპულარიზაციასა და საერთაშორისო საეკლესიო საზოგადოებისათვის მის გაცნობაზე კეთდებოდა. თუ პირველი მათგანი ხელისუფლების უშუალო დაკვეთას წარმოადგენდა და ზედმიწევნით ასახავდა კომუნისტური ხელისუფლების ოფიციალურ დამოკიდებულებას, მეორე, უკვე ჩვენი ეკლესიის ინტერესების დასაცავად გადადგმული ნაბიჯი იყო.

ხრუშჩოვის ხელისუფლების დროს საბჭოთა ათეისტურმა პროპაგანდის მეთოდოლოგიამ საქართველოში ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულება ბეჭდური მედიის მაგალითზე ჰპოვა, მეტიც, პრესა იქცა აგიტაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტორად, სადაც ანტირელიგიური პროცესი თემატური თვალსაზრისით მრავალფეროვნად მიმდინარეობდა. ეს კი სრულ თანხვედრაში იყო ცენტრალური ხელისუფლების მიერ ოფიციალურად მიღებულ დადგენილებებთან. მართალია, ეს პროპაგანდა ქართულ პრესაში განსაკუთრებული აგრესიით არ გამოირჩევა, მაგრამ მას აქცენტი მთლიანად ანტირელიგიურ თემატიკაზე აქვს აღებული და აშკარაა, რომ ხელისუფლება ცდილობს საზოგადოების გარდაქმნას მეცნიერული გზით. აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 1947 წელს ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაარსებულ საზოგადოება „ცოდნას“, რომელიც იყო „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ მემკვიდრე და მიზნად ისახავდა მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის აგიტაციას საზოგადოების ფართო მასებში. 1953-1964 წლებში ის აქტიურ ანტირელიგიურ პროპაგანდას ეწეოდა. ქართულ რეალობაში მას კონკრეტული გამოვლინებები ჰქონდა, რაც არსობრივად იდენტური იყო ცენტრალური ხელისუფლების-

გან მომდინარე დირექტივებისა. ყველასთვის ნათელი იყო, რომ აღნიშნული საზოგადოების ჩამოყალიბების და დასახული ამოცანების განხორციელების უკან, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნული კუთხით ის მეცნიერთა დამოუკიდებელ გაერთიანებას წარმოადგენდა, ხელისუფლება იდგა. მთავრობა აქტიურად და მაქსიმალურად იყენებდა ქვეყანაში არსებულ ინტელექტუალურ და მატერიალურ-ტექნოლოგიურ რესურსებს. სამთავრობო რელიგიური კურსის აგიტაცია წარმოებდა სალექციო მუშაობით, ასევე, წიგნებისა და ბროშურების გამოცემა-გავრცელებით. ორივე კუთხით მუშაობა მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდებოდა. საზოგადოება „ცოდნამ“ ზოგადად საბჭოთა სივრცეში და კონკრეტულად საქართველოში დიდი როლი შეასრულა ათეისტური იდეოლოგიის აგიტაცია-პროპაგანდის საქმეში.

ხრუშჩოვის ათეისტურმა პოლიტიკამ და პროპაგანდამ ერთ-ერთი ყველაზე ნათელი გამოხატულება განათლების სფეროში ჰპოვა. ეს გასაგებიც არის, რადგან სწორედ მომავალი თაობის ანტირელიგიური აღზრდის გზით იქნებოდა შესაძლებელი მათი საბჭოური აზროვნების შესაბამის მოქალაქეებად ჩამოყალიბება. ხელისუფლებამ თავის იდეოლოგიურ პოლიტიკაში აქტიურად ჩართო როგორც დაწყებითი სასკოლო განათლების სისტემა, ასევე უმაღლესი სასწავლებლებიც. სწორედ ამ მიზნით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა ათეიზმის კათედრა, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, გულისხმობდა ანტირელიგიური კადრების აღზრდას შემდგომი ათეისტური საქმიანობის უფრო ეფექტურად და მაღალ პროფესიულ დონეზე შესასრულებლად. აღნიშნული კათედრის მუშაობის შედეგი იყო ქართულენოვანი სახელმძღვანელოს გამოცემა ათეიზმის ისტორია თეორიაში. გარდა აღნიშნულისა, კათედრა მართავდა სხვადასხვა სახის შეხვედრებს, სამეცნიერო კონფერენციებს და საჯარო ლექციებს, რისი მიზანიც ისევ და ისევ ათეისტური იდეოლოგიის კვლევა და და საზოგადოებაში გავრცელება იყო.

ხრუშჩოვის მმართველობის დროს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობები თავდაპირველად სამშვიდობო კონფერენციებში მონაწილეობას გულისხმობდა, სადაც ხდებოდა საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება საქართველოს ეკლესიის ისტორიული წარსულის შესახებ. ამავე პერიოდში, საქართველოს ეკლესიის საგარეო-დიპლომატიური ურთიერთობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიის გაწევრიანება ეკუმენური მოძრაობის მმართველ ორგანოში – ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში. ამ საკითხთან

დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა ქართველი სასულიერო პირების დამოკიდებულება. ის პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა 20-იან წლებში გრიგოლ ფერაძის მიერ 1927 წლის ლოზანის კონფერენციაზე დაფიქსირებული პოზიციისგან. როგორც გ. ფერაძის ამ კონფერენციაზე გამოსვლიდან და მისი კორნელი კეკელიძისადმი გაგზავნილი წერილიდან აშკარად იკვეთება, ის ეკუმენურ მოძრაობას ცალსახად მართლმადიდებლური პოზიციიდან უდგებოდა და ეკლესიათა დოგმატური გაერთიანების საკითხი მისთვის მიუღებელი იყო. XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან ურთიერთობები განსაკუთრებით გააქტიურდა. მართალია, აღნიშნული ნაბიჯი ცალსახად ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებულ პოლიტიკურ აქტს წარმოადგენდა, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ქართველმა მაღალმა სასულიერო იერარქებმა წარმატებით მოახერხეს შექმნილი მდგომარეობის გამოყენება და თავიანთი საქმიანობა ეკლესიის ინტერესების სასარგებლოდ წარმართეს. აღნიშნულის შედეგი იყო ის, რომ მათ, ერთის მხრივ, გაზარდეს საქართველოს ეკლესიის ცნობადობა საერთაშორისო მასშტაბით, ხოლო, მეორეს მხრივ, გააქტიურეს მეცადინეობა ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებისათვის.

ბიბლიოგრაფია

საარქივო მასალა:

1. ანკეტა ანტი-რელიგიური პროპაგანდისათვის. შსს საარქივო სამმართველოს II განყოფილება, ფონდი №14, აღწერა 1, საქმე 838.
2. ეფრემ II. მსოფლიოს ყოველი მხრის მცხოვრებნო, მსოფლიოს ყოველი მხრის ხელმწიფენო და მთავრობანო. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 1880, ანაწ. 1, საქმე 76.
3. კ. ცინცაძის განცხადება საქ. სსრ კპცკ-ის პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის სახელზე ლოცვანის დასტამბვაზე. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი არქივი, საქმე №82.
4. კ. ცინცაძის განცხადება საქ. სსრ კპცკ-ის პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის სახელზე საკათალიკოსო სახლის აშენების შესახებ. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი არქივი, საქმე №83.
5. კ. ცინცაძის განცხადება საქ. სსრ კპცკ-ის პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის სახელზე სიონის ტაძრის შეკეთების შესახებ. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი არქივი, საქმე №84.
6. კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მიმართვა საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კანდიდ ნესტორის ძე ჩარკვიანისადმი საყოველთაო ლოცვანის დაბეჭდვის აუცილებლობის შესახებ. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი არქივი, საქმე №274.
7. პატრიარქ მელქისედეკის წერილი ბულგარეთის პატრიარქს. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 1879, ანაწ. 1, საქმე 76.
8. საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯოდმარეს, მოქალაქე ვალერიანე მინასძე ბაქრაძეს. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 1879, ანაწერი 1, საქმე №2.

9. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას. შსს საარქივო სამმართველოს II განყოფილება, ფონდი №14, აღწერა 34, საქმე 337.
10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთათვის ვ. დ. ბუჯიაშვილს. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქ. №23.
11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთათვის მ. დ. მექვაბიშვილს. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქ. №27.
12. სიტყვა თქმული დანიელ ჭონქაძის, ლავრენტი არდაზანიასა და გრიგოლ რჩეულიშვილის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდზე. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას პირადი არქივი, საქმე №320.
13. სიტყვა მამულისათვის დახოცილთა ნახევარი წლისთავზე თქმული თბილისის სამხედრო ტაძარში. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას პირადი არქივი, საქმე №241.
14. სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილება მართლმადიდებლური ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების შესახებ, საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 600, ანაწ. 2. საქმე №581.
15. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათეიზმის, ეთიკის და ესთეტიკის კათედრის სხდომის ოქმი №1. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწ. 24, საქმე №144.
16. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული ათეიზმის კათედრის სხდომის ოქმი №2. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწ. 24, საქმე №144.
17. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული ათეიზმის კათედრის სხდომის ოქმი №6. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწ. 24, საქმე №144.
18. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული ათეიზმის კათედრის სხდომის ოქმი №8. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწ. 24, საქმე №144.

19. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული ათეიზმის კათედრის სხდომის ოქმი №19. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწ. 24, საქმე №156.
20. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული ათეიზმის კათედრის სხდომის ოქმი №6. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწ. 24, საქმე №156.
21. ქადაგება მართლმადიდებლობის ზეიმის დღესასწაულზე. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას პირადი არქივი, საქმე №256.
22. Грузинская Православная Церковь присоединятса к решениям Стокгольмской сессии постоянного всемирного конгресса сторонников мира. Коммюнике иерархов Русской Православной Церкови. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქმე №18.
23. Епископ Гавриил. Речь к 2-й Всесоюзной Конференции сторонников мира в Москве. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქმე №18.
24. Положение об Уполномоченном Совета Министров Грузинской ССР по делам грузинской православной церкви. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქმე №12.
25. Постановление и циркуляры Всесоюзного общества «Знание» по руководству деятельностью обществ союзных республик. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1923, ანაწ. №1, საქმე 1.
26. Постановление №959 Совета Министров Грузинской ССР 2 сентября 1947 года. Об учреждении должности Уполномоченного Совета Министров Грузинской ССР по делам грузинской православной церкви. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. 1, საქმე 11.
27. Протоклы заседаний Президиума Правления Всесоюзного Обшества «Знание». საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1923, ანაწ. №1, საქმე 426.
28. Резолюция совещательного комитета о разоружении. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი ფონდი №1880, ანაწ. 1, საქმე 76.

29. Резолюция совещательного комитета по вопросу зависимых народов и развивающихся стран. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1880, ანაწ. 1, საქმე 76.

30. Речь Каталикоса-Патриарха Грузии Калистрата на 3-ей Всесоюзной Конференции сторонников мира в ноября 1951 г. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქმე №22.

31. Слово, сказанное Каталикосом-Патриархом Калистратом на Всесоюзной Конференции сторонников мира. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქმე №22.

32. Совету Безопасности Организации Объединённых Наций. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი №1879, ანაწ. №1, საქმე №18.

წყაროები და დოკუმენტური მასალები:

33. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად (ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის, ვენის, კოპენჰაგენისა და პარიზის თათბირების დასკვნითი აქტები და მასალები). თბილისი, 1991.

34. **ბელინსკი, ბ. გ.** ებრაელთა სექტა რუსეთში. – *რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი.* თარგმანი *ვ. კ. მგალობლიშვილისა, ა. ქუთელიას* წინასიტყვაობით. თბილისი: „სახელგამი პოლიტლიტერატურის სექტორი“, 1948.

35. **ბელინსკი, ბ. გ.** წერილი ა. ი. გერცენს 26 იანვარი 1845 წ. – *რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი.* თარგმანი ***ვ. კ. მგალობლიშვილისა, ა. ქუთელიას*** წინასიტყვაობით. თბილისი: „სახელგამი პოლიტლიტერატურის სექტორი“, 1948.

36. **ბუბულაშვილი, ელდარ.** უცნობი მასალები წმ. დიდმოწამე არგვეთის მთავრების დავითისა და კონსტანტინეს წმინდა ნაწილების შესახებ. // *„რელიგია“,* №3. 2012.

37. გრიგოლ ფერაძის სიტყვა ლოზანის კონფერენციაზე (საქართველოს ეკლესია). – ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა. *რედ. **თამარ გრძელიძე.*** თბილისი: „კვირიონი“, 2000.

38. დეკრეტი ეკუმენიზმის შესახებ. *ვატიკანის II კრება. კონსტიტუციები, დეკრეტები, დეკლარაციები.* მთარგმნელი *ლელა ალექსიძე.* თბილისი: ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის გამოცემა, 2006.

39. **დიდრო, დენი.** ესთეტიკა. ფილოსოფია. სოციოლოგია. *ი. თავაძის* რედაქციით და წინასიტყვაობით. თბილისი: „ფედერაცია“, 1939.

40. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს III ასამბლეის მართლმადიდებელ მონაწილეთა განცხადება. თარგმნა *ლევან აბაშიძემ.* ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა.*რედ.* ***თამარ გრძელიძე.*** თბილისი: „კვირიონი“, 2000.

41. **ენგელსი, ფრიდრიხ.** ბუნების დიალექტიკა. თბილისი: „სახელგამი“, 1950.

42. **კირთაძე, ნესტან (ელისაბედ).** კაენ, სად არის ძმა შენი?! ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930წწ). თბილისი: „მერანი“, 1998.

43. კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია: საგანგებო კომიტეტის სპეციალური ანგარიში N6 კომუნისტური აგრესიის შესახებ: მომზადებულია თანახმად H. Res. 346 და H. Res. 438: 1954 წლის 31 დეკემბრის წარედგინა წარმომადგენელთა პალატას და გადაცემულია იქნა დასაბეჭდად. აშშ-ს წარმომადგენელთა პალატა, 83-ე კონგრესი, მე-2 სხდომა. თბილისი, 2007.

44. **ლენინი, ვლადიმერ**. ნახევარი წლის მუშაობის შედეგები. – *თხზულებანი*, მეოთხე გამოცემა. ტომი 5. თბილისი: „სახელგამი“, 1949.

45. **ლენინი, ვლადიმერ**. რით დავიწყოთ? – *თხზულებანი*, მეოთხე გამოცემა. ტომი 5. თბილისი: „სახელგამი“, 1949.

46. **ლენინი, ვლადიმერ.** სოციალიზმი და რელიგია. – *თხზულებანი*, მეოთხე გამოცემა. ტომი 10. თბილისი: „სახელგამი“, 1950.

47. **ლენინი, ვლადიმერ.** მუშათა პარტიის დამოკიდებულებაზე რელიგიისადმი. – *თხზულებანი*, მეოთხე გამოცემა. ტომი 15. თბილისი: „სახელგამი“, 1950.

48. **ლენინი, ვლადიმერ.** გერცენის ხსოვნას. – *თხზულებანი*, მეოთხე გამოცემა. ტომი 18. თბილისი: „სახელგამი“, 1951.

49. **ლენინი, ვლადიმერ.** ნაროდნიკები ნ. კ. მიხაილოვსკის შესახებ. – *თხზულებანი*, მეოთხე გამოცემა. ტომი 20. თბილისი: „სახელგამი“, 1951.

50. **ლენინი, ვლადიმერ.** კოოპერაციის შესახებ. – *თხზულებანი*, მე-4 გამოცემა. ტომი 33. თბილისი: „სახელგამი“, 1953.

51. **ლენინი, ვლადიმერ.** მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ. – *თხზულებანი*, მეოთხე გამოცემა. ტომი 33, თბილისი: „სახელგამი“, 1953.

52. **ლომინაძე, რევაზ.** 1924 წლის აჯანყების დოკუმენტი. // *„პოლიტიკა“*, №8, 1991.

53. **მარქსი, კარლ.** ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის: შესავალი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1971.

54. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მიმართვა მსოფლიო საეკლესიო საბჭოს III გენერალურ ასამბლეაზე. თარგმნა ლევან აბაშიძემ. ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა. რედ. **თამარ გრძელიძე**. თბილისი: „კვირიონი“, 2000.

55. **ორჯონიკიძე, გრიგოლ.** რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა II ყრილობას. – *სტატიები და სიტყვები ორ ტომად.* ტომი 1. 1910-1926 წწ. თბილისი: „სახელგამი“, 1957.

56. **რუსო, ჟან-ჟაკ.** საზოგადოებრივი ხელშეკრულება. ფრანგულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო *დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ.* თბილისი: CIPDD, 1997.

57. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწილი IV. 1954-1960. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1962.

58. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. 3: 1930-1954. თბილისი: „სახელგამი“, 1956.

59. სავლე წერეთელის ფილოსოფიის ინსტიტუტუტის საბჭოთა პერიოდის საარქივო მასალები 1946-1991, საიუბილეო გამოცემა, შემდგენელი **მერი ცუცქირიძე**. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017.

60. **საითიძე, გოჩა.** წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის უცნობი წერილები აკადემიკოს კორნელი კეკელიძისადმი (XX ს-ის 20-30-იანი წლები). *თსუ სიღნაღის (კახეთის) ფილიალის სამეცნიერო შრომათა კრებული*, ტ. V. სიღნაღი, 2004.

61. საკავშირო მებრძოლ უღმერთოთა კავშირის საქალაქო უჯრედების ორგანიზაციის და მუშაობის ინსტრუქცია, ტფილისი, მუკის საბჭოს გამომცემლობა, 1930.

62. საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ პრეზიდიუმის ბრძანებულებათა ქრონოლოგიური კრებული. ტომი 1. 1921-1940 წწ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1959.

63. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები. 1947 წლის სექტემბერი. თბილისი, 1947.

64. სკკპ ყრილობების, კონფერენციების და ცენტრალური კომიტეტის პლენუმები რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. I. თბილისი: „სახელგამი“, 1954.

65. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მიმართვა გენუის საერთაშორისო კონფერენციისადმი – *ქართული დიპლომატიის ისტორია. ქრესტომათია.* რედ. ***როინ მეტრეველი***; თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004.

66. სკკპ რელიგიის შესახებ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1963.

67. **სტალინი, იოსებ.** მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი. – *თხზულებანი.* ტომი 2. თბილისი: „სახელგამი“, 1953.

68. **სტალინი, იოსებ.** საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში რუსეთში. – *თხზულებანი.* ტომი 4. თბილისი: „სახელგამი“, 1955.

69. **სტალინი, იოსებ.** პარტიის მორიგი ამოცანები სოფლად. სიტყვა წარმოთქმული სოფლის უჯრედების მდივნების თათბირზე 1923 წ. 23 ოქტომბერს საკ. კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში. – *თხზულებანი.* ტომი 6. თბილისი: „სახელგამი“, 1949.

70. **სტალინი, იოსებ** საუბარი პირველ ამერიკელ დელეგაციასთან. – *თხზულებანი.* ტომი 10. თბილისი: „სახელგამი“, 1950.

71. სტალინი რელიგიისა და მასთან ბრძოლის შესახებ. შედგენილი **სოლ. ყუბანეიშვილის** მიერ. ტფილისი: საქ. მუკ-ის ცენტრალური საბჭოს გამოცემა, 1933.

72. **ჩერნიშევსკი, ნ. გ.** თანდათანობითი განვითარება ძველი ფილოსოფიური მოძღვრებისა, წარმართულ რწმენათა განვითარებასთან დაკავშირებით. – *რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი.* თარგმანი ***შ. პაპუაშვილისა; ალ. ქუთელიას*** რედაქციით და წინასიტყვაობით. თბილისი: „სახელგამი“, 1945.

73. **ცინცაძე, კალისტრატე.** ქადაგებები და სიტყვები, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და გამოკვლევა დაურთო ***ნუგზარ პაპუაშვილმა***. თბილისი: „უნივერსალი“, 2014.

74. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) კომუნისტური მართლმსაჯულების წინაშე. კრებული შეადგინა, წინასიტყვაობა დაკომენტარები დაურთო ***დინარა დარსალიამ***. თბილისი: „საარი“, 2011.

75. **ხელაია, ამბროსი.** თხზულებანი ორ წიგნად. წიგნი II. *მწიგნობრობა ქართული.* ტომი 13. თბილისი, 2012.

76. **ხრუშჩოვი, ნ. ს.** მტკიცე მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. თბილისი: საქ. კპ ცკ-ის გამ-ბა, 1958.

77. Georgian Patriarch's Letter to the 1922 Genoa Conference Translation and commentary by Dn. *Lasha Tchantouridze*, PhD. *The Canadian Journal of Orthodox Christianity*. Volume III, No 3, Fall 2008.

78. Letter from the Patriarch of Moscow. *The Ecumenical Review*, Volume 13, Issue 4, 1961.

79. Message from Alexis, Patraiarch of Moscow and all the Russians. *The Ecumenical Review*, Volume 14, Issue 2, 1962.

80. **Salia, Nino**. Sa Sainteté Ephrem II, catholicos-patriarche de toute la Géorgie au congrès oecumenique des eglises, à Paris. *"Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie"*. Volume XIII-XIV (No. 41-42). Paris, 1962.

81. The Crimes of Khrushchev. Part 7. Washington: United States Government Printing Office, 1960.

82. World Council Diary. *The Ecumenical Review*, Volume 15, Issue 1, 1962.

83. Вопросы идеологической работы: сборник важнейших решений КПСС (1954-1961 годы), Москва: Издательство политической литературы, 1961.

84. **Герцен, Александр**. Былое и думы. 1852-1868. Части VI-VIII. – *Собрание сочинений в 30 томах*. Том 11. Москва: Издательство Академии наук СССР, 1957.

85. **Добролюбов, Н. А.** Олег под Константинополем. – *Собрание сочинений в 9 томах.* Том 4. Статьи и рецензии. Январь – июнь 1859. Москва: Государственное издательство художественной литературы, 1962.

86. **Добролюбов**. **Н. А.** Газетная Россия. – *О религии и церкви: Избранные произведения*. Москва: Издательство Академии наук СССР, 1960.

87. Коммунистическое строительство в СССР и преодоление религиозных пережитков. Журнал «Наука и религия», №1, 1959.

88. Конференция всех церквей и религиозных объединений в СССР, посвященная вопросу защиты мира. Загорск, Троице-Сергиева Лавра. 9-12 мая 1952 года. Материалы. Москва: Изд-во Московской патриархии, 1952.

89. Протокол №1 совещания в ГПУ о проведении кампании по изъятию церковных ценностей. // Политбюро и церковь. 1922-1925 гг. В 2-х кн. Кн. 1. Издание подготовили: **Н. Н. Покровский, С. Г. Петров**. Новосибирск: «Сибирский хронограф», Москва: «Российская политическая энциклопедия» (РОССПЭН), 1997.

90. **Фейербах, Людвиг**. Сущности христианства – *Сочинения в 2-х томах*. Том II. Москва: Наука, 1995.

მემუარები:

91. **ბერძენიშვილი. ნიკო.** სტუმრად ამხანაგ სტალინთან სოჩაში. 1945.10.20-23. // *ცისკარი*, № 1, 1998.
92. **თალაქვაძე, ნიკიტა.** მოქალაქე მღვდლის დღიურიდან. თბილისი, 2013.
93. **სტაინბეკი, ჯონ.** რუსული დღიური. ინგლისურიდან თარგმნა ***თამარ სუბელიანმა***. თბილისი: „არტანუჯი“, 2015.
94. **ხიდაშელი, შალვა.** უსათაურო მოგონებანი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994.

სამეცნიერო ლიტერატურა:

95. ათეიზმის თანამგზავრი. ბათუმი, 1977.
96. ათეიზმის ისტორია და თეორია (დამხმარე სახელმძღვანელო), თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1980.
97. **ამაღლობელი, ვახტანგ.** სტაინბეკის საგანგებო მისია საქართველოში. // *ჩვენი მწერლობა*, N16 (42), 2007.
98. **ამაღლობელი, ვახტანგ.** ჯონ სტაინბეკის უცნობი "მივლინების ანგარიშის" შესახებ. // *აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი*, ტ. XI, 2010-2011.
99. **არაბიძე, ირინა.** „განახლების მოძრაობა" საქართველოს ეკლესიაში XX ს. 20-30-იან წლებში. დისერტაცია წარდგენილი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2005.
100. **არაბიძე, ირინა.** რუსეთის ეკლესიის ანტიეკუმენური მოღვაწეობის ისტორიიდან (მოსკოვის 1948 წლის თათბირი). // *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები,* №2 (15). თბილისი: „უნივერსალი“, 2014.
101. **არაბიძე. ირინა.** „განახლების მოძრაობა" რუსეთის ეკლესიაში XX საუკუნის 20-იან წლებში: (ბროშურის „Что такое обновленчество" მიხედვით). // *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, №1 (9), 2011.
102. **ბაქრაძე, კონსტანტინე.** ახალი ფილოსოფიის ისტორია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1969.

103. **ბახტაძე, ალექსანდრე.** კ. მარქსის და ფ. ენგელსის ურთიერთობა რუს პოლიტიკურ მოღვაწეებთან. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1975.

104. **ბენდელიანი**, **მედეა.** ეკლესიებისა და სამლოცველოების ამოქმედების საკითხი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საქართველოში. // *ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, XV-XVI. თბილისი, 2018.

105. **ბენდელიანი, მედეა.** რუსეთის ეკლესიის სინოდის 1927 წლის 25 თებერვლის აქტი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის შესახებ და მისი ისტორიული მნიშვნელობა. – // *გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი. სამეცნიერო შრომები.* თბილისი, 2009.

106. **ბენდელიანი**, **მედეა.** საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილილის გამომცემლობა, 2002.

107. **ბენდელიანი**, **მედეა.** საქართველოს სამოციქულო ეკლესიისთვის ტერიტორიული ავტოკეფალიის მინიჭების საკითხი საბჭოთა სისტემაში (1943 წელი). // *ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, №XIII-XIV. თბილისი, 2017.

108. **ბერიაშვილი, მამუკა.** სეკულარიზაციის არსის გაგებისათვის. – *სეკულარიზაცია: კონცეფტი და კონტექსტები.* რედ. **ს. რატიანი. გ. ზედანია.** თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.

109. **ბიწაძე, შალვა.** დობროლიუბოვის ეთიკური შეხედულებანი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1964.

110. **ბუაძე**, **თეიმურაზ.** რენესანსი და ქრისტიანობა. // *გული გონიერი*, №9, 2014.

111. **გაგოშიძე**, **შოთა** საბჭოთა პრესის ლენინური პრინციპები. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1969.

112. **გამახარია, ჯემალ.** წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) 150-ე წლისთავისთვის. თბილისი, 2012.

113. **გაჩეჩილაძე**, **რევაზ.** საქართველო მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. XX და XXI საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები. თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2013.

114. **გეგენავა, დიმიტრი.** ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება. თბილისი: „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2018.

115. **გეგუჩაძე, ვ.** მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა ქიმიის სასკოლო კურსში. თბილისი, 1957.

116. **გიორგაძე, ლელა.** ეკუმენური მოძრაობა და საქართველო. // *კულტურის ისტორიის და თეორიის საკითხები*, 21. თბილისი, 2005.

117. **გრძელიძე, რევაზ.** ნაშრომში 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1992.

118. **დამენია, მაია.** 1922 წელს გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის უცნობი გერმანული თარგმანი. – *კალისტრატე ცინცაძე 150. საიუბილეო კრებული.* რედ. ***ნუგზარ პაპუაშვილი***. თბილისი, 2017.

119. **დანელია, დალი.** ლუდვიგ ფოიერბახის ათეიზმი, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1967.

120. **ვარდოსანიძე, სერგო** საქართველოს ეკლესია XX საუკუნის 50-70-იან წლებში. – *ისტორია შეულამაზებლად.* რედ. ***როინ მეტრეველი, სერგო ვარდოსანიძე,*** თბილისი, 2014.

121. **ვარდოსანიძე, სერგო** საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე (1917-2017 წ.წ.). თბილისი, 2017.

122. **ვარდოსანიძე, სერგო.** თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია. თბილისი: „ნათლისმცემელი“, 2010.

123. **ვარდოსანიძე, სერგო.** პატრიარქი კალისტრატე, პატრიარქი მელქისედეკ III. თბილისი, 2013.

124. **ვარდოსანიძე, სერგო.** საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-52 წლებში, თბილისი: „მეცნიერება“, 2001.

125. **ვარდოსანიძე, სერგო.** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე (1932-1952 წ.წ.). თბილისი: „ნათლისმცემელი“, 2009.

126. **ვაჩნაძე, მერაბ, ვახტანგ გურული.** რუსეთის ეკლესიის ისტორია (სალექციო კურსი). ნაწ. მესამე (1900-2001). ნაკვ. პირველი (1901-1945). თბილისი: „არტანუჯი“, 2008.

127. **ვაჩნაძე, მერაბ, ვახტანგ გურული.** რუსეთის ისტორია, 1900-1937. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005.

128. **ვაჩნაძე, მერაბ, ვახტანგ გურული.** რუსეთის ისტორია, 1938-1953. თბილისი: „არტანუჯი“, 2006.

129. **თავზიშვილი, გ.** ინტერნაციონალური აღზრდის მიზნები და შინაარსი. // რჩეული პედაგოგიკური თხზულებანი. ტომი III. თბილისი: „განათლება“, 1980.

130. **კაკულია, შალვა.** რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ფილოსოფიის თავისებურებათა შესახებ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1960.

131. **კიკნაძე, გ.** მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1960.

132. **კიკნაძე, ზურაბ**. ბიზანტიური მემკვიდრეობა. // *ეკლესია გუშინ, ეკლესია ხვალ.* თბილისი: „ლომისი“, 2002.

133. **კიკნაძე. გ.** მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა საბჭოთა სკოლაში. კრებული „მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საკითხები“. თბილისი, 1958.

134. **კუპატაძე, ბონდო. ცუცქირიძე, ლევან.** 13 მითი სტალინის შესახებ. Netherlands Institute for Multiparty Democracy, 2016.

135. **ლუტიძე, ბიძინა.** კომუნისტური მორალი და რელიგიური მორალი. კრ. „რელიგიის და ათეიზმის საკითხები“. თბილისი, 1956.

136. **მელაშვილი, კ.** საბჭოთა განათლების სისტემა და მისი ძირითადი პრინციპები. თბილისი: „განათლება“, 1988.

137. მეცნიერული ათეიზმის ძირითადი საკითხები. თბილისი: „ცოდნა“, 1964.

138. **ნებიერიძე-ვაჩნაძე, მაია.** საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 50-იან წლებში და კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ III. კრ. „XX საუკუნის კათოლიკოს-პატრიარქები“. თბილისი: „უნივერსალი“, 2008.

139. **პავლიაშვილი, ქეთევან** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945). ნაწ. I. თბილისი, 2008.

140. **პავლიაშვილი, ქეთევან.** კონსტანტინოპოლის „უბიწოდ ჩასახვის“ ქართული კათოლიკური მონასტრის ისტორიიდან (XX ს-ის 10-30-იანი წ.). // *კულტურის ისტორიის საკითხები*, №VI, თბილისი, 1999.

141. **პავლიაშვილი, ქეთევან.** საბჭოთა იმპერიის საეკლესიო პოლიტიკა მახლობელ აღმოსავლეთში XX საუკუნის 20-60-იან წლებში („სტალინის პროექტი“ და ე.წ. „ფორთოხლის გარიგება“). *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები.* №2 (6). თბილისი, 2009.

142. **პავლიაშვილი, ქეთევან.** საბჭოური იდეოლოგიის ფორმირება და საეკლესიო მოძრაობა. *ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი*, VIII. თბილისი, 2008.

143. **პავლიაშვილი, ქეთევან.** საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია საქართველოში. თბილისი, 2008.

144. **პავლიშვილი**. **ქეთევან.** ქრისტიანობის ისტორია. თბილისი: „მერიდიანი“, 2010.

145. **პაპუაშვილი**, **ნუგზარ.** გრიგოლ ფერაძე სარწმუნოების და მოქალაქეობის შესახებ: გამოკვლევა, ბიბლიოგრაფია, ქადაგებები, შენიშვნები, დანართი. თბილისი: კონფლიქტების და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევის ცენტრი, 2006.

146. **პაპუაშვილი**, **ნუგზარ.** საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის. თბილისი, 1996.

147. **ჟუჟუნაშვილი, გიორგი.** მოსკოვი – მესამე რომი (კონცეფციის წამოშობა და განვითარება). // *საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხები.* თბილისი: „უნივერსალი“, 2009.

148. **რატიანი, სერგო.** განსხვავებული ეპოქების განსხვავებული პოლიტიკური თეოლოგიები. – *პოლიტიკური თეოლოგია: მოდერნულობამდე და მოდერნულობის შემდეგ*. რედ. ***გიგა ზედანია***. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012.

149. **როგავა**, **გივი.** რელიგია და ეკლესია საქართველოში (XIX-XX ს.ს.). თბილისი: „პაპირუსი“, 2002.

150. **როგავა**, **გივი.** როგორ ებრძოდნენ რელიგიას და ეკლესიას საქართველოში (XX საუკუნის 20-30 იანი წლები), თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994.

151. **სარალიძე**, **ლელა.** 1924 წლის აჯანყება და ქართველი სამღვდელოება. *ჩვენი სულიერების ბალავარი: VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი, 13-14 მაისი, 2016.* თბილისი: „უნივერსალი“, 2016.

152. **სახაროვი**, **სტეფანე.** მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიისა და ათეიზმის ფორმების შესახებ: თბილისში წაკითხული საჯარო ლექციის სტენოგრამა. თბილისი, 1956.

153. **სილაგაძე**, **ეკა.** მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ადგილი ანტისარწმუნოებრივ იდეოლოგიაში (1927-1947წწ.). // *კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები*, №XIX. თბილისი, 2004.

154. **სილაგაძე, ეკა.** მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია საქართველოში 1928 - 1947 წწ. ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი, 2014.

155. **სონღულაშვილი**, **ავთანდილ.** ნიკიტა ხრუშჩოვის პოლიტიკური პორტრეტი. // *„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“*, №1(18). თბილისი, 2016.

156. **ტყეშელაშვილი, ლევან.** მოწამეთა. ქუთაისი, 2010.

157. **ფანჯიკიძე**, **თეიმურაზ.** რელიგიათმცოდნეობა და ღვთისმეტყველება, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1998 (საიუბილეო კრებული)*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.

158. **ფანჯიკიძე**, **თეიმურაზ.** რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე. თბილისი: „ლეგა“, 2003.

159. ფილოსოფიური ლექსიკონი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1987.

160. **ფუკუიამა**, **ფრენსის.** ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. მთარგმნელი ***ზაზა ჭილაძე***. თბილისი: CIPDD, 1999.

161. **ქართველიშვილი, მიხეილ.** საბჭოთა ანტირელიგიური პროპაგანდის ასახვა ქართულ ბეჭდურ მედიაში 1953-1964 წლებში (გაზეთ „სახალხო განათლების“ მიხედვით). // *ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული*, №5. ქუთაისი, 2013.

162. **ქართველიშვილი**, **მიხეილ.** საეკლესიო საკითხი 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში. // *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები.* IV. თბილისი: „მერიდიანი“. 2011.

163. **ქორიძე, ხ.** ვ. ი. ლენინი რელიგიის შესახებ. თბილისი, 1958.

164. **ღაღანიძე, მერაბ.** სეკულარიზაციის ფარული საფრთხენი. – *სეკულარიზაცია: კონცეფტი და კონტექსტები.* რედ. **ს. რატიანი. გ. ზედანია.** თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.

165. **შადური, ვანო.** ბესარიონ ბელინსკი, 1811-1848. თბილისი: „სახელგამი“, 1948.

166. **შველიძე, ნ.** „სახალხო განათლება“. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9. თბილისი, 1985.

167. **ჩხეიძე**, **როსტომ.** ჯონ სტაინბეკის საიდუმლო. // *ჩვენი მწერლობა*, №17 (95), 2009.

168. **ჭახრაკია**, **ნიკოლოზ** საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“ 20 წლის მანძილზე. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1967.

169. **ჭახრაკია**, **ნიკოლოზ.** პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების ისტორია საქართველოში (1947-1967 წწ.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1970.

170. **ჭკადუა, რ.** საზოგადოება „ცოდნის“ როლი მეცნიერული ათეიზმის პროპაგანდაში. „რელიგიის ისტორია და ათეისტური პროპაგანდა“, წიგნი XI. თბილისი, 1987.

171. **ხახაშვილი, გიორგი.** ნ. გ. ჩერნიშევსკის მატერიალიზმი და შემეცნების თეორია. // *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია*, №2, 1976.

172. **ხუციშვილი. მირიან.** საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში. თბილისი: „მეცნიერება“, 1987.

173. **ჯავახია, ბეჟან.** მარადიული რომი: „სხვა რომი“ რომის შემდეგ. თბილისი: „ახალი აზრი“, 2009.

174. **ჯიქია, ლევან.** 1924 წლის აჯანყება საქართველოს რეგიონებში: (სამეგრელო), თბილისი: „უნივერსალი“, 2009.

175. ჯონ სტაინბეკის მოგზაურობის მიზანი. ინტერვიუ ***პიტერ ბრიჯისთან.*** // *ჩვენი მწერლობა.* №16 (42). 2011.

176. **ჰეივუდი, ენდრიუ.** პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი კურსი. მესამე გამოცემა. თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2005.

177. **Anderson, John.** Religion, State and Politics in the Soviet Union and Successor States, 1953-1993. Cambridge University Press, 1994.

178. **Anderson, John.** The Archives of the Council for Religious Affairs. // *Religion, State and Society.* Vol. 20. Nos 3&4, 1992.

179. **Andrews**, **James T.** Inculcating Materialist Minds: Scientific Propaganda and Anti-Religion in the USSR during the Cold War. *Science, Religion and Communism in Cold War Europe*. Edited by ***Paul Betts*** and ***Stephen A. Smith***. Palgrave Macmilan, 2016, გვ. 105-126.

180. **Arendt**, **Hannah.** The Origins of Totalitarianism. Harcourt, Brace, Jovanovich. 1973.

181. **Armstrong**, **John A.** The Politics of Totalitarianism. The Communist Party of the Soviet Union from 1934 to the Present. Random House 1961.

182. **Baberowski**, **Jörg.** Nikita Khrushchev and De-Stalinization in the Soviet Union 1953–1964. – *The Cambridge History of Communism*. Volume 2: The Socialist Camp and World Power 1941–1960s. Edited by ***Norman Naimark, Silvio Pons, Sophie Quinn-Judge***. Cambridge University Press, 2017.

183. **Beemans, Pierre J.** Scientific Atheism in the Soviet-Union: 1917-1954. *Studies in Soviet Thought*, Vol. 7, No. 3 (Sep., 1967).

184. **Bertrand, Michele**. Le statut de la religion chez Marx et Engels. Paris: Les Éditions sociales, 1979.

185. Beyond totalitarianism. Stalinism and Nazism compared. Edited by ***Michael Geyer*** and ***Sheila Fitzpatrick***. Cambridge University Press, 2008.

186. **Blackburn**, **Simon.** The Oxford Dictionary of Philosophy. New York: Oxford University Press, 2008.

187. **Bociurkiw, Bohdan R.** De-Stalinization and Religion in the U.S.S.R. *International Journal*, Vol. 20, No. 3, 1965.

188. **Boer, Roland.** Criticism of Earth: On Marx, Engels and Theology. Leiden and Boston: BRILL, 2012.

189. **Boer, Roland.** Criticism of Heaven: On Marxism and Theology, III. Leiden and Boston: BRILL, 2011.

190. **Boer, Roland.** Criticism of Heaven: On Marxism and Theology. Leiden and Boston: BRILL, 2007.

191. **Boer, Roland.**Criticism of Heaven: On Marxism and Theology, II. Leiden and Boston: BRILL, 2009.

192. **Boer, Roland.** Lenin, Religion, and Theology. Palgrave Macmillan US, 2011.

193. **Campbell, Ted A., Gary B. MacDonald.** Laying the Foundations: 1910–1948. – *The Oxford Handbook of Ecumenical Studies*. Edited by ***Geoffrey Wainwright*** and ***Paul McPartlan***. Oxford University Press, 2017.

194. Communist takeover and occupation of Georgia. Washington: United States Government Printing Office, 1955.

195. **Dunn**, **Denis J.** The Catholic Church and Russia. Popes, Patriarchs, Tsars and Commissars. London and New York: Routledge, 2016.

196. **Eaton**, **Katherine.** Daily Life in the Soviet Union. Westport, CT–London: Greenwood Press, 2004.

197. **Eller**, **Jack David.** Varieties of Secular Experience. – *The Oxford Handbook of Secularism*. Edited by ***Phil Zuckerman and John R. Shook***. New York: Oxford University Press, 2017.

198. **FitzGerald**, **Thomas E.** The Ecumenical Movement. An Introductory History. Westport, CT–London: Praeger, 2004.

199. **Fouilloux**, **Étienne.** Les voies incertaines de l'oecuménisme (1959-1999). // *Vingtième Siècle, revue d'histoire*, n°66, avril-juin 2000.

200. **Fox**. **Jonathan.**Integrating religion into international relations theory. // *Routledge Handbook of Religion and Politics*. Edited By ***Jeffrey Haynes***. London–New York: Routledge, 2009.

201. **Francis, John G.** The Evolving Regulatory Structure of European Church-State Relationships. // *Journal of Church and State*, 34(4), 1992.

202. **Froggatt, Michael.** Science in propaganda and popular culture in the USSR under Khruschëv (1953-1964). Thesis Submitted for the Degree of Doctor of Philosophy. St. John's College (University of Oxford), 2005, ȝȝ. 42-59.

203. **Fuchs, Lorelei.** Pivotal Years: 1948-1965. – *The Oxford Handbook of Ecumenical Studies*. Edited by ***Geoffrey Wainwright*** and ***Paul McPartlan***. Oxford University Press, 2017.

204. **Grossman, Joan Delaney.** Khrushchev's Anti-Religious Policy and the Campaign of 1954. *Soviet Studies*, Vol. 24, No. 3 (Jan., 1973).

205. **Harvey, Van A.** Feuerbach and the Interpretation of Religion. New York: Cambridge University Press, 2001.

206. **Haynes, Jeffrey.** Religion and foreign policy // *Routledge Handbook of Religion and Politics*. Edited By **Jeffrey Haynes**. London–New York: Routledge, 2009.

207. **Helby, J. A.** The state, the church, and the oikumene: the Russian Orthodox Church and the World Council of Churches, 1948-1985. – *Religious policy in the Soviet Union*. Edited by ***Sabrina Petra Ramet***. New York: Cambridge University Press, 1993.

208. **Hovorun**, **Cyril.** Metropolitan of Leningrad and Novgorod Nikodim (Rotov). – *Orthodox Handbook on Ecumenism. Resources for Theological Education*.Oxford, 2014.

209. **Ilic**, **Melanie.** What did women want? Khrushchev and the revival of the zhensovety. Soviet State and Society Under Nikita Khrushchev. Edited by ***Melanie Ilic*** and ***Jeremy Smith***. New York and London: Routledge, 2009.

210. **Ionita, Viorel.** Pan-Orthodox Decisions on the ecumenical relations of orthodox churches – A survey and historical account. // *Orthodox Handbook on Ecumenism. Resources for Theological Education*. Ed.: ***Pantelis Kalaitzidis, Thomas FitzGerald, Cyril Hovorun, Aikaterini Pekridou, Nikolaos Asproulis, Guy Liagre, Dietrich Werner***. Oxford, 2014.

211. **Jervis, Robert.** The Cuban missile crisis: what can we know, why did it start, and how did it end? – The Cuban Missile Crisis: A Critical Reappraisal. Ed. By. **Len Scott** and **R. Gerald Hughes**. London and New York: Routledge, 2015.

212. **Jinjolava, Irakli.** The Ecumenical Vocation of the Orthodox Church According to the Georgian Theologian and Saint Priest-Martyr Grigol Peradze. *Ostkirchliche Studien*, Bd. 65, Heft 2, 2016.

213. **Jones, Polly.** Introduction the dilemmas of de-Stalinization. – *The Dilemmas of Destalinisation A Social and Cultural History of Reform in the Khrushchev Era*. Edited by **Polly Jones**. London and New York, 2006.

214. **Jones**, **S. F.** Soviet Religious Policy and the Georgian Orthodox apostolic Church: From Khrushchev to Gorbachev. *Religion in Communist Lands*, Vol. 17, Issue 4, 1989.

215. **Jones, Stephen F.** The Georgian Orthodox Church. – *Eastern Christianity and the Cold War, 1945-91.* Ed. by **Lucian N. Leustean.** London and New York: Routledge, 2010.

216. **Joshi**, **Shashi.** Religion and Marxism: Some Theoretical Problems. // *Economic and Political Weekly*, Vol. 26, No. 45 (Nov. 9, 1991).

217. Karl Marx et Friedrich Engels, sur la religion. Textes choisis, traduits et annotés par ***G. Badia***, ***P. Bange*** et ***Émile Bottigelli***. Paris: Les Éditions sociales, 1968.

218. **Kartvelishvili**, **Mikheil.** The Attitude of Georgian Orthodox Clergy towards the Return of the Holy Relics (40-50s of Twentieth Century). // *Abstracts of International Conference "The Churches from Romania, Georgia, Macedonia and Poland. Forms of Organization and Leadership over the Centuries. Considerations and Assessments*". Constanta, 2017.

219. **Kartvelishvili**, **Mikheil.** The Study of St. Anthym of Iberia's merit in Georgian Historiography (Soviet Period). Dionysiana. XI (2017). No. 1. Constanta, 2017.

220. **Kenez**, **Peter.** The Birth of the Propaganda State Soviet Methods of Mass Mobilization, 1917-1929. Cambridge University Press, 1985.

221. Khrushchev and Khrushchevism. Edited by ***Martin McCauley***. Palgrave Macmillan UK, 1987.

222. **Kirby, Dianne.** The Religious Cold War. // *The Oxford Handbook of the Cold War*. Edited by ***Richard H. Immerman*** and ***Petra Goedde***. Oxford University Press, 2013.

223. **Kolarz, Walter.** Religion in the Soviet Union. New York: St. Martin's Press, 1961.

224. **Lane, Christel.** Christian Religion in the Soviet Union: A Sociological Study. New-York: State University of New York Press, 1978.

225. **Lang, David Marshall**. A Modern History of Soviet Georgia. New York: Grove Press, 1962.

226. **Le Blanc, Paul.** Marx, Lenin, and the Revolutionary Experience. Studies of Communism and Radicalism in the Age of Globalization. New York and London: Routledge, 2006.

227. **Linden**, **Marcel van der.** Western Marxism and the Soviet Union. A Survey of Critical Theories and Debates since 1917. Leiden–Boston: Brill, 2007.

228. **Löwy, Michael.** Marx et Friedrich Engels comme sociologues de la religion. //*Archives de sciences sociales des religions*, Année 1995, Volume 89, Numéro 1.

229. **Luehrmann, Sonja.** Soviet Atheism and Its Aftermath. – *The Oxford Handbook of Secularism*. Edited by ***Phil Zuckerman*** and **John R. Shook**. Oxford University Press, 2017.

230. **Madsen**, **Richard.**Religion under Communism. – *The Oxford Handbook of the History of Communism*. Edited by ***Stephen A. Smith***. Oxford University Press, 2014.

231. Marx on Religion. Edited by ***John Raines***. Philadelphia: Temple University Press, 2002.

232. **Matthews**, **Mervyn.** Education in the Soviet Union. Policies and Institutions since Stalin. London and New York: Routledge 2012.

233. **Mckown, Delos B.** The Classical Marxist Critiques of Religion. Marx, Engels, Lenin, Kautsky. The Hague: Martinus Nijhoff, 1975.

234. **Miner, Steven Merritt.** Stalin's Holy War. Religion, Nationalism, and Alliance Politics, 1941-1945. The University of North Carolina Press, 2003.

235. **Pauley, Bruce F.** Hitler, Stalin, and Mussolini. Totalitarianism in the Twentieth Century. Wiley-Blackwell, 2014.

236. **Peris, Daniel.** Storming the Heavens: The Soviet League of the Militant Godless. Cornell University Press, 1998.

237. **Peris**, **Daniel.** The 1929 Congress of the Godless. *Soviet Studies*, Vol. 43, No. 4 (1991).

238. **Peterson, David S.** Out of the Margins: Religion and the Church in Renaissance Italy. *Renaissance Quarterly*, Vol. 53, No. 3 (Autumn 2000).

239. **Pospielovsky, Dimitry V.** A History of Marxist-Leninist Atheism and Soviet Anti-religious Policies. Volume 1. A History of Soviet Atheism in Theory and Practice, and the Believer. Palgrave Macmilan, 1987.

240. **Pospielovsky, Dimitry V.** A History of Soviet Atheism in Theory and Practice, and the Believer. Vol. 2: Soviet Anti-Religious Campaigns and Persecutions. New York: St Martin's Press, 1988.

241. **Quénet, Ch**. Histoire des schismes orientaux. I- L'Église de Géorgie. // *Lumen: revue mensuelle: organe du Cercle d'enseignement catholique pour les femmes du monde*, N°1, 1931.

242. **Romero, Federico.** Cold War Anti-Communism and the Impact of Communism on the West. *The Cambridge History of Communism*. Volume 2: The Socialist Camp and World Power 1941–1960s. Edited by **Norman Naimark, Silvio Pons, Sophie Quinn-Judge**. Cambridge University Press, 2017.

243. **Rothenberg, J.** The Legal Aspect of Religious Education in the Soviet Union. *Comparative Education Review*, Vol. 12, No. 1.

244. **Seydoux, Marianne.** Les périodiques antireligieux en URSS. //*Cahiers du monde russe et soviétique*, vol. 11, N°1, 1970.

245. **Shani, Giorgio.** Transnational religious actors and international relations. // *Routledge Handbook of Religion and Politics*. Edited By **Jeffrey Haynes**. London–New York: Routledge, 2009.

246. **Shubin, Daniel H.** A History of Russian Christianity. Volume IV. New York: Agora Publishing, 2006.

247. **Smith, Stephen A.** Communism and Religion. – *The Cambridge History of Communism*. Volume 3: Endgames? Late Communism in Global Perspective, 1968 to the Present. Edited by ***Juliane Fürst, Silvio Pons, Mark Selden***. Cambridge University Press, 2017.

248. **Smolkin**, **Victoria.** A Sacred Space Is Never Empty. A History of Soviet Atheism. Princeton University Press. 2018.

249. **Statiev, Alexander.** The Soviet Counterinsurgency in the Western Borderlands. Cambridge University Press, 2010.

250. **Taubman**, **William.** Khrushchev: The Man and His Era. New York: Norton, 2003.

251. The Collected Essays, Journalism, and Letters of ***George Orwell***. Volume IV. In Front of Your Nose 1945-1950. Edited by ***Sonya Orwell*** and ***Ian Angus***. London: The Camelot Press, 1968.

252. **Thom, Françoise.** Beria: Le Janus du Kremlin. Paris, Les editions du Cerf, 2013.

253. **Thompson**, **David M.** Ecumenism. – *The Cambridge History of Christianity*. Vol. 9. World Christianities c. 1914 – c. 2000. Edited by ***Hugh McLeod***. Cambridge University Press, 2006.

254. **Thompson, William J.** Khrushchev: A Political Life. Palgrave Macmillan UK, 1997.

255. **Thrower, James.** Marxist-Leninist "scientific Atheism" and the Study of Religion and Atheism in the USSR. New York: Mouton, 1983.

256. **Tiébey, Simon.** La religion, l'athéisme et l'Etat dans l'idéologie soviétique. *Revue des Sciences Religieuses*, tome 62, fascicule 2-3, 1988.

257. **Tumarkin, Nina.** Political Ritual and the Cult of Lenin. *Human Rights Quarterly*, Vol. 5, No. 2 (May, 1983).

258. **Tumarkin, Nina.** Lenin Lives! The Lenin Cult in Soviet Russia. Harvard University Press, 1997.

259. **Ulam, Adam B.** The New Face of Soviet Totalitarianism. Cambridge, Massachusetts, Harvard University Press. 1963.

260. Varieties of Secularism in a Secular Age. Edited by ***Michael Warner; Jonathan Van Antwerpen; Craig J Calhoun***. Cambridge, MA and London: Harvard University Press, 2010.

261. **Vischer**, **Lukas.** A Georgian Saint Grigol Peradze (1899-1942). //*The Ecumenical Review*, *Volume 52*, *issue 1*, 2000.

262. **Werth, Nicolas.** Le pouvoir soviétique et l'Église orthodoxe de la collectivisation à la Constitution de 1936. *Revue d'études comparatives Est-Ouest*, vol. 24, n°3-4, 1993.

263. **Westad, Odd Arne.** The Cold War and the international history of the twentieth century. –*The Cambridge History of the Cold War*. Volume 1, Origins. Ed. By ***Melvyn P. Leffler*** and ***Odd Arne Westad***. New York: Cambridge University Press, 2010.

264. **Wight, Martin.** The Church, Russia and the West. *The Ecumenical Review*, Volume 1, Issue 1, 1948.

265. **Антропов, В. В.** Этика и религия в философии Людвига Фейербаха. // *Вестник Московского университета*. Серия 7. Философия, №1. 2004.

266. **Ардабьев**, **Александр** Атеизм Людвига Фейербаха. Москва: Издательство Академии наук СССР, 1963.

267. Большая Советская Энциклопедия. 2-е издание. Т. 39. Москва: „Большая советская энциклопедия“, 1956.

268. **Вороницын, И.** А. И. Герцен и религия. Москва: «Атеист», 1928.

269. **Иванов, А. С.** Журнал «Наука и религия» – важное звено в атеистическом воспитании // *Вопросы религии и религиоведения:* сборник. Вып. 1: Антология отечественного религиоведения. Ч. 3: Институт научного атеизма – Институт религиоведения АОН при ЦК КПСС. Москва, 2009.

270. **Куроедов, В.** Религия и церковь в советском государстве. Москва: Партиздат, 1982.

271. **Онищенко, А. Б.** О роли и значении Совета по делам Русской Православной Церкви в 1943-1953 годах. // *Церковь и время*, №2 (55), 2011.

272. **Старотонов, И.** Русская церковная смута (1921-1931). Из истории христианской церкви на родине и за рубежом в XX столетии. Москва, 1995.

273. **Цыпин, Владислав.** История русской церкви (1917-1997). Москва, 1997.

274. **Шахнович, М., Т. Чумакова.** Музей истории религии Академии наук СССР и российское религиоведение (1932-1961). СПб, 2014.

პერიოდული პრესა:

275. ამხანაგ ზინოვიევის ჩამოსვლა. გაზ. *„კომუნისტი“*, №17, 1923წ. 25 იანვარი.

276. ამხანაგი სტალინი რელიგიისა და მისი დაძლევის შესახებ. // ჟურნ. *„მებრძოლი ათეისტი“*, №12, 1939.

277. **გაბიძაშვილი, ო.** ახალი კათედრა მნიშვნელოვანი ამოცანების წინაშე, გაზ. *„თბილისის უნივერსიტეტი“*, №3, 1962წ. 20 იანვარი.

278. გავაძლიეროთ სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდა. // გაზ *„კომუნისტი“*, 1957წ. 11 სექტემბერი.

279. დამთავრდა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების საერთო კრება. გაზ. *„კომუნისტი“*, №138, 1947წ. 12 ივლისი.

280. ეპისტოლე სრულიად საქართველოის კათალიკოზ-პატრიარქის კირიონ მეორისა აღმოსავლეთის პატრიარქთა მიმართ, ეპისტოლე სრულიად საქართველოის კათალიკოზ-პატრიარქის კირიონ მეორისა ჰრომთა პაპის მიმართ. ჟურნ. *„სვეტიცხოველი“*, №4. თბილისი, 1917.

281. **იაროსლავსკი, ემელიან.** ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკი. // გაზ. *„კომუნისტი“*, №167, 1938წ. 24 ივლისი.

282. ი. ბ. სტალინი რელიგიის შესახებ. // ჟურნალი *„მებრძოლი ათეისტი“*, №12, 1939.

283. **კასრაძე, დ.** სტალინი, როგორც ათეისტი. // ჟურნ. *„მებრძოლი ათეისტი“*, №2-3, 1939.

284. **კვესი**. „უმანკო ჩასახება“ სტამბოლში, ვატიკანი და მენშევიკური კონტრრევოლუცია. გაზ. *„კომუნისტი“*, №212, 1928წ. 12 სექტემბერი.

285. **კვესი**. „უწმინდესი" სპეკულანტები ანუ რომის პაპის ხელი საქართველოში. გაზ. *„კომუნისტი“*, №44, 1930წ. 22 თებერვალი.

286. **კობახიძე, ვ.** მოსწავლეთა ანტირელიგიური აღზრდისათვის ფიზიკის გაკვეთილებზე. // ჟურნ. *„კომუნისტური აღზრდისათვის“*, №11. თბილისი, 1954.

287. **კუჭავა, კ.** მოსწავლეთა ათეისტური აღზრდის გამოცდილებიდან. // გაზ. *„სახალხო განათლება“*, №7, 1959წ. 11 თებერვალი.

288. **მარუაშვილი, გ.** გავაძლიეროთ მეცნიერულ ათეისტური პროპაგანდა. // გაზ. *„კომუნისტი“*, №305, 1954წ. 25 დეკემბერი.

289. **მდინარაძე, ლ.** ათეისტური აღზრდის ელემენტები ბოტანიკის კურსში. // ჟურნ. *„კომუნისტური აღზრდისათვის“*, №10. თბილისი, 1954.

290. მოწამეთის მონასტრის „წმინდანები“. // გაზ. *„კომუნისტი“*, №45, 1923წ. 27 თებერვალი.

291. ნ. ხრუშჩოვის გამოსვლა საბჭოთა ჟურნალისტებთან მიღებაზე კრემლში 1954 წლის 14 ნოემბერს. // გაზ. *„კომუნისტი“*, №270, 1959წ. 19 ნოემბერი.

292. ნიკიტა ხრუშჩოვის საუბარი ამერიკის საგაზეთო–საგამომცემლო ტრესტის მეთაურთან ვ. ჰერსტთან 1957 წლის 22 ნოემბერი. // გაზ. *„კომუნისტი“*, 1957წ. 30 ნოემბერი.

293. პედაგოგიური ინსტიტუტების საბრძოლო ამოცანები. // ჟურნ. *„კომუნისტური აღზრდისათვის“*, №10. თბილისი, 1954.

294. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი სრულიად საკავშირო საზოგადოების საერთო კრება. გაზ. *„კომუნისტი“*, №137, 1947წ. 11 ივლისი.

295. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდა. // გაზ. *„კომუნისტი“*, №140, 1947წ. 15 ივლისი,

296. **პროკოფიევი, ვ.** მეცნიერება და რელიგია. // გაზ. *„კომუნისტი“*, №245, 1954წ. 15 ოქტომბერი.

297. საქართველოს მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საინიციატივო ჯგუფის თათბირის რეზოლუცია: პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების შექმასთან დაკავშირებით. // გაზ. *„კომუნისტი“*, №107, 1947წ. 30 მაისი.

298. **სიგუა, ს.** ახალგაზრდობის აღზრდისათვის მებრძოლი ათეიზმის სულისკვეთებით. // გაზ. *„სახალხო განათლება“,* №43, 1954წ. 27 ოქტომბერი.

299. სკოლის და მასწავლებლის ღვიძლი საქმე. // გაზ. *„სახალხო განათლება“,* №38. 1954წ. 22 სექტემბერი.

300. **სტვოლინსკი, ი.** ვატიკანი მშრომელთა უბოროტესი მტერია. // გაზ. *„კომუნისტი“*, №219. 1954წ. 15 სექტემბერი.

301. ფართოდ გავშალოთ მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა. // გაზ. *„კომუნისტი“*, №201, 1954წ. 25 აგვისტო.

302. **ქაჯაია, ო.** ყოველმხრივ გავაძლიეროთ მოზარდი თაობის ათეისტური აღზრდა. // ჟურნ. *„კომუნისტური აღზრდისათვის“,* №9. თბილისი, 1954.

303. **შანიძე, აქვსენტი.** მოწამეთის „უხრწნელი“ ნაშთების გახსნა: სამღვდელოების ბნელ საქმიანობათა გამოსააშკარავებლად. // გაზ. *„კომუნისტი“*, №42, 1923წ. 23 თებერვალი.

304. **შეინმანი, ვ.** ვატიკანი იმპერიალიზმის სამსახურში. // გაზ. *„კომუნისტი“*, №200, 1954წ. 24 აგვისტო.

305. **ციბაძე, ა.** მოსწავლეთა ათეისტური აღზრდის ერთი საკითხის გამო. // გაზ. *„სახალხო განათლება“,* №2, 1955წ. 12 იანვარი.

306. **ძიძიგური, ი.** მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა დაწყებითი კლასების ქართული ენის გაკვეთილებზე. // გაზ. *„სახალხო განათლება“*, №16, 1959წ. 15 აპრილი.

307. **ჭელიძე, გ.** ფართოდ გავაჩაღოთ მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა სკოლაში. // გაზ. *„სახალხო განათლება“,* №35, 1954წ. 1 სექტემბერი.

308. **ჭელიძე, გ.** რელიგია მეცნიერების მტერია. // გაზ. *„ახალგაზრდა კომუნისტი“*, №126, 1954წ. 21 ოქტომბერი.

309. **ხუცურაული, გ.** გავაძლიეროთ მეცნიერულ ათეისტური პროპაგანდა. // ჟურნ. *„კომუნისტური აღზრდისათვის“*, №10. თბილისი, 1954.

310. **ჯიბლაძე, გ.** ახალი სასწავლო წელი. // გაზ. *„კომუნისტი“*, №207, 1954წ. 1 სექტემბერი.

311. Cinq Églises d'Union soviétique demandent à adhérer au Conseil œcuménique des Églises. // «*Le Monde»*, 16 Juin 1962.

312. Mort du patriarche géorgien. // *Journal des débats politiques et littéraires*, №°115, 26 Avril 1927.

313. Russians at World Churches Council. Paris Discussions. // *The Times*, 7 August 1962.

314. Обращение по всем деятелям советской науки, литературы и искусства, и научным, общественным и другим организациям и учреждениям Советского Союза. // *«Правда»*, 1 Мая 1947.

315. От Грузинской Православной Церкви. // *Журнал Московской патриархии*, №10, 1955.

316. К Христианам Всего Мира. // *Журнал Московской патриархии*, №8, 1955.

317. Письмо Св. Патриарха Сергия к Патриарху Грузии Католикосу Каллистрату. // *Журнал Московской патриархии*, №3, 1944.

ელექტრონული რესურსები:

318. **პაპასქირი, თეიმურაზ.** სსრკ 1945-1991 წლებში. სალექციო კურსი. – https://sites.google.com/site/tpapaskiri/teimurazpapaskiri%27spublications2 (უკანასკნელად ნანახია 30.09.2019).

319. Acta Apostolicae Sedis, Annus XXXXII. Series II. VOL. XVII. Vatican, 1950. იხ.: http://www.vatican.va/archive/aas/documents/AAS-42-1950-ocr.pdf (უკანასკნელად ნანახია 30.09.2019).

320. Записка Г. Г. Карпова о приеме И. В. Сталиным иерархов Русской Православной Церкви. Сентябрь 1943 г. Государственный архив Российской Федерации. Ф. 6991. Оп. 1. Д. 1. Л. 1-10. ციტირებას ვახდენთ წიგნიდან: **М. Одинцов**. Русские Патриархи XX века: Судьбы отечества и церкви на страницах архивных документов. Москва, РАГС, 1999, გვ. 283-291. იხ.: http://istmat.info/node/34874 (უკანასკნელად ნანახია 30.09.2019).